# კვირის პალიტრა

## ყოველკვირეული გაზეთი

№ 8 (253) ◆ 21-27 თებერვალი, 2000 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.


### დღესასწაული ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატისა...



ბოდბის დედათა მონასტერში, რომელიც შემდეგ ჰოსპიტლად გადაკეთდა, ღვთისმშობლის ამ ხატს საოპერაციო მაგიდის დანიშნულებით იყენებდნენ...

გვ. 4

### ადრიატიკის ზღვიდან ჩინეთამდე თურქული სახელმწიფო

## პანთურქიზმის ეს აკვიატებული იდეა დღესაც ცოცხალია...

გვ. 3



ა. ყულიჯანიშვილი

— ნუ მოვიტყუებთ თავს... საქართველოს აბსოლუტურად ყოველი მხრიდან ემუქრება პოტენციური საფრთხე. ...არაფერი დაგვემუქრება თუ შევძლებთ არმიის შექმნას და ნატოში გაწევრებას — თუ არადა, საფრთხე რეალურია...

ამ უმძიმესი პროგნოზების ფონზე სასაცილო და სატირალია ჩვენი შინაპოლიტიკური ამბიციები...

ვისაც ფიქრი გმართებთ! დაფიქრდით, რატომ აკეთებენ იმას, რასაც აკეთებენ, ჩვენი მეზობლები?

თ.შ. — შენს ლექსებზე გავიზარდე, ჩემო მუხრან...

მ.მ. — აბა, ერთი მაინც მითხარი.

თ.შ. — „შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს მერი“...

გვ. 27

ფოტოპალიტრა

### ხელისუფალნო! ნუ გვაიძულებთ გადავაგდოთ პატრიოტიზმი

ელემენტარული მათემატიკური გათვლით მარტო თბილისის მანქანების განბაქებით დღეში ვკარგავთ $10.000, ცხინვალი კი $3.500-ით მდიდრდება.

გვ. 5

### წინასაარჩევნო სიურპრიზები — ისევ 9 აპრილი, ისევ პატიაშვილი...

ვადის გასვლამდე რამდენიმე საათით ადრე „აღორძინებამ“ მეორე კანდიდატად ჯუმბერ პატიაშვილი წარადგინა...

— ეს არის ტაქტიკური ნაბიჯი: აჭარას მთლიანად აკონტროლებს ასლან აბაშიძე, აჭარის ფარგლებს გარეთ მეტია პატიაშვილის მხარდამჭერთა რიცხვი... ეს არის მცდელობა, ხმები დააკლდეს შევარდნაძეს... და არჩევნებმა მეორე ტურში გადაინაცვლოს.

გვ. 7

### სამხედრო თემაზე:

საზღვრის დარღვევის ფაქტზე ქართველმა მესაზღვრეებმა თურქული სეინერები დააკავეს...



### რუსეთის „რადიოშპიონაჟის“ ქსელი საქართველოსაც მოსწვდება...

თუმცა ამ ობიექტზე ყველა მონაცემი დახურულია, მაინც გაჟონა ინფორმაციამ, რომ ჩრდილო ოსეთში იწყება გრანდიოზული საჯაშუშო სისტემის შექმნა, რომელიც საქართველოს და ნაწილობრივ აზერბაიჯანის ტერიტორიასაც მისწვდება.

გვ. 9

— მონოპოლისტებმა წალეკეს ქვეყანა... ახლახან გავიგე, ანტიმონოპოლისტური სამსახურის უფროსის ძმას გაზის მრიცხველები შემოუტანია... რატომ უნდა გამოვრიცხოთ, რომ მას ძმა — ვაჟა მაისურაძე ეხმარება?

გვ. 5 *მიხეილ სააკაშვილი*

### დათვის გოდება — დრამა თბილისის ზოოპარკში

დედაშვილობა ადამიანებს უფრო გვცოდნია თუ ცხოველებს?

გვ. 6



### ინტერვიუ სატუსაღოდან



### რიჩარდ ნიქსონმა ვერ მოახერხა გამსახურდიას დაყოლიება...

— 1991 წელს ნიქსონი შეეცადა გამსახურდია დაეყოლიებინა, უარი ეთქვა ერთიანი კავკასიური სახლის შექმნაზე — უარით წავიდა საქართველოდან ამერიკის ყოფილი პრეზიდენტი — სწორედ ამას მოჰყვა ზვიად გამსახურდიას პერმანენტულად დიქტატორად გამოცხადება...

*ზვიად ძიძიგური — სამტრედიის ყოფილი პრეფექტი*

თბილისიდან გაქცეულმა ქართველებმა წითელ ხიდზე 30 წუთით გავასწარით კვალში ჩამდგარ ქართველ მდევარს....

გვ. 8

### პუტინმა ჭიდაობა საქართველოში ისწავლა?



სოფელ მეტეხში ჩამოუყვანია ორი წლის ვალოდია 18 წლის დედას... იქაურ ტოლ ბიჭებთან იზრდებოდა პატარა პუტინი და აქ სწავლობდა ქართული ჭიდაობის ილეთებს...

პუტინში ბასაევი 2,5 მლნ დოლარს იხდის?!

გვ. 18

### შევარდნაძის დავალებით ინაური დიდხანს ეძებდა ჟვანიას

ჟვანიამ სასამართლო პროცესზე ყველასათვის დასამახსოვრებელი სიტყვა წარმოთქვა:

„საქართველოს ყველა ქალაქის ცენტრალურ მოედანზე დგას ჩვენთვის, ქართველებისთვის, როგორც ერისთვის, ვიღაც უცხო, გადამთიელი პიროვნებების ბიუსტები და არა ჩვენი ისტორიული პირების ძეგლები. ახლა სტადიონი აგეს და იმასაც ლენინის სახელი უწოდეს. თუ ასე ძალიან გინდათ, კომუნისტებმა რაიკომებში დაიდგით მათი ძეგლები.

გვ. 10


ფირმა „ბერმუხა“



ბრტყელი სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.

წერეთლის გამზ. №55, ბინა №53

☎96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50



შპს „ევროამერიკან“-ი გთავაზობთ მეორადი მოხმარების კომპიუტერებს IBM 486 და Pentium.

კომპლექტშია: სისტემური ბლოკი, მონიტორი და კლავიატურა

ფასი 119$ და 191$ ეკვივალენტი ლარებში

მის: ფიროსმანის ქ. №23

☎94-28-33


საკვირაო ტელეკინოგიდი 21-27 თებერვალი



გვ. 14-15

Неделя · КОММАНДОС · Частная жизнь · Телохранитель · За рубежом · Московские новости · Newsweek · Focus · Общая газета · Der Spiegel · Комсомольская правда · АиФ · stern · Сегодня · Клюква · Известия · Труд · Совершенно секретно · Аргументы и факты · Иностранец · Le Figaro Magazine · Paris Match · ТВ Парк · Лица · Огонёк · daily · Nouvel Observateur · Итоги

თქვენს გაზეთს მთელი საქართველო კითხულობს

## მიღწეულია კონსენსუსი

მრავალდღიანი შეხლა-შემოხლის შემდეგ ოპოზიციამ და უმრავლესობამ, როგორც იქნა, მიაღწიეს შეთანხმებას საარჩევნო კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ. კერძოდ, მიღწეულია კონსენსუსი სამ ძირითად საკითხზე: 1. ცსკ-ის ფორმირების წესი; 2. საუბნო და საოლქო კომისიების ფორმირების წესი, რომლის თანახმადაც გაიზრდება წევრთა რაოდენობა; 3. ცსკ-ის თავმჯდომარის მოადგილედ დაინიშნება ბლოკ „აღორძინების" წევრი. ასევე „აღორძინებიდან" იქნება წარმოდგენილი ქვედა დონის საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელთა შემადგენლობის ნაწილი... მიღწეული შეთანხმებების შედეგად, როგორც ჩანს, ოპოზიცია მოხსნის არჩევნების ბოიკოტირების მუქარას. „მოქალაქეები" მიესალმებიან ამ ფაქტს და იმავდროულად გამოთქვამენ იმედს, რომ აჭარის ლიდერი წინასაარჩევნო კამპანიას მთელი საქართველოს მასშტაბით წარმართავს, ანუ იმოგზაურებს ქვეყნის რაიონებსა და ქალაქებში, რა თქმა უნდა, თბილისშიც... ამ „იმედების" მოსმენისას „აღორძინების" წევრებს „გაურკვეველი" ღიმილი დასთამაშებდათ ხოლმე, ისევე როგორც ამავე „იმედების" ავტორ „მოქალაქეებსაც"... როგორც მოგვიანებით ცნობილი გახდა, პრეზიდენტობის კანდიდატად „აღორძინებამ" მეორე, ჯუმბერ პატიაშვილის კანდიდატურაც წარადგინა (დაწვრილებით იხ. გვ. 7).

## ამომრჩევლებს ნიშანს დაადებენ

მიღწეული შეთანხმებებიდან, ამომრჩეველთათვის ალბათ ყველაზე მიუღებელი იქნება ის, რაც მისაღებია „აღორძინებისათვის" და რაზეც დათანხმდა უმრავლესობა. ანუ ეს არის ამომრჩეველთა ე.წ. მარკირება არჩევნების დღეს, მარტივად რომ ვთქვათ, საღებავით ნიშნის დადება, ვთქვათ, ხელის მტევანზე, თითზე... მართალია, „აღორძინება" გაიძახის, ეს პროცედურა არ იქნება შეურაცხმყოფელი მოქალაქეებისთვისო, მაგრამ საინტერესოა, თუ გამოიკითხეს მოქალაქეთა აზრი მარკირების შესახებ? ან უმრავლესობა რატომ დათანხმდა ამაზე?

## ჯოელს ოპოზიციამ შეუტია

პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის სხდომაზე საანგარიშო მოხსენებით წარდგა აშშ-ის კონგრესში საქართველოს ოფიციალური ლობისტი პოლ ჯოელი, რომელმაც ისაუბრა ბოლო ერთი წლის მანძილზე საქართველო-აშშ-ის ურთიერთობათა შესახებ. მაგრამ ბატონ ჯოელს მოულოდნელად „თავს დაესხნენ" ოპოზიციის წარმომადგენლები და განაცხადეს, ჯოელი კონგრესში საქართველოს ინტერესებს კი არა, „მოქალაქეთა კავშირის" ინტერესებს ემსახურებაო და მომხსენებელს ძმრად ამოადინეს ის 100 ათასი დოლარი, რომელსაც წელიწადში ხელფასის სახით უხდის საქართველო ბატონ ჯოელს... საუბედუროდ, ზოგიერთ „შორსმჭვრეტელ" პარლამენტარს „არ გახსენებია", თუ რამდენმილიონიან დახმარებას აძლევს ამერიკა ყოველწლიურად საქართველოს, რომელსაც კონგრესი ამტკიცებს; რამდენი მილიონი უკვე მიიღო საზღვრის დაცვის დეპარტამენტმა, რამდენი სამხედრო ვერტმფრენი გვაჩუქეს ამერიკელებმა და ა.შ. ყველა ამ საქმეში ბატონ ჯოელს თავისი წვლილი აქვს შეტანილი და უმადურობა და უზნეობაა მას ჩვენ მიერ მიცემული ხელფასი დავამადლოთ!

## ელიავა „მგლებთან" ერთად ტყეშია

აკაკი ელიავა თავის „ტყის მგლებთან" ერთად კვლავ ტყეში გავიდა. ამის მიზეზი გახდა ძალოვან სტრუქტურათა განცხადება, რომ მათ აქვთ სარწმუნო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ელიავა და მისი მოსკოველი მფარველები აპირებენ მორიგი ამბოხის მოწყობას საქართველოში. ელიავასთან ერთად იმყოფება ვინმე კვარაცხელია, რომელიც მოსკოვში მოქმედი ე.წ. საკოორდინაციო საბჭოს წარმომადგენელია (ცნობისათვის: საბჭო მიზნად ისახავს საქართველოში კანონიერი, გამსახურდიასეული ხელისუფლების აღდგენას...). ტყეში გასულები ადგილმდებარეობას განუწყვეტლივ იცვლიან და აცხადებენ, რომ მათ შეუერთდა შინაგანი ჯარების 150-მდე მოსამსახურე(!). ელიავას თქმით, „მგლები" ტყეში გავიდნენ არა შიშის გამო, არამედ შესაძლო სისხლის ღვრის თავიდან ასაცილებლად, ანუ „ტყის მგლები" გავერიდეთ ხელისუფლებას და ამჟამად თავდაცვაზე ვართო(!). კახა თარგამაძე კი ირწმუნება, რომ ელიავა თავისუფლად მოძრაობს სენაკსა და ზუგდიდში, მასთან მოლაპარაკებებს აწარმოებენ სამართალდამცავები და ამბოხის არავითარი საშიშროება არ არსებობსო. რაც შეეხება 150 სამხედრო მოსამსახურის გადასვლას ელიავას ბანაკში, თარგამაძე ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს და აცხადებს, რომ ელიავასთან მივიდა მხოლოდ ტყიბულის პოლიციის ორი ოფიცერი, რომლებიც ახლახან გაყარეს სამსახურიდან...

## მანგანუმის კომბინატი ისევ ბობოქრობს

ჭიათურაში დიდ არეულობას ჰქონდა ადგილი. მანგანუმის კომბინატის მუშა-მოსამსახურეები ქუჩაში გამოვიდნენ და უნდობლობა გამოუცხადეს საწარმოში შესულ ჩეხურ კომპანიას. ჩეხები მოპოვებული მანგანუმის ვაგონებში ჩატვირთვას და გაყიდვას ითხოვენ, რადგან მათი თქმით, მხოლოდ ამ შემთხვევაში გაუსტუმრებენ მუშებს 3 თვის ხელფასებს. მუშები კი კატეგორიულად მოითხოვენ ჯერ ხელფასების მიღებას და შემდეგ მანგანუმის გატანას... საქმეში თემურ შაშიაშვილიც ჩაერია, რომელმაც დააშოშმინა მუშები, მოგვიანებით, თბილისში პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ კი, ბატონმა ედუარდმა უნდობლობა გამოუცხადა ჭიათურაში მოქმედ ჩეხურ ფირმას... მისი საქართველოში ყოფნის ბედი მალე გადაწყდება...

## თხა თხაზე ნაკლებიო...

ჯერ არ განმუხტულიყო დაძაბულობა ჭიათურაში, რომ ახლა ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნის მუშა-მოსამსახურეები აჯანყდნენ, ოღონდ ქუჩის ნაცვლად, ზესტაფონის თეატრის დარბაზს მიაშურეს. საქმე ის არის, რომ არასამთავრობო ორგანიზაციამ „სამოქალაქო მრჩეველთა კომიტეტი" ფეროშენადნობთა ქარხნის ხელმძღვანელობას წაუყენა ბრალდებები, რომლის თანახმადაც, კომიტეტს უტყუარი ფაქტები აქვს საწარმოში არსებული დარღვევების შესახებ. ამიტომ მოითხოვენ ქარხანაში... კონტროლის პალატის შესვლას და დოკუმენტაციის რევიზიას. რევიზიის მომხრენი ამტკიცებენ, რომ ქარხნის ხელმძღვანელობა ძარცვავს ქარხანას. ასახელებენ ერთ-ერთ ფაქტსაც, როცა ქარხნის მიერ გამოშვებული 800 დოლარიანი პროდუქცია ჩოლოქს იქით 170 დოლარად გაიტანეს. ფეროს ხელმძღვანელობა კი აცხადებს, რომ აჯანყებულთა უკან ზესტაფონის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი კოვზირიძე („აღორძინების" ბლოკიდან) დგას, რომელმაც ფეროს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი დავით შალიკაშვილი დაამარცხა არჩევნებში. თავად შალიკაშვილი აცხადებს, რომ რადგან არჩევნებში გაიმარჯვეს, ჰგონიათ, ფეროსაც დაეპატრონებიანო და სწორედ მათ უკავშირებს ამას წინათ თავის სახლში „ლიმონკის" აფეთქებასაც. იმასაც ამბობენ, ფეროშენადნობთა ქარხანაში დაწყებული სკანდალი საპრეზიდენტო არჩევნებთანაა დაკავშირებული, რათა წინასაარჩევნოდ როგორმე მოახერხონ ქარხნის გაჩერებაო... სკანდალი გრძელდება!

## იმპიჩმენტი შეაჩერეს

რუსთავის სასამართლომ შეაჩერა ქალაქის საკრებულოს გადაწყვეტილება თავმჯდომარის იმპიჩმენტის შესახებ, რომელიც 11 თებერვალს საკრებულომ ხმათა უმრავლესობით დაამტკიცა და თავმჯდომარე მენთეშაშვილი თანამდებობიდან გაათავისუფლა. სასამართლოს გადაწყვეტილებით კი იმპიჩმენტი, სასამართლოს საბოლოო განჩინებამდე, შეჩერებულად გამოცხადდა. მენთეშაშვილი, რომლის იმპიჩმენტის საკითხი ყოფილმა ლეიბორისტ-თანამოაზრეებმა დააყენეს და გაიტანეს კიდეც „მოქალაქეებთან" „ჩახუტებით", კვლავ თავის კაბინეტშია...

## ბაზრობა მერიის წინააღმდეგ

დედაქალაქის მერია მაღაზია „ბავშვთა სამყაროს" მიმდებარე ტერიტორიის აუქციონზე გაყიდვას აპირებს, არადა იმავე მერიის გადაწყვეტილებით ეს ტერიტორია სამი წლის წინ საგანგებოდ გამოუყვეს ლტოლვილებს სავაჭროდ, რომელიც დღემდე ცნობილია „ლტოლვილთა ბაზრობის" სახელით... მერიის განზრახვით განრისხებული აფხაზეთიდან ლტოლვილნი მიაწყდნენ დედაქალაქის მერიას და ჩაქოლვით დაემუქრნენ „გაუმაძღარ ქალაქისთავებს, რომლებმაც მთელი თბილისი შეჭამეს და ახლა „ლტოლვილთა ბაზრის" გადაყლაპვასაც აპირებენ..." ლტოლვილები ჩაქოლვით ემუქრებიან იმასაც, ვინც გაბედავს და იყიდის მათთვის გამოყოფილ ტერიტორიას...

## „აი-თი-ეს"-ი მალავიმაც დაიწუნა

ბრიტანული კომპანიის „აი-თი-ეს"-ის მიმართ პრეტენზიები, საქართველოს მსგავსად, აფრიკის ქვეყნის მალავის ხელისუფლებასაც გაუჩნდა (დიდი შეღავათია...). მალავის პრეზიდენტმა „აი-თი-ეს"-თან კონტრაქტი გააუქმა და კომპანია ქვეყნიდან კინწისკვრით გააძევა. მალავი ახალი კონტრაქტის გაფორმებას აპირებს შვეიცარიულ კომპანია „აი-ჯი-ეს"-თან, რომელმაც, როგორც საქართველოში, მალავიშიც ტენდერის პირველ ტურში გაიმარჯვა, ხოლო მეორეში... დამარცხდა.

ცნობისათვის: თავის დროზე „კვირის პალიტრა" ბრიტანულ პრესაზე დაყრდნობით წერდა, „აი-თი-ეს"-მა აფრიკის ქვეყნებსა და საქართველოში წარმატებას ხელისუფალთა მოქრთამვით მიაღწიაო. როგორც ჩანს, მართლები ყოფილან ინგლისელი ჟურნალისტები, მაგრამ რაღა დროს?!

## მშვიდობისმყოფელი ბოროტმოქმედები

გალის რაიონში კი რუსმა „მშვიდობისმყოფელებმა" საკუთარ სახლში დახვრიტეს 80 წლის თაველა მიქაია. თამაზ ნადარეიშვილის განცხადებით, მკვლელობა მას შემდეგ მოხდა, რაც პირველი გამასპინძლების შემდეგ გალეშილი რუსები მეორედ მიადგნენ მიქაიას და კვლავ არაყი მოსთხოვეს. უარის შემდეგ კი მასპინძელი ჩაცხრილეს(!).

ქართულმა მხარემ ამ ფაქტთან დაკავშირებით შეშფოთება გამოთქვა და მოუწოდა გაეროსა და მის დამკვირვებლებს... ბოლო მოუღონ შემზარავ მკვლელობებს(!).

## სოსო ალავიძემ ავტოინსპექტორები გამოაწყო

საგზაო პოლიციიდან გაგდებული 200-მდე ყოფილი ავტოინსპექტორი საპროტესტო აქციას გეგმავდა (ბოროტი ენები ამბობენ, გზების გადაკეტვას აპირებდნენო), მაგრამ კოლეგები თბილისის პოლიციის შეფმა სოსო ალავიძემ დააშოშმინა და ქუჩაში უკვე უმუშევრად დარჩენილ ინსპექტორებს პოლიციის სხვადასხვა სამსახურში დასაქმებას დაჰპირდა. როცა ყოფილი ავტოინსპექტორები დაწყნარდნენ, ახლა სოსო ალავიძე გადავიდა შეტევაზე და „ტყავი გააძრო" კოლეგებს იმის გამო, რომ ფორმები არ ეცვათ. უფროსის დატუქსვამ შედეგი გამოიღო და ცოტა ხანში უკვე მშობლიურ სამუშაო ფორმებში გამოწკეპილი ყოფილი ავტოინსპექტორები მოთმინებით ელოდნენ „პოლიციის სხვადასხვა სამსახურში გადანაწილებას"...

## თევდორაძე დავით ინჯიაზე იზრუნებს

პარლამენტარ ელენე თევდორაძის განცხადებით, იგი აპირებს შუამდგომლობა გაუწიოს დაკავებულ დავით ინჯიას და თავდებით გამოაშვებინოს ციხიდან. დავით ინჯიასათვის მისჯილი წინასწარი დაკავების სამთვიანი ვადა 28 თებერვალს იწურება. ინჯიების პარტიულმა ბოსმა შალვა ნათელაშვილმა თევდორაძის შუამდგომლობაზე ჯერ ხუმრობით განაცხადა, რომ „ეს ფაქტი არასასიამოვნოა იმ გაგებით, რომ თევდორაძე თავდებში ძალიან ბევრ პიროვნებას უდგება, რომლებიც ველარ გამოდიან ციხიდან", მაგრამ შემდეგ სერიოზულად დასძინა — ღმერთმა ქნას, რომ გამოვიდესო და ამ ძალისხმევისათვის მადლობაც მოახსენა საქართველოში პატიმართა უფლებების ცნობილ დამცველს... აი, ფრიდონ ინჯიას კვალისათვის კი, ჯერჯერობით, „ვერა და ვერ მიუგნიათ"...

## მორიგი ბრალდება

მოსკოვიდან მორიგი ბრალდება გაისმა საქართველოს მისამართით. რუსეთის №1 მესაზღვრემ კონსტანტინ ტოცკიმ განაცხადა, რომ „ახმეტის რაიონს ამჟამად თავს აფარებს 400-დან 1000-მდე ჩეჩენი ბოევიკი(!), რომლებიც მზად არიან, საჭიროების შემთხვევაში გადავიდნენ ჩეჩნეთში და დაარტყან ფედერალურ ძალებს(!)". ეს ინფორმაცია კატეგორიულად უარყო ვალერი ჩხეიძემ, რომელიც საქმის გასარკვევად კარგა ხნის მანძილზე ამაოდ ცდილობდა, დაკავშირებოდა ტელეფონით რუს კოლეგას... მაგრამ სატელეფონო ხაზის მეორე მხარე საეჭვოდ დუმდა...

## ჩეჩენი ლტოლვილები შეაცდინეს

საქართველოში ჩეჩენი ლტოლვილებისა და ქართველ და თურქ მესაზღვრეთა მონაწილეობით მთელი დრამა გათამაშდა: ვალეს საბაჟო-გამშვებ პუნქტს ავტობუსებით ასამდე ჩეჩენი ლტოლვილი, ძირითადად, ქალები და ბავშვები, მიადგნენ თურქეთში გადასვლის მოთხოვნით, თუმცა სათანადო დოკუმენტების უქონლობის გამო, თურქებმა არ შეუშვეს ქვეყანაში. ჩეჩნები აცხადებენ, რომ დოკუმენტები დაბომბვებისას დარჩათ, ან დაკარგეს და რომ ყველა ქვეყანა ვალდებულია, მიიღოს უდოკუმენტო ლტოლვილები. მათ ისიც თქვეს, რომ რადიოთი რამდენჯერმე მოისმინეს გერმანიის მთავრობის განცხადება, სადაც გერმანელები მზად არიან, მიიღონ ლტოლვილები ჩეჩნეთიდან. გერმანიისკენ გზა კი მათთვის მხოლოდ და მხოლოდ თურქეთზე გადის... ქართველი მესაზღვრეები მოლაპარაკებას აწარმოებენ თურქ კოლეგებთან. ამ უკანასკნელთ, ჯერჯერობით, არავითარი ბრძანება არ მიუღიათ ანკარიდან, სავიზო რეჟიმის დარღვევას კი არ აპირებენ. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, ხიზრი ალდამოვმა განაცხადა, რომ ეს არის პროვოკაცია, რომელშიც კონკრეტული ჩეჩენი პიროვნებაა დამნაშავე. ალდამოვის თქმით, მან შეაგროვა უპასპორტო ლტოლვილები, შეჰპირდა თურქეთში გადაყვანას და 60-60 დოლარიც გამოართვა... ლტოლვილები კი კვლავ ვალეში იმყოფებიან და თურქეთში შესვლის იმედით ავტობუსებში ათენ-აღამებენ!

## „ნათლია" ჭკვიანი კაცია

ერგნეთის ბაზრობაზე მძვინვარე კონტრაბანდის აღკვეთისათვის საქართველოს ხელისუფლების მიერ დაწყებული ბრძოლა, შეიძლება მორიგ ქართულ-ოსურ კონფლიქტში გადაიზარდოს. ქართულ-ოსური მაფია პოზიციის დათმობას არ აპირებს... ალბათ შექმნილმა მძიმე ვითარებამ აიძულა ვაჟა ლორთქიფანიძე სასწრაფოდ ჩასულიყო ცხინვალში და ლუდვიგ ჩიბიროვთან მოლაპარაკებები გაემართა. ლორთქიფანიძემ მოუწოდა ჩიბიროვს და ოსურ მხარეს კონტრაბანდასთან ერთობლივი ბრძოლისაკენ, თუმცა ოსებმა ეს მოწოდება მხოლოდ ყურებში გაატარეს და საერთოდ, უარყვეს ბენზინის კონტრაბანდის არსებობაც კი(!). როცა ლორთქიფანიძემ შესთავაზა ჩიბიროვს, რომ ერთობლივი ქართულ-ოსური საბაჟო ჩაედგათ როკის გვირაბის გამოსასვლელთან, ჩიბიროვმა და სხვა სეპარატისტმა „ნათლიებმა" საქართველოს ხელისუფლებას მოსთხოვეს „სამხრეთ ოსეთის მოქალაქის" პასპორტების შემოღება, დანგრეული ხიდების აღდგენა და საქართველო-რუსეთის იმ ხელშეკრულების ამოქმედება, რომელიც ომისშემდგომი ცხინვალის რეგიონის ეკონომიკურ რეაბილიტაციას ითვალისწინებს. ფაქტია, რომ რუსეთს შეპირებული თანხიდან კაპიკიც არ გადმოუგდია ცხინვალელი ოსებისათვის, ხოლო საქართველოს ხელისუფლებას „დააწერა" ცხინვალის რეგიონისათვის რუსეთიდან მოწოდებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდა... ჭკვიანი კაცია ჩიბიროვი, მან ბებერაზე დააჭირა ფეხი ქართულ მხარეს და ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ლორთქიფანიძე ცუდ გუნებაზე დაბრუნდა თბილისში... ოსები კი უკვე დაუფარავად იმუქრებიან: თუ ამ ერთადერთ შემოსავალს მოუსპობენ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას (ანუ კონტრაბანდული ტვირთების შემოტანას), მაშინ „არ გეწყინოთ" და რეგიონში კონფლიქტი განახლდებაო!

## კრიმინალური კვირა

გასული კვირა „მდიდარი" აღმოჩნდა ისეთი მძიმე დანაშაულობებით, როგორებიცაა მკვლელობა, ყაჩაღობა, ნარკობიზნესი... სახელმწიფო არქივის შენობასთან ავტომატით დახვრიტეს სახანძრო სამსახურის რიგითი თანამშრომელი, 30 წლის კახა ხიდაშელი. მკვლელობაში ეჭვმიტანილი საკუთრების დაცვის პოლიციის თანამშრომელი ზაზა ბენდიანიშვილია, რომელიც მოკლულთან ერთად მუშაობდა. თვითმხილველთა თქმით, მკვლელობა მას შემდეგ მოხდა, რაც ამ ორ პიროვნებას შორის ურთიერთშეკამათების ნიადაგზე ჩხუბი ატყდა. ჩხუბის მიზეზებს და მკვლელობის მოტივს გამოძიება ადგენს... მეტრო „სამედიცინო ინსტიტუტის" ჩასასვლელში მსხდომ გარემოვაჭრეებს კი ახალგაზრდებმა „ლიმონკა-РГД" „ცხვირწინ" აუფეთქეს. დაიჭრა 4 ადამიანი, საბედნიეროდ, არავინ დაღუპულა. პოლიცია გამალებით ეძებს „ონავარ ბიჭებს"... ანზორ ბალუაშვილის განცხადებით, „გამოიკვეთა გარკვეულ პირთა წრე, რომელთა მიმართ გამოძიებას აქვს ეჭვი აღნიშნული დანაშაულის ჩადენაში..."

## დემოკრატია აჭარულად

**(ბეა)** ერთადერთი დამოუკიდებელი ადგილობრივი ტელეკომპანია TV-25, რომელიც აჭარის ტერიტორიაზე ვრცელდება, ასლან აბაშიძის კლანის კუთვნილება გახდა. სარწმუნო წყაროს ცნობით, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა გასაგები მიზეზების გამო, 19 თებერვალს ბათუმის ყოფილმა მერმა ასლან სმირბამ საპრეზიდენტო არჩევნებში ასლან აბაშიძის მხარდასაჭერად კომპანიის დირექტორს და პარტნიორს ავთო გვასალიას 100000 დოლარი შესთავაზა, რაზეც უარი მიიღო. ასლან სმირბამ ეს უკანასკნელი ჯერ სცემა, მეორე დღეს კი ნოტარიული წესითა და იარაღის მუქარით კომპანიის 75% წაართვა. სმირბამ წილი ერთ-ერთ თავის ქვეშევრდომზე გააფორმა.

## არ მომკვდარა, ცოცხალია...

მოსკოვში ჩეჩნეთიდან მიიღეს ცნობა საველე მეთაურის სალმან რადუევის დაღუპვის შესახებ, თუმცა რუსები ეჭვით შეხვდნენ ამ ინფორმაციას. თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, ეს ცნობა შეიძლება სპეციალურადაა „შემოგდებული", რათა რადუევმა შეძლოს მიმალვა, მით უმეტეს, რომ რადუევი ადრეც არაერთხელ „მომკვდარა", მაგრამ მალევე გაცოცხლებულა...

## მასხადოვს ბრალად ედება

გროზნოში რუსების მტკიცებით, ერთ-ერთ სარდაფში აღმოაჩინეს ჩეჩნეთის შეიარაღებული ძალების კადრების არქივი, რომლის გაცნობამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ისლამური ქვეყნების — ინდონეზიის, სუდანის, ნიგერიის, ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოების მოქალაქეები „ერევიან რუსეთის საშინაო საქმეებში და თანაც იარაღით ხელში..." რუსეთის გენერალურმა პროკურორმა კი სისხლის სამართლის საქმე აღძრა ასლან მასხადოვის წინააღმდეგ, რომელსაც ბრალად სდებენ შეიარაღებული ამბოხების ორგანიზებას, კონსტიტუციური წყობის ძალისმიერი შეცვლისა და რუსეთის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის მიზნით(!). საინტერესოა, იმავე ბრალდებით დღესაც რომ აღძრან საქმე არძინბას წინააღმდეგ ბაბილაშვილმა და მისმა უწყებამ (თუ არ ვცდებით, ერთხელ უკვე იყო აღძრული საქმე არძინბას მიმართ, რომელიც მიფუჩეჩდა მისი თბილისში ვიზიტისთანავე!), რა რეაქცია მოჰყვება მას აფხაზეთსა და თუნდაც მოსკოვში?!

## ამერიკამ ჩეჩნებს უმასპინძლა

აშშ-ის კონგრესში დიდი პატივით მიიღეს ჩეჩნეთის საპარლამენტო დელეგაცია, რამაც მოსკოვის გაცოფება გამოიწვია. ოფიციალურ ნოტაში ამერიკელთა ქმედება რუსებმა შეაფასეს როგორც რუსეთის საშინაო საქმეებში ჩარევა და არამეგობრული ნაბიჯი ამერიკელთა მხრიდან. რა თქმა უნდა, მოსკოვში ამ ნოტის წერისას არ გახსენებიათ, როგორი პატივით იღებდნენ აფხაზ „პარლამენტარებს" რუსეთის დუმაში და როგორი ენთუზიაზმით განიხილავდნენ რუსი პარლამენტარები რუსეთის ფედერაციასთან აფხაზეთის მიერთების საკითხს! მართლაც, შესანიშნავი რამ არის ბუმერანგის ეფექტი!

## გარდაიცვალა ანატოლი სობჩაკი

**(ბეა)** 19-20 თებერვლის ღამეს კალინინგრადის ოლქში გარდაიცვალა 65 წლის ცნობილი რუსი პოლიტიკოსი, სანქტ-პეტერბურგის ყოფილი მერი ანატოლი სობჩაკი. გარდაცვალების სავარაუდო მიზეზად ასახელებენ ინფარქტს (მანამდე სობჩაკს სამჯერ ჰქონდა ინფარქტი გადატანილი). სობჩაკი ახლახან გახდა პრეზიდენტობის კანდიდატის ვლადიმირ პუტინის ნდობით აღჭურვილი პირი და კალინინგრადის ოლქში კერძო ვიზიტით იყო ჩასული ოლქის გუბერნატორთან.

ამთავითვე ვიტყვი, რომ ის ფაქტები და მოსაზრებები, რომელსაც ქვემოთ გაეცნობა მკითხველი, სულაც არ ისახავს მიზნად რაიმე ჩრდილი მიადგეს საქართველო-თურქეთის კეთილმეზობლური და სტრატეგიული თანამშრომლობის განვითარებას, რომელიც თვისებრივად ახალ დონეზე ავიდა სტამბოლის სამიტისა და საქართველოში სულეიმან დემირელის ბოლო ვიზიტის შემდეგ... უბრალოდ, ჩვენისთანა პატარა და დაულაგებელი ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია მსოფლიო გლობალურ პროცესებში მონაწილეობასთან ერთად კარგად იცნობდეს მეზობელ სახელმწიფოებში მიმდინარე პროცესებს, მით უმეტეს, რომ ისტორიული გამოცდილებიდან შესანიშნავად ვიცით, თუ რა ზიანი მიუყენებია საქართველოსთვის „სხვა ქვეყნებში ატეხილ ჭირს...“ ბუნებრივია, ჩვენი ყურადღება ჩრდილოეთისკენაა მიმართული და ისიც ლოგიკურია, რომ საფრთხესაც უწინარესად რუსეთისგან ველით, მაგრამ ეს სულაც არ გვაძლევს გულარხეინად ყოფნის უფლებას სამხრეთელ მეზობლებთან, თუნდაც იმავე თურქეთთან, რომელთანაც დამყარებული გვაქვს საკანონმდებლო ბაზით გამაგრებული ურთიერთობა... ვაი, რომ საკუთრივ საქართველოს შინაპოლიტიკური დაპირისპირებების ფონზე დროდადრო გაიჟღერებს ხოლმე ისეთი საკითხები, რომლებიც არათუ უადგილო და უდროოა, არამედ პოტენციურად დიდი ზიანის მომტანიც ჩვენი ქვეყნის ინტერესებისთვის... ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ იმავე აჭარის მიმართ თურქეთის ოდინდელი „პრეტენზიების“ აფიშირება ისევ და ისევ ხელისუფლებისთვის მებრძოლ ქართველ პოლიტიკოსთა პირით ხდება და თანაც მუქარანარევი ტონით... ახლახან ბლოკ „აღორძინების“ წარმომადგენლის, გელბახიანის განცხადებისა და აჭარის ლიდერის თურქეთში ვიზიტთან დაკავშირებით, წინა ბრიფინგზე პრეზიდენტმა მრავალმნიშვნელოვნად განაცხადა, — მე მაქვს განსაკუთრებული ინფორმაცია, რომელსაც ვერ გაგიმხელთო...

ჩვენ მხოლოდ მკითხაობა შეგვიძლია, თუ რა „განსაკუთრებულ“ ინფორმაციას შეიძლება ფლობდეს პრეზიდენტი აჭარისა და შესაბამისად, საერთოდ საქართველოს მიმართ თურქეთის პოლიტიკის შესახებ, მაგრამ ფაქტები და მეზობელ ქვეყანაში არსებული ტენდენციები საფუძველს გვაძლევს ანალიზისა და დასკვნების გამოსატანად...

ვესაუბრები ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატს, პოლიტოლოგ **აკაკი ყულიჯანიშვილს,** რომელიც დიდი ხანია იკვლევს ოსმალეთის იმპერიის ისტორიასა და თანამედროვე თურქეთში მიმდინარე პროცესებს:

— თქვენს მიერ ჩამოთვლილ საკითხებზე საუბარი შეიძლება მხოლოდ ანალიტიკოსის პოზიციიდან... რა იგულისხმა პრეზიდენტმა, ალბათ დიდი ხნის მანძილზე ვერ გავიგებთ, მაგრამ თურქეთში მიმდინარე პროცესების ანალიზი გვიჩვენებს შემდეგს: როცა ლაპარაკია საქართველოს ეროვნულ უშიშროებაზე, თითქოს გამოირიცხება, რომ თურქეთიდან არანაირი საფრთხე არ გვემუქრება, რადგან ეს არის დემოკრატიული და დასავლურ რელსებზე გადასული ქვეყანა და ა.შ. ასეთი მიდგომა კი, რბილად რომ ვთქვათ, მცდარია! ისმის კითხვა, რატომ? მოვიყვან მაგალითს და დავსვამ კითხვას: ისეთ უწყინარ გეოპოლიტიკურ სივრცეში მყოფ ჩვენსავით პატარა ჰოლანდიას რად სჭირდება შეიარაღებული ძალები? რა, კვლავ ესპანელები დაიპყრობენ თუ გერმანელები? სჭირდება კი იმიტომ, რომ მსოფლიო ჯერ კიდევ არ არის ისე მოწყობილი, რომ მტკიცე მშვიდობის გარანტია მისცეს სახელმწიფოებს და ჯერ კიდევ ყველაფერია მოსალოდნელი... დავუშვათ, აფრიკის კონტინენტზე მოხდა ეკონომიკური, გნებავთ ბუნებრივი, ან ეკოლოგიური კატასტროფა და მთელი ეს უზარმაზარი შავი მასა მიაწყდა ევროპას. რა უნდა ქნას პატარა ჰოლანდიამ? იმავე თურქეთის ქართულ ტერიტორიებზე — ტაოსა და შავშეთში ძალიან ცოტა ქართველი და თურქი ცხოვრობს, ძირითად მასას ქურთები შეადგენენ, რომლებიც ფანტასტიკური სისწრაფით მრავლდებიან. შედეგად, შეიძლება მოხდეს ისე, რომ დემოგრაფიული თვალსაზრისით დაემუქროს ეს პროცესი ჩვენს ეროვნულ უშიშროებას. ხომ უნდა ვიყოთ მზად ამის თავიდან ასაცილებლად?

— **ადრიატიკის ზღვიდან ჩინეთამდე თურქული სახელმწიფოს შექმნის იდეა დღესდღეობით არარეალურია, მაგრამ თავისთავად ის ფაქტი, რომ თურქეთის გავლენიან პოლიტიკურ წრეებში დღემდე ცოცხლობს ეს გეგმა, დამაფიქრებელი უნდა იყოს ყველასთვის, მათ შორის, ჩვენთვის...**

— წლების მანძილზე აშშ-სა და ნატოს თურქეთი სჭირდებოდათ, როგორც „წითელი საფრთხის“ შემაკავებელი ძალა რეგიონში და ამ საქმეში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭებოდა მაჰმადიანობის ფაქტორს, მაგრამ ამერიკელები ცდილობდნენ თურქეთში რელიგია „მოთვინიერებული“ ჰყოლოდათ, ანუ შეენარჩუნებინათ ლაიცისტური ქვეყანა, როგორსაც ათათურქმა ჩაუყარა საფუძველი. ამასთან, მიუხედავად ნატოს წევრობისა, თურქეთი ეკონომიკურად უაღრესად ჩამორჩენილი ქვეყანა გახლდათ 80-იან წლებამდე და რა გზით უნდა ექციათ ამერიკელებს იგი მძლავრ ფორპოსტად საბჭოთა კავშირის ექსპანსიის შესაკავებლად? ერთადერთი გზა იყო რელიგია და 50-იანი წლებიდან ამერიკელებმა ხელმეორედ ააღორძინეს ამ ხალხში მიძინებული რელიგიური გრძნობები... საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კი რელიგიური ფაქტორი ძალიან გაძლიერდა თურქეთში და უკვე დასავლეთი დადგა საშიში ფაქტის წინაშე: ჯერ იყო და თურქეთი შეეცადა დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას პოსტსაბჭოური ქვეყნების მიმართ, შედეგად დასავლეთი მიხვდა, რომ შეიძლება რეალობად ქცეულიყო პანთურქიზმის იდეა — ადრიატიკის ზღვიდან ჩინეთამდე არსებული სივრცის მიერთება თურქეთთან! რუკას დავხედოთ და ვნახავთ, რომ ეს მართლაც საშიში რეალობაა, რადგან ამ სივრცეში „გამოჩხერილია“ ორი პაწაწინა ქრისტიანული და არშემდგარი სახელმწიფო — საქართველო და სომხეთი. იმავე ჩრდილო კავკასიაშიც ისე წარმატებით იმუშავეს თავის დროზე თურქებმა, რომ ჩვენს მეზობელ რესპუბლიკებში არაბულად ლოცულობენ, მაგრამ თურქული ენა აღიარებულია როგორც ღმერთის ენა! ამასაც აქვს თავისი ისტორია: ისლამი არაბული რელიგიაა, რომელიც თურქებმა მოირგეს და ამით გადაიკიდეს არაბული სამყარო. არავის ისე არ სძულთ ერთმანეთი, როგორც თურქებსა და არაბებს. აქ ისტორიული მეხსიერებაც თამაშობს როლს, როცა ოსმალეთის იმპერია, ფაქტობრივად, მთელ არაბულ სამყაროზე იყო გაბატონებული...

— **ე.ი. პანთურქისტების მიერ დამკვიდრებული ცნება, რომ „ყველა მუსლიმანი — თურქია“, დღესაც მუშაობს? და აი, მივადექით იმ საფრთხესაც, რაც შეიძლება სწორედ თურქეთიდან, კერძოდ, პანთურქისტებისგან დაემუქროს საქართველოს... მით უმეტეს, ღმერთმა დაიფაროს და, საამისო საბაბი თუ ქართველებმა მივეცით... აქვე კომენტარს გთხოვთ საქართველოში მოლა ფეთულას თურქულ სკოლებზეც...**

— თანამედროვე მსოფლიო წესრიგის პირობებში მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივაში ვფიქრობ, არაფერი გვემუქრება, თუ საკუთრივ საქართველოში არ განვითარდა დამანგრეველი პროცესები. თუ ეს მოხდა, თურქეთი აშკარად განაცხადებს პრეტენზიას იმ ოლქზე, რასაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა ეწოდება და არც რუსეთს, არც არავის დაუთმობს მას. ეს საფრთხეა უკვე და ე.წ. ყარსის ხელშეკრულებაშიც ამაზეა ლაპარაკი... როცა ასლან აბაშიძეს რალაცაში დასჭირდა და ნებსით თუ უნებლიეთ წამოატივტივა ყარსის ხელშეკრულება, სწორედ იმის დადასტურება გახლდათ, რომ ეს დოკუმენტი არ

# პანთურქიზმის იდეა — ადრიატიკის ზღვიდან ჩინეთამდე თურქული სახელმწიფოს შექმნა — კვლავაც ცოცხალია!


აკაკი ყულიჯანიშვილი

არის გაუქმებული...

რაც შეეხება ფეთულას სკოლებს: ვიტყვი, რომ თურქეთს მართავს არა პრეზიდენტი, არამედ ქვეყნის უშიშროების საბჭო, რომელშიც სამოქალაქო პირთაგან წარმოდგენილია პრეზიდენტი, პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი, დანარჩენი 12-14 წევრი გენერლებია. მადლობა ღმერთს, რომ სწორედ ისინი მართავენ თურქეთს და თავადაც იმართებიან... ამერიკიდან! მადლობა ღმერთს-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ ამ გენერლებმა აიძულეს დემირელის ხელისუფლება, რათა სკოლებში შეჩერებულიყო პანთურქისტული ისლამისტური იდეოლოგიის სწავლება და კანონიც გამოსცეს. სწორედ ამ კანონის ამოქმედებამაც შეუწყო ხელი იმას, რომ ბაქო-ჯეიჰანის პროექტი განხორციელებადი გახდა. ანალიზი გვიჩვენებს, რომ დასავლეთსა და თურქეთს შორის არსებული გაუცხოების პარალელურად, სწორედ პანთურქისტული მოძრაობის გამო იკავებდა თავს ვაშინგტონი ბაქო-ჯეიჰანის პროექტის ხელშეკრულების გაფორმებაზე. აშენდა ბაქო-სუფსის ნავთობსადენი, რითაც აგრძნობინეს ანკარას, რომ თუ გინდათ ბაქო-ჯეიჰანი, კეთილი ინებეთ და „რელიგიური გრძნობები“ მოთოკეთო... საოცარია, მაგრამ ეკონომიკური აღმავლობის გზაზე მდგარ თურქეთში 3-4-ჯერ მეტ სასულიერო კადრს ზრდიან, ვიდრე პროფესიულ-ტექნიკურ სფეროში და ეს მაშინ, როცა მოსახლეობის 30-35% წერა-კითხვის უცოდინარია... ამიტომ უნდა ვუთხრათ, ვისაც ეს ეხება: ქართველო ჩინოვნიკებო, ქვეყანა, სადაც მოსახლეობის 35% წერა-კითხვის უცოდინარია, მოდის აქ, ხარჯავს ფულს, სკოლებსა და უნივერსიტეტს გიხსნის „განათლების“ შემოსატანად, დაფიქრდით, რატომ აკეთებს ამას და კონტროლზე მაინც გყავდეთ ის „საგანმანათლებლო სისტემა“...

— **სხვათა შორის, როცა შარშან თურქეთის უშიშროების საბჭოს მიერ მიღებულ კანონთან დაკავშირებით ვრცელი პუბლიკაცია გამოვაქვეყნე „კვირის პალიტრაში“, ფეთულას სკოლების შესახებ კომენტარი ვთხოვე ჩვენი განათლებისა და უშიშროების მინისტრებს, რომლებმაც გაურკვეველი მიზეზებით აარიდეს თავი რაიმეს თქმასაც კი...**

— გასაგებია... საუბედუროდ, იმისი ჭკუაც არ ყოფნით, რომ ჩინოვნიკური პოზიციებიდან მაინც გაიმართლონ თავი და თქვან, — ამაში ცუდი არაფერია, როცა დემოკრატიულ ქვეყანაში შემოდის სხვა ქვეყანა საგანმანათლებლო სისტემით, რომ კონტროლზე გვყავს და ა.შ. მით უმეტეს, რომ ფეთულას სკოლების მესვეურნი უკვე მიხვდნენ — საქართველო ის ქვეყანა არ არის, რომელსაც თავიანთ იდეებზე მოაქცევენ. შეიძლება აქ სხვა მექანიზმი მუშაობს და ვიღაცა ფულს აკეთებს, მაგრამ სწავლების დონე ამ სკოლებში უაღრესად დაბალია. თუ ვინმე ნორმალური პედაგოგი ჰყავთ, ისიც ქართული ინტელიგენციის წარმომადგენელი... საერთოდ კი ეს სკოლები დაარსებულია პანთურქისტული იდეების საყრდენად და მოლა ფეთულა დღემდე ამაყობს, რომ პოსტსაბჭოურ ქვეყნებში 200 ასეთი „დასაყრდენი“ აქვს...

— **რა პერსპექტივა აქვს პანთურქისტული იდეების განხორციელებას ჩრდილო კავკასიაში, სადაც თურქები მართლაც მაგრად მუშაობენ...**

— დიახ... და ისინი ასევე მაგრად მუშაობდნენ და მუშაობენ აფხაზეთშიც. მაგრამ ჯერ ჩრდილო კავკასიის შესახებ მოგახსენებთ ერთ ფაქტს: თანსუ ჩილერი პრემიერის პოსტიდან გადააყენეს იმიტომ, რომ პრემიერის ფონდიდან დახარჯული ჰქონდა 300 მილიონამდე დოლარი. მაშინ მესუთ ილმაზი კოალიციაში იყო ჩილერთან, მაგრამ ღია ეთერში პასუხს სთხოვდა — თქვით, სად წაიღეთ ეს 300 მილიონი და წარმოადგინეთ დოკუმენტაციაო... ჩილერი კი პასუხობდა, — მე შენ არ გენდობი, რომ დოკუმენტაცია გიჩვენო, რადგან ამ დოკუმენტების წარმოდგენა გამოიწვევს ჩვენს მეზობელ ქვეყანასთან ურთიერთობის უკიდურესად დაძაბვასო... აშკარა იყო, რომ ეს მილიონები წავიდა გროზნოში ჩეჩნეთ-რუსეთის პირველი ომის დროს. ვფიქრობ, ეს ტენდენცია დღესაც მუშაობს...

— **და ამას მოჰყვა ჩილერის დადანაშაულება კორუფციაში და მისი ადგილი დაიკავა ილმაზმა...**

— დიახ. მოვიდა ილმაზი, ჩაატარეს არჩევნები და გასაქანი მიეცა უარესს: მოვიდნენ ერბაქანის ისლამისტები და დაიწყეს პანთურქისტული იდეების ფორსირება. ირანის სასულიერო პირებიც ჩაერივნენ თურქეთის ცხოვრებაში და შედეგად, ამერიკელებმა „თაროზე შემოდეს“ ბაქო-ჯეიჰანის პროექტი... ამიტომ ვამბობ, რომ ვერ გაიგებ ბოლომდე, თუ რა ხდება თურქეთში და რა შეიძლება მოხდეს ხვალ, მით უმეტეს, რომ მეჯლისში მანდატების 22% პანთურქისტებს აქვთ და ქვეყანაც ჯერ კიდევ „დუღილის“ პროცესშია...

— **ფაქტია, რომ რუსეთ-თურქეთის ინტერესები კვლავ ეჯახება ერთმანეთს კავკასიაში... აფხაზეთი ვახსენეთ და უცნაურად არ მიგაჩნიათ თურქების აქტიურობა რუსების მიერ კონტროლირებად აფხაზეთში? უშვებთ იმის პრეცედენტს, რომ რუსებსა და თურქებს შორის რაღაც გარიგება შეიძლება იყოს?**

— თვითონ რუსეთის პოლიტიკურ წრეებში ლაპარაკობენ, რომ რუსები სრულად ველარ აკონტროლებენ აფხაზეთს. ეს მიგვანიშნებს, რომ გაჩნდა სხვა ქვეყნების ინტერესებიც და არა საბერძნეთის ან ბულგარეთის, არამედ სწორედ თურქეთის. თავი არ უნდა მოვიტყუოთ და არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს თურქეთის მეშვეობით დასავლეთს აქვს ინტერესი აფხაზეთში. ეს გახლავთ თურქეთის არა პოლიტიკური, არამედ კულტურულ-მენტალური ინტერესები, მით უფრო, რომ აფხაზეთის დღევანდელი მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მაჰმადიანია! არ ვიცი, ეს ინტერესები თურქეთის სახელმწიფო პოლიტიკის რანგშია აყვანილი თუ არა, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს აფხაზეთში გამალებულ მშენებლობებს აწარმოებენ სწორედ თურქული ფირმები. ე.ი. სახეზე გვაქვს აშკარა გარიგების ფაქტი რუსეთსა და თურქეთს შორის და სულაც არ არის აუცილებელი, რომ ეს მაინცდამაინც სამხედრო-პოლიტიკური გარიგება იყოს... საქმე ის არის, რომ თურქეთში ძლიერი აფხაზური დიასპორაა და თურქი იყენებს ამ ფაქტორს. მარტო ის ფაქტი რად ღირს, როცა ომისას თურქეთის პრესაში ქვეყნდებოდა სიები, თუ ვინ რა თანხა გაუგზავნა აფხაზებს დასახმარებლად, ხოლო თურქეთის ქართულ დიასპორას იქაური აფხაზები შეურაცხყოფას აყენებდნენ და სცემდნენ კიდეც. ამის შემდეგ გამოცოცხლდა ჩვენი დიასპორა და კატეგორიულად მოსთხოვა თურქეთის ხელისუფლებას მიეღო ზომები. ოფიციალურმა ანკარამაც განაცხადა: „ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს ერთიანობას, მაგრამ ჩვენი თანამოქალაქე აფხაზი მუჰაჯირები ეხმარებიან ნათესავებს და რა ვქნათო?!“

— **ბოლო დროს თურქეთი გამოთქვამს მზადყოფნას, მიიღოს მონაწილეობა კავკასიური კონფლიქტების მოწესრიგებაში, მაგრამ რა ფორმით შეიძლება ჩაერთოს თუნდაც ყარაბაღის სამშვიდობო პროცესში, თუ გავითვალისწინებთ სომხეთის მდგომარეობას?..**

— გულწრფელად ვიტყვი და ცუდად ნუ გამიგებენ: თუ არა ყარაბაღის კონფლიქტი, დასავლეთი არ გამოიჩენდა საქართველოს მიმართ ასეთ დიდ ინტერესს, რადგან კასპიის ნავთობის ტრანსპორტირება სომხეთის გავლით, არის ყველაზე მომგებიანი და მოკლე გზა. თუ თურქეთი ჩაერევა ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირებაში გარიგება უნდა მოხდეს იმაზე, რომ ბაქო-ჯეიჰანის პარალელურად მეორე ნავთობსადენმა და გაზსადენმა გაიაროს სომხეთზეც. ამიტომაა, რომ ერევანი უკვე აშკარად ხედავს — რუსეთზე გამობმამ მას კარგი არაფერი მოუტანა. იმასაც გრძნობენ, რომ რუსეთი ნელ-ნელა იდევნება კავკასიიდან, სომხეთი კი რჩება ამ პროექტების მიღმა და თანაც უაღრესად მტრულ გარემოცვაში. თუ კვლავ პანთურქიზმის იდეის შესაძლო გაძლიერებას დავუბრუნდებით და ღმერთმა დაიფაროს — ფუნდამენტალისტები მოვლენ თურქეთის ხელისუფლებაში, საქართველოც და აზერბაიჯანიც იძულებულნი გავხდებით, ისევ მოვძებნოთ გზა ევროპისაკენ — რუსეთის გავლით. ერთ საოცარ და დღემდე უცნობ ფაქტს გეტყვით: ჰაიდარ ალიევის წინააღმდეგ მეორე ტერაქტი თურქების მიერ იყო მოწყობილი და არა რუსებისგან(!) ისიც ფაქტია, რომ გამოძიების შემდეგ ალიევმა თურქეთის ელჩი გააგდო ქვეყნიდან და ტერაქტში ბრალი დასდო არა თურქეთის ხელისუფლებას, არამედ სწორედ პანთურქისტებს!

— **ე.ი. გამოდის, რომ ალიევი არც რუსებს აძლევთ ხელს და არც პანთურქისტებს...**

— ასე გამოდის და აქ გარკვეულ ინტერესთა თანხვედრასთანაც გვაქვს საქმე. გავიხსენოთ ელჩიბეი, რომელიც აცხადებდა, — ჩვენ თურქების დანამატი ერი ვართ და უნდა გავერთიანდეთ თურქეთთანო... მაგრამ მოვიდა ალიევი და სულ სხვა თამაში დაიწყო. იგი აღიარებს, რომ აზერბაიჯანელები თურქული მოდგმისა არიან, მაგრამ იმასაც ამბობს, რომ აზერბაიჯანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა, რომელსაც კეთილმეზობლური ურთიერთობა უნდა ჰქონდეს თურქეთთან. ეს კი მიუღებელია პანთურქისტებისთვის. დიახ, პირველი ტერაქტი ალიევს რუსებმა მოუწყვეს, მეორე კი თურქებმა, რადგან ორივესთვის მიუღებელია ალიევი... და რადგან რუსეთის ინტერესები გასაგებია ჩვენთვის, უპრიანია, კვლავ პანთურქიზმის იდეა გავშიფროთ. პანთურქიზმი წარმოიშვა „პანსლავიზმის“ შედეგად. როცა რუსეთს, როგორც „მესამე რომს“, გაუჩნდა პრეტენზია, გაეერთიანებინა სლავი ხალხები და დაეხსნა ისინი თურქების ბატონობისგან, უწინარესად ბალკანეთზე, თურქებსაც გაუჩნდათ იდეა შემოეკრიბათ თურქული მოდგმის ხალხები. მაგრამ ამ იდეის რეალიზებას ხელს უშლიდა რუსეთი, რომლის იმპერიის შემადგენლობაშიც იყვნენ მოქცეული ეს ხალხები. ამიტომ პანთურქიზმი წმინდა იდეოლოგიურ საფუძველზე ცდილობდა შუა აზიის მიერთებას თურქეთზე. იმ შუა აზიისა, სადაც სახელმწიფოებრიობა არასოდეს ჰქონიათ, თუ არ ჩავთვლით ბუხარისა და სამარყანდის სამთავროებს. იგივე უზბეკეთი, ყაზახეთი და თურქმენეთი თავის დროზე იდეურად მზად იყვნენ თურქეთთან გასაერთიანებლად, მაგრამ რუსეთი უშლიდათ ხელს... დღეს კი, როცა შუა აზიის სიმდიდრეები აღიქმება სტრატეგიულ და მსოფლიო მნიშვნელობის ნედლეულად, როცა ლაპარაკია, რომ 21-ე საუკუნე იქნება ურანის საუკუნე, რომლის ყველაზე დიდი მარაგი შუა აზიაშია, თურქეთი ცდილობს ეკონომიკური ინტეგრაციით დამკვიდრდეს ამ რეგიონში. იმავდროულად, პანთურქიზმის იდეაც ცოცხლობს...

— **დღეს, როცა უკვე ხმამაღლა საუბრობენ ცივილიზაციათა დაპირისპირების შესახებ, რა პროცესებს შეიძლება მიეცეს გასაქანი იმ უზარმაზარ სივრცეში, სადაც, როგორც თქვენ ბრძანეთ, ორი არშემდგარი პაწაწინა სახელმწიფო, საქართველო და სომხეთია „გამოჩხერილი“ და რა პოლიტიკა უნდა ვაწარმოოთ ჩვენ, რათა მოულოდნელად არ აღმოვჩნდეთ ისეთი მომაკვდინებელი საფრთხის წინაშე, რომლის შესახებაც დღეს წარმოდგენაც არა გვაქვს და არც თავს ვიწუხებთ მოვლენათა განვითარების პროგნოზირებით...**

— ერთ კონკრეტულ და მრავლისმთქმელ ფაქტს მოვიყვან: აშკარაა, რომ ამერიკა ძალიან ჭკვიანურ პოლიტიკას აწარმოებს ამ სივრცეში. ორმაგი სტანდარტი პოლიტიკაში ჩვეულებრივი მოვლენაა და დავაკვირდეთ, თუ რას აკეთებს ამერიკა: იგი ეხმარება ერაყელ ქურთებს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მაშინ, როცა თურქეთში მცხოვრები ქურთების წინააღმდეგ ბრძოლაში თურქეთის მხარეზეა! საქმე ის არის, რომ თუ თურქეთში პანთურქისტული ძალების გააქტიურების გამო ამერიკამ გული აიცრუა თურქეთზე, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, დასავლეთი აქცენტს გადაიტანს ერთიანი ქურთისტანის სახელმწიფოს დაარსებაზე და ამით შექმნის ბუფერულ ზონას ორ ვეშაპს — თურქეთსა და ირანს შორის. დავაკვირდეთ, რა გზა იკვეთება: თურქეთი-ირანი-ავღანეთი-პაკისტანი და თუკი თურქეთი არ იქნება პროდასავლური ქვეყანა, ხომ წარმოგიდგენიათ, რა საშინელი დილემის წინაშე აღმოჩნდება მსოფლიო? ამიტომ სჭირდება ვაშინგტონს ეს გაუთავებელი გაურკვეველი ვითარება ერაყში, რათა გამუდმებით დააფიქსიროს თავისი ყოფნის აუცილებლობა ამ ისლამურ ოკეანეში! აი, რა საოცარი და ბინძურია ზოგჯერ პოლიტიკა. ქურთებს „რაღაცისთვის“ ინახავენ.

ახლა კი საქართველოს რუკასაც დავხედოთ და შევეცადოთ, არ მოვიტყუოთ თავი: სახეზე გვაქვს გაუბედურებული ქვეყანა, რომელსაც აბსოლუტურად ყველა მხრიდან ემუქრება პოტენციური საფრთხე: თურქეთიდან მაჰმადიანური გარემო; აფხაზეთშიც იგივეა; ოსებთან კულტურულად ძალზე დაცილებულნი ვართ; სამხრეთიდან სომხეთი და მასზე მიბმული უზარმაზარი სომხური დიასპორა... სამხრეთ-აღმოსავლეთიდან აზერბაიჯანი, ასევე უზარმაზარი აზერბაიჯანული დიასპორით; ჩრდილოეთიდან რუსეთი და საკუთრივ არეული ჩრდილო კავკასია! საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში ჩვენ არაფერი დაგვემუქრება, თუ შევძლებთ ძლიერი არმიის შექმნას და ნატოში გაწევრებას. თუ არა და საფრთხე რეალური იქნება... იმავე ე.წ. სამხრეთ ოსეთიდან სომხეთამდე რაღაც 80 კილომეტრია, რომლის „ამოვსებასაც“, ანუ ქვეყნის შუაზე გაწყვეტას ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან წამოსული ძალები იოლად შეძლებენ, თუ საქართველოს ძლიერი არმია არ ეყოლება. ეს საფრთხე არ ესმის არც ჩვენს ხელისუფლებას, არც არავის და ჰგონიათ, რომ რადგან პროდასავლური კურსი გვაქვს აღებული, ამის გაკეთებას ვერავინ გაბედავს... მაგრამ აგერ გვაქვს თურქეთისა და საბერძნეთის მაგალითი, რომლებიც ნატოს წევრები არიან, მაგრამ რამდენჯერმე აშკარად აღმოჩნდნენ ომის დაწყების წინაშე... აუცილებელ ყურადღებას საჭიროებს ირანიც, სადაც 12 მილიონი აზერბაიჯანელი ცხოვრობს. ბაქოს განცხადებები და მოთხოვნა, რომ აზერბაიჯანში ჩადგეს ნატოს ჯარი, ირანს აცოფებს და წარმოვიდგინოთ, რა შეიძლება მოხდეს საკუთრივ ირანში რომ დაერიონ ერთმანეთს სპარსელები და აზერბაიჯანელები? მილიონობით ლტოლვილი 10 დღეში შეიძლება მოადგეს ფეხით საქართველოს საზღვარს და რითი დავიცავთ თავს? ყველაზე საშიში ის გახლავთ, რომ მოვლენათა ამგვარი განვითარების, პროვოცირების ბერკეტები ჯერ კიდევ რუსეთს უპყრია ხელთ და საეჭვოა, პუტინის გაპრეზიდენტების შემდეგ რუსეთმა ხელი აიღოს თავის გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული მიზნების განხორციელებაზე... ამიტომ საქართველოს კურსი, პოზიცია უნდა იყოს მკვეთრად ევროპული, პოლიტიკა დამაბალანსებელი. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისთვის კი ისეთი ყურადღება და ძალისხმევა მართებს თითოეულ ქართველს, როგორიც არასდროს...

— **ამ ფაქტებისა და პროგნოზების ფონზე, მართლაც სასაცილოდ მოჩანს, სატირალი რომ არ იყოს, ჩვენი შინაპოლიტიკური ამბიციები... კორუმპირებულ ხელისუფალთა დანაშაულებრივ ქმედებებს კი, სხვა კვალიფიკაციას ვერ მივცემთ, ქვეყნის, ერის ღალატისა და გაყიდვის გარდა... გმადლობთ საუბრისთვის.**

***ზურაბ მჭედლიშვილი***

# 25 თებერვალი — დღესასწაული ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატისა

მართლმადიდებლურ სამყაროში არსებობს მრავალი ღვთიური მადლით ნაკურთხი ხატი, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ათონის მთის ივერთა მონასტრის ღვთისმშობლის ხატი, იგივე კარის ღვთისმშობელი.



XI ს-ში ათონის მთას ხმელთაშუა ზღვით მოუახლოვდა სასწაულმოქმედი სიწმინდე, რომელიც კეთილმორწმუნე ქალმა ხატმებრძოლი ადამიანებისგან დასაცავად ზღვის ტალღებს გაატანა. მას შემდეგ ხატი, ღვთისმშობლის ნებით, ქართველმა ბერმა გაბრიელმა გამოიტანა ხმელეთზე და ივერთა სავანეში დაავანა.

ამ დღიდან მრავალ განსაცდელს გაუძლო ათონის მთამ, აქ არასოდეს შეწყვეტილა ბერების მოღვაწეობა. ცნობილია, რომ ვიდრე კარიბჭის საკვირველმოქმედი ხატი ივერთა სავანეში იმყოფება, ათონის მთას და მთელ მართლმადიდებელ სამყაროს მტრის ვერანაირი ძალა ვერ მოერევა, მაგრამ დადგება დრო, რომ ხატი დატოვებს თავის ადგილსამყოფელს და სხვაგან გადაინაცვლებს. ეს იქნება ნიშანი მაცხოვრის მეორედ მოსვლის დღის მოახლოებისა.

ივერიის ღვთისმშობლის ხატი განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობს. მისი ასლები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია (ცნობილია რუსეთის, მონრეალის, სერბეთის) და ისეთივე სასწაულებრივი ძალით გამოირჩევა, როგორც დედანი. ამის დასტურია ის ფაქტიც, რომ სულ ახლახან სიონის საკათედრო ტაძარში დასვენებული ივერიის ღვთისმშობლის ხატის ასლის გახსნისას აღმოჩნდა, რომ გამოსახულება გადასულია დამცავ მინაზე.

პირველად საქართველოში კარის ღვთისმშობლის ასლი შემობრძანდა XIII ს-ში, თამარის თაოსნობით. დღეს მას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ვხვდებით. აშენებულია კარის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრები, მათ შორის თბილისში. ერთ-ერთი ასლი დაიწერა 1905 წ. და დაასვენეს კახეთში, ბოდბის დედათა მონასტერში, წმ. ნინოს საფლავთან. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მონასტერი საავადმყოფოდ გადაკეთდა და ივერიის ღვთისმშობლის ხატს საოპერაციო მაგიდის დანიშნულებით იყენებდნენ. რამდენიმე მორწმუნე ადამიანის თაოსნობით ხატი უვარგის ინვენტართა სიას მიაკუთვნეს და ასე გადაურჩა განადგურებას. განსაკუთრებული მადლმოსილებით აღბეჭდილ ღვთისმშობლის სახეს დღეს მკვეთრად ემჩნევა დანის ნაკვალევი. მონასტრის დედათა გადმოცემით, სიწმინდეთა მოძულე ერთმა ჩეკისტმა საგანგებოდ დასერა ღვთისმშობლის სახე და ტაძრიდან გავიდა, მაგრამ ვიდრე მონასტრის კარიბჭეს მიაღწევდა, მოულოდნელად გარდაიცვალა.

*ანა ჩხეიძე*

# ბერიკაობა-ყეენობა

დილაადრიან დიდი დიღმის შესასვლელთან მოძრაობა შეფერხდა. მგზავრთა უკმაყოფილება უცებ მხიარულმა სიცილმა შეცვალა. ყველას თვალებში სითბო ჩაუდგა. მანქანის სარკმლიდან გავიხედე — სასაცილო ნიღბებით მორთული მამაკაცები ცეკვა-თამაშით მოხტოდნენ. გარმონი და დოლი ხალისიან მელოდიას აფრქვევდა, ვირზე ამხედრებული ყეენი ამაყად მოიბღინძებოდა...

ბერიკაობა-ყეენობა!

საგაზაფხულოდ, დიდმარხვამდე საქართველოს ყველა კუთხეში იმართებოდა ხოლმე თეატრალიზებული სანახაობა-სახიობა. ზოგან ბერიკაობა ერქვა, ზოგან — ყეენობა. ეს გახლდათ გაზაფხულის სადიდებელი დღესასწაული.

მე არ ვიცი, ვინ იყო ის ბერიკონი, დიდი დიღმის გზაზე რომ შევეყარე, მაგრამ ამ გაჭირვებით დაძაბუნებულ ხალხს რომ სიხარული მიანიჭა, ცოტა ხნით დაავიწყა დარდი, ცხადია და ამისთვის დიდი მადლობა მას.

ბერიკაობა-ყეენობა ნამდვილი სახალხო ზეიმი იყო. მასში დიდიან-პატარიანად ყველა მონაწილეობდა. სოფელ-ქალაქში ირჩევდნენ თავბერიკას, დედოფალს, ბერიკებს, ლეკ-თათრებს, სანოვაგის შემგროვებლებს, მემუსიკეებს.

მთავარი იყო მათი მაქციური ნიჭი. ირთვებოდნენ თხის, ცხვრის, ხარის, ტახის თუ დათვის ტყავებით, ნიღბებით თუ სხვა. მთავარი გმირი თავბერიკა იყო, მეორე გმირი — დედოფალი ანუ კეკელა, რომელსაც ქალურად ჭრელაჭრულად, სასაცილოდ გამოპრანჭული ვაჟი ასახიერებდა. მას თავს ფრინველთა ფრთებით შემკული გვირგვინი ედგა. ასე მოკაზმულები დაივლიდნენ სოფელს. ყველა ოჯახში ბერიკულ ცეკვა-თამაშს გამართავდნენ, გასამრჯელოს მოითხოვდნენ. თუ საჩუქარი არ მოეწონებოდათ, ბერიკა მიწაზე გაგორდებოდა. ეს ხალხის რწმენით, ცუდი იყო — ოჯახში საქონელი არ გამრავლდებაო. მერე ლეკ-თათარი „დაარბევდა" ოჯახს, დამატებით სანოვაგეს გაიტაცებდა, რაც სიუხვის ნიშნად მიიჩნეოდა. ყველა ცდილობდა, როგორმე ხელში ჩაეგდო კეკელა, რომელსაც ფხიზლად იცავდნენ ხის ფარ-ხმლით აღჭურვილი მცველ-ბერიკები. განსაკუთრებული მონდომებით ეკურკურებოდა დედოფალს თავბერიკა. დედოფლის ალერსის სურვილი დღესასწაულის სხვა მონაწილეებსა და მაყურებელსაც სწავდათ, რადგან სწამდათ, ვინც დედოფალს აკოცებდა, დოვლათიანი და ბედნიერი იქნებოდა. თავბერიკა ბოლოს ჯვრისწერაზე ითანხმებდა კეკელას. ნეფე-პატარძალს მორთულ-მოკაზმულ ვირზე შესვამდნენ, მოედანზე გაიყვანდნენ, დაფა-ზურნას გააჩაღებდნენ, „მღვდელი" ნამჯის ჯვრით და ძროხის კუდით „ჯვარს დაწერდა", იწყებოდა ფერხული და მხიარული შაირობა-კაფია. ამასობაში, „მტრები" ბერიკას „კლავდნენ". დედოფალი სახეს იხოკავდა. თავბერიკას დაფა-ზურნით და დიდი გლოვით „გაასვენებდნენ".



ლეკ-თათრები დედოფალს იტაცებდნენ. მაყრიონი ბერიკას საფლავში ჩასძახოდა, — ადექ, გმირთგმირო, მზეთუნახავი მოგტაცესო.

ბერიკა ცოცხლდებოდა, თავისი რაზმით დაეწეოდა „ლეკ-თათრებს", ყველას ხმალზე ააგებდა და დედოფალს პოულობდა. ხელახლა ჩაღდებოდა დიდი ლხინი.

დასასრულ, იმართებოდა ჭიდაობა, კრივი. დამარცხებულს გამარჯვებული შეგროვილ „ხარკს" ართმევდა. ამბობდნენ, მოსავლის დოვლათი გამარჯვებულთა სოფელში დატრიალდებაო. ყველა კარგად მოილხენდა. ვახშამი უფლისადმი ლოცვა-ვედრებით და მადლობით მთავრდებოდა.

ასე იყო ძველად.

არ ვიცი, დიდი დიღმის გზაზე შემოფეთებულ ბერიკებს ყველა პერსონაჟი ჰყავდათ თუ არა, ან სცენარით თუ მართავდნენ სანახაობას, მაგრამ ვინც ამას შეესწრო, ღიმილი დიდხანს გაჰყვა.

ღვთის შეწევნით, თუ აღდგება ეს ლამაზი ჩვეულება, გაზაფხული კიდევ უფრო ლამაზად შემობრძანდება ჩვენში.

# პირველი ქანდაკებები

„თბილისის მეგზურის" ცნობით, 30-იან წლებში საქართველოს დედაქალაქში 4 ქართული ძეგლი იდგა: ილია ჭავჭავაძის საფლავისა, აკაკი წერეთლის, ეგნატე ნინოშვილისა და კამოსი. მათი ავტორი გახლდათ იაკობ ნიკოლაძე. ამ დიდებული ხელოვანის შემოქმედებით იწყება ქართული ქანდაკების ისტორია.

ოდითგან უამრავი მშვენიერი ტაძარი, სასახლე, ციხესიმაგრე შენდებოდა საქართველოში. ხუროთმოძღვრების განვითარებასთან ერთად ცხადია, ვითარდებოდა ქანდაკება, რადგან ეს ორი დარგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ერთმანეთთან.

სკულპტურული ნიმუშები — ადამიანის, ცხოველის, ფრინველების, ზღაპრული არსებების, მცენარეთა გამოსახულებანი ამშვენებდნენ საერო თუ საკულტო ნაგებობებს. ამ მხრივ საგულისხმოა ვანის ნაქალაქარში აღმოჩენილი ფიგურები, მცხეთის ჯვრის ანგელოზები, სვეტიცხოვლისა თუ ნიკორწმინდის ჩუქურთმები. მაგრამ ეს ძალზე მცირე იყო. ქანდაკება, როგორც ხელოვნების დამოუკიდებელი ჟანრი, ჩვენში ვერ განვითარდა. ეს იმით აიხსნება, რომ



მართლმადიდებელი ეკლესია უკრძალავდა მოქანდაკეთ ტაძრებში და სხვაგანაც წმიდანები თუ საერო პირები გამოეკვეთათ — არ შეიძლებოდა შიშველი სხეულის წარმოჩენა, ამიტომ იყო, რომ ჩვენი ხელოვანნი ანგელოზებს ჩოხას აცმევდნენ.

ცხადია, ყოველივე ამის გათვალისწინებით, იაკობ ნიკოლაძე ქართული ქანდაკების მესაფუძვლედ ითვლება. მან დადგა პირველი ძეგლი თბილისში (არ ვლაპარაკობთ ვორონცოვის, პუშკინის, გრიბოედოვის საფლავის ძეგლებზე), ეს გახლდათ დიდი ილიას ძვალთშესალაგის სკულპტურული ანსამბლი „მწუხარე საქართველო".

ილიას საფლავის ღირსეულად დამშვენების იდეა არ ასვენებდა დიდ შემოქმედს. მან ძეგლის რამდენიმე ესკიზი გააკეთა. 1908 წელს გაემგზავრა პარიზში. ოსტატობის დასახვეწად მუშაობდა როდენთან. აქ დაიწყო ჩანაფიქრის ხორცშესხმა. ბრინჯაოში ჩამოსხმული ძეგლის ცენტრალური ნაწილი 1910 წლის ზაფხულში გამოგზავნა საქართველოში.

ძეგლი გაიხსნა 1913 წლის 5 მაისს. უამრავი ხალხი დაესწრო ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას.

„ყველაფერი ქართული გამოხატულია ქართველ დედაში, რომელიც მწუხარეა და დასტირის თავის დაუვიწყარ შვილს. ეს უდიდესი ქანდაკებაა", — ბრძანა დიდმა აკაკიმ.

ორი წლის შემდეგ იაკობ ნიკოლაძემ შექმნა აკაკის ბრწყინვალე პორტრეტი. უყურებ ქანდაკებას და გგონია, საცაა, შეირხევა მგოსანი და ტკბილი ხმით წარმოსთქვამს თავის შეუდარებელ „განთიადს"...

1923 წელს ალექსანდრეს ბაღში დაიდგა ეგნატე ნინოშვილის უაღრესად საინტერესო სკულპტურა.

იაკობ ნიკოლაძემ 1925 წელს ქვაში გამოკვეთა კამოს პორტრეტი, რომელიც პუშკინის სკვერში დადგეს.

ამ ოთხმა ძეგლმა და საერთოდ იაკობ ნიკოლაძის შემოქმედებამ უდიდესი გავლენა მოახდინა ქართული ქანდაკების სკოლის ჩამოყალიბება-განვითარებაზე.

*გალაქტიონ ტაგანაშვილი*



# გლობალური ინტერესების ჯახი?

## ვინ დგას თბილგაზის უკან...

გასული კვირა ანტიმონოპოლიურ სამსახურს და მის ხელმძღვანელს შავად გაუთენდა. დაპირისპირება, რომელიც საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის არსებობს, კონსტრუქციულობისგან ჯერ კიდევ შორსაა. განხეთქილების ვაშლმა ახლა ანტიმონოპოლიურ სამსახურსა და საპარლამენტო ფრაქცია სმკ-ს შორის იჩინა თავი.

ყველაფერი კი ასე დაიწყო: რამდენიმე დღის წინ, პარლამენტში გამოსვლისას, მიხეილ სააკაშვილმა ლირიკული ტონით გვამცნო, რომ ანტიმონოპოლიური სამსახური მსხვილ ბიზნესმენებს მფარველობს, ხოლო მცირე ბიზნესს წურბელასავით სწოვს სისხლს. საბოლოო ჯამში კი, ამას იქამდე მივყავართ, რომ მცირე ბიზნესი საქართველოში ვერ ვითარდება. მოგვიანებით, საპირისპირო განცხადება გააკეთა ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსმა ვაჟა მაისურაძემ. მან ხსენებული შეფასება პირად შეურაცხყოფად მიიღო და მიხეილ სააკაშვილი ზოგიერთი საკითხის ლობირებაში არცთუ ირიბად დაადანაშაულა. უფრო მოგვიანებით, პასუხის პასუხად პარლამენტში ახალგაზრდა (და ხანდაზმულიც) რეფორმატორები შეიკრიბნენ. საგანგებო სხდომაზე ვაჟა მაისურაძეც მიიწვიეს. თათბირის შედეგად გადაწყდა, რომ მაისურაძის საკითხს სამთავრობო დონეზე განიხილავდნენ. რაც შეეხება უკვე დაღვინებულ, მაგრამ მაინც რეფორმატორ სმკ-ელებს, მათ დინჯად განაცხადეს: ძიების შედეგებს დაველოდოთო. სხდომას ესწრებოდა ეკონომიკის მინისტრი ლადო პაპავაც. მან პრაქტიკულად ხელისუფლების არც ერთი წინადადება არ გაიზიარა. ე.ი. მაისურაძის მოხსნაზე არანაირი რეაგირება არ მოახდინა. ნეიტრალური პოზიცია — ოქროს შუალედი ეკონომიკის მინისტრმა ახლაც შესაშური სიყოჩაღით შეინარჩუნა.

„კვირის პალიტრა“ ამ ჩახლართულ დაპირისპირებასთან დაკავშირებით ყველა სუბიექტს გაესაუბრა.

**ლადო პაპავა, ეკონომიკის მინისტრი**

**— ბ-ნო ლადო, ანტიმონოპოლიური სამსახური თქვენი სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებაა. ამდენად, მასზე ინფორმაციაც გექნებათ. რას ეყრდნობა მაისურაძის ირიბი განცხადება? სამინისტროს გააჩნია რაიმე კონკრეტული სააკაშვილის წინააღმდეგ?**

— ამ დაპირისპირებას საერთოდ გაუგებრობას მივაწერდი. რაც შეეხება თქვენს კითხვას, მე პირადად არ ვფლობ ინფორმაციას, რომ სამინისტროში რაიმე მსგავსი დოკუმენტი იყოს. ვფიქრობ, საზოგადოებამ წინასწარი დასკვნებისგან თავი უნდა შეიკავოს და საბოლოო ჭეშმარიტების დადგენას უნდა დაელოდოს.

*ახლახან გავიგე საინტერესო ინფორმაცია, რომ ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსის ძმას გაზის მრიცხველები შემოუტანია. ე.ი. მაისურაძის ძმას რაღაც ინტერესები ჰქონია გაზთან. რატომ უნდა გამოვრიცხოთ, რომ მას ეხმარება ვაჟა მაისურაძე?!*

**— საერთოდ, როგორ შეაფასებდით ამ წლების მანძილზე მაისურაძის საქმიანობას?**

— მასთან ხუთი წელია ვმუშაობ. ამ წლების მანძილზე ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა ბევრი კონკრეტული საქმე გამოიძია, რომელიც პარლამენტის ანტიკორუფციულ კომისიას წარმატებითაც გამოუყენებია. მაგრამ იმასაც ვერ უარვყოფ, რომ სამსახურის მუშაობაში პრობლემა არსებობს. თუმცაღა, მე როგორც მინისტრს, არც იმის საბუთი მაქვს, რომ ანტიმონოპოლიური სამსახური რომელიმე ბიზნესმენთან იყოს შეკრული და მის ნებასურვილს გამოხატავდეს. ისე, თუ მთლიანად სამსახურის მუშაობაზე ვიმსჯელებთ, ახლახან მივიღეთ ევროპის განვითარების ბანკის დასკვნა, სადაც ნათქვამია, რომ საქართველოს ანტიმონოპოლიური სამსახური ერთ-ერთი ყველაზე წარმატებულია პოსტსაბჭოურ სივრცეში.

**— ანუ, თუ დადგა მაისურაძის მოხსნის საკითხი, თქვენ თანხმობას არ მისცემთ?**

— მე მოვიქცევი ისე, როგორც კანონი მოითხოვს. მისი დანიშვნა-გათავისუფლება მხოლოდ პრეზიდენტის საქმეა. მე ვერაფერს გავაწყობ. მაისურაძესთან ერთად ბევრი საქმე მიკეთებია და გული დამწყდებოდა არა როგორც მინისტრს, არამედ როგორც ადამიანს.

**კობა დავითაშვილი, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე**

**— ბ-ნო კობა, თქვენ მაისურაძის გათავისუფლების აქტიური მომხრე ხართ. თანაც, განაცხადეთ, რომ ეს უკანასკნელი „ახალ ქსელებს“ მფარველობს. რა იცით კონკრეტულად ამის შესახებ?**

— დასკვნის გაკეთება ადვილად შეიძლება: არის რამდენიმე იდენტური საკითხი, რომლებსაც მაისურაძე არაერთგვაროვან რეაგირებას აძლევს. მაგალითად, თელასს თავს ესხმის — მრიცხველებთან და მოსახლეობასთან ხელშეკრულების თაობაზე და ეს სამართლიანიცაა; მაგრამ ხმას არ იღებს თბილგაზზე, რომელიც არანაკლებ კრიტიკას იმსახურებს; ხოლო რაც შეეხება „ახალ ქსელებს“, მის ანტიმონოპოლიურ საქმიანობას პრაქტიკულად მფარველობს. ვფიქრობ, რომ აქ ადგილი აქვს კონკრეტული ჯგუფის ინტერესების დაცვას. „ახალი ქსელები“ დღეს მონოპოლიურ საქმიანობას ეწევა, აბა რა?! მაგრამ მას მაინც იცავენ და ამბობენ, ასე არ არისო.

**— და რას იღებს ამის სანაცვლოდ მაისურაძე?**

— ვერ გეტყვით.

**— მაისურაძემ ხმამაღლა თქვა რაღაც ისეთი, რაც თქვენს გუნდს არ მოეწონა — თავისუფალი აზრის გამოთქმისთვის კი სამსახურიდან გათავისუფლება რამდენად დემოკრატიულია?**

— სიტყვის თავისუფლების ყველაზე დიდი მომხრე მე ვარ, თუ ასეთი აზრი გააჩნია სახელმწიფო მოხელეს — კი ბატონო, გააჩნდეს. ოღონდ ამისთვის გახდეს პოლიტიკური ლიდერი, ჟურნალისტი ან რიგითი ადამიანი და მერე გამოთქვას თავისი აზრი. სახელმწიფო მოხელეს კი ასეთი ფუფუნების უფლება არა აქვს. მასზე მოქმედებს სამსახურებრივი ეთიკა და უნდა დაიცვას.

**— მაგრამ თქმა თუ მისი მოვალეობაა? ე.ი. სახელმწიფო მოხელემ პირში წყალი უნდა ჩაიგუბოს, რომ თანამდებობა შეინარჩუნოს?**

— მე ეგ არ მიგულისხმია. ვგულისხმობ იმას, რომ თუ სახელმწიფო მოხელე ამბობს, მმართველი პარტიის ლიდერი კორუმპირებულიაო, კიდეც წარმოადგინოს დამამტკიცებელი საბუთები. თუ მაისურაძე ასეთ საბუთებს მოიტანს, მაშინ სააკაშვილი წავა სამსახურიდან, ის კი დარჩება.

**— და მაინც, ცუდი პრაქტიკა ხომ არ მკვიდრდება: თუ მმართველ პარტიაზე ცუდს იტყვი, სამსახურს დატოვებ...**

— სამსახურს დატოვებს ის, ვინც უსამართლოდ იტყვის რაიმეს.

**ვაჟა მაისურაძე, ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსი**

**— რას იტყოდით რეფორმატორთა მოსაზრებაზე? თქვენ ბრალად გედებათ მონოპოლიური საქმიანობისთვის ხელშეწყობა?**

— მონოპოლიური საქმიანობა კი დანაშაულია და მე მის მფარველობას ვერავინ დამიმტკიცებს. „ახალ ქსელებთან“ მიმართებაში ეს კი დამაბრალეს, მაგრამ მის საქმიანობაში დანაშაულის ელემენტებს ვერ ვხედავ. ვერც იმას ვიტყვი, რომ ქართულ ბაზარზე ბოროტი გავლენა იქონია.

**— ამბობენ, რომ გაგათავისუფლებენ.**

— თუ პრეზიდენტი გადაწყვეტს, რომ მისთვის საჭირო აღარ ვარ, კი ბატონო, გამათავისუფლონ. ამ სკამზე დაწებებული კი არ ვარ, ან მემკვიდრეობით კი არ მიმიღია.

**— თქვენს მუშაობაში რა ძირითად ხარვეზებს ხედავთ?**

— მე ამ სამსახურში 1992 წლიდან 13 კაცის თანხლებით დავიწყე მუშაობა. ამ ხნის მანძილზე ბევრი საქმე გამომიძიებია და პარლამენტისთვისაც შემიტყობინებია. თუმცა, იმას ვერ ვიტყვი, რომ პრობლემები არ მქონია. ახლა ისე გამოდის, რომ ეს ქვეყანა მე დამინგრევია. უფლებას არავის მივცემ, რომ კორუმპირებული მეძახოს.

**— პრეზიდენტმა კი დაგნიშნათ, მაგრამ მისი მოწყალების იმედი გაქვთ?**

— თუ ზოგიერთის მსგავსად პრეზიდენტიც ჩათვლის, რომ კორუმპირებული ვარ, ერთი წუთითაც აღარ მინდა აქ მუშაობა.

**მიხეილ სააკაშვილი, ფრაქცია სმკ-ის ლიდერი**

**— ბ-ნო მიხეილ, მიგაჩნიათ, რომ ანტიმონოპოლიური სამსახური ხელს უშლის მცირე ბიზნესის განვითარებას?**

— კი ბატონო, ასეა მონოპოლისტებმა წალეკეს ქვეყანა, ეს კი მცირე ბიზნესის განვითარებას არ უშლის ხელს?! ხალხმა არც იცის, თუ ეს სამსახური არსებობს იმიტომ, რომ მათ ერთი მსხვილი მონოპოლისტიც კი არ გამოუვლენიათ, ქვეყნის სიმდიდრე რამდენიმე კლანის ხელშია. რაც შეეხება კონკრეტულ პიროვნებას, მე ის არ დამისახელებია ჩემს გამოსვლაში. მაისურაძემ კი პირდაპირ თავის თავზე მიიღო. ეს დაახლოებით ასე გამოიყურება: ქურდს ქუდი ეწვისო.

**— მაისურაძის მოხსნა პრობლემებსაც მოხსნის?**

— ასე ვერ ვიტყოდი, რადგან პრობლემა მთლიანად მთავრობაშია. ამ დღეებში კი შევხვდები ვაჟა ლორთქიფანიძეს და ვთხოვ, რომ მაისურაძის საკითხი უმაღლეს დონეზე განიხილონ. ისე, თუ ლოგიკურად ვიმსჯელებთ, რომელიმე სამსახურის წარმატებული თუ წარუმატებელი მუშაობა პირდაპირ კავშირშია ხელმძღვანელთან.

**— ამბობენ, მიშა სააკაშვილმა ამ ბოლო დროს წილებს გემო გაუგოო... მინიშნება თბილგაზისკენ კეთდება.**

— „თბილგაზთან“ და „იტერასთან“ მე ისეთივე კავშირი მაქვს, როგორიც ნებისმიერ მოქალაქეს. სხვათა შორის, მე ერთ-ერთი იმათგანი ვიყავი, რომელმაც „თბილგაზში“ დასავლეთის ქვეყნების ინვესტორი მოისურვა. ახლა კი, რუსული ინვესტიციების ლობირებაში მდებენ ბრალს. საერთოდ, „თბილგაზის“ გამო ბევრი ადამიანის ინტერესი შეეჯახა ერთმანეთს. ამიტომ, პარლამენტმა და მეც, პირადად მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ყველანაირი ტენდერი გაზის სისტემაზე გადადოს. საოცარი ის არის, რომ გაზით დაინტერესებას ამ საქმესთან უშუალოდ მყოფი ხალხი მაბრალებს.

**— მაინც, ვინ?**

— ახლახან გავიგე საინტერესო ინფორმაცია, რომ ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსის ძმას გაზის მრიცხველები შემოუტანია. ე.ი. მაისურაძის ძმას რაღაც ინტერესები ჰქონია გაზთან. რატომ უნდა გამოვრიცხოთ, რომ მას ეხმარება ვაჟა მაისურაძე?!

**— ჩემთვის ცნობილია, რომ ანტიმონოპოლიური სამსახური ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებიდან გამოვა და დამოუკიდებელ უწყებად ჩამოყალიბდება...**

— თქვენი ინფორმაცია სწორია. ამ სამსახურის დამოუკიდებლობა იმიტომ გვინდა, რომ არავის ინტერესებს არ დაექვემდებაროს.

**— მეორეს მხრივ, დამოუკიდებლობა ანტიმონოპოლიურ სამსახურზე კონტროლს ხომ არ შეასუსტებს?**

— კონტროლის პირდაპირი უფლება პარლამენტს არც აქვს, მაგრამ ჩვენ გვაქვს უფლება, მკაცრად მოვთხოვოთ უკვე დამოუკიდებელ ანტიმონოპოლიურ სამსახურს, შექმნან ხმაურიანი საქმეები, რომლებიც გააუმჯობესებს სოციალურ მდგომარეობას არა ადამიანთა ერთ ჯგუფს, არამედ მთლიანად ხალხს.

**— დაბოლოს, ვინ შეცვლის მაისურაძეს?**

— ჯერჯერობით, არ ვიცით. ვიცით მხოლოდ ის, რომ მაისურაძეს სამართალდამცავ ორგანოში „კრიშა“ ჰყავს. დაუსჯელობის იმედი რომ არ ჰქონდეს, ცილს ვერც დამწამებდა. მაისურაძე გაგრძელებაა იმ ჯაჭვისა, რომელსაც კავშირგაბმულობისა და ენერგეტიკის ექს-მინისტრები წარმოადგენდნენ. მას იმედი აქვს, რომ მოხსნის შემთხვევაშიც ცუდად არ წაუვა საქმე.

***ქეთი ბერეკაშვილი***

# თბილისი -$10.000 ზოლია ცხინვალი +$3.500

## მანქანების განბაჟების ერთი დღე

სახელმწიფო ბიუჯეტის შეუსრულებლობა ქრონიკულ ავადმყოფობად გადაექცა ჩვენს ხელისუფლებას.

რატომ ვერ სრულდება ბიუჯეტი? ამომწურავი ანალიზი, რომელიც პასუხს გასცემდა ამ კითხვას, ჯერჯერობით, არ არსებობს. ხელისუფლება არც ადეკვატურ და ქმედით ღონისძიებებს ატარებს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ აღმასრულებელი უწყებების ხელმძღვანელთა ციკლურ ცვლას, საგადასახადო სამსახურების შეერთება-დაცალკევებას და კიდევ უამრავ უშედეგო (როგორც დრომ გვიჩვენა) გადაადგილებებს.

არსებობს უამრავი წვრილმანი საკითხი, რომელთა გადაუწყვეტელობაც პირდაპირ აისახება ბიუჯეტის დეფიციტზე. წვრილმანი — წვრილმანად, მაგრამ მათი სიმრავლე საბოლოოდ საგრძნობ მსხვილმანად ყალიბდება და უკვე სერიოზულ ზიანს აყენებს ქვეყნის ბიუჯეტს. ამიტომ ასეთი „წვრილმანების“ წაყრუება და მათზე არასათანადო რეაგირება, უკვე, თავისთავად, ეჭვქვეშ აყენებს ხელისუფლების ქმედითობას მსხვილმანი საკითხების მოგვარებაში.

ჩვენი დღევანდელი თემა სწორედ ერთ-ერთი ასეთი „წვრილმანი“ საკითხია და იგი ავტომანქანების განბაჟებას ეხება.

ავტომანქანა სპეციფიკური საქონელია იმ თვალსაზრისით, რომ საქართველოში შემოყვანის შემდეგ მის მფლობელს შეუძლია ჰყავდეს იგი განუბაჟებლად რამდენ ხანსაც სურს, მაგრამ მისით ვერ ისარგებლებს, თუ ავტოინსპექციამ არ მისცა სახელმწიფო ნომრები. აქედან გამომდინარე, ავტომანქანების განბაჟებაზე კონტროლი ყველაზე იოლია — ავტოინსპექცია არ გასცემს ნომრებს თუ არ იქნება წარდგენილი სათანადო დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ ავტომანქანა განბაჟებულია. მიუხედავად ასეთი მექანიზმისა, რეალური სურათი საპირისპიროს ადასტურებს.



საქართველოს საბაჟო ტარიფების მიხედვით ავტომანქანის განბაჟება 350-დან 550 დოლარამდე ჯდება, მაგრამ საქმე ის არის, რომ ფაქტობრივად, ამ გადასახადს კარგა ხანია აღარავინ იხდის. ჩვენმა ავტომოყვარულებმა გამოსავალს მიაგნეს და ერთი საინტერესო მაქინაციით ავტომანქანების განბაჟებისას საკმაო თანხასაც ზოგავენ; ამას კი შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია და გარკვეული უწყებების თავისებური მოქმედება საკმაოდ იოლს ხდის.

— საბაჟო საქმეში არსებობს ასეთი ცნება — საბაჟო საზღვარი. საბაჟო საზღვარი და სახელმწიფო საზღვარი კი ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს. საქართველოს საბაჟო საზღვარი არის მიჯნა, სადაც მთავრდება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის მოქმედების იურისდიქცია. ამასთან ერთად, არსებობს საქართველოს ტერიტორიის ის ნაწილიც, რომელიც „დე იურე“ საქართველოს შემადგენლობაშია, მაგრამ იმყოფება საბაჟო ტერიტორიის გარეთ, ანუ მის საზღვრებს მიღმა. სწორედ ასეთი საბაჟო საზღვარი გადის დღეს ერგნეთზე (ე.წ. სამხრეთ ოსეთი), მაგრამ რაღაც პოლიტიკური მოსაზრებების გამო ამის აღიარებისგან ყველა თავს იკავებს, — განაცხადა საბაჟო შემოსავლების ქვეკომიტეტის თავმჯდომარემ, ბატონმა ვიქტორ ლორთქიფანიძემ.

აქედან გამომდინარე, სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკად გამოცხადებული ცხინვალის რეგიონი საქართველოს საბაჟო საზღვრის მიღმა იმყოფება. მას თავისი საბაჟო უწყება გააჩნია, საიდანაც საქართველოს ბიუჯეტში, რა თქმა უნდა, არაფერი შემოდის. საქართველოს საბაჟო ტარიფთან შედარებით, ავტომანქანის განბაჟება ამ რეგიონში ბევრად იაფი ჯდება — საშუალოდ 100-დან 180 დოლარამდე. დამეთანხმებით, სხვაობა საგრძნობია. აი, აქ იღებს სათავეს ის მაქინაცია, რასაც მანქანების განბაჟებისთვის მიმართავენ და რომელიც კარგა ხანია, საკმაოდ ორგანიზებულ და ქმედით სისტემად ჩამოყალიბდა.

წესით, ავტომანქანის განბაჟება ხდება მისი მფლობელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ზემოაღნიშნული სისტემა კი საკმაოდ მარტივია: ავტომანქანის განბაჟების მსურველი პოულობს ცხინვალის რეგიონში მცხოვრებ პიროვნებას, რომელიც თავისი სახელით განაბაჟებს ამ ავტომანქანას იქვე, გაცილებით იაფად და მის ნამდვილ მეპატრონეს აძლევს გენერალურ მინდობილობას. შემდეგ კი თუ მეპატრონეს მისი გადაფორმება სურს, ამასაც არ სჭირდება დიდი დავიდარაბა.

საბაჟო შემოსავლების ქვეკომიტეტის თავმჯდომარე გაკვირვებას ვერ მალავს იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს ავტოინსპექცია, ცხინვალის რეგიონში განბაჟებულ მანქანებზე სახელმწიფო ნომრებს მაინც გასცემს (იმ მოტივით, რომ ცხინვალის რეგიონიც საქართველოს ტერიტორიაა). გამოდის, რომ ფაქტობრივად, განუბაჟებელ მანქანებზე გაიცემა სანომრე ნიშნები.

ეს პრინციპი საკმაოდ ეფექტიანად მუშაობს, ე.წ. სამხრეთ ოსეთის ბიუჯეტი ივსება, ჩვენი კი თამაშგარე მდგომარეობაშია ჩაყენებული.

სამწუხაროდ, არ იგრძნობა, რომ ხელისუფლება რაიმე ქმედითი ღონისძიებების გატარებას ცდილობდეს, რათა დაიხშოს ეს უშველებელი ფუღურო, რომელშიც საქართველოს ბიუჯეტის კუთვნილი წილი ილექება (და არა მარტო ავტომანქანების განბაჟების მხრივ).

ეს ყველაფერი, ციფრებით ასახული, საკმაოდ შთამბეჭდავ სურათს ხატავს: ჩვენ მიერ მოპოვებული მონაცემებით, მარტო თბილისის ავტომანქანების ბაზრობაზე დღეში დაახლოებით 20-25 მანქანა იყიდება და ზემოაღნიშნული პრინციპით განბაჟდება. თუ ელემენტარულ არითმეტიკულ გათვლას ვაწარმოებთ, გამოდის, რომ მხოლოდ თბილისიდან საქართველოს ბიუჯეტი დღეში 10.000 დოლარს კარგავს. ამის ხარჯზე კი სამხრეთ ოსეთის ბიუჯეტი დღეში 3.500 დოლარით ივსება (ეს ციფრები, თვეში, შესაბამისად 300.000 და 105.000 დოლარს შეადგენს).

გარდა იმისა, რომ ბიუჯეტი რეალურად კარგავს თანხებს, ასეთ ვითარებას მეორე უარყოფითი მხარეც აქვს: შექმნილი მდგომარეობა საზოგადოებაში, კერძოდ, გადამხდელებსა და პოტენციურ გადამხდელებშიც ნელ-ნელა კლავს პასუხისმგებლობის გრძნობას ქვეყნის ალმშენებლობის მიმართ, თუნდაც იმ მცირედი წვლილით, რაც კონკრეტული პიროვნებისგან გადასახადის გადახდით გამოიხატება; როდესაც მას მეტისმეტად იოლი შანსი ეძლევა დაზოგოს ის 250 დოლარი, რომელიც ჩვენთვის არც ისე მცირე თანხაა, მაშინ უკვე ეს პასუხისმგებლობის გრძნობა (თუ გნებავთ პატრიოტიზმი დავარქვათ), რომელიც ისედაც არ არის დამკვიდრებული ჩვენი საზოგადოების ცნობიერებაში, საერთოდ იმარხება.

ერთი შეხედვით, ავტომანქანების განბაჟების საკითხში არსებული პრობლემის გადასაწყვეტად მარტივი გზა არსებობს, რაც საბაჟო ტარიფების გათანაბრებითაა შესაძლებელი. ეს, ფაქტობრივად, ცენტრალური ხელისუფლების უძლურების აშკარა აღიარებაა, რადგან მის მიერ დაწესებული ტარიფების დაცვას სხვა გზით ვერ უზრუნველყოფს და უწევს კომპრომისებზე წასვლა. მაგრამ ასეთი მოქმედების ეფექტურობაც საეჭვოა, რადგან, როგორც ვიქტორ ლორთქიფანიძე აცხადებს, ამ შემთხვევაში ცხინვალის რეგიონი კარგავს მუქთა შემოსავალს, ამიტომ შეეცდება, ეს სხვაობა მუდმივად შეინარჩუნოს. იგი არაფერს დაკარგავს, თუ უფრო მეტადაც დაუწევს საბაჟო გადასახადს, მაგრამ ხომ უნდა არსებობდეს, ბოლოს და ბოლოს, რაღაც გამოსავალი? ამ გამოსავლის მოძებნა კი მხოლოდ პოლიტიკურ ჭრილშია შესაძლებელი.

P.S. *დაუზუსტებელი ინფორმაციით, ამ საკითხებთან დაკავშირებით მიმდინარეობს მოლაპარაკებები ცხინვალის რეგიონის ხელმძღვანელობასთან და გარკვეული შეთანხმების კონტურებიც გამოიკვეთა, რომელიც საბაჟო ტარიფებს შორის სხვაობის მინიმუმამდე დაყვანას ითვალისწინებს.*

*ხოლო როგორ აისახება ეს არსებულ მდგომარეობაზე, მომავალი გვიჩვენებს. დღეს კი სახეზეა მხოლოდ ბიუჯეტისთვის დაკლებული სოლიდური თანხები, რომლებიც, შინასახელმწიფოებრივი დისციპლინის არსებობის შემთხვევაში, სოციალურად გაუბედურებული საზოგადოების ნაწილს სულს მაინც მოათქმევინებდა.*

***მამუკა გიორგაძე***

# რა „სიკეთის" მოტანა შეუძლია უდენობას...



ესპანეთში კორიდისთვის გამზადებულ ხარს ორი წელი სიბნელეში ამყოფებენ, ნახევრად აშიმშილებენ და მერე, გაველურებულს არენაზე უშვებენ. ხარი გაცოფებულია, გამწარებული. მის წინ ნაპატივები მამაკაცი დგას და წითელ წამოსასხამს უფრიალებს, უფრო აღიზიანებს. ხარი რქებით ეჯახება ტორეადორს და თავისებურად ცდილობს, გამოსავალი იპოვოს. თუ ისე მოხდა, რომ სიბნელეში გაველურებული ცხოველი გამღიზიანებელს დაეჯახა, მაშინ ორივე ზარალდება, რადგან ხარს მაინც კლავენ.

ეს სანახაობა საოცრად მაგონებს ჩვენი ხელისუფლებისა და ხალხის ურთიერთობას. 24 საათი სიბნელეში ვართ, უმრავლესობას საკვები უჭირს, მერე გარეთ გამოვდივართ და ვცდილობთ, ხელისუფლებას (ტორეადორს) დავეჯახოთ, მაგრამ არ გამოგვდის, რადგან ჯერ, მთავრობისდა საბედნიეროდ, რქები არ გვაქვს ან ახლა გვეზრდება. სავარაუდოა, რომ ქართული ხელისუფლება ხალხის გაველურებას ცდილობს, მაგრამ მათი მიზანია ურქო ველურების გამოყვანა. ამაზეც დიდი მადლობა. ამას გარდა, ჩვენს შემთხვევაში დენი შეიძლება ქვეწარმავალსაც შევადაროთ, რადგან ორივე ავადსახსენებელია. ეს დღევანდელი ცხოვრების პარადოქსული ამოცანა არცთუ დიდი დაკვირვების შემდეგ ამოვხსენი და მინდა თქვენც გაგაცნოთ.

თუ დენის გამორთვამდე მომზადება მოვასწარი, მაშინ მთელი დღე დიდებულ გუნებაზე ვარ და საქმეც შესანიშნავად მიდის, მაგრამ თუ პირიქით მოხდა და დილით საერთოდ არ მოგვცეს შუქი, იმ დღეს აუცილებლად რაიმე ცუდი უნდა მოხდეს ან კიდევ უსიამოვნო ამბავს შევიტყობ. ეს დაკვირვება მაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ დენი თუ უდენობა ყოველდღიურ მოვლენებზეც მოქმედებს. შინ დაბრუნებულს თუ ელექტროენერგია დამხვდა, მაშინ ჩემს ნორმალურობაში ეჭვი მეპარება, რა სულელური აზრები მაწუხებდა-მეთქი, მაგრამ ვხვდები, რომ სინათლეში ყოფნაც ერთგვარი ტრაგედიაა, რადგან გამუდმებით დაძაბული ვარ — აი, ახლა გამორთავენ და აი, ახლა-მეთქი. ამიტომ დიდი ხანია, რაც ზამთრობით ტელევიზორს აღარ ვუყურებ. კარგად ვიცი, ყველაზე საინტერესო და კრიტიკულ მომენტში დენი გამოირთვება, რასაც ჩემი არაადამიანური ღმუილი მოჰყვება ხოლმე. შეიძლება თქვენც ასე ხართ. სხვათა შორის, ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ დენი რეკლამის დროს გამორთულიყო. ახლა იბადება კიდევ ერთი ეჭვი, — ყოველივე ეს შეგნებულად კეთდება(?) ანუ დენიც და უდენობაც ხალხის გასაგიჟებლად, გადასაგვარებლადაა. ამიტომ თითქმის ყოველ მეორეს ან ნევროზი აქვს, ან სტრესი.

სხვაგვარად მოქცევა ამ პირობებში არც შეიძლება, რადგან თუ სიმშვიდის შენარჩუნება გინდა, მაშინ ნერვული სისტემა საერთოდ გათიშული უნდა გქონდეს, ანუ მკვდარი უნდა იყო. დაკვირვებით კიდევ აი, რა შევამჩნიე: როცა ნაცნობები ერთმანეთს ხვდებიან, მისალმების შემდეგ იწყება საუბარი დენზე, დენი გაქვთ? ეკითხება ერთი მეორეს. ის პასუხობს — არა. თუ მოსაუბრეები ქალები არიან, იწყება წყევლა, ლანძღვა და თუ მამაკაცები — გინება (ნეტავ დამნაშავეებს კიდევ როგორ უდგათ სული!). ასევე დავადგინე, რომ ქართველები ზედმეტად ოპტიმისტები ვართ, რადგან ასეთი დიალოგისას მისალმების შემდეგ ისმის კითხვა, — როგორ ხარ? პასუხია — კარგად. შემდეგ საუბარში ირკვევა, რომ „კარგად მყოფს" რამდენიმე დღეა, დენი არ ჰქონია, შინ ცივა, ყინავს, რამდენიმე თვეა არ აუღია ხელფასი და ა.შ. მაგრამ იხტიბარს მაინც არ იტეხს — კარგად ვარო! კიდევ ერთი მაგალითი: გავიცანი საკმაოდ ლამაზი, განათლებული გოგონა, რომელსაც ფსიქიატრმა წამლად 24 საათიანი დენი გამოუწერა, რადგან მას მოულოდნელად შუქის გამორთვისას შიზოფრენიაში გადასული ისტერია ემართებოდა. ამ ძვირადღირებული „წამლის" შეძენით (ანუ გენერატორის ხარჯებით) მისი ოჯახი სიღატაკის პირასაა. სხვათა შორის, ეს წამალი ძალზე ძვირია, თორემ ნებისმიერ ჩვენგანს მოუხდებოდა, თანაც მერწმუნეთ, ფსიქიატრთან მისვლა და დიაგნოზის დასმა არ გვჭირდება. ყველა ერთ ბედქვეშ ვართ.

ვფიქრობ, პრობლემა მკაფიოდ დაფიქსირდა. ახლა მთავარია გამოსავლის მოძებნა. ამაზეც ვიფიქრე, მაგრამ უჩვეულო გადაწყვეტილება მივიღე. თუ ამ საკითხის მოგვარებას ხელისუფლებას ვანდობთ, მაშინ მერწმუნეთ, პრობლემა გადაუჭრელი დარჩება. თანაც ეს გულუბრყვილობა იქნება. შეიძლება იდიოტობაც. ამიტომ საკუთარი ძალებით უნდა შევეცადოთ, რაც ჩვენ, მიზეზთა გამო, არ ძალგვიძს. აქედან გამომდინარე, საკითხი ღიად რჩება და ასეც იქნება მანამ, სანამ საერთოდ არ ვიტყვით დენზე უარს. არ გაგიკვირდეთ და არც ჩხუბი დააპიროთ. ახლავე ყველაფერს აგიხსნით:

პირველ რიგში უნდა დაიწყოს საპროტესტო მასობრივი გამოსვლები, სადაც მკაცრად, კატეგორიულად და უპირობოდ მოვთხოვთ ხელისუფლებას ელექტროენერგიის საერთოდ გამორთვას და მისი სახელის ხსენებასაც კი ავუკრძალავთ. თუ მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, მაშინ მივმართავთ პროტესტის უკიდურეს ზომას და დავიწყებთ უვადო შიმშილობას თელასთან, საქენერგოსთან, რაც აუცილებლად გამოიღებს შედეგს. ახლა რას მივიღებთ აქედან: პირველი — გვეცოდინება, რომ აღარ უნდა ველოდოთ ამ ავადსახსენებელს. არც მისი მოსვლა გაგვაღიზიანებს, არც წასვლა — აღარ იქნება და მორჩა. მეორე — უბრძოლველად მოვსპობთ ენერგომაფიას და მის მამებს, რომლებსაც სიამოვნებით გავასამართლებთ ლინჩის წესით, რა თქმა უნდა, ვინაობა რომ ვიცოდეთ. მესამე — უდენობისას საგრძნობლად გაიზრდება შობადობა, რაც მეტად მტკივნეული პრობლემაა. მეოთხე: არჩევნების დროს — დენით უზრუნველგყოფთო, — ველარ მოგვატყუებენ, ანუ ჩვენი „აქილევსის ქუსლი" გაქრება. მეხუთე — აღარ გაგვახსენდება დენი და მამაკაცები შეამცირებენ გინებას, ქალები — წყევლას. ყველაზე კარგი შედეგი, რაც ამას შეიძლება მოჰყვეს, იქნება ის, რომ გამორიცხული არ არის, იქით დაგვიწყონ ხვეწნა — ოღონდ თქვენ დაწყნარდით და 24 საათი დენი გექნებათო; მაგრამ ჩვენ — უკვე კარგად გაველურებულები, ისეთ აზარტში ვიქნებით შესული, რომ ჯიუტად ვიტყვით, — არა, ბატონო, არ გვინდა! თუ აქამდე მივედით, ისინი კიდევ გვთხოვენ, — მოგცემთ, რა? მაგრამ ჩვენ უდრეკნი აღმოვჩნდებით და მკაცრად ვუპასუხებთ, — თქვენი მოცემული არაფერი გვინდაო. ამით გადაწყვეტილების სიმკაცრეს დავუმტკიცებთ.

თუ კიდევ ვერ დაგარწმუნეთ და მაინც არ მეთანხმებით, იცოდეთ, რომ ძალიან, ძალიან დიდხანს ქვეყანაში იქნება ფერები მუქი, რადგან არა გვაქვს შუქი.

აი, რამდენი სიკეთის მოტანა შეუძლია ელექტროენერგიაზე უარის თქმას. თანაც გავითვალისწინოთ, რომ მთელი 19 საუკუნის განმავლობაში ჩვენი წინაპრები უშუქოდ ცხოვრობდნენ და არც სტრესი ჰქონდათ, არც ნევროზი და არც საპროტესტო მიტინგებსა და შიმშილობაზე ფიქრობდნენ. თანაც ამ პერიოდში უამრავი განათლებული და სასიქადულო მამულიშვილი აღიზარდა ისე, რომ უდენობას ხელი არ შეუშლია.

***თამაზ ხაბეიშვილი***

# დათვის გოდება

ცხოვრებისეული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ დედაშვილობის გრძნობა ყველაზე აღმატებულია იმ გრძნობებთან შედარებით, რაზეც ადამიანური ურთიერთდამოკიდებულებებია აგებული.

ხშირად გაიგებთ ისეთ დამზაფრავ ამბებს, რომელიც ამ გრძნობის სრული დაქვეითების გამოხატულებაა და არანაირ ადამიანურ კანონზომიერებებს არ ემორჩილება. — „დედამ თავისი ახალშობილი გაყიდა", „დედამ ჩვილი ნაგვის ბუნკერში ჩააგდო და მიიმალა," „დედა უკანონოდ შობილ შვილს გაშიშვლებულს აწვენდა ზამთარში ღია ფანჯარასთან, სიცივით რომ მოეკლა"... და ვინ იცის, კიდევ რამდენი შემთხვევა ვიცით, რომელმაც უნდა შეაძრწუნოს ნორმალური ადამიანი.

ადამიანი ხომ ყველაზე ამაღლებული და სრულყოფილია ღვთის მიერ გაჩენილ სულიერ არსებათაგან. და რამდენად წარმოუდგენელია მისი ასეთი საქციელი.

ასეთი განსაკუთრებული შესავლის გაკეთება მაიძულა ერთმა უცნაურმა ამბავმა, რომელიც ძველმა მონადირემ, ბატონმა ნუგზარ ჯანაშიამ მიამბო. არ იფიქროთ, ამ შესავლით რაიმე განსაკუთრებული პარალელის გავლება მინდოდეს და ადამიანური ბუნების უგულებელყოფა, უბრალოდ, მინდა ვთქვა, რა შეუძლია გააკეთოს დედაშვილობაში ზოგიერთმა ადამიანმა და რა ნადირმა.

თბილისის ზოოპარკში ორი ბელი დაიბადა. ადამიანისგან განსხვავებით, „ფეხიც მალე აიდგეს" და დედამისის გარშემო ბორიალობდნენ, ხან თამამდებოდნენ და გალიის მოშორებულ კუნჭულებში კოტრიალობდნენ, ზოგჯერ ზედ აბობლდებოდნენ დედას და თავისებურად, დათვურად ეთამაშ-ეალერსებოდნენ ერთმანეთს.



ერთხელაც ერთ-ერთმა ბელმა, როგორც, ეტყობა, ზედმეტი ცნობისმოყვარეობა გამოიჩინა გარესამყაროს მიმართ და გისოსებიდან გამოძვრომაც მოახერხა(?). მეზობელ გალიაში სხვა დათვები ბინადრობდნენ. ცნობისმოყვარე ბელმა მათი გაცნობაც მოისურვა და დაუფიქრებლად შეაბოტა მათთან, რასაც შემზარავი შედეგი მოჰყვა — უცხო დათვებმა (ჯიშითაც განსხვავდებოდნენ) არც სტუმართმოყვარეობა ჩააგდეს რამედ და არც სტუმრის უასაკობა. მოკლედ, პატარა ბელს სიცოცხლის ფასად დაუჯდა მეზობლებთან ვიზიტი.

ეს ამბავი ბატონ ნუგზარს გააგებინეს (იგი დახელოვნებულია ცხოველთა და ფრინველთა ფიტულების კეთებაში). მან წამოიღო მკვდარი ბელი და შესანიშნავი ფიტული დაამზადა.

ერთ დღესაც ფიტული ბატონმა ნუგზარმა ზოოპარკში მიიტანა. დედა დათვის გალიას მიუახლოვდა. დათვმა თვალი მოჰკრა თუ არა ბელს, რომელიც რამდენიმე დღე მოსაკლისებული ჰყავდა, გაგიჟდა თურმე, ღრიალით აწყდებოდა გალიის გისოსებს, უკანა ფეხებზე დგებოდა და გისოსებიდან თათებგამოყოფილი თითქოს იხვეწებოდა, — შვილი მომეცითო. ბატონი ნუგზარი გაოცებული უყურებდა დედა-დათვის საქციელს და უკვე ნანობდა კიდეც, რომ ფიტული გალიასთან მიიტანა. რა მოხდებოდა დათვი რომ ფიტულს შეხებოდა? გააცნობიერებდა თუ არა მისი დათვური გონება, რასთან ჰქონდა საქმე? ბატონმა ნუგზარმა ბელის ფიტული გალიასთან დასვა. დათვი მიწაზე განერთხო, გისოსებში დრუნჩი გამოყო, რომ როგორმე მიალერსებოდა შვილს... და აქ მოხდა ისეთი რამ, რომლის განცდისგან დღემდე ვერ გამოვსულვარო — მიამბობდა ბევრისმნახველი მონადირე... — დედა-დათვმა რაღაც უცნაური და უჩვეულო სუნი იკრა, ეს სუნი სრულებით არ ჰგავდა იმ სუნს მის კისერზე მობუღრავე პაწიას რომ ასდიოდა. ნადირის ინსტინქტმა მას შვილის სიკვდილი აგრძნობინა. როგორც ჩანს, ნადირი ინსტინქტს უფრო ემორჩილება, ვიდრე ვიზუალურ აღქმას — ბელი ხომ ცოცხალივით იჯდა მის წინ. და უცბად საზარელმა ღრიალ-გოდებამ აავსო ვოლიერის სივრცე, იქედან გარეთ გამოვარდა და ზოოპარკის წინ, გაჩერებაზე მდგომნი აიძულა, ქვევით ჩამოეხედათ, თუ საიდან მოდიოდა ეს საზარელი ღრიალი.

დედა-დათვი ერთხანს უკანა თათებზე წამომდგარი გოდებდა და გამწარებული აქეთ-იქით აქნევდა მაღლა აღერილ თავს, შემდეგ ადამიანივით თავში შემოიკრა თათები და სასომიხდილი ვოლიერის შორეულ კუთხეში მიიკუნჭა...

იჯდა დაღლილი ადამიანივით შვილმკვდარი დათვი და თავისი დათვური განცდებით შეპყრობილი აოგნებდა თვალზე ცრემლმომდგარ ძველ მონადირეს...

***მამუკა გიორგაძე***

# შუქი ალაჰი გვახარებს?!

დიდი ხანი არ არის, რაც თბილისის ზოგიერთი უბნის მობინადრეთა მყუდროება დაარღვია „თელასის" მიერ აწ დანაპირების სისრულეში მოყვანამ — მათი ოჯახებიდან იძულებით გაამწესეს „ჰოლის მშვენებანი" ანუ ე.წ. ელექტროენერგიის მრიცხველები და ისინი უცხოურით შეცვალეს. შორს არ წაუღიათ, ასე ვთქვათ, ფესვები დაუგრძელეს და სადარბაზოს ნეიტრალურ ზონაში ჩაიტანეს. შემდეგ ეს მრიცხველები წიწილებივით გამოამწყვდიეს ბაროკამერაში. თითოეულს შუბლზე ბინის ნომრები მიაკრეს. კომპიუტერში შესული ძველი ვალები ძალაში დატოვეს, შუშიანი ტაბლოც დალუქეს და „გუდ ბაი" არაეკონომიურობავ!

ისე „ცოდვა გამხელილი სჯობსო"... რა დღეში გვყავდა „სჩოჩიკნი" ჩვენნი, რა „საგმირონი საქმენი" არ ვუჩვენეთ. ვინ მოთვლის, რამდენჯერ გვყავს ნოკაუტში ჩაგდებული, სამუდამო „პარალიჩიც" ბევრმა გამოუწერა. ზოგი მთლად სასიკვდილოდ ვერ იმეტებდა და ინკასატორებს აყრევინებდა რიცხვებს ხელმისაწვდომი, ფასიანი გარიგების გზით. იყვნენ კომუნისტურ მართლწესრიგზე აღზრდილებიც, რომლებიც მრიცხველის ინსტრუქტაჟს პირნათლად ასრულებდნენ. ასეთები კი თითო-ოროლანი შემოგვრჩნენ. მასობრივად კი ადგილი ჰქონდა ჩვენთვის სასურველ ციფრზე ფოტონეგატივის ფირით მრიცხველების გათიშვას. ახლა კი „ხრიკომანიას" ფრთები დაეწვა. ამიტომაც, რა გასაკვირია უკმაყოფილება? ბრაზიან, მაჟორულ ტონალობაში მოგვიწევს კაჟა ბულავასავით (ფილმიდან „დათა თუთაშხია") „ვავა, ვავას", შეძახილები, როცა ყოველდღე ჩვენი მრიცხველი ახალ-ახალ ციფრებს დაგიჩეკავს და არც შეგეკითხება, შენი ჯიბე თუ გასწვდება ამდენსო. სულ ცოტა, დევიდ კოპერფილ-




დი მაინც უნდა იყო ეს „ქათამი" რომ გააქრო. არადა, ნახეთ რა მადა აქვს — 1 კილოვატი — 9 თეთრიო. კაი დაგემართოს! ისე რატომ ცხრა? — ჩვენთვის ხომ უფრო ბედნიერი ციფრი — შვიდია? არც ეს გაითვალისწინეს — არადა, ფსიქოლოგიური მომენტია. მოკლედ, ახალი, ხელშეუხები მრიცხველების მეპატრონეთა სურვილებიც პარადოქსული ხდება. ადრე თუ შუქს ნატრობდნენ, სიხარულით და ყიჟინით ხვდებოდნენ, ახლა მისი მოსვლა აღარ ახარებთ, რადგანაც მრიცხველი დაწერს და დაწერს. მე შენ გეტყვი, მელანი გამოელევა თუ კალამს წაუტყდება წვერი.

ორი წლის წინ, აქტიური უშუქობის ხანაში, ერთ გურულ ოჯახში მისული ინკასატორი თურმე ეუბნება დიასახლისს: — რა არის, ქალბატონო, რამდენჯერაც მოვედი, თქვენი მრიცხველი სულ გაჩერებულია და არაფერს არ წერსო. ქალს უმალ მიუხლია: — მაი, ბატონო, ეგნატე ნინოშვილი კი არ არის ლამპის შუქზე წეროსო.

უფულო კაცმა უნდა იკითხოს, თორემ ყველას და ავი ძაღლივით დაბმულ გენერატორებსაც ეშველებათ — აუშვებენ და ნელ-ნელა მაგათი ხმა დაავიწყდება ხალხს. ნავთის ბიზნესის კოკრებიც შეწყვეტენ ფურჩქვნას და მისი „საამო" სურნელიც გაქრება. მაღალსართულიანი ბინის მეპატრონენიც მუქთად აღარ გაყიდიან ქონებას, მაგრამ ვაი რომ, მედლის მეორე მხარე ჩვენს სასარგებლოდ არ ბრწყინავს, რადგანაც ბევრს დენი ჩვენი არსობისა რომ ჰქონდეს, უკვე პური ჩვენი არსობისა უნდა მოიკლოს. ძველი, ჩვენ მიერ გამოყვანილი, აქამდე არსებული ფორმულა მთავრობის საყურადღებოდ „გადაგვიხადეთ და გადაგიხდით!" — ვერაფერი ბედენაა. ურჩ, ვერგადამხდელებს „თელასი" დენით კვებას მაინც შეუწყვეტს, გაჭირვებული კაცი კი ამ შემთხვევაში ხავსსაც ველარ ჩაეჭიდება, რადგანაც სიბნელეში მისი მოძებნა უფრო გაუჭირდება.

მოკლედ, თუ თვალი მოკარით თქვენს კორპუსებთან „მიხეილ სკოლელის" სახელობის „სკოლის ბიჭებს", ანუ „პარნი იზ თელასა" წითელ-ყვითელ რკინის ჩაფხუტებში, იცოდეთ თქვენს მრიცხველებს ბედი კარს მოსდგომიათ — ეს ისე „იუმორუს". იგივე ბიჭები დენს რომ გადაგვიჭრიან, მაშინ ეს „ტრაგედიუს" ანუ ვენების გადაჭრის მსგავსი გახდება — რა ვქნათ? რას გვიქადის ახლო მომავალი? — ალბათ იმას, რომ ჩვენს ოჯახებში, ონკანებიდან მომდინარე წყლებზეც მრიცხველებს ჩართავენ. ცოტა უფრო შორს თუ გავიხედავთ, ჩვენი თავიც აღარ მოგვეწონება, რადგან ატმოსფეროში ნახშირორჟანგის მომატების შემთხვევაში, გამორიცხული არ არის ცხვირზე ჟანგბადის მრიცხველები დაგვიყენონ. ამიტომ ამაზე უფრო შორს გახედვის მეშინია, რადგან სანუგეშებელ სიტყვებს იქ ვიპოვი. სამაგიეროდ, წარსულიდან შექსპირის ჰამლეტი მახსენებს თავს, რომელიც მონოლოგის ჩვენთვის ცნობილ ფრაზას იმეორებს: „ყოფნა, არყოფნა, საკითხავი აი, ეს არის!"

***ნინო შევარდნაძე***




# ისევ 9 აპრილი პატიაშვილი...

*დღევანდელი ქართული პოლიტიკა ერთი ნიშანდობლივი შტრიხით გამდიდრდა. წინა წლებისგან განსხვავებით, საკმაოდ აქტიური არასაპარლამენტო ოპოზიცია გვყავს (თუ არ ჩავთვლით ექს-პრეზიდენტის მომხრეთა ქუჩის აქციებს). რამდენიმე კვირის წინ მათ საპრეზიდენტო არჩევნების ბოიკოტზე დაიწყეს ლაპარაკი, რაც უმალ აიტაცა საპარლამენტო უმცირესობამ. არჩევნების ბოიკოტის თემამ განსაკუთრებული სიმწვავე კი გასულ კვირას შეიძინა. ორშაბათის ტრადიციულ ბრიფინგზე ქვეყნის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ბოიკოტი არაკეთილგონივრული ნაბიჯი იქნება და იგი საქართველოს ანარქიისა და ქაოსის ხანაში დააბრუნებს, რაც მის საერთაშორისო იმიჯზე დაასხამს წყალსო.*

*ალბათ ოპოზიციამ იხელმძღვანელა პრინციპით: მართალია ის, ვინც პირველი ურტყამს. მმართველ პარტიას შეუტია და უნდა ითქვას, რომ მიზანშიც მოარტყა. მოქკავშირს წინასაარჩევნოდ არც ბოიკოტი აძლევს ხელს და არც არადემოკრატიულ საარჩევნო კანონზე გაუთავებელი დავა, ამიტომ უკან დახევას ამჯობინებს. ამან კი აჭარასა და თბილისს შორის ურთიერთობები თითქოს გაათბო. თუმც ედპ-ის ლიდერი ამ „სითბოსა“ და კეთილგანწყობის მიღმა წინასაარჩევნო ფანდს ხედავს. არადა, გონივრული პოლიტიკური სვლები და გათვლები შევარდნაძესა და აჭარის ლიდერს ნამდვილად ჰმართებთ, იმიტომ, რომ დღესდღეობით ორივე პრეზიდენტობის კანდიდატია. 17 თებერვალს „აღორძინების“ ბლოკმა ცსკ-ში ასლან აბაშიძის კანდიდატურა წარადგინა, — ასლან აბაშიძე პოლიტიკურ თამაშში მიჰყვება შევარდნაძეს. თუმც იმავე ირინა სარიშვილის აზრით, — აბაშიძე ან თავის კანდიდატურას მოხსნის, ან „აღორძინება“ ისევ ბოიკოტის გზას აირჩევსო. მიუხედავად იმისა, რომ ბათუმურ ბლოკს კანდიდატი დასახელებული ჰყავდა, მაინც აქტიურად მანიპულირებდა ბოიკოტის თემით და საარჩევნო კანონში შესწორებების შეტანას ითხოვდა.*

*კულუარებში არსებობდა მოსაზრებაც, რომ თავად „აღორძინების“ ბლოკში აზრთა სხვადასხვაობაა. გაიჟღერა ტერმინმაც — „აღორძინების“ რადიკალური (გელბახიანი, თარგამაძე) და ლოიალური ფრთა (ასათიანი, რჩეულიშვილი, ბოჭორიშვილი), ბათუმის ბლოკში მავანთ თითქოს განხეთქილების ელემენტებიც შენიშნეს, მაგრამ ჯერჯერობით „აღორძინება“ ისევ ერთიანია. მიუხედავად იმისა, რომ ფრაქცია „მრეწველებს“ პრეზიდენტობის კანდიდატი არ ჰყავს, საარჩევნო კანონპროექტის ცვლილებებზე მუშაობისას რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება სწორედ მათი მოთხოვნის გათვალისწინებით განხორციელდა.*

**ვახტანგ ხმალაძე**, ფრაქცია „მრეწველები“: „პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ გაითვალისწინებდა ყველა შენიშვნას, რაც რეალურად გააუმჯობესებდა საარჩევნო კანონს და შეამცირებდა სხვადასხვა დარღვევის ალბათობას.

**— „აღორძინება“ ე.წ. მექსიკური საარჩევნო მოდელის გადმოღების მომხრე იყო, რაც ცსკ-ის თავმჯდომარედ სახელმწიფო მინისტრის დანიშვნას ითვალისწინებს. თუ დაისვა ეს საკითხი ზურაბ ჟვანიასთან შეხვედრისას?**

— ისე, გაკვრით. მოდელები (თუ ვინ ატარებს არჩევნებს) ყველა ქვეყანაში განსხვავებულია. ძველი დემოკრატიის მქონე სახელმწიფოებში არჩევნებს აღმასრულებელი, სასამართლო ხელისუფლება ან ადგილობრივი თვითმმართველობა ატარებს, მაგრამ იმ ქვეყანაში, სადაც საზოგადოების სამართლებრივი თვითშეგნება არ არის ჩამოყალიბებული, სადაც პატივს არ სცემენ კანონს და კანონდარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობის საკითხი პრაქტიკულად არ დგება, ხელისუფლებას ნაკლებად ენდობიან. ასე რომ, ეს მოდელი ჩვენს ქვეყანაში არ გამოდგება.



**— საპრეზიდენტო არჩევნებში „მრეწველებს“ კანდიდატი არ ჰყავთ, ვერ მოძებნეთ ისეთი პიროვნება, რომელიც შევარდნაძის კონკურენტობას შეძლებდა?**

— ასე ნუ დავსვამთ საკითხს. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ამ ეტაპზე კანდიდატი არ გვეყოლებოდა...

**— და მხარს დაუჭერთ ამჟამინდელ პრეზიდენტს?**

— ვნახოთ. — ვინმესთვის მხარდაჭერას გარკვეული საფუძველი უნდა ჰქონდეს. აქ არსებობს რამდენიმე ვარიანტი. პირველი — შენ მოგწონს კანდიდატი, გინდა იყოს ქვეყნის პრეზიდენტი, გულწრფელად უჭერ მხარს და ყველაფერს აკეთებ მისი გამარჯვებისთვის (ეს შეიძლება იყოს შენი ან სხვისი კანდიდატი); მეორე ვარიანტი — არ წამოაყენებ კანდიდატს იმის გამო, რომ ასეთი კანდიდატი არ გყავს, ან გყავს კანდიდატი, მაგრამ ამ ეტაპზე მის წარდგენას აზრი არა აქვს. იმიტომ, რომ არ აქვს მოგების შანსი. ამ შემთხვევაში უარს ამბობ კანდიდატის წარდგენაზე იმიტომაც, რომ უაზროდ არ დახარჯო თანხა. ამ შემთხვევაში შეიძლება წარმოიქმნეს სხვადასხვა სახის ალტერნატივა. ვთქვათ, დასახელებულთაგან არც ერთი კანდიდატი არ მოგწონს, მაგრამ იცი, რომ მათ შორის არის ერთი, რომელიც სხვებს სჯობს და მოგების შანსიც აქვს, მაშინ მშვიდად დგები განზე და იმარჯვებს შენი აზრით, უკეთესი კანდიდატი. მაგრამ შეიძლება იყოს სხვანაირი ვითარებაც: არ მოგწონს არც ერთი კანდიდატი, მაგრამ არსებობს ორი-სამი რეალური პრეტენდენტი, რომელთაგან ერთ-ერთმა შეიძლება მოიგოს. მაშინ დგება საკითხი, თუ როგორ მოიქცე. შენ მონაწილეობ არჩევნებში იმის სასარგებლოდ, რომელიც სხვებთან შედარებით მოგწონს, იმიტომ, რომ უარესმა არ გაიმარჯვოს.

კანდიდატის მოწონება-დაწუნება დამოკიდებულია მის წარსულზე, რა გაუკეთებია, როგორ და რის გაკეთებას გვპირდება. იმაზეც, თუ რამდენად რეალურია ეს დაპირებები. გასული წლის ბოლოს დაისვა საკითხი, — დაგვეჭირა თუ არა მხარი შევარდნაძისთვის. გააჩნია, რა პროგრამას წარმოადგენს ის და რამდენად დაიწყებს მოქკავშირი იმ დაპირებების შესრულებას, რაც წინასაარჩევნოდ მოგვცა.

**— ვთქვათ, თქვენი მოთხოვნები დააკმაყოფილა ასლან აბაშიძემ, მაშინ მას დაუჭერთ მხარს?**

— ყველა მოთხოვნას ასლან აბაშიძე ვერ დააკმაყოფილებს. თუ საკითხი ასე დადგა — ან შევარდნაძე, ან აბაშიძე... ყოველ შემთხვევაში, აბაშიძის კანდიდატურის მხარდამჭერი რომ არ ვიქნები, ნათელია. არ არის გამორიცხული, რომ აბაშიძემ თავისი კანდიდატურა მოხსნას.

**— მუსირებს აზრი, რომ შევარდნაძეს მაინც გამარჯვების მეტი შანსი აქვს. შეუძლებელია ეს არ იცოდეს აბაშიძემ. მაშინ რატომ დგამს ასეთ რისკიან ნაბიჯს?**

— მე რომ პოლიტოლოგი ვიყო და არა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი, ვიტყოდი, მაგრამ დღეს ასეთი შეფასებისგან თავს შევიკავებდი. ისედაც ყველამ კარგად იცის ყველაფერი.

აბაშიძეს გაცილებით სერიოზული მიზეზები აქვს, სხვას არაფერს ვიტყვი.



ფრაქცია „XX საუკუნის“ ლიდერი ვახტანგ ბოჭორიშვილი, რომელიც „აღორძინების“ ბლოკის შედარებით ლოიალურ ფიგურად მოიაზრება, ჟვანიასთან შეხვედრით აღფრთოვანებული ჩანს. იგი არ უარყოფს, რომ მათ ბლოკში ზოგ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობაა, მაგრამ ეს დიდ უბედურებად არ მიაჩნია — აბა, ყველანი აბაზიანებივით ხომ არ ვემგვანებით ერთმანეთსო.

**ვახტანგ ბოჭორიშვილი:** მე სიხარული გამოვთქვი, რომ ურთიერქიშპიდან ერთმანეთის პოზიციების გაგებაზე გადავედით. ერთი კვირის წინ შევარდნაძე და ჟვანია აცხადებდნენ, — საარჩევნო კანონში არავითარ ცვლილებას არ შევიტანთო, მაგრამ მადლობა ღმერთს, დღეს ყველაფერი შეიცვალა. ჩვენები — თარგამაძე და გელბახიანი — ამბობენ: ამათ ჩვენ კი არა, ეუთოს დაუთმესო, მაგრამ შევთანხმდით და ეს არის მთავარი. ჯერჯერობით ვერ შევთანხმდით მოსახლეობის მარკირების საკითხზე, რაც კარუსელის პრინციპის ამოქმედებას შეუშლის ხელს. თუ ასე არ მოხდა, ჩვენ არ წავალთ ისეთ არჩევნებზე, რომელიც წინასწარ იქნება გაწირული.

**— აზრთა სხვადასხვაობა რამდენად დიდია „აღორძინებაში“?**

— არის მოთხოვნათა სხვადასხვაობა და ზოგიერთის კაპრიზები, მეტი არაფერი.

**— მიგაჩნიათ, რომ ფრაქცია „ერთიანი საქართველო“ უფრო რადიკალურია და თქვენ გაცილებით ლოიალური?**

— ჩემს თავს არ ვაფასებ, სხვებმა შეგვაფასონ.

ფრაქცია „ერთიანი საქართველოს“ თავმჯდომარე **გიორგი თარგამაძე**, რომელიც რადიკალად შერაცხეს თანაბლოკელებმა, მოქალაქეების დათმობებს სხვა სარჩულს უძებნის: „ჯერ გავაანალიზოთ, რამდენად დაგვითმო ჩვენ მმართველმა პარტიამ. პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე და მოქალაქეთა კავშირის გენერალური მდივანი კატეგორიულად უარყოფდნენ საპრეზიდენტო არჩევნებამდე კანონში ცვლილებების შეტანას და ერთ დღეში უცებ ყველაფერი შეიცვალა. რა მოხდა? დღეს ხელისუფლება ცდილობს შექმნას ილუზია, რომ ის ოპოზიციასთან დათმობაზე წავიდა, მაგრამ სინამდვილეში მან ევროპის უშიშროებისა და თანამეგობრობის საბჭოს რეკომენდაციები გაითვალისწინა, რომელშიც ზუსტად ის მოთხოვნებია, რომელთაც ჩვენ ვაყენებდით. ხელისუფლებას ამით ჩვენდამი დამოკიდებულება არ შეუცვლია, მან ევროპას გაუწია ანგარიში, იმიტომ, რომ სხვანაირად არ შეეძლო. როცა ბოიკოტზე ვსაუბრობთ, მინდა შეგახსენოთ, რომ ეს იდეა „აღორძინებიდან“ არ წამოსულა. იგი დაიბადა ოპოზიციური გაერთიანებების ალიანსში, თუმცა ხელისუფლება მაქსიმალურად ეცადა, რომ ეს იდეა ჩვენთვის მოეწებებინა. ამის შემდეგ ჩვენ არაერთხელ განვაცხადეთ, რომ თუ ქვეყანაში სამართლიანი არჩევნების წინაპირობა არ შეიქმნებოდა, ავტომატურად განხორციელდებოდა ბოიკოტი. ბოიკოტის თემა ულტიმატუმების ენით სასაუბროდ ან ვინმეზე ზემოქმედებისთვის არ წამოწეულა.

**— თუ თქვენი კანდიდატი და პრეზიდენტი თანასწორ პირობებში აღმოჩნდებიან, გჯერათ, რომ ბატონი ასლანი გაიმარჯვებს? პრეზიდენტს საკმაოდ სოლიდური ძალები უჭერენ მხარს და ამას ემატება სახელისუფლებო ბერკეტები.**

— არა ვარ ისეთი გულუბრყვილო, მჯეროდეს, რომ ნორმალური საარჩევნო კანონის შექმნა პანაცეა და იმისი უპირობო გარანტი იყოს, რომ საქართველოში არჩევნები სამართლიანად ჩატარდება. არა, ბატონო, ასეთი გულუბრყვილო არ გახლავართ.

**— ამბობენ, საარჩევნო კამპანიის წარმოებისათვის აჭარაში საბრძოლო შვეულმფრენები გამოჩნდაო. გასაგებია, რომ შვეულმფრენი მოსახერხებელია გადაადგილებისათვის, მაგრამ საბრძოლო?..**

— (მაპატიეთ, რადგან თქვენი შეკითხვა მაპროვოცირებელია, პასუხიც შესაბამისი იქნება) თქვენი ნათქვამი მოსახლეობაში იმ არაჯანსაღი განწყობის დანერგვის პროდუქტია, რასაც ხელისუფლება ახორციელებს. ისე არ გამიგოთ, რომ ყველა უბედურებას ხელისუფლებას ვაბრალებდეთ. ის, რომ დღე და ღამე აჭარაზეა ლაპარაკი, ქმნის წინაპირობას, რომ ნებისმიერი მოვლენა აჭარაში კრიტიკულად განიხილებოდეს. რა ნახეს ამ ფაქტში ახალი და არაჩვეულებრივი? შვეულმფრენების შეძენის თაობაზე ჩვენ გასული წლის ზაფხულში განვაცხადეთ. ამის მიზეზი კი ერთია. აჭარას არ ჰქონდა შვეულმფრენები. არადა, სტიქიური უბედურებისას ავადმყოფის გადმოყვანის ან საგუშაგოზე მისვლისთვის ეს ტრანსპორტი აუცილებელია. კი, ჩვენ შევიძინეთ კრასნოიარსკის სამხარეო გუბერნიიდან შვეულმფრენები, მათ შორის საბრძოლო, რადგან აჭარაში, ისევე როგორც თბილისში, არსებობს სპეცგანყოფილებები, რომელთაც განსაკუთრებულ შემთხვევაში სწრაფი რეაგირება ევალებათ და არავითარი საფრთხე ამაში არ უნდა ვეძებოთ. რა არის მოულოდნელი და განსაკუთრებული იმაში, რომ საქართველოს ტერიტორიაზე აბაშიძემ შველმფრენით იმოძრაოს? საკითხავია მეორეც... რამდენად ისურვებს ბ-ნი ასლანი შვეულმფრენით მგზავრობას. იმიტომ, რომ უსაფრთხოების თვალსაზრისით ეს ტრანსპორტი საიმედო არ არის. ჰაერშია გამოკიდებული. ერთ ავტომატს ესვრი და გათავებულია...

**— 9 აპრილის გამო ხომ არ ყოყმანობს პატიაშვილი საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაზე?**

— 9 აპრილთან ჯუმბერ პატიაშვილის ფიგურის მოაზრება არ არის ისეთი მარტივი და ცალსახა, როგორც ამის წარმოჩენას ცდილობს ზოგი. იმ პროცესების მომსწრენი, საბედნიეროდ, ჩვენც ვიყავით. 9 აპრილი არ არის ის ქვა, რომელიც ჯუმბერ პატიაშვილს გაჭყლეტს პრეზიდენტობის კანდიდატად მისი წამოყენების შემთხვევაში.

*— ასლან აბაშიძე ის კაცი არ არის, რომ ვინმეს თავის პიროვნებისაგან ტორპედო შეაქმნევინოს. იმაზე იფიქრონ, რომ პირიქით არ მოხდეს.*

**— ჯუმბერ პატიაშვილი წლების მანძილზე მუშაობდა შევარდნაძესთან, ბოლო დროს იგი ასლან აბაშიძეს დაუახლოვდა. არ გესახებათ ბ-ნი ჯუმბერი ბათუმისა და თბილისის შემრიგებლად. ეს იდეა ჩვენს რედაქციაში დაიბადა.**

— კომპლიმენტად არ ჩამომართვათ, ეს ჩემი შეხედულებაა, რომელიც წლების მანძილზე ჩამომიყალიბდა, როგორც „კვირის პალიტრის“ მუდმივ მკითხველს. თქვენს რედაქციას ეს განწყობა იმიტომ აქვს, რომ ნორმალური ქართველები ხართ. თქვენ არა ხართ მარტო ჟურნალისტები, რომელთაც მხოლოდ სენსაცია აინტერესებთ. ეს არის ნორმალური ქართველის იდეა, რომელიც ჯანსაღ გონებაში დაიბადა. დაპირისპირებისა და კონფრონტაციის მოსპობის სურვილი ასლან აბაშიძეს ყოველთვის აქვს და ბ-ნ ჯუმბერსაც ზუსტად ასეთ კონტექსტში მოვიაზრებ. ამ ორი ადამიანის გამოუყენებლობა და პირიქით, დამატებით პრობლემების შექმნა, ვფიქრობ, არა მარტო დიდი შეცდომა, დანაშაულიც იყო.

**— „აღორძინების“ ბლოკის ირგვლივ ათასი მოარული ხმაა... ამბობენ, რომ ბლოკში განხეთქილებაა.**

— რაც უფრო ხშირად დავიწყებთ იმის მტკიცებას, რომ ჩვენ შორის დაპირისპირება არ არის, ეს უფრო მეტი ეჭვის საფუძველს გააჩენს. არ ვამტკიცებ, რომ ჩვენ შორის ყველაფერი კარგად არის. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული საკითხებისადმი განსხვავებული ხედვა გვაქვს, პოლიტსაბჭოს გადაწყვეტილებებს ყველა ასრულებს.

**— კარგა ხანია ისმის, რომ 9 აპრილამდე ასათიანი და რჩეულიშვილი „აღორძინებას“ დატოვებენ.**

— თქვენც ამბობთ, რომ ეს ჭორი კარგა ხანია გესმით და ამიტომ არანაირი ინტერესი არა მაქვს კიდევ ამ თემაზე ვისაუბრო. თუ დასატოვებელი იყო, ასათიანი და რჩეულიშვილი აქამდეც დატოვებდნენ „აღორძინებას“. ჩვენ ეს პრობლემას არ შეგვიქმნის, პრობლემა შეიქმნება საქართველოს პოლიტიკური პროცესების განვითარებაში, გაცილებით უკეთესი იქნება, თუ სხვა პოლიტიკური ორგანიზაციებიც მოგვბაძავენ და საქართველოში პოლიტიკური ორგანიზაციების დაახლოების პროცესი გაგრძელდება.



**— როგორ აღიქვით მოარული ფრაზა, რომ ასლან აბაშიძისაგან გააკეთებდნენ ტორპედოს, რომელიც გადაულახავ ბარიერს შეასკდებოდა და დაიმსხვრეოდა.**

— ასლან აბაშიძე ის კაცი არ არის, რომ ვინმეს თავის პიროვნებისაგან ტორპედო შეაქმნევინოს. იმაზე იფიქრონ, რომ პირიქით არ მოხდეს.

**— ამ ბოლო დროს არაერთხელ მსმენია, რომ იგორ გიორგაძე ხშირად არის აჭარაში, ერთმა კომუნისტმა ისიც მითხრა, რომ მას ბათუმში შეხვდა და ესაუბრა.**

— ეს იმის დასამტკიცებლად სჭირდებათ, რომ იგორ გიორგაძე ბოლო ორი წლის მანძილზე საქართველოში ცხოვრობს. ეს საკითხი ხელისუფლებისა და გიორგაძეების გასარკვევია. გასულ წელს აჭარაში ვტრიალებდი და, მართალი გითხრათ, იგორ გიორგაძე არსად შემხვედრია.

**— ბოლო დროს ვალერი გელბახიანი თურქეთის მხრიდან საშიშროებაზე ალაპარაკდა. თითქოს ჩვენს სამხრეთელ მეზობელს აჭარაზე უჭირავს თვალი.**

— მოდით, არ განვავრცოთ ეს აზრი. იქ იყო ბატონი ვალერის მინიშნება და ყველა ძალიან კარგად მიხვდა, რასაც გულისხმობდა. ახალი არაფერია იმაში, რომ არსებობს უცხო ქვეყნის ინტერესები საქართველოში. ჩვენ უნდა ვეცადოთ, გავითვალისწინოთ თურქეთისა და რუსეთის ინტერესები და აქედან გამომდინარე ავაგოთ ჩვენი პოლიტიკა. რაც შეეხება განსაკუთრებულ პრობლემებს აჭარასთან მიმართებაში, რა თქმა უნდა, არ არსებობს და არც იარსებებს, თუ გონივრულად მოვიქცევით და ჩვენ თვითონვე არ გავხდებით დეტონატორები იმ პროცესისა, რაც შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს არა მარტო აჭარისთვის, არამედ მთლიანი ქართული სახელმწიფო ორგანიზმისთვის.

***P.S.*** *პარლამენტის თავმჯდომარესთან საპარლამენტო უმცირესობის მოლაპარაკებები პარასკევს გვიან ღამით დასრულდა. მმართველი პარტია და ოპოზიცია საბოლოოდ შეთანხმდნენ. საპარლამენტო უმცირესობის შიში, რომ მოქკავშირი თავის პრივილეგიებს არ დათმობდა, გარკვეულწილად გაქარწყლდა. შეთანხმების საფუძველზე ცსკ-ის შემადგენლობა 21 წევრით განისაზღვრა, რომელთაგან 9-ს ნიშნავს პარლამენტი (5-ს მმართველი პარტია, 4-ს ოპოზიცია), 5-ს პრეზიდენტი. სხვა პარტიების წარმომადგენლობა 5 წევრით განისაზღვრა, ხოლო აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკებს ცსკ-ში თითო წარმომადგენელი ეყოლებათ.*

*„კვირის პალიტრა“ წინა ნომერში 19 თებერვლისთვის სიურპრიზებს წინასწარმეტყველებდა და ასეც მოხდა. ცსკ-ში განცხადებების შეტანის ვადის გასვლამდე, რამდენიმე საათით ადრე „აღორძინებამ“ თავისი ბლოკის მეორე კანდიდატად ჯუმბერ პატიაშვილი წარადგინა. ამ მოულოდნელმა ტაქტიკურმა მანევრმა ათასი ვერსია დაბადა. კომენტარი ბ-ნ ვახტანგ ხმალაძეს ვთხოვეთ: „ეს არის ტაქტიკური ნაბიჯი, რომელიც ითვალისწინებს შემდეგს: აჭარას მთლიანად აკონტროლებს ასლან აბაშიძე, ამიტომ თუ გავითვალისწინებთ იმას, თუ როგორ ტარდება იქ არჩევნები, ცხადია, რომ მას იქაური ამომრჩევლის ხმების ლომის წილი აქვს გარანტირებული. აჭარის გარეთ აბაშიძის პოპულარობა ნაკლებია და მეტია პატიაშვილის მხარდამჭერთა რაოდენობა. ამ შემთხვევაში არის იმის მცდელობა, რომ რაც შეიძლება მეტი ხმა დააკლდეს შევარდნაძეს, ვერ მიიღოს ხმების ნახევარზე მეტი, რის შემდეგაც აუცილებელი გახდება მეორე ტურის ჩატარება, სადაც „აღორძინებას“ უკვე ერთი კანდიდატი ეყოლება და მეორე კანდიდატი თავის მომხრეებს მოუწოდებს, რომ პირველს მისცენ ხმა. მაგრამ, ჩემი აზრით, ასე არ მოხდება, ყველაფერი პირველ ტურშივე გაირკვევა“.*

**იზო რუკაძე**

# „რიჩარდ ნიქსონმა ვერ მოახერხა გამსახურდიას დაყოლიება...“

*ომი ომია, მაგრამ ძმათამკვლელი ბატალიები მაინც განსაკუთრებული ტკივილითაა დაღდასმული ნებისმიერი ქვეყნის ისტორიაში. სამწუხაროდ, ამ მხრივ საქართველო გამონაკლისს არ წარმოადგენს.*

*1991-92 წლების სამხედრო გადატრიალება... ომი, რომელშიც არ იყო მოგებული და წაგებული, გამარჯვებული და დამარცხებული... ომი, რომლის შედეგად მივიღეთ გახლეჩილი ერი, გაპარტახებული, დანგრეული თბილისი, ქართველთა მიერ დაცხრილული ქართველები, უამრავი დაჭრილ-დასახიჩრებული და დღემდე უპასუხოდ დარჩენილი კითხვა — რატომ? გასულ პარლამენტში რამდენჯერმე რეპლიკის სახით გაჟღერებულ საკითხს 1991-92 წლების მოვლენების სამართლებრივი შეფასების შესახებ, არ იქნა და საშველი არ დაადგა. ახლანდელი პარლამენტიც ჯერჯერობით უფრო მნიშვნელოვანი საქმეებითაა დაკავებული. არადა ისტორიის წინაშე უეჭველი ვალი გვაქვს მოსახდელი.*

*არის კიდევ ერთი საკითხი, რომელიც დღემდე საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური დავის საგანია. კერძოდ, არიან თუ არა საქართველოში პოლიტპატიმრები. ხელისუფლება აცხადებს, რომ არ არიან, საზოგადოების გარკვეული პოლიტიკური წრეების თუ რიგი საერთაშორისო ორგანიზაციების თვალში კი, საქართველოში 150-მდე კაცი სწორედ პოლიტპატიმრად მოიაზრება. ერთ-ერთი მათგანი გახლავთ მაშინდელი უზენაესი საბჭოს დეპუტატი, სამტრედიის ყოფილი პრეფექტი, ზვიად ძიძიგური. იგი უკვე მე-5 წელია სასჯელს ავჭალის შრომაგასწორების კოლონიაში იხდის. საინტერესოა მისი მოსაზრებები 1991-92 წლების მოვლენებზე. „კვირის პალიტრამ“ მისი მონახულება ავჭალის კოლონიაში არცთუ იოლად მოახერხა... სასამართლომ სამშობლოს ღალატის ბრალდებით 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.*

**— ფაქტია, რომ ეროვნული ხელისუფლება დამარცხდა, მაგრამ ყველა მარცხს თავისი სუბიექტურ-ობიექტური მიზეზი გააჩნია ხოლმე...**

— ბევრს ჰგონია, საქართველოში სამხედრო გადატრიალება იმიტომ მოხდა, რომ ზვიად გამსახურდია იყო დიქტატორი, სახელმწიფოს მართავდა არადემოკრატიული მეთოდებით, რის გამოც აუჯანყდნენ ოპოზიციური პარტიები, რომლებმაც შემდგომ იარაღი აიღეს ხელში და დაამხეს სისხლიანი დიქტატორი. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, სისულელეა. სამხედრო გადატრიალებას სულ სხვა მომენტები დაედო საფუძვლად. ფაქტობრივად, შიდა ძალები მხოლოდ შემსრულებლის როლში აღმოჩნდნენ. დამერწმუნეთ, ვერც თენგიზ კიტოვანი, ვერც თენგიზ სიგუა, ვერც ჯაბა იოსელიანი და ვერც კიდევ მათი დამხმარე ინტელიგენტები, რომლებსაც ზვიად გამსახურდია სავსებით სამართლიანად „წითელ ინტელიგენციას“ უწოდებდა, ვერავითარ გადატრიალებას ვერ განახორციელებდნენ.

**— ე.ი. სამოქალაქო ომს უფრო გლობალური მიზეზი ჰქონდა?**

— დიახ, რა თქმა უნდა. ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური კურსი ხელს არ აძლევდა არც რუსეთს და არც დასავლეთს. დღევანდელი მსოფლიო პოლიტიკა არ გულისხმობს ნაციონალური სახელმწიფოებისთვის მხარდაჭერას. გამსახურდიამ კი ძირითადი აქცენტი სწორედ კავკასიაზე გააკეთა ანუ აირჩია არა პრორუსული ან პროდასავლური, არამედ პროქართული ორიენტაცია. იგი მხარს უჭერდა ჩეჩნების, აგრეთვე ინგუშებისა და ბალყარების ბრძოლას დამოუკიდებლობის, თვითგამორკვევისა და საკუთარი უფლებისთვის. ეს კი, ცხადია, დიდ გაღიზიანებას იწვევდა როგორც რუსეთის, ისე დასავლეთის მმართველ წრეებშიც. 1991 წლის აგვისტოში თუ სექტემბერში სწორედ ამ საკითხებთან დაკავშირებით ჩამოვიდა საქართველოში ამერიკის ყოფილი პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი. იგი შეეცადა, ზვიად გამსახურდია დაეყოლიებინა, უარი ეთქვა კავკასიური პოლიტიკის წარმოებაზე, ერთიანი კავკასიური სახლის შექმნაზე და, საერთოდ, მათთან სტრატეგიულ და ეკონომიკურ თანამშრომლობაზე. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ნიქსონი წავიდა უარით. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო მიზანმიმართულად, პერმანენტულად და გეგმაზომიერად ზვიად გამსახურდიას გამოცხადება დიქტატორად, ამის შემდეგ მოიძებნა დასაყრდენიც საქართველოში და ამის შემდეგ განხორციელდა ყველა ის პროვოკაცია, რომელიც მაშინ ამ ე.წ. ოპოზიციამ გაბედა. ასე რომ, ადგილობრივ ძალებს სერიოზული მხარდამჭერები ჰყავდათ რუსეთისა და დასავლეთის სახით.

**— მხარდაჭერა ძირითადად რაში გამოიხატებოდა?**

— ეს გამოიხატებოდა არა მხოლოდ მორალურ და ინფორმაციულ თანადგომაში, არამედ მატერიალურ-ფინანსურ დახმარებაშიც. კერძოდ, იარაღითა და ტყვია-წამლით რუსეთის ბაზებიდან მარაგდებოდნენ. ფინანსებიც, ეშმაკმა უწყის, საიდან, მაგრამ უცებ გაუჩნდებოდათ ხოლმე. ჰქონდათ საკუთარი ტელევიზია, რადიომაუწყებლობა, გაზეთები და საერთოდ, ყველაფერი.

**— და ეს ყოველივე „გარედან“ ფინანსდებოდა?**

— რა თქმა უნდა, აბა რა გგონიათ? კიტოვანს დამოუკიდებლად შეეძლო, რომ გადამცემი დაემოტანჟებინა თბილისის ზღვაზე და იქიდან გადაცემები ეწარმოებინა? დასავლეთმა და რუსეთმა აქაური „ხელის ბიჭები“ გამოიყენეს, რათა გადატრიალება განეხორციელებინათ. სწორედ ეს გახლდათ ის ძირითადი ფაქტორი, რამაც ეროვნული ხელისუფლების დამხობა განაპირობა, თორემ კიტოვანს, სიგუას და იოსელიანს არც შესაძლებლობა, არც იარაღი და არც ჭკუა-გონება ეყოფოდათ ამ ყველაფრის ორგანიზებისთვის.

**— მათ ინტელიგენციის ერთი ნაწილიც დაუდგა გვერდით. რამ გამოიწვია გამსახურდიასა და ინტელიგენციას შორის დაპირისპირება?**

— ეს სწორედ ის ინტელიგენცია გახლდათ, რომელმაც ეროვნული ხელისუფლების მმართველობის პერიოდში კომუნისტების დროინდელი პრივილეგიები დაკარგა... გადატრიალებაში აქტიურად ჩაერთვნენ აგრეთვე ის ბიზნესმენები თუ საქმიანი წრეების წარმომადგენლები, რომლებიც კომუნისტების დროს მარჯვნივ თუ მარცხნივ გარკვეულ ე.წ. გადასახადს არიგებდნენ ძღვენის სახით, რათა ამით თავიანთი მდგომარეობის სტაბილურობა უზრუნველეყოთ. გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს კი არაბუნებრივი და არასახარბიელო მდგომარეობა შეექმნათ. სხვათა შორის, სამოქალაქო ომის შემდეგ თუ ვინმეს დაყაჩაღება და გაძარცვა მოხდა, პირველები სწორედ ისინი იყვნენ, ვინც სამხედრო გადატრიალება ადგილზე დააფინანსეს და ყველანაირად ხელს უწყობდნენ მის შემსრულებლებს.

**— როგორ? ასეთი პარადოქსი?**

— ფული მაგათ ჰქონდათ და აბა სხვა ვისთვის უნდა წაერთმიათ? მხედრიონი და გვარდია ზვიადისტების ოჯახებში რომ შეცვივდებოდნენ, ზვიადის სურათების მეტი არაფერი ხვდებოდათ ხოლმე. ამიტომ დასაყაჩალებლები ვინც იყვენ, იმათ აყაჩაღებდნენ. ე.წ. ოპოზიციონერები უკლებლივ მოსკოვში ჩადიოდნენ კონსულტაციებისთვის. დარწმუნებული ვარ, ამ კონსულტაციებზე იმაზე არ ლაპარაკობდნენ, თუ როგორ უნდა გამყარებულიყო ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება. 1992 წლის იანვრის დასაწყისში თენგიზ სიგუა მოსკოვში შეხვდა



ჯეიმს ბეიკერს, რომელმაც სიგუას პირდაპირ უთხრა, თქვენ მუდმივი პრობლემები გექნებათ თუ ედუარდ შევარდნაძეს არ წაიყვანთ საქართველოში და არ გამოიყენებთ მას, როგორც პოლიტიკურ ლიდერსო. პოლიტიკაში შემთხვევით არაფერი ხდება. როგორ გგონიათ, ჯეიმს ბეიკერის და შევარდნაძის მეგობრობა აღმოჩნდა იმის საფუძველი, რომ ასეთი სერიოზული ულტიმატუმი წაეყენებინა ბეიკერს სიგუასთვის, რომელსაც მაშინ ჯერ კიდევ ხელმძღვანელის პოსტი ეკავა? ფაქტობრივად, შევარდნაძეს ჰქონდა დავალებული საქართველოში სიტუაციის კოორდინირება. მისი მხრიდან ახლა ამის უარყოფა ან დადასტურება არაფერს შეცვლის. რაც შეეხება კიტოვანს და იოსელიანს, შევარდნაძეს თავიდანვე შეეძლო მათი მოშორება, მაგრამ მაშინ იძულებული გახდებოდა თავად შეჯახებოდა პირისპირ ეროვნული ხელისუფლების მომხრეთა მძაფრ წინააღმდეგობას. იოსელიანის „მხედრიონი“ და კიტოვანის „გვარდია“ მისთვის იმ დროს ერთადერთ დასაყრდენს წარმოადგენდა. ამ ორგანიზაციების არსებობა სასიცოცხლოდ აუცილებელი გახლდათ და მათი ლიდერები ამიტომაც იყვნენ სახელდებულნი შევარდნაძის მეგობრებად. შევარდნაძე მომენტს არ უშვებდა, არ დაეფიქსირებინა, რომ ჯაბა იოსელიანი არაორდინარული კაცი და მისი საუკეთესო მეგობარია, რომ თენგიზ კიტოვანი უნიჭიერესი და დიდი დამსახურების მქონე პიროვნებაა საქართველოსა და მისი ისტორიის წინაშე. სხვათა შორის, ოპერისა და ბალეტის თეატრში მხედრიონელთა ყრილობაზე შევარდნაძე საპატიო მხედრიონელად აირჩიეს და კისერზე ჩამოკიდეს მედალიონი, რომელსაც ასო „ჯ“ ეწერა „ჯაბას“ აღსანიშნავად. როგორც ვიცი, იგი არავის გაურიცხავს იქიდან. ასე რომ, დღესაც საპატიო მხედრიონელად ითვლება. შემდგომ სიტუაცია შეიცვალა. ზვიად გამსახურდია მოკლეს. კანონიერი ხელისუფლების მომხრეთა მხრიდან წინააღმდეგობა ლიდერის დაღუპვით ფაქტობრივად შესუსტდა. კიტოვანი და იოსელიანი ისევე საჭირო გახდნენ შევარდნაძისთვის, როგორც მაგიდისთვის მე-5 ფეხი. მათ თავისი ფუნქცია დაკარგეს. ამიტომაც თანმიმდევრულად ჯერ ერთი აღმოჩნდა ციხეში, შემდეგ — მეორე. ასევე გაქრნენ არენიდან გია ჭანტურია, გია გულუა და სხვები.

**— ჭანტურიასა და გულუას მკვლელობაც ე.წ. „მოშორების“ პრინციპს ემსახურებოდა?**

— ჭანტურიას, გულუასა და ხაბეიშვილის მკვლელობებთან დაკავშირებით სასამართლო პროცესები ჩატარდა. არ ვიცი, პროცესებმა რამდენად დაადასტურა, მაგრამ ამ მკვლელობების მოწყობაში და 29 აგვისტოს ტერაქტის ორგანიზებაში უშიშროების მაშინდელი შეფის — იგორ გიორგაძის სახელი ფიგურირებდა. სხვათა შორის, ჭანტურიას ქვრივიც გამოდიოდა მაშინ და პირდაპირ იშვერდა ხელს გიორგაძის, როგორც ამ მკვლელობის შემსრულებლისკენ. შემდგომ გავიდა ხანი და აღმოჩნდა, რომ თურმე



ზვიად ძიძიგური

იგორ გიორგაძე რუსეთის კაცი ყოფილა. ერთი მითხარით, რა მიხვდრა უნდოდა იმას, რომ გიორგაძე რუსეთის კაცი იყო? ან კიდევ, არ იცოდა შევარდნაძემ ვინ იდგა ამ მკვლელობების უკან? თუ არ იცოდა, მაშინ მით უარესი. ე.ი. უფრო ცუდად ყოფილა მისი მმართველობის საქმე. სხვათა შორის, ამ მკვლელობების შემდეგ შევარდნაძემ იგორ გიორგაძეს ჩინიც მოუმატა — გენერალ-მაიორი იყო და უცებ გენერალ-ლეიტენანტი გახდა.

**— გადატრიალების შემდეგ, როგორც ვიცი, თანამშრომლობა შემოგთავაზეს.**

— დიახ, იყო ასეთი ფაქტები. რამდენჯერმე შემომთავაზეს, თანამდებობაზე დაგნიშნავთ, ოღონდ გაჩუმდიო. ეს, რა თქმა უნდა, ძალზე არასერიოზული მცდელობა იყო მათი მხრიდან. გადატრიალების შემდგომ პოლიტიკური სცენიდან საერთოდ გაქრა ხალხი. ყველაფერი ეროვნული გამოცხადებულ იქნა, როგორც ობსკურანტიზმის, კონსერვატიზმის და ჩამორჩენილობის გამოვლინება. დაიწყო რეპრესიები. პრესა, რადიო თუ ტელევიზია გვაცხადებდა პარანოიკებად, ეგზალტირებულ ბრბოდ, შეშლილებად. 1993 წლის ზაფხულში გამოვიდა მაშინდელი გენერალური პროკურორი თედო ნინიძე და თქვა, რომ სანქცია არის გაცემული ეროვნული მთავრობის უზენაესი საბჭოს ყველა დეპუტატზე. ეს გახლდათ 100-ზე მეტი ადამიანი.

**— როგორც ვიცი, გამსახურდიას თან ახლდით, როდესაც ის გადატრიალების შემდეგ თანამოაზრეებთან ერთად საქართველოდან გავიდა.**

— დიახ, 6 იანვარს გავედით უზენაესი საბჭოს შენობიდან და გეზი დასავლეთისაკენ ავიღეთ. ვიცოდით, რომ ნატახტართან პუტჩისტების შეიარაღებული პიკეტი იდგა, მაგრამ სამხედროები იმედოვნებდნენ, რომ გზის გაკაფვას ბრძოლით შეძლებდნენ. ამ არეულობასა და უშუქობაში ქალებითა და უიარაღო მოქალაქეებით სავსე ერთი ავტობუსი სრულიად შემთხვევით კოლონაზე წინ წავიდა. ჩვენ ამის შესახებ არაფერი ვიცოდით. მეტეხის ხიდთან მისვლისას ასეთი სურათი დაგვხვდა: ავტობუსი მთლიანად დაცხრილული იყო, ჩამსხვრეული ჰქონდა ფანჯრები, სროლებისგან ჩამოწყვეტილი იყო ტროლეიბუსის სადენები და 600 ვოლტი

**სამოქალაქო ომის შემდეგ თუ ვინმეს დაყაჩაღება და გაძარცვა მოხდა, პირველები სწორედ ისინი იყვნენ, ვინც სამხედრო გადატრიალება ადგილზე დააფინანსეს და ყველანაირად ხელს უწყობდნენ მის შემსრულებლებს.**

დენი პირდაპირ ავტობუსში გადიოდა. საზარელი სანახაობა იყო. დაჭრილები ფანჯრებიდან ცვიოდნენ, მაღალი ძაბვისგან აძაგძაგებდათ... სხვათა შორის, ამავე ავტობუსში იჯდა მინისტრთა საბჭოს პირველი მოადგილე გურამ აბსანძე, რომელიც მძიმედ იყო დაჭრილი. შს მინისტრმა დილარ ხაბულიანმა იგი საკუთარი ავტომანქანით მიიყვანა შსს-ს ჰოსპიტალში და შემდგომ ისევ კოლონას დაეწია. ამის შემდეგ პრეზიდენტმა გადაწყვიტა საქართველოდან გავსულიყავით და გეზი ავიღეთ წითელი ხიდისკენ. მე ბოლო ავტომანქანაში ვიმყოფებოდი. გზაში საბურავი გაგვისკდა, რის გამოც კოლონის ძირითად ნაწილს 15-20 წუთით ჩამოვრჩით. წითელ ხიდზე მილიციის პოსტთან რომ მივედით, სამორიგეოში ჩემი ყურით მოვისმინე, რაციით როგორ ეკითხებოდენ მორიგე მილიციელებს, ხომ არ ჩამოუვლიათ შეიარაღებულ პირებს ავტოკოლონითო. მე მილიციელს დეპუტატის მოწმობა ვუჩვენე და ვუთხარი, რომ უარყოფითი პასუხი გაეცა. ხიდზე ჩემი გადასვლისთანავე საზღვარს საქართველოს მხრიდან მოადგა გივი კვანტალიანი 200-კაციანი შეიარაღებული რაზმით. ასე რომ, საქართველოს პრეზიდენტმა სულ რაღაც 30 წუთით გაასწრო მდევარს, რომელიც მის გასანადგურებლად იყო გამოგზავნილი.

**— სხვათა შორის, გურამ აბსანძემ ბოლო პროცესზე განაცხადა, ანზორ ბალუაშვილი ზვიად ძიძიგურს აიძულებდა, რომ ხაბეიშვილის მკვლელობის დამფინანსებლად დავესახელებინეო. მართლა ასე იყო?**

— იმ დროს ჭანტურიას, გულუას, ხაბეიშვილის და სხვათა მკვლელობები გაუხსნელი გახლდათ. „მხედრიონიც“ ჯერ ისევ შეურისხავ ორგანიზაციას წარმოადგენდა. მოკლედ, დამნაშავე უნდა მოძებნილიყო. ასე რომ, დაკავების პირველი დღიდანვე დაიწყო მუშაობა, რათა ეს მკვლელობები საკუთარ თავზე ამეღო. გარდა ამისა, მაიძულებდნენ, რომ მაშინდელი ოპოზიციონერები, მათ შორის გურამ აბსანძეც, დამესახელებინა, როგორც ამა თუ იმ მკვლელობის ორგანიზატორ-დამფინანსებლები.

**— როგორც ვიცი, ციხეში სამშობლოს ღალატის ბრალდებით ზიხართ. ეს საკმაოდ მძიმე ბრალდებაა...**

— დიახ, ასეა და არ გაინტერესებთ რაში გამოიხატებოდა სამშობლოს ღალატი? იმაში, რომ არ დავემორჩილეთ ორი კაცის — იოსელიანის და კიტოვანის მიერ ხელმოწერილ 1992 წლის 2 იანვრის ბრძანებულებას, რომლის საფუძველზეც საქართველოს კონსტიტუცია შეჩერებულად გამოაცხადეს. სასაცილოა, მაგრამ სწორედ ამ ორი კერძო პირის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი უდევს დღევანდელ ხელისუფლებას თავისი არსებობის იურიდიულ ბაზისად და იმის გამო, რომ ამ ე.წ. ბრძანებულებას არ დავემორჩილეთ, თურმე სამშობლოს მოღალატეები და ბანდიტები ვყოფილვართ. ბალუაშვილის ფანტაზიის ნაყოფია ის საბრალდებო დასკვნა, რომელშიც წერია, რომ 1992 წლის 6 იანვარს ზვიად გამსახურდია საქართველოდან გაიქცა, გროზნოში მოიკალათა და შექმნა ორგანიზებული ბანდები. მაშასადამე, 1992 წლის 5 იანავარს გამსახურდია პრეზიდენტი იყო, 6 იანვარს კი — უკვე ბანდიტი. შესაბამისად მეც 5-ში დეპუტატი ვიყავი, 6-ში — ბანდიტად გამომაცხადეს. მოხდა კიდევ ერთი ასეთი ფაქტი: სამტრედიაში 5 დღით აღდგა ეროვნული ხელისუფლება. მე, როგორც სამტრედიის პრეფექტი, წავედი და ჩემი მოვალეობის შესრულებას შევუდექი. ეს, რა თქმა უნდა, სამშობლოს ღალატის ტოლფასი დანაშაული იყო. დღეს კი ხელისუფლება აცხადებს, რომ საქართველოში არ არიან პოლიტპატიმრები. თუმცა სასაცილოც კი იქნებოდა, რომ ეს დაედასტურებინათ. ჩვენ რომ პოლიტპატიმრებად გვაღიარონ, უეჭველი დისკომფორტი შეექმნებათ, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან უცხოეთის მთავრობებიდან დ ა.შ. ეს კი, ცხადია, ხელს არ აძლევთ. ადამიანის უფლებათა დამცველი სერგეი კოვალიოვი საქართველოში 17 პატიმარს შეხვდა, მათ შორის — მეც, და დაადასტურა, რომ ჩვიდმეტივე პოლიტპატიმარი იყო. ის სტრასბურგში პოლიტსაბჭოს სხდომაზე გამოვიდა და თქვა, საქართველოში პოლიტპატიმრები არიან და მათგან 17-ს შევხვდი კიდეცო. არსებობს აგრეთვე 1996 წლის ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის დასკვნა იმის შესახებ, რომ საქართველოში ნამდვილად არიან პოლიტიკური პატიმრები. ახლა ჩვენმა მთავრობამ რამდენიც უნდა იმდენი იძახოს, პოლიტპატიმრები არ გვყავსო.

**— არაერთი პოლიტპატიმარი შეიწყალა პრეზიდენტმა. თქვენი შეწყალების საკითხი არ დამდგარა?**

— არაფერი შესაწყალებელი ჩვენ არ გვჭირს და არც გვინდა. პოლიტპატიმართა შეწყალებით „ამათ“ შეუძლიათ ძალზე იოლად მოაგვარონ საკითხი. მსოფლიო საზოგადოების და მთელი რიგი ორგანიზაციების თვალში ისინი მართლები დარჩებიან, ჩვენ კი გამოვალთ კრიმინალები და ბანდიტები, რომლებმაც თავიანთი დანაშაული მოინანიეს. იმიტომ არ ვსხედვართ ციხეში, რომ შემდგომ დამნაშავის სახელით გავიდეთ აქედან.

***ხათუნა ყვირალაშვილი***

***(რედ) — ისევ წერილის დასაწყისს გავიმეორებთ — ძმათამკვლელი ბატალიები განსაკუთრებული ტკივილითაა დაღდასმული — მით უფრო, თუ მან შენს თვალწინ ჩაიარა, ლამის უშუალო მონაწილედ გაქცია და რომელსაც ბოლო წერტილის დასმა ალბათ დიდხანს არ უწერია.***

***ბუნებრივია, ინტერვიუერის ნათქვამს ალბათ ბევრი არ გაიზიარებს, მაგრამ ფაქტს ვერსად წაუვალთ — გვერდითაც ბევრი „ამოუდგება“...***

***მთავარი კი ის იქნება — თუ ერთსაც და მეორესაც, სხვადასხვა პოზიციაზე მყოფ მკითხველს სული დარდით აევსება, გული ეტკინება და ერთი საერთო ქართული საქმის კეთება მოუნდება...***

***მაგრამ აქამდე, როგორც ჩანს, ჯერ, სამწუხაროდ, შორია...***

# ქართველმა მესაზღვრეებმა თურქული სეინერები ფაქტზე „გაკოჭეს“...

საქართველო საინტერესო ქვეყანაა. პრობლემები მის „წაგრძელებულ“ ტერიტორიას ხან დასავლეთში, ხან აღმოსავლეთში, ხანაც კი ჩრდილოეთში პერმანენტულად უჩნდება. თუმცა საინტერესოა ის გარემოება, რომ ცენტრალური ხელისუფლება ყურადღებას მხოლოდ ერთი მიმართულების პრობლემაზე ამახვილებს და სხვებს თითქოსდა ივიწყებს.

ასე იყო გალის მოვლენების დროსაც, როდესაც აღმოსავლეთ საქართველო თითქმის „გაშიშვლებული“ დარჩა — კახეთში, კერძოდ კი თელავში, დისლოცირებული სადესანტო-მოიერიშე ბატალიონი ფოთში იქნა გადასროლილი, ხოლო იქვე განთავსებული შინაგანი ჯარების ბატალიონი კი საერთოდ გაუქმდა. კახეთი ბრძოლისუნარიანი ნაწილების გარეშე დარჩა.

დღეს, უფრო სწორად კი ორ-სამ თვეში, ჩეჩნეთის ომთან დაკავშირებით მოსალოდნელია სიტუაციის დაძაბვა საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით. საბედნიეროდ, მთავრდება შინაგანი ჯარების ბატალიონის აღდგენა თელავში.

გარკვეული დანაყოფები ყალიბდება თავდაცვის სამინისტროს აღმოსავლეთი მიმართულების დაჯგუფების ფარგლებშიც. ქართული მესაზღვრეებიც გრძნობენ, რომ გაზაფხულის დადგომისთანავე უნდა გაძლიერდეს კონტროლი საქართველო-რუსეთის საზღვრების ჩეჩნეთის მონაკვეთზეც.

მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რჩება ოპერატიული თვალსაზრისით რთული — დასავლეთის მიმართულება.

16 თებერვალს ქართველმა მესაზღვრეებმა საქართველოს ტერიტორიულ წყლებში სამი თურქული სეინერი დააკავეს. თითქოს ამ ფაქტს არაფერი უნდა ჰქონდეს საერთო ზემოხსენებულ მოვლენებთან, მაგრამ რეალობა ერთია: საქართველოს ტერიტორიული და განსაკუთრებით ეკონომიკური ზონის წყლების დაცვას უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს, რადგან შავი ზღვით ყოველთვის საზრდოობდნენ ჩვენში არსებული ექსტრემისტული დაჯგუფებები.

ასე იყო აფხაზეთის ომის პირველ პერიოდშიც, როდესაც ბლოკადაში დარჩენილი გუდაუთა ძირითადად სწორედ ზღვიდან მიწოდებელი საბრძოლო საჭურვლით ამზადებდა „გზის გაჭრას“ გაგრისა და განთიადის გავლით რუსეთისკენ.

დღეს შეიძლება სეპარატისტულ სოხუმს იარაღი და საბრძოლო ტექნიკა აღარ მიეწოდება საზღვაო გზებით (ამისთვის უკვე არსებობს სახმელეთო კავშირი რუსეთთან), მაგრამ ზღვა დღესაც დიდ როლს თამაშობს აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების ეკონომიკური კავშირებისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის ოფიციალური ხელისუფლება არ უშვებს მომენტს, არ აღნიშნოს თავისი საუკეთესო მეზობლური ურთიერთობა საქართველოსთან, ათობით თურქული სავაჭრო თუ სათევზაო გემი არღვევს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ წყლებს. გასაგებია, რომ თურქეთის მთავრობა ვერ შეძლებს აკონტროლოს თითოეული თევზსაჭერი კატარღა თუ სავაჭრო გემი, მაგრამ სწორედ ასეთ, ერთი შეხედვით უმნიშვნელო გემებს დიდი ზიანი მოაქვთ საქართველოს ინტერესებისთვის, პირველ რიგში კი პოლიტიკური თვალსაზრისით. თუკი გადაიკეტება თურქული სავაჭრო გემების შესვლა სეპარატისტების მიერ კონტროლებად პორტებში, მაშინ ამ უკანასკნელთა ეკონომიკური სტაბილურობაც საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება.

არადა დღეს აფხაზეთიდან გაიზიდება უშვიათესი ჯიშის ხეები და სხვა ბუნებრივი რესურსები, რითაც სეპარატისტული ხელისუფლება თავის მომავალ თაობას, პირდაპირი გაგებით — ძარცვავს (თუმცა სიმართლისათვის უნდა ითქვას, რომ არც საქართველოს ოფიციალური ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი აკლებს ხელს და ძალას ჩვენი უნიკალური ფლორისა და ფაუნის განადგურებას და მათ ფოთისა და ბათუმის პორტების გავლით თურქეთში გზავნის).

ქვეყნის სამხედრო ძლიერება პირდაპირ გადაჯაჭვულია მის ეკონომიკურ ძლიერებაზე, რის გარეშე არც ბრძოლისუნარიანი არმია შეიქმნება (სამწუხაროდ, როგორც ჩანს, ნელ-ნელა ამისკენ მივდივართ).

ამის ფონზე შედარებით კარგად მოჩანს ის ფაქტი, რომ ქართველმა მესაზღვრეებმა შეძლეს სამი თურქული გემის დაკავება, რომლებიც ფოთთან თევზის უკანონო რეწვას ეწეოდნენ.

ქართულ პრესაში გავრცელებული ხმების მიუხედავად, როგორც ბოლო ინფორმაციებით გაირკვა, სამივე თურქული თევზსაჭერი სეინერი ერთ-ერთი ქართული ფირმის მიერ იყო დაქირავებული. მათ იმის ლიცენზიაც ჰქონიათ, რომ საქართველოს ტერიტორიულ წყლებში თევზი დაეჭირათ, ოღონდ მხოლოდ ქაფშია და ისიც წვრილი ბადით, ზღვის ზედაპირზე. არადა თურქულ სეინერებს თურმე სიღრმული ტრალები ჩაუშვიათ ზღვაში, რომლებითაც ქაფშიის გარდა ყველაფერს დაიჭერს კაცი. ეს ფაქტი, მიუხედავად ზემოხსენებული ლიცენზიისა, მაინც ბრაკონიერობად შეიძლება შეფასდეს.

ტერიტორიული წყლები, სახმელეთო საზღვრები თუ საჰაერო სივრცე — ყველაფერი საქართველოს კუთვნილებაა და მათ ჯეროვნად დაცვა სჭირდება. არ შეიძლება რაიმე გამონაკლისი დაიშვას. იმედია, მოვა დრო და ჩვენი ხელისუფლება ჩვენივე ქვეყნის სამივე ამ ატრიბუტს სათანადოდ მოუფრთხილდება და არავის მისცემს მათი დარღვევის უფლებას.



# ჩათრევას ჩაყოლა სჯობს?!

გასულ კვირას აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვილაიეთ გულიაევმა ნახევრად ოფიციალურად თუ ნახევრად არაოფიციალურად განაცხადა, რომ შესაძლებელია „აზერბაიჯან-საქართველო-თურქეთის“ სამხედრო ალიანსი რეალობა გახდეს.

ძნელი სათქმელია, რად დასჭირდა აზერბაიჯანელ მაღალ ოფიციალურ პირს ასეთი არცთუ „სახუმარო“ განცხადების გაკეთება, მაგრამ ის კი ნათელია, რომ ამან ოფიციალური ერევნის დიდი შეშფოთება გამოიწვია.

ერევანში აღარ მალავენ, რომ ადეკვატური ზომების მიღებას დაიწყებენ და გაწევრდებიან რუსეთ-ბელორუსიის ახალშექმნილ კავშირში ან სულაც ჩამოაყალიბებენ მძლავრ სამხედრო თანამეგობრობას რუსეთ-სომხეთ-ირანის შემადგენლობით.

გასაგებია, რომ ბაქოსა და ერევანს ერთმანეთის მიმართ თავიანთი ანგარიშები აქვთ, მაგრამ რატომ უნდა გაიჭყლიტოს საქართველო ამ ახალ დაპირისპირებაში? მასში ხომ სომხეთსაც და აზერბაიჯანსაც თავიანთი მძლავრი სტრატეგიული სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირეების ჩაბმა სურთ, რამაც შეიძლება სამხრეთ კავკასიაში ახალი დაძაბულობა გამოიწვიოს.

არა გვგონია, რომ აუცილებელი იყოს საქართველოს ამა თუ იმ ზემოხსენებული დაჯგუფებისკენ გადახრა. თბილისი იყო ერთადერთი მთავარი ორგანიზატორი „სუუამ“-ის შექმნისა, რომელშიც საქართველოს გარდა, გაერთიანებული არიან უკრაინა, უზბეკეთი, აზერბაიჯანი და მოლდოვა. ეს სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ აღარ ვეძებოთ რაიმე ახალი გაერთიანება. მართალია, ჯერჯერობით „სუუამ“-ი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მსგავსად დიდი აქტიურობით არ გამოირჩევა, მაგრამ ადრე თუ გვიან ხომ დადგება დრო, რომ წმინდა პოლიტიკურმა „სუუამ“-მა მჭიდრო სამხედრო თანამშრომლობაზეც იფიქროს?!

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პირველი პირნი აცხადებენ რომ 2005 წლისთვის NATO-ში გაწევრების დიდ პერსპექტივას ხედავენ, დღევანდელ მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში ჩავარდნილ ქართულ შეიარაღებულ ძალებს ამ ნაბიჯის გადადგმა ძალიან გაუჭირდებათ, თუნდაც მარტო თავისი შეიარაღების NATO-ს სამხედრო სტანდარტებზე მისასადაგებლად. ამიტომაც „სუუამ“-ი შეიძლება იქცეს საუკეთესო ტრამპლინად ზემოხსენებული ხუთი ქვეყნის მსოფლიო სტანდარტებთან დასაახლოებლად.

ისე, ამ სტატიის ავტორი თავად იყო მოწმე, თუ ათენში, საბერძნეთის მაღალჩინოსანი სამხედროები როგორ ცდილობდნენ მოესინჯათ ნიადაგი ქართულ სამხედრო დელეგაციასთან — როგორ მიგაჩნიათ, რეალურია თუ არა საბერძნეთ-რუსეთ-სომხეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი?

NATO-ს წევრი ქვეყნისგან ამის გაგონება ჯერ კიდევ 1997 წლის დასაწყისში ერთი მხრივ, საინტერესო იყო, თუმცა სხვა მხრივ, მრავალ რთულ კითხვას ბადებდა.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ სამხრეთ კავკასიაში უფრო და უფრო რეალური ხდება ახალი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკების შექმნის საშიშროება.

რეალურად, რუსეთს სომხეთთან უკვე გაფორმებული აქვს 25 წლიანი სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის ხელშეკრულება და თავისი სამხედრო კონტინგენტიც ჰყავს განთავსებული სამხრეთ კავკასიის ამ რესპუბლიკაში. აქედან გამომდინარე, აზერბაიჯანი უფრო და უფრო აღრმავებს სამხედრო-პოლიტიკურ ურთიერთობას თავის უფროს ძმასთან — თურქეთთან. ბუნებრივია, კენტად რჩება ერთადერთი საქართველო, რომლის გადაბირება ორივე ძალას სურს. სურს შეიძლება არა იმდენად საქართველოს სამხედრო ძლიერებიდან გამომდინარე (სამწუხაროდ), არამედ ჩვენი ქვეყნის სტრატეგიულად მომგებიანი მდებარეობისა და პირველ რიგში კი შავ ზღვაზე გასასვლელის გამო (ბოროტი ხმები იმასაც ამბობენ, რომ სომხურმა დიასპორამ სომხეთის თავდაცვის სამინისტროს საბერძნეთში სამი სამხედრო გემიც უყიდა და ახლა ფიქრობენ, რომელ პორტში განათავსონო).

რა თქმა უნდა, არ იქნება ურიგო, თუ საქართველო სამხედრო-პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს აირჩევს და შვეიცარიის მსგავს პოზიციას დაიკავებს. მაგრამ ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ისტორია იმის მაგალითია, რომ ევროპულ შვეიცარიასავით სამხრეთკავკასიურ საქართველოს არავინ მისცემს მშვიდი ცხოვრების საშუალებას. ადრე თუ გვიან ჩვენს პოსტსაბჭოურ ქვეყანას მოუწევს რომელიმე გავლენიანი ქვეყნის ფრთებქვეშ თავის შეფარება, რადგან დღეს მსოფლიოში გავლენის სფეროების გადანაწილების პროცესი მწვერვალზეა. ხოლო რომელიმე მეორეხარისხოვან (მსოფლიო მასშტაბებით) ქვეყანასთან „შეკედლებას“, ეტყობა, მაინც უზარმაზარი გავლენის მქონე ჩრდილოატლანტიკურ ბლოკთან ალიანსი სჯობდეს.

# რუსეთის „რადიოშპიონაჟის“ ქსელი საქართველოსაც მოსწვდება

რამდენიმე დღის წინ ჩრდილო კავკასიაში ახალი, ძალზე გასაიდუმლოებული ობიექტების მშენებლობა დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ მის შესახებ ყველა მონაცემი დახურულია, თავად რუსულ პრესაში გაჟონა ინფორმაციამ, რომლის თანახმადაც, ჩრდილო ოსეთში (შეიძლება დაღესტანშიც) რუსი მეკავშირეები იწყებენ გრანდიოზული სპეციალური კავშირგაბმულობის სისტემის შექმნას; იგი მოუსმენს რადიოეთერს არა მარტო ჩრდილო კავკასიაში, არამედ საქართველოს და ნაწილობრივ აზერბაიჯანის ტერიტორიაზეც.

ამ ოპერაციის კოდური სახელწოდებაა „ექსპერიმენტი-99“ და მას რუსეთის სამთავრობო კავშირისა და ინფორმაციის სააგენტო — ФАПСИ ახორციელებს. ოპერაციის მთავარი მიზანია შექმნან რადიოეთერის მუდმივი მონიტორინგი ჩრდილო კავკასიაში. მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, რადიოტალღები ყველა მიმართულებით ვრცელდება, ამიტომაც ФАПСИ-ს შეუძლია მოისმინოს რადიოსაუბრები არა მარტო ჩეჩნეთის, დაღესტნისა თუ ინგუშეთის ტერიტორიებზე, არამედ საქართველოში მიმდინარე რადიოგადაცემებით, მათ შორის კი ქართული ხელისუფლების მიერ წარმოებული დახურული რადიოსაუბრებიც.

ერთი შეხედვით, მოსკოვი ამ ძვირადღირებულ ოპერაციას გამართლებას უძებნის — ჩეჩნეთში მიმდინარეობს ანტიტერორისტული მოქმედებები და ამიტომაც ჩვენ აუცილებლად გვჭირდება იმ რადიოეთერის გაკონტროლება, რომლის საშუალებითაც ჩეჩენი მებრძოლები ერთმანეთს უკავშირდებიანო.

რეალურად კი ასეთი რადიოსისტემები მეზობელი ქვეყნების რადიოეთერის მისაყურადებლადაც გამოდგება. ამის დასამტკიცებლად შორს წასვლა სულაც არ არის საჭირო. საბჭოთა პერიოდში, თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს „შეკვეთით“ საბჭოთა კავშირის თითქმის მთელ პერიმეტრზე განთავსებული იყო რადიომიყურადებების მძლავრი ცენტრები.

ერთ-ერთი ასეთი ობიექტი საქართველოში, კერძოდ კი დუშეთში იყო განთავსებული. იგი რამდენიმე ფუნქციას ასრულებდა, მათ შორის თურქეთისა და ახლო აღმოსავლეთის გარკვეულ ტერიტორიაზე მიმდინარე რადიოსაუბრების მოსმენას, აგრეთვე გარკვეული რადიოსიხშირეების ჩახშობას. ბაზალეთის ტბის სიახლოვეს „გაშლილი“ მაღალი ანტენების „ტყე“ ალბათ ბევრს უნახავს, იგი იმ დროისთვის „მტრად მონათლული“ „ამერიკის ხმისა“ და „თავისუფლების“ რადიოსიხშირეების ჩახშობას ემსახურებოდა.

იმის მტკიცება, რომ დღემდე საქართველოს ხელისუფლებისა თუ სამხედრო უწყებების დახურული რადიო და სატელეფონო კავშირების „გახსნას“ არავინ ცდილობს, გულუბრყვილობა იქნება. თბილისში რამდენიმე ქვეყნის საელჩოს ტერიტორიაზე განთავსებული უნდა იყოს რადიო-სატელეფონო კავშირის სადაზვერვო მოწყობილობები, ხოლო საბურთალო-ვაკის გზაზე არსებული რუსეთის ჯარების ჯგუფის შტაბის შენობის თავზე ასეთი რადიომისაყურადებელი სისტემის მთელი კომპლექსია დამონტაჟებული.



ჩვენ კი ერთი რამ დაგვრჩენია, გვახსოვდეს: „ნუ ილაყბებ ტელეფონზე, მას შეიძლება მოწინააღმდეგე უსმენდეს!“

# მკითხველის სვეტი

**გთხოვთ მოგვითხროთ ფრანგულ-გერმანული დამრტყმელი შვეულმფრენის "TIGER"-ის შესახებ.**

***ირაკლი მაისურაძე***



„ბებერ“ ევროპას მართალია, NATO-ს შტაბბინა აქვს „შეფარებული“, მაგრამ მაინც ძირითადად სამხედრო საკითხებში თეთრი სახლისა და პენტაგონის გავლენის ქვეშ იმყოფება. ამიტომაც ევროპის წამყვანი ქვეყნები „ალაგ-ალაგ“ ცდილობენ თავისი დამოუკიდებლობაც აჩვენონ, რაც ძირითადად იმით გამოიხატება, რომ ეროვნული წარმოების საბრძოლო ტექნიკა მიიღონ შეიარაღებაში; მაგრამ მდიდარი ამერიკისგან განსხვავებით, ცალ-ცალკე არც საფრანგეთს, არც დიდ ბრიტანეთს და არც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას ძალა არ შესწევთ, შექმნას და სერიულად აწარმოოს თანამედროვე ძვირადღირებული საბრძოლო ტექნიკის სახეობები.

ერთადერთ გამოსავალს მხოლოდ ძალების გაერთიანება წარმოადგენს. სწორედ ასე შეიქმნა ფართო დანიშნულების მქონე „ტორნადოები“ და გამანადგურებელ-ბომბდამშენი „იაგუარები“. ამ თვითმფრინავებმა შეამცირეს ამერიკული F-15-ებისა და F-16-ების ექსპანსია დასავლეთ ევროპაში.

თვითმფრინავების მსგავსად, პენტაგონს სურდა მის AH-64 „აპაჩის“ ტიპის საბრძოლო შვეულმფრენებს „დაეპყროთ“ ევროპის ბაზარი. დიდმა ბრიტანეთმა ვერ გაუძლო ამ დაწოლას, სამაგიეროდ, გერმანიამ და საფრანგეთმა გადაწყვიტეს, გაერთიანებული ძალებით შეექმნათ საბრძოლო შვეულმფრენი, რომელიც ღირსეულ წინააღმდეგობას გაუწევდა ამერიკულ „აპაჩს“.

ამის შესახებ ხელშეკრულება ბონსა და პარიზს შორის 1987 წელს დაიდო. ფრანგულმა „აეროსპასიალმა“ და გერმანულმა „მესერშმიტ-ბელკოვ-ბლომმა“ შექმნეს საცეცხლე დარტყმის შვეულმფრენი UHU „Tiger“-ი გერმანიისთვის და HAP/HAC-3 საფრანგეთისთვის.

უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროისთვის (და დღესაც) ამ ორ ქვეყანას საკმაოდ მოძველებული საბრძოლო შვეულმფრენები ჰყავდა შეიარაღებაში. მათ წმინდა საბრძოლო არც ეთქმოდა, რადგან გერმანული BO-105P და ფრანგული SA-342M „გაზელი“ რაკეტებით შეიარაღებულ სამოქალაქო შვეულმფრენებს წარმოადგენდნენ და რაიმე სერიოზული ჯავშანი არ გააჩნდათ. იმ დროისთვის, წმინდა საბრძოლო შვეულმფრენებს მხოლოდ საბჭოთა Ми-24, ამერიკული AH-1 „კობრა“ და AH-64 „აპაჩები“ განეკუთვნებოდნენ.

გერმანულ-ფრანგულმა ერთობლივმა „Tiger“-მა პირველი გაფრენა 1991 წლის 29 აპრილს განახორციელა. მისი სქემა საკმაოდ წააგავს ამერიკული „აპაჩისა“ და რუსული Ми-28-ისას (ამ უკანასკნელთან მსგავსება უცნაური სულაც არ არის, რადგან თავად Ми-28 რუსმა კონსტრუქტორებმა ძირითადად „აპაჩისგან“ გადმოიღეს).

„Tiger“-ის ეკიპაჟი ორი კაცისგან შედგება. მფრინავი წინა კაბინაში ზის, ხოლო მსროლელი-ოპერატორი — მეორეში, რაც საკმაოდ უცნაურია, რადგან მსოფლიოს სხვა საბრძოლო შვეულმფრენებში ყველაფერი პირიქითაა. მისი მაქსიმალური ასაფრენი მასა 6 ტონაა და შეუძლია განავითაროს მაქსიმალური 280 კმ/სთ სიჩქარე. შვეულმფრენი შეიარაღებულია 8 ცალი ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტით „HOT-2“-ით, 30 მმ კალიბრის საავიაციო ქვემეხით (450 ჭურვის მარაგით) და 44 უმართავი საავიაციო რაკეტით.

სულ დაგეგმილია გამოშვებულ იქნას 215 შვეულმფრენი საფრანგეთისთვის, 212 — გერმანიისთვის და 200 ერთეულამდე კი საექსპორტოდ.

***გვერდი მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

# შევარდნაძის დავალებით ინაური დიდხანს ეძებდა ჟვანიას

*1975 წლის 22 ივლისს სოხუმში, საოლქო კომიტეტის შენობის მახლობლად მოხდა ძლიერი აფეთქება, რომლის შედეგად დაიღუპა რუსეთიდან დასასვენებლად ჩამოსული ახალგაზრდა მამაკაცი სერგეი ლევიტინი. სხეულის მძიმე დაზიანება მიიღეს ასევე სტუმრად მყოფმა დამსვენებლებმა — ბულგაკოვამ და ელეფთეროვამ. სამართალდამცავმა ორგანოებმა იმავე დღეს დაადგინეს, რომ აფეთქება გამოიწვია საოლქო კომიტეტის მახლობლად, სანაგვე ყუთში მოთავსებულმა თვითნაკეთმა ბომბმა. რესპუბლიკის უშიშროების კომიტეტისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველაზე გამოცდილ თანამშრომელთა დიდი ძალისხმევის მიუხედავად, პირი, რომელმაც ბომბი ააფეთქა, ვერაფრით იპოვეს.*

*რამდენიმე თვის შემდეგ მსგავსი აფეთქებები საქართველოს კიდევ ორ ქალაქში, თბილისსა და ქუთაისშიც მოხდა. რესპუბლიკის ცკ-ის პირველმა მდივანმა ედუარდ შევარდნაძემ საქართველოს სუკ-ის ხელმძღვანელს, გენერალ-პოლკოვნიკ ალექსი ინაურს მკაცრად მოსთხოვა დამნაშავეთა დადგენა...*

## უმაღლესი სასჯელი

დიდი ხნის მანძილზე საქართველოს რიგითი მოქალაქეებისთვის ამ აფეთქებათა შესახებ პრაქტიკულად არაფერი იყო ცნობილი — იმ პერიოდში მსგავსი ინფორმაციები პრესითა და ტელევიზიით არ ვრცელდებოდა. სამაგიეროდ, დანაშაულთა სერიას უდიდესი აჟიოტაჟი მოჰყვა შესაბამის სამთავრობო სტრუქტურებსა და პარტიის ცენტრალურ კომიტეტში. იქ მეტად შეშფოთებულნი იყვნენ აღნიშნულ დივერსიათა გამო და როგორც ამბობენ, სერიოზულად განიხილავდნენ ვერსიას უცხოელ ჯაშუშთა დესანტის თაობაზე...

დროთა განმავლობაში ამ მითქმა-მოთქმამ სამთავრობო კაბინეტებიდან ქუჩაშიც გამოაღწია, თუმცა, უძლეველი სუკ-ის შიშით აღნიშნულ თემაზე მხოლოდ ჩურჩულით თუ ბედავდნენ საუბარს: „გაიგეთ? ამერიკელ „შპიონებს“ კიდევ ერთი ბომბი აუფეთქებიათ. ამბობენ, ახლა შევარდნაძის ლიკვიდაცია სურთო. თურმე, თბილისის ოპერაც მაგათი დამწვარია...“ და კიდევ, სხვა მრავალი ვერსია...

ეს იყო და ეს. სხვა მხრივ კი საბჭოთა რესპუბლიკა, ისევე, როგორც მთელი საბჭოთა კავშირი, მშვიდად და ბედნიერად ცხოვრობდა, ასრულებდა გეგმებს, მონაწილეობდა სოცშეჯიბრებებში, აშენებდა კომუნიზმს და ა.შ. მალე დივერსიები ყველამ მიივიწყა.

გავიდა ერთი წელი და საქართველოს ქალაქებში მომხდარი აფეთქებები ისევ №1 საჭორაო თემად იქცა. ამის მიზეზი თბილისში დასრულებული „დახურული“ სასამართლო პროცესი გახდა, სადაც ქართველ კაცს, 42 წლის ვლადიმერ (ვალიკო) გრიგოლის ძე ჟვანიას სასჯელის უმაღლესი ზომა, დახვრეტა მიუსაჯეს. გავრცელებული ხმების თანახმად, ასეთი სასჯელი მას 1975-1976 წლებში, სოხუმში, თბილისსა და ქუთაისში განხორციელებული ტერორისტული აქტების გამო შეუფარდეს. და კვლავ აგორდა მითქმა-მოთქმათა ტალღა: „ჟვანია „ცერეუს“ მოუსყიდავს, საქართველოში მისთვის ძირგამომთხრელი სამუშაოების შესრულება დაუვალებია, მილიონ დოლარსა და ამერიკაში წაყვანას შეჰპირებია...“ ბევრისთვის სწორედ იმხანად გახდა ცნობილი ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას სახელებიც, რომელთაც ბრალდებულის დასაცავად აღუმაღლებიათ ხმა. მანამდე კი...

## „ანტი“

ვლადიმერ ჟვანია 1935 წელს ქუთაისში დაიბადა. 12 წლის იყო, როდესაც მისი ოჯახი საცხოვრებლად თბილისში გადავიდა. იქ დაამთავრა 28-ე საშუალო სკოლის რვა კლასი. 20 წლამდე სხვადასხვა ადგილას მსახურობდა. შემდეგ ის დააპატიმრეს და სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ამის მიზეზი იყო ჟვანიას სურვილი, დაეტოვებინა საბჭოთა კავშირის ტერიტორია — 1955 წლის 26 ოქტომბერს იგი შესაბამისი ნებართვის გარეშე ჩავიდა აჭარის ერთ-ერთ, სასაზღვრო ზონაში მდებარე სოფელში, საიდანაც თურქეთში გადასვლას ცდილობდა. საბჭოთა მესაზღვრეებმა ჟვანია მდინარე ჭოროხთან შეიპყრეს...

სასჯელის მოხდის შემდეგ სოხუმში, ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა. მუშაობდა მშენებლობაზე, პარალელურად სწავლობდა ღამის სკოლაში, რომელიც 1962 წელს დაამთავრა. იმავე წელს, მეგობრებთან ერთად ქუჩაში ჩხუბი მოუვიდა, რომლის დროსაც ჟვანიას ერთ-ერთი მოწინააღმდეგე სერიოზულად დაშავდა. როდესაც მილიციამ ჩხუბის მონაწილენი დააკავა, ვლადიმერმა, როგორც პასუხისგებაში ერთხელ უკვე ნამყოფმა, ბრალი საკუთარ თავზე აიღო. დაკავებულთაგან მხოლოდ ის გაასამართლეს და ექვსწლიანი პატიმრობაც მიუსაჯეს. მალე ჟვანია გარბის კოლონიიდან. მას იჭერენ და სასჯელს კიდევ ორ წელიწადს უმატებენ. მცირე ხანში პატიმარი კვლავ გარბის. ისევ იჭერენ, დამატებით ისევ ორი წელი... 1972 წელს, სასჯელი სრულად რომ მოიხადა, 37 წლის ვლადიმერ ჟვანიას უკვე 13 წელი ჰქონდა გატარებული საპატიმრო ადგილებში. აქედან დიდი ნაწილი — ციმბირის უმკაცრეს „ლაგერებში“. ამ ხნის მანძილზე ჯანმრთელობა მეტისმეტად შეერყა, მეორე ჯგუფის ინვალიდად იქცა, სათვალის გარეშე თითქმის ვერაფერს ხედავდა.

მეორე მხრივ, ეს 13 წელიწადი მას ფუჭად არ გაუტარებია. საპატიმროებში ყოფნისას ასობით წიგნი წაიკითხა, ბრწყინვალედ შეისწავლა მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ინგლისური ენა. მოგვიანებით, მის საკანში მყოფი პატიმრები იხსენებდნენ, რომ ჟვანიას მუდამ წიგნით ხელში ხედავდნენ. ამასთან, ცოტა არ იყოს, აკვირვებდათ მისი აზრებიც — ვლადიმერი ხშირად საუბრობდა სსრკ-დან საქართველოს გამოყოფაზე... იმ დროს მსგავსი რამ წმინდა წყლის უტოპიად ჩანდა, რომ აღარაფერი ვთქვათ რეალურ საშიშროებაზე. „ანტებს“ ხომ საბჭოთა მართლმსაჯულება სასტიკად უსწორდებოდა.

სწორედ ციხეებსა და კოლონიებში ყოფნისას გადაწყვიტა ჟვანიამ ქართველების გამოღვიძება და ამისათვის საუკეთესო საშუალებად პირველ ეტაპზე აფეთქებები მიიჩნია...

## დივერსიული აქტები

პირველი აფეთქების ადგილად ვლადიმერ ჟვანიამ გაგრის რაიკომის შენობის გვერდით მდებარე პატარა მოედანი აირჩია. ბომბიც იქვე, მახლობლად დაამზადა — ზღვის პირას, უკაცრიელ ადგილზე. შემდეგ გაზეთში გაახვია და რაიკომისკენ გაეშურა, მაგრამ როდესაც მიუახლოვდა, შენიშნა, რომ შენობასთან უამრავი ადამიანი იმყოფებოდა და აფეთქებას აუცილებლად მსხვერპლი მოჰყვებოდა. ბუნებით კაცთმოყვარე ჟვანიასთვის ასეთი შედეგი წარმოუდგენელი იყო, ამიტომ ბომბი სულ სხვა ადგილას, გაგრის ფოსტის უკან, ნაგავსაყრელთან დადო და მომართა... იქ ხალხი არასოდეს იკრიბებოდა და მსხვერპლიც გამორიცხული იყო, მაგრამ ბომბი არ აფეთქდა. როგორც ჩანს, მექანიზმში რაღაც უზუსტობებს ჰქონდა ადგილი.

ერთი თვის შემდეგ ჟვანია სოხუმში ჩავიდა. იქაც შეარჩია და დაზვერა ადგილი, სადაც აფეთქება უნდა მოეწყო. როდესაც დარწმუნდა, რომ იქ აფეთქებული ბომბი არავის დააზიანებდა, განზრახულის განხორციელებას შეუდგა. 1975 წლის 22 ივლისს ასაფეთქებელი მოწყობილობით ხელში იგი საოლქო კომიტეტის შენობას მიუახლოვდა და ის იყო, ბომბი კიბის მახლობლად უნდა დაეგდო, რომ შენობიდან ფორმაში გამოწყობილი რამდენიმე მილიციელი გამოვიდა. ჟვანია ანერვიულდა და დაიბნა. გზა განაგრძო, კუთხეს მოეფარა, ბომბი ნაგვის ყუთში ჩადო და იქაურობას გაეცალა. რამდენიმე წამში აფეთქების გამაყრუებელი ხმა გაისმა.

როგორც უკვე მოგახსენეთ, ამ აფეთქებამ ერთი მამაკაცის სიცოცხლე და ორი ქალბატონის ჯანმრთელობა შეიწირა. ჟვანია შოკირებული იყო. მსხვერპლის გამო იმდენად ინერვიულა, რომ ლოგინად ჩავარდა და ერთი კვირის მანძილზე საჭმელს ვერ ჭამდა. ბევრი ფიქრის შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მომავალში როგორმე აბსოლუტურად უნდა გამოერიცხა მსხვერპლი, თუ არადა, ამგვარ ქმედებებზე საერთოდ უარი უნდა ეთქვა.

1976 წლის 23 მარტს ვლადიმერ ჟვანია თბილისში ჩამოვიდა, ასაფეთქებელი ნივთიერებანი თავიდან შემნახველ საკანში, შემდეგ კი საბურთალოზე, ზაქარიაძის ქუჩაზე ნაქირავებ ერთოთახიან ბინაში გადაიტანა. იქვე დაამზადა მძლავრი ბომბიც, რომელიც 3კგ ამონიტის, ორი კაფსულის, ორი ცეცხლგაუმტარი ზონრისა და ელექტრომაალებლისაგან შედგებოდა. 12 აპრილს ჟვანიამ ქალაქის ცენტრს მიაშურა...

„საღამოს 5-6 საათისთვის ამოვედი მეტრო „ლენინის მოედნიდან“ და რუსთაველის გამზირით მთავრობის სასახლისკენ გავემართე. კიბეზე ასვლის დროს ჩემს მახლობლად არავინ იყო. გამოვაძრე 50 სმ სიგრძის ზონარი, ელექტრომაალებლით და ელემენტით ჩავრთე კონტაქტი. ელექტრომაალებელმა იფეთქა, ზონარს მოეკიდა და მეც ბომბი იმ მხარეს ვისროლე, სადაც შემდეგ აფეთქება მოხდა. ნელა ჩამოვედი კიბეზე, მერე ნაბიჯს ავუჩქარე და მივედი ქუჩის გადასასვლელთან, კინოთეატრ „რუსთაველის“ წინ. გზას მწვანე შუქი მინათებდა. გადავსერე გზა, კინოთეატრის გვერდით მდებარე ქუჩას ჩავუყევი და კოლმეურნეობის მოედანზე გავედი. იქ გავიგონე აფეთქების ხმა. ერთი საათის შემდეგ დავბრუნდი რუსთაველის გამზირზე და იქ შეჯგუფულ ხალხში გავერიე. ჩოჩქოლი იყო. მილიციას გზები გადაეკეტა. ერთ ოფიცერს შევეკითხე, ვინმე ხომ არ დაშავდა-მეთქი. არაო, მიპასუხა. მე ვზეიმობდი, როცა ვნახე, მსხვერპლი არ იყო“.

აფეთქების შედეგად დაზიანდა საქართველოს მინისტრთა საბჭოსა და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, ასევე ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა სასახლის შენობები. რაც შეეხება თავად ბომბს, ის მეტად ორიგინალურად გამოიყურებოდა — მის ზედაპირზე ქართული და რუსული ასოებით მკაფიოდ ეწერა, რომ ეს იყო ბომბი, რომელიც მალე აფეთქდებოდა და მისი მპოვნელი სასწრაფოდ უნდა გასცლოდა იქაურობას. ჟვანია იმედოვნებდა, რომ თუ მის მიერ გადაგდებულ ბომბს ვინმე მიუახლოვდებოდა, გამაფრთხილებელი წარწერა ასეთ ცნობისმოყვარეს უმალ დააფრთხობდა და მსხვერპლიც აღარ იქნებოდა...

მსგავსი ბომბი ჩაიტანა მან ქუთაისშიც: „თან საათის მექანიზმი (მაღვიძარა) დავუყენე და სრულიად უსაფრთხოდ მიმაჩნდა. წარწერა ისე კარგად ჩანდა, რომ ადამიანი უცებ შეამჩნევდა მას, მოერიდებოდა და სხვასაც მოარიდებდა.“

ქუთაისში 14 აპრილის დილას ჩავიდა. მაშინვე იკითხა უახლოესი აბანო. მიასწავლეს. ჟვანიამ ცალკე ნომერი იქირავა, შიგნიდან საგულდაგულოდ ჩაიკეტა, ჩანთიდან ასაფეთქებელი მოწყობილობები ამოალაგა და ბომბის დამზადებას შეუდგა. დაახლოებით 20 წუთში მოათავა საქმე, დააყენა აფეთქების დრო, ბომბი ჩანთაში დამალა და აბანოდან გამოვიდა. მის მიერ წინასწარ შერჩეული ადგილი საქალაქო კომიტეტის მახლობლად მდებარეობდა, მაგრამ როდესაც ამ ტერიტორიას მიუახლოვდა, შენიშნა, რომ იქ უამრავი ხალხი იყო და აფეთქება არაერთი ადამიანის სიკვდილს გამოიწვევდა.

ჟვანიამ მაჯის საათს დახედა — აფეთქების დრო ახლოვდებოდა! სასწრაფოდ უნდა მოეცილებინა ბომბი. „საშიში იყო, რომ ბომბი აფეთქდებოდა და თუ ხალხში ვიქნებოდი, გამაფრთხილებელი ყვირილის ატეხა მომიხდებოდა. ხალხი გამეცლებოდა, მაგრამ მე ჩავვარდებოდი: ან ბომბის, ან ჩეკისტების მსხვერპლი გავხდებოდი. საერთოდ, მაღვიძარა საათებს სჩვევიათ ხან ცოტა გვიან, ხან კი ადრე ამუშავება და ყოველ წამს ველოდი აფეთქებას. შევედი ერთ პატარა სკვერში, სადაც ხალხის ჭაჭანებაც არ იყო. მოშორებით რაღაც სავაჭრო ფარდულში ქალი ფუსფუსებდა. სკამი, სადაც მე დავჯექი, გზიდან მოშორებით იდგა. იქვე დავდე ბომბი, შემდეგ ავდექი და სწრაფი ნაბიჯით წავედი სადგურისკენ. 500-600 მეტრის გავლის შემდეგ აფეთქების ხმა შემომესმა. სანამ სადგურამდე მივიდოდი, მტკიცედ გადავწყვიტე, რომ აფეთქებები ჩემი მოქმედებიდან აბსოლუტურად უნდა გამომერიცხა, რადგან რაც არ უნდა ზომები მიმეღო, მუდამ იარსებებდა გაუთვალისწინებელი გარემოებები და ყოველთვის იქნებოდა მსხვერპლის გაჩენის საშიშროება.“

## წერილი-მიმართვა

ერის გამოღვიძების მომდევნო ეტაპად ვლადიმერ ჟვანიას აგიტაცია-პროპაგანდა მიაჩნდა. იგი აპირებდა მიმართვებისა და განცხადებების ტექსტების შედგენას, მათ გამრავლებას, გავრცელებას, მაგრამ ამისთვის ფული იყო საჭირო, ჟვანია კი ყოველთვის ხელმოკლედ ცხოვრობდა. ამიტომაც გადაწყვიტა ეფექტური შინაარსის წერილები დაეგზავნა არალეგალური მილიონერებისათვის და ფული მოეთხოვა.

„საქართველოს განთავისუფლების ფრონტის ანტიკომუნისტური ტერორისტული ჯგუფი იბრძვის 1921 წელს რუსეთის მიერ დაპყრობილი საქართველოს განთავისუფლებისთვის და ჩეკისტი შევარდნაძისა და მისი ხროვის გადადგომისა ან მოსპობისათვის! ის ტერორისტული აქტები, რომლებიც საქართველოს არაერთ ქალაქში განხორციელდა, ჩვენი მოწყობილია! ჩვენ ჯავრს ვიყრით წითელ აქტივისტებზე და მოვსპობთ მათ! კომუნისტების წინააღმდეგ ყველა საშუალება მისაღებია, მაგრამ ამ ბრძოლისთვის საჭიროა ფულადი სახსრები.

ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ ადვილად შეგიძლიათ დაგეგმართო და გადმოგვეცით ათასი მანეთი. ამ ფულს მალევე მიიღებთ უკან. უარი არ გვაკადროთ, თორემ გაგანადგურებთ! ფულის გადმოცემის საშუალებას მოგახსენებთ გაცნობებთ.“

1976 წლის 12 მაისს აღნიშნული წერილი მიიღო აჭარის კურორტვაჭრობის გენერალურმა დირექტორმა ეგარსლან ლომაძემ. ის დიდხანს ფიქრობდა, რას ნიშნავდა ყოველივე. ხუმრობას აშკარად არ ჰგავდა — ასე მაშინ არავინ ხუმრობდა. ნუთუ, მართლაც ტერორისტების მიერ გამოგზავნილი წერილია? არადა, იქ ნახსენები აფეთქებების შესახებ ლომაძესაც სმენია რაღაც-რაღაცები... იქნებ, ამჯერად თავად არის ტერორისტების მორიგი სამიზნე? მილიონერ ეგარსლანს კიდევ ერთი ვერსიაც ჰქონდა — „იქნებ, „ობეხე“ მიწყობს პროვოკაციას?“ და გენდირექტორმა გადაწყვიტა, უშიშროების კომიტეტისთვის მიემართა...

საქართველოს სუკ-ისთვის ის პერიოდი ნამდვილად არ იყო წარმატებული: ჯერ კიდევ საიდუმლოებით იყო მოცული აჭარის უშიშროების შეფის, ტიტე ჩიქოვანის თვითმკვლელობის (თუ მკვლელობის) ისტორია; საბჭოთა კავშირი მიატოვეს და საზღვარგარეთ გაიქცნენ ქართველ ტურისტთა ჯგუფის წევრები; ახლა კიდევ ეს აფეთქებები! თითქმის ერთი წელი გასულიყო და ძლევამოსილი სუკი უძლური გახლდათ დაედგინა აფეთქებელთა ვინაობა... აჭარის სუკ-ისკენ მიმავალი ეგარსლან ლომაძე ვერც კი წარმოიდგენდა, რომ საქართველოს უშიშროების კომიტეტის შელახული პრესტიჟის აღსადგენად მიბრძანდებოდა...

სუკ-ში ყურადღებით მოუსმინეს ლომაძეს. შეისწავლეს მის სახელზე მოსული წერილიც და ამის შემდეგ გენდირექტორს ინსტრუქტაჟი ჩაუტარეს: „მოიქეცით ისე, როგორც აქამდე იქცეოდით. არ შეიცვალოთ დღის განრიგი. ჩვენთან ყოფნისა და წერილის შესახებ არავის არაფერი აცნობოთ. თუ ისევ გამოვლენ კონტაქტზე და ფულს მოგთხოვენ, დათანხმდით. დაუნიშნეთ შეხვედრის დრო და ადგილი და დაუყოვნებლივ დაგვიკავშირდით.“ ჩეკისტებმა მაშინვე მიამაგრეს ლომაძეს ფარული მოთვალთვალენი და მისი ტელეფონის ნომერიც შესაბამის განყოფილებას გადასცეს... სწორედ ლომაძე იყო ის ერთადერთი რეალური ძაფი, რომელიც სუკ-ს ხელში ჩაუვარდა და რომლის საშუალებითაც, როგორც იქნა, გაჩნდა დივერსანტთა დაკავების შესაძლებლობა... ცდა დიდხანს არ დასჭირვებიათ.

15 მაისს, დილის 11 საათზე კურორტვაჭრობის ხელმძღვანელის კაბინეტში ტელეფონმა დარეკა. უცნობმა მამაკაცმა ეგარსლანს ჰკითხა, მიღებული ჰქონდა თუ არა მას განთავისუფლების ფრონტის მიმართვა და თანახმა იყო თუ არა ფულის გადახდაზე.

— რა თქმა უნდა, თანახმა ვარ, თუმცა მეტისმეტად დიდ თანხას ითხოვთ. ამჟამად 300 მანეთზე მეტი თან არ მაქვს. თუ არ გეცოტავებათ, შეგიძლიათ დღესვე მობრძანდეთ და წაიღოთ.

— მე 20 წუთში ვიქნები თქვენთან!

აღელვებულმა ლომაძემ ყურმილი დაკიდა და იმწამსვე ახალი ზარიც გაისმა. ეს უკვე ჩეკისტები იყვნენ: „ნუ ინერვიულებ. მშვიდად შეხვდი და დანიშნული ფული გადაეცი. ჩვენ ვაკონტროლებთ სიტუაციას.“

ზუსტად 20 წუთის შემდეგ გენდირექტორის კაბინეტში უცნობი მამაკაცი შემოვიდა. ეგარსლანი ინტერესით ათვალიერებდა მოსულს. ეს იყო დაახლოებით 40 წლის, გამხდარი, სანდომიანი სახის კაცი. სათვალე ეკეთა. წარამარა მუჭში ახველებდა. ლომაძეს ტერორისტი სულ სხვაგვარად ჰყავდა წარმოდგენილი.

სტუმარი კარგა ხანს ვერ ახერხებდა საუბრის დაწყებას, ეტყობა, ძალიან ნერვიულობდა. ჩუმად იდგა და იშმუშნებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, ამოღერღა, მე ფულის თაობაზე გეახელითო. ლომაძემ მას 30 ცალი თუმნიანი მიაწოდა და თანხის გადათვლა სთხოვა. არა, როგორ გეკადრებათო, ჩაილაპარაკა მოსულმა, სწრაფად დაემშვიდობა მილიონერს და კაბინეტიდან გავიდა.

ვლადიმერ ჟვანია აჭარის კურორტვაჭრობის სამმართველოს შენობიდან გასვლისთანავე დააკავეს.

## პროცესზე წარმოთქმული სიტყვა

„ ...ჩემი აზრით, საქართველოს უმაღლეს საბჭოში არჩეული უნდა იყვნენ გამოცდილი იურისტები, ეკონომისტები, ფილოსოფოსები, რომ სწორად წარმართონ ქვეყნის მდგომარეობა. საქართველოში ცუდად დგას ენის საკითხი. ქართველებს ავიწყდებათ მშობლიური ენა, შემოდის ბარბარიზმები. ხდება მოსახლეობის გარუსება და რაც დრო გადის, ეს პრობლემა ძლიერდება.

...საქართველოს ყველა ქალაქის ცენტრალურ მოედანზე დგას ჩვენთვის, ქართველებისთვის, როგორც ერისთვის, ვიღაც უცხო, გადამთიელი პიროვნებების ბიუსტები და არა ჩვენი ისტორიული პირების ძეგლები. ახლა სტადიონი ააგეს და მასაც ლენინის სახელი უწოდეს. თუ ასე ძალიან გინდათ კომუნისტებს, რაიკომებში დაიდგით მათი ძეგლები.

...მოვაწყვე დემონსტრაციული აფეთქებები, რომ მეიძულებინა საქართველოს ხელისუფლება, ჩაეტარებინა რეფერენდუმი სსრკ-დან გამოყოფის თაობაზე. საჭიროა ბოლო მოეღოს რუსეთის ნეოკოლონიურ პოლიტიკას არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ ჩვენს მონათესავე კავკასიაშიც. ჩვენს ხალხს ბავშვობიდანვე უნერგავენ, რომ რუსეთი ყველაზე კარგი ქვეყანაა და რუსი გმირები მსოფლიოში ყველაზე მამაცი და კეთილშობილები არიან. ხდება რუსეთის გალმერთება, მაგრამ განა ჩვენ არ ვიცით, რას წარმოადგენენ ისინი? რუსებს სძულთ ქართველი ხალხი!

...მზე ჩრდილოეთიდან იმათთვის ამოდის, ვინც ჩაჩოქილი, მონურად იწვდის ხელს გასამრჯელოს მისაღებად რუსი პატრონისკენ. მაგრამ ქართველთა მზე აქ ამოდის, ჩვენთან. ეს მზე ნამდვილი დემოკრატიაა. ეს მზე ჩვენი ეროვნული დამოუკიდებლობაა!“

1977 წელს ასეთი სიტყვების საჯაროდ წარმოთქმა მართლაც რომ გმირობის ტოლფასი იყო.

## განაჩენი საბოლოოა...

როგორც სასამართლო პროცესზე გაირკვა, ბუნებაში არ არსებობდა არავითარი საქართველოს განთავისუფლების ფრონტი. უფრო სწორად, ამ ორგანიზაციას მხოლოდ ერთი წევრი, ვლადიმერ ჟვანია ჰყავდა. გაირკვა ისიც, რომ მსხვერპლი სოხუმში მხოლოდ და მხოლოდ ჟვანიას გაუფრთხილებლობის შედეგი იყო — ბომბის ამფეთქებელს არავითარ შემთხვევაში არ სურდა ადამიანთა დაზიანება და ეს თვით სასამართლო პროცესში მონაწილე სამართალდამცავებმაც დაადასტურეს.

ვლადიმერ ჟვანია გაასამართლეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 69-ე მუხლით (დივერსიების ჩადენა საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკის შესუსტების მიზნით), 154-ე მუხლის მეორე ნაწილით (ფულის გამოძალვა) და 238-ე მუხლის პირველი ნაწილით (ასაფეთქებელი ნივთიერებების არაკანონიერი გზით შეძენა და შენახვა, მათი შემდგომი გამოყენების მიზნით). მართლმსაჯულებამ მას დახვრეტა მიუსაჯა.

როგორც თავში უკვე მოგახსენეთ, ჟვანიასთვის სიკვდილის მისჯასთან დაკავშირებით პროტესტი გამოთქვეს ქართველმა დისიდენტებმა, ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ. საქართველოს ჰელსინკის ჯგუფმა ადამიანთა უფლებების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებს უმალ დაუგზავნა შესაბამისი მიმართვები: „...გთხოვთ, ჩაერიოთ ამ საქმეში და ყველა შესაძლებელი საშუალებით იხსნათ თავისი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის გაბედული მებრძოლის სიცოცხლე. დრო არ ითმენს და საჭიროა სასწრაფო ზომები!“

ამ წერილის ადრესატებმაც არ დააყოვნეს და თავადაც გამოთქვეს პროტესტი, მაგრამ საბჭოთა კავშირი ნამდვილად არ იყო ის ქვეყანა, სადაც ამგვარ პროტესტს ყურადღებას აქცევდნენ...

***მიხეილ ჩერქეზია***



# ცხოვრებისეული კურიოზები

## ინციდენტი



გოჩა ვასაძე გამომცდელ „ლიოტჩიკად“ დანიშნეს სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდის მიწურულს. „ყრის და ყრის“ ბიჭებს თვითმფრინავიდან.

...ერთი გაუჯიუტდა... კახა ბაძალუა.

— გადახტი.

— დედა... რატომ? — უკვირს კახას.

— ასეა წესი.

— გავცივდები მე ღია ჰაერში.

— გადახტიი! — შორდება თვითმფრინავი მონიშნულ ობიექტს.

— არა!

ეცნენ ერთმანეთს, მაგრამ გააბაჯაჯგინა ფეხები კახამ და ვერ ერევა გამომცდელი.

— მოდი რა... არ ხტება! — დაუკავშირდა პილოტს.

იმანაც ავტომატურ მართვაზე გადაიყვანა თვითმფრინავი და ეცნენ ბაძალუას.

...იქნება, არ იქნება... სულ სამწუთიან თავგანწირულ ჩხუბში გავარდა თვითმფრინავიდან კაცი.

— დედაა! — დაიფერთხა ხელები გოჩა ვასაძემ... რა ჯიუტი კაცი იყო, ძლივს არ გადავაგდეთ?

— აბა! აბა! ძალიან ღონიერი იყო, მაგ შობელძაღლი, ახლა თვითმფრინავს ვინ წაიყვანს? — პასუხობს ბაძალუა გამომცდელს...

**მურმან მერკვილიშვილი**

## როგორ შემომაკვდა სიდედრი... კინაღამ!



...ზედა ბახტრიონზე ვცხოვრობ, „იყალთოს გორას“ რომ ეძახიან, სადაც ზამთრის საშუალო ტემპერატურა ქალაქისაზე 4-5 გრადუსით ნაკლებია მუდამ.

ცხოვრება ქვია, თორემ ვარსებობ ოროთახიან სტანდარტულ ბინაში: უხელფასოდ, უშუქოდ, უგაზოდ, გათბობისა და ხშირად წყლის გარეშეც. ერთ ოთახში მე და ჩემი ცოლი ვჯახირობთ, მეორეში ჩემი 25 წლის საჯიშე მუტრუკი წევს, ძვირფასი სიდედრი ლოჯიაში მყავს მოსვენებული ინდივიდუალურად.

...აუტანელი სიცივის გამო დროულ კაცს ხშირად მიწევს ღამე ადგომა...

იმ ბედნიერ თუ უბედურ დღეს, შუაღამეს კარგად გადაცილებული იქნებოდა, რომ საჭიროებამ შემაწუხა, საწოლიდან წამოვდექი, ოთახის კარი გამოვაღე თუ არა, შავნიღბოსანმა მოჩვენებამ ბატარეით შემომანათა...

— აქ რა გინდა, შე ასეთო და ისეთო-მეთქი, — ვიყვირე და რაც ძალი და ღონე მქონდა, შემოვკარი აქედან და იქიდან.

...ერთი ამოიკნავლა საცოდავმა და უხმოდ გაიშოტა იატაკზე, დავიჩოქე, ნიღაბი ავხადე და ობოლი სიდედრი შემრჩა ხელთ!..

თურმე საცოდავს, ცივ ლოჯიაში მძინარეს, იმის შიშით, ღამე ყურები და ცხვირი არ მომეყინოსო, ძველი შალის შავი კოლგოტისთვის ზედა ნაწილი მოუჭრია, ერთი ბოლო გამოუნასკვავს, სასულე და თვალის ადგილები ამოუჭრია და თავზე ჩამოუცვამს ყაჩაღივით თუ თემურ მღებრიშვილის „ომონელივით“.

ხმაურზე ცოლსაც გაეღვიძა, რომ დამინახა დედამისზე გადამხობილი, შე მხეცოო, ერთი დაიძახა და გადავარდა მეორე მხარეს.

თქვენ გეცინებათ ალბათ და ახლა მე მკითხეთ, რა დღეში ვარ, მომეჭრა თავი ცოლოურში...

**გურამ რეხვიაშვილი**

## კლარნეტივითა

თელავში ჩაატარეს გაფართოებული შეხვედრა მოსახლეობასთან. თემა: „რა სასიკეთო ძვრები მოჰყვა ქალბატონ მედეას (მეზვრიშვილის) ჩამოსვლას რაიონში“. გამგებლის მოადგილეების 3 საათიანი მოხსენების შემდეგ სიტყვა ხალხს გადასცეს. დარბაზი გაჩუმებულია. ამ დროს წამოდგა „ხრაკუნა“ (მეზვრიშვილის სიძე):

— მე მოგახსენებთ: რაც მედიკო ჩამოვიდა, ინდაურის ბარკლები კლარნეტივით მიჭირავს პირში.

**„ლილე“ კახეთიდან**



## ფაქტი ჯიუტია

**(კურიოზული ანეკდოტი)**



მიხომ ბაღჩაში გოგრა დათესა. გოგრა ღობეზე გადაძვრა და ნაყოფი მეზობლის ბაღჩაში მოიბა. მეზობელმა შალიკომ გოგრის მითვისება მოინდომა და ასეთი არგუმენტი მოიყვანა, — ფაქტი ჯიუტია, ნაყოფი ვისკენაც მოექცევა, იმისიაო.

მიხომ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, — მე დავთესე, ფესვი ჩემკენა აქვს და ნაყოფიც ჩემიაო, დაიჩემა...

დავა ჩხუბში რომ არ გადაზრდილიყო, შალიკომ მეზობლები მოიწვია. უმრავლესობამ შალიკოს დაუჭირა მხარი. მიხო გაბრაზდა. თავისი სიმართლის დასამტკიცებლად ღობესთან ახლოს მივიდა, შარვლის ღილები გაიხსნა და... ბადეში გაყო.

— ახლა ეს ვის ეკუთვნის, მე თუ შალიკოს?! ხმა ამოიღეთ, რამ დაგამუნჯათ?! ამაზე ნათელი ფაქტი რა გინდათ, ჯო?!

„ფაქტი“ იმხელა და იმდენად „ჯიუტი“ აღმოჩნდა, რომ მეზობლის ქალები წივილ-კივილით გაცვივდნენ, — მიწამ შეგიჭამოს ეს „ფაქტი“, შე გაოხრებულო შენაო!

მიხომ შარვალი შეიკრა, გოგრა მოწყვიტა და თავის მხარეზე, ღობის ძირში დადო.

**ნატო ნოზაძე, ხაშური**

## — ა, ძაღლო, თოფი შენ!..



დილიკაურელი ლოლა ხომ გახსოვთ? მის „კურიოზულ სამყაროში“ კიდევ ბევრი მარგალიტია:

ლოლა ნათხოვარი თოფითა და ძაღლით მწყერზე სანადიროდ წავიდა. მიადგა ყანას, სადაც მწყერი ეგულებოდა. ეხვეწება ძაღლს, შედი ყანაშიო, მაგრამ ძაღლი ფეხს არ იცვლის.

— ჰა, ძაღლო, ეს თოფი და თუ არ შეგრცხვება, მე შევალ ყანაში — დაანამუსა ლოლამ ძაღლი.

**რევაზ პერანიძე, ზესტაფონი**

## ჭრელი ანეკდოტი



პროფესორი:

— ვატყობ, თქვენგან არაფერი გამოვა. თქვენი ხნისამ, ალექსანდრე მაკედონელმა მსოფლიოს ნახევარი დაიპყრო.

სტუდენტი:

— იმას მასწავლებლად არისტოტელე ჰყავდა, ბატონო!

**ცაცო ბლიაძე, სურამი**



სვანი შვილს მანქანის მართვას ასწავლის.

— აი, შვილო, ეს არის გაზი, მუხრუჭი...

— მანქანა სად არის, მამი?

**გიორგი კაპანაძე, ხაშური**

საქართველოდან მეგობარი მეგობარს ამერიკაში წერილს გაუგზავნის: „აქ დიდი სიძვირეა, ქათამი 15 ლარი ღირს“.

მთავრობა გააფრთხილებს, სახელს ნუ გვიტეხო და მეორედ გაგზავნის წერილს: „ძვირფასი ცხოვრება გვაქვს: ძროხას 10 ლარად იშოვი, მაგრამ მე რად მინდა ძროხა, მირჩევნია, ხუთი ლარიც დავუმატო და ქათამი ვიყიდო“.

**რეზო ლომიძე, ქუთაისი**



სხვადასხვა ეროვნების ხალხი კამათობს თემაზე, თუ რა ეროვნებისა იყო ადამი.

— უსათუოდ ინგლისელი იქნებოდა, — ამტკიცებს ინგლისელი — მხოლოდ ჯენტლმენს შეუძლია ერთადერთი ვაშლი უწილადოს ქალს.

— არავითარ შემთხვევაში! — ცხარობს ფრანგი — ადამი ფრანგი იყო, განა სხვას შეუძლია ასე ხანგრძლივად დაატკბოს ქალი მიჯნურობის ნექტრით?

— არც ერთი არა ხართ მართალი, — თქვა ჭიჭიკიამ, — ადამი ჩვენებური იყო. მხოლოდ ქართველს შეუძლია ცარიელ-ტარიელს, მშიერს, შიშველს, უნიფხვოს, ერთადერთი ვაშლის პატრონს, თავი სამოთხეში ეგონოს!

**გიორგი კვირიკაშვილი, ლაგოდეხი**

— ეს რა ძაღლია?

— პოლიციის.

— რომ არ ჰგავს?

— საიდუმლო პოლიციისაა.

**დავით ჩიტაძე**





— მამი, ბებია ამ მატარებლით უნდა ჩამოვიდეს?

— ბევრს ნუ ლაყბობ, გააგრძელე ლიანდაგის აყრა!

**მიქაბა**



ქართველი და ოსი პარაშუტით უნდა გადმოხტნენ. პარაშუტი ერთია.

ქართველმა პარაშუტი თვითონ მოირგო, ზურჩანთა კი ოსს მოკიდა მხრებზე — მეჩქარება და მაგი ნელა დადისო.

ჩამოუქროლა ოსმა გაუხსნელი „პარაშუტით“ და ქართველს გასძახა:

— რას ერჩი, გენაცვალე, ეს ძალიანაც ჩქარა მიდის.

**ჯანო ონიანი, ქუთაისი**

**ბატონო მკითხველო, რედაქცია კვლავ ელის თქვენგან კურიოზებსა და ანეკდოტებს. გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე**

# „რად გინდათ ამდენი საავადმყოფო“...

ფინანსური პრობლემების გამო (წარმოიდგინეთ, მათაც ჰქონიათ) რუსთავში ჩამობრძანებულმა დანიელებმა შეპირებული ჟურნალისტები ვერ ჩამოიყვანეს — 12-ის ნაცვლად 9 დანიელი გვეწვია, თანაც გათვალისწინებული მონიტორინგების ნაცვლად, მათ ვოიაჟი მოაწყვეს ქვემო ქართლის რაიონებში, დაათვალიერეს საავადმყოფოები და სახელმწიფო მინისტრსაც შეხვდნენ.

16 თებერვალს სამხარეო ადმინისტრაციაში გაიმართა შემაჯამებელი შეხვედრა და ხელი მოეწერა ორმხრივი თანამშრომლობის მემორანდუმს. ამ შეხვედრის შემდეგ სტუმრების პატივსაცემად გაიმართა კონცერტი. შთაბეჭდილებას გვიზიარებს **დანიის აბერნის მხარის გუბერნატორი, კრისტენ ფილიპსენი:**

— ქართული ხალხური ცეკვები და სიმღერები მშვენიერია და ძალიან, ძალიან ფანტასტიკური, სიტყვებს ვერ ვპოულობ...

იაპონელებთან ერთად, კონცერტზე დანიელების უკან ვიჯექი. ცეკვის დროს ერთ-ერთი მომიბრუნდა და მკითხა: ესენი ერთმანეთს ცეკვა-ცეკვაში არ ხოცავენო? („ხანჯლურს“ ცეკვავდნენ). დიდი ძალისხმევა დამჭირდა იმის ასახსნელად, რომ ყველა ილეთი, ყველა მოძრაობა დადგმულია.

დანიელებისა და ქართველების მეგობრობა რამდენიმე წელია, რაც დაიწყო. ამ კონტაქტის ერთ-ერთი ინიციატორი იყო ორგანიზაცია „თეთრი ჯვრის“ წარმომადგენელი, ქ-ნი რაუნფილდ პეტერსენი, რომელიც უკვე შეხუმრებულია ქართველებთან — ბატონ ლევან მამალაძეს მან პირველსავე დღეს, შეხვედრის შემდეგ ყურში უჩურჩულა: კარგი დასალევი ჩამოგიტანეო, რაზეც ახალგაზრდა გუბერნატორმა უპასუხა: ერთად დავლიოთო. თუმცა ჩვენთვის უცნობი დარჩა, რა სასმელი ჩამოუტანა ქალბატონმა რაუნფილდმა ბატონ ლევანს და დალიეს თუ არა ერთად. დანიელებს შორის კომუნიკაბელურობით გამოირჩეოდა ვეილის ოლქის გუბერნატორი, რომელიც მეორედ იყო საქართველოში. მან ჩვენს რამდენიმე შეკითხვას უპასუხა.

**ოტო ჰერსკინი ჯერგენსენი, დანიის ვეილის ოლქის გუბენატორი:**

— პირველად საქართველოში 1956 წელს ჩამოვედი. მაშინ 23 წლისა ვიყავი. ამ პერიოდში სტუდენტების გაცვლითი პროგრამა იყო დანიასა და საქართველოს შორის და ამ პროგრამით ვეწვიე თქვენს მშვენიერ ქვეყანას. ამის შემდეგ ყოველთვის ვნატრობდი ამ სილამაზეში დაბრუნებას.



**— განსაკუთრებით რამ მოგხიბლათ საქართველოში?**

— იცით რა, დანიაში არის ლამაზი ტყეები, ველები, რაც შეეხება მთებს, ყველაზე მაღალი მთა 200 მეტრია, აქ კი, საქართველოში, ისეთი დიდი მთები და მყინვარებია, თოვლი არ დნება. თითქმის საოცრებაა.

**— ბატონო ოტო, საქართველოში ახლა მეტად მძიმე სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობაა. იყო ასეთი სიტუაცია დანიაში?**

— ჯერ მინდა ვისაუბროთ თქვენს საზოგადოებაზე. თქვენ ერთდროულად გაჭირვებული და თანამედროვე ქვეყანა ხართ, გაქვთ ტელევიზია, არის რამდენიმე ტელეკომპანია, გაზეთი, რადიო, უსმენთ ამერიკულ მუსიკას, საზღვარგარეთის ამბებს, მაგრამ შემორჩენილი გაქვთ ერთი კარგი თვისება — ტრადიციები, ჩვეულებები, რომელთაც არ ღალატობთ; ხოლო რაც შეეხება გაჭირვებას, ასი წლის წინ დანიაში ისეთი სიტუაცია იყო, რომ ადამიანები შიმშილით იხოცებოდნენ. მე არ ვფიქრობ, რომ აქ ვინმე შიმშილით კვდება, თუმცა პრობლემები მაინც ბევრია.

როგორც ოტო ჯერგენსენმა გაგვიმხილა, მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენმა მთავრობამ, განსაკუთრებით ლევან მამალაძემ და ვაჟა ლორთქიფანიძემ. „წარმოიდგინეთ, ვაჟა ლორთქიფანიძე ასაკით ჩემი ტოლია. ის საკმაოდ ნიჭიერი და პროფესიონალი პოლიტიკოსია, საკმაოდ ნაყოფიერად მუშაობს, მაგრამ ინარჩუნებს ახალგაზრდულ იერსა და განწყობას.“

დავინტერესდით, რომელი კერძი და სასმელი უყვართ დანიელებს და რა მოეწონათ ქართულ სუფრაზე. ბატონმა ოტომ გვიპასუხა:

— ქართული ღვინო, განსაკუთრებით წითელი. ასევე თქვენ გაქვთ კარგი ჩაი, ბოსტნეული, განსაკუთრებით კიტრი და პომიდორი, ყველის ნაირსახეობა, მაგრამ ქართულ სუფრაზე ყველაზე მეტად მაინც ის მომწონს, რომ კერძების დიდი არჩევანია — ყველაფერი განსხვავებულია და ორიგინალური. ჩვენს ხალხს კი ძალიან უყვარს ღორის ხორცი, ჩაი, რძის პროდუქტები, ხილი, ხოლო სასმელად — ლუდი. ჩვენ კარგ ლუდს ვაკეთებთ და დალევაც გვიყვარს.

პირველსავე დღეს ქალაქის საავადმყოფოში ვიზიტისას, ქალბატონმა რაუნფილდმა თავის ძველ მეგობარს, საავადმყოფოს მთავარ ექიმს პაპუნა ბახტაძეს ლუდი სთხოვა... მათი ვიზიტი დახმარებასაც ითვალისწინებდა. ბატონი ოტოს თქმით, აირჩევენ ერთ საავადმყოფოს, რომელსაც მოამარაგებენ საჭირო ხელსაწყოებით. ქალბატონმა რაუნფილდმა კი ურჩია ბატონ ლევანს, რად გინდათ ამდენი საავადმყოფო, თანაც, როგორც ვხედავთ, მედპერსონალი გაცილებით მეტია ავადმყოფებზეო, დაანგრიეთ და ააშენეთ ერთი, კარგი, აღჭურვეთ თანამედროვე აპარატურით და ჩვენც დაგეხმარებითო. თუმცა... ეს ძალზე შორეული პერსპექტივაა.

***მანოლი ლილუაშვილი***

# საქართველოში იაპონია მენატრება, იაპონიაში — საქართველო...

მას ძალიან უყვარს საქართველოს ისტორია და ძველ ქართულ წყაროებში ეცნობა ფაქტებს, უყვარს ისტორიული ძეგლების მონახულება — იღებს მცხეთის ჯვრის, ვარძიის, მარტვილის, დავით-გარეჯისა და სხვათა არაჩვეულებრივ ფოტოებს და დიდი მოწიწებით ინახავს, ძალიან მოსწონს ქართული ხალხური ცეკვები, ანზორ ერქომაიშვილის სიმღერა, მის სულთან ყველაზე ახლოს გალაკტიონ ტაბიძე და ტერენტი გრანელია და როცა გაიგებთ, ეს ადამიანი იაპონელია, მაშინ სულში აუცილებლად სითბო ჩაგეღვრებათ...



ჰიროტაკე მაედა 28 წლის იაპონელი ისტორიკოსია. დაამთავრა ტოკიოს უნივერსიტეტი. უკვე მესამედ ჩამოვიდა საქართველოში, ისწავლა ქართული ენა, მუშაობს ისტორიულ წყაროებზე, უნდა ზოგიერთი ქართველი პოეტის ლექსები თარგმნოს იაპონურად.

**— ჰიროტაკე, პირველად როდის გაიგეთ, რომ არსებობდა ასეთი ქვეყანა — საქართველო?**

— პატარაობიდან მაინტერესებდა უცხო ქვეყნები, მაგრამ მაშინ საქართველო დამოუკიდებელი არ იყო და ცალკე არ ახსენებდნენ. სტუდენტობის დროს, უკვე კონკრეტულად გავიგე ამ დიდი კულტურისა და ისტორიის მქონე ქვეყნის არსებობის შესახებ. დავიწყე შესწავლა...

**— საქართველოს ისტორიაში ყველაზე დიდი შთაბეჭდილება რამ მოახდინა?**

— თამარ მეფის ეპოქამ... მაგრამ ჩემი სამუშაო თემაა ირანში სეფიანთა კარზე მოღვაწე ქართველები და კავკასიელი ტომის ხალხები. ვიცი, ეს ძალიან ცუდი დრო იყო ქართველებისათვის, მაგრამ მე მაინც მიყვარს გიორგი სააკაძე, თეიმურაზ , ერეკლე .

**— თქვენ ქართულ და ირანულ წყაროებს გაეცანით. როგორი შთაბეჭდილება დატოვეს თქვენზე ქართველებმა იმ ცნობათა მიხედვით?**

— ქრონიკებში ყველგან აღნიშნულია, ძალიან მკაცრი და ვაჟკაცური ხალხიაო... მართლაც ასეა. ძალიან მომეწონა თქვენი ხალხი და ქვეყანა, როცა ჩამოვედი. 5 წლის წინ დავიწყე ქართული ენის შესწავლა... თუმცა ძალიან რთული ყოფილა, თანაც მე ძველი ქართული მჭირდებოდა.

**— რა მოგწონთ საქართველოში?**

— მომწონს ბუნება, ყველა კუთხეს განსხვავებული კლიმატი აქვს: კახეთს, იმერეთს, გურიას... საქართველოც ისეთი ლამაზია და მრავალფეროვანი, როგორიც იაპონია. სხვაობა მხოლოდ ის არის, რომ აქ ძველი ქართული ეკლესიებია, იქ კი — ბუდისტური. ქართველების ხასიათიც ახლოს არის იაპონელების ხასიათთან. ჩვენც ძალიან გვიყვარს სტუმარი, დალევა ლხინის სუფრასთან, ოღონდ ჩვენ საკეს — ბრინჯის არაყს ვსვამთ. თამადას არ ვირჩევთ. ოჯახური ტრადიციები აქაც ძლიერია და ჩვენთანაც. ისე შემიყვარდა თქვენი ქვეყანა, ის ოჯახი, სადაც ვცხოვრობ, საქართველოში თუ იაპონია მენატრება, იაპონიაში — საქართველო.

**— რა არ მოგწონთ აქ?**

— ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში ყველგან სოციალური პრობლემებია... ეს, რა თქმა უნდა, არ მომწონს, მაგრამ რა სახსენებელია... ისეთი მოხიბლული ვარ და ისე მომწონს მცხეთის მთელი კომპლექსი, ჯვრის მონასტერი, გრემი, ახალი და ძველი შუამთა, დავით-გარეჯი თავისი ლამაზი, ფერადი ფრესკებით, ვარძია... იაპონიაში არაფერი იციან ამ ძეგლების შესახებ და სურათები რომ ჩამაქვს, ძალიან მოსწონთ.

**— თქვენთვის უცნაური არაფერი ყოფილა ჩვენს ქვეყანაში?**

— მახსოვს, 5 წლის წინ მეგობართან ერთად წავედი უფლისციხეში მატარებლით... ისე ნელა მივდიოდით (იცინის).

**— იაპონური მატარებლის სისწრაფეს არ ჰგავდა, არა?**

— ჰო, თან უკან რომ ვბრუნდებოდით 8-9 საათზე, მთელი გარემო ჩაბნელებული იყო, არსად არ ენთო შუქი, არც მატარებელში. ერთგან გავჩერდით და ჩვენს კუპეში პირდაპირ ფანჯრიდან ჯერ ბარგი შემოაგდეს, მერე კაციც შემოძვრა. შემეშინდა, რა ხდება-მეთქი? ვერაფერს მივხვდი...

**— რა თქმა უნდა, იაპონელისთვის უცხო იქნებოდა ფანჯრიდან შესვლის პრაქტიკა...**

ჰიროტაკე ისევ იცინის...

— კიდევ მიკვირდა, რუსთაველზე მაღაზიები სულ ცარიელი იყო და ხალხი გარეთ ვაჭრობდა. ახლა ყველაფერი შეიცვალა. ძალიან დიდი სხვაობაა 5 წლის წინანდელ საქართველოსა და დღევანდელს შორის. თუმცა ისევ რთული დროა...

იაპონიაში ჯერჯერობით არ არის კავკასიოლოგია. მე პირველი თაობა ვარ, ვინც იწყებს ამის შესწავლას ორიგინალური წყაროებიდან. 500 წიგნი მაქვს წაღებული იაპონიაში ქართულ ენაზე. თუმცა, ჯერჯერობით, ჩემს გარდა, სხვა ვერავინ იყენებს. რაც მთავარია, საქართველოს ისტორიის, ენის შესწავლას საფუძველი ჩაეყრება.

დამშვიდობებისას, ჰიროტაკემ გამოგვაცილა, ტაბიძის ქუჩაზე გამოვედით... მან ოცნებით გახედა ქუჩას და თქვა: — იყო დრო, არც საქართველოს შესახებ ვიცოდი რამე, არც გალაკტიონის სახელი გამეგონა. ახლა თბილისში ტაბიძის ქუჩაზე ვცხოვრობ და უსაზღვროდ მიყვარს გალაკტიონი... როგორი დამთხვევაა, არა?

ჰიროტაკე ახლა, ალბათ უკვე იაპონიაშია, დისერტაცია უნდა დაიცვას. საქართველოსა და კავკასიის შესახებ იქ უკვე ორი წერილი აქვს გამოქვეყნებული. მალე დაბრუნდება და მუშაობას გააგრძელებს. ეს იაპონიასაც სჭირდება, საქართველოსაც...

***ლელა ჯიყაშვილი***




## უკონტაქტო ლაზერული ეპილაცია
## მ ე დ ი
## უმტკივნეულო გზა სრულყოფისაკენ

თანამედროვე ტექნიკის სასიამოვნო სიურპრიზს — ლაზერულ ეპილაციას, იმის მიხედვით, თუ რა აპარატით იქნა ჩატარებული, — სხვადასხვა შედეგები აქვს.

აპარატების უმეტესობას ეპილაციის გაკეთება შეუძლია მხოლოდ ჩხვლეტით, რაც დიდ დროს მოითხოვს, ხოლო პაციენტი გაუსაძლის ტკივილს განიცდის. ლალის ლაზერი კი ხშირად სხვადასხვა ხარისხის დამწვრობას და კანის პიგმენტაციას (გამუქებას) იწვევს.

კონტაქტური (ჩხვლეტით) ეპილაციის დროს, კანის დაზიანების გამო, მაღალია პროცედურის მიმდინარეობისას შიდსითა და ჰეპატიტით დაავადების რისკი.

სადღეისოდ ლაზერული ეპილაციის ერთადერთი, თანამედროვე აპარატი, რომელიც ეპილაციას უკონტაქტოდ, უმტკივნეულოდ, ჩხვლისა და კანის დაზიანების გარეშე აკეთებს, ამერიკული წარმოების უახლესი ტექნოლოგიის ალექსანდრიტის ლაზერული დანადგარია.

ამ აპარატით ჩატარებული ეპილაცია სრულიად უსაფრთხოა სხვადასხვა დაავადების გადადების თვალსაზრისით, ხოლო გაცივების უახლესი სისტემა და რბილი გამოსხივება, ლალის ლაზერებისგან განსხვავებით, კანს დამწვრობისა და პიგმენტაციებისგან იცავს.

პროცედურა შეიძლება ჩატარდეს სხეულის ნებისმიერ მონაკვეთზე (სახეზე, კიდურებზე, ტანზე, იღლიებისა და ბიკინის ზონებზე) და მიმდინარეობს საკმაოდ სწრაფად. მაგალითად, ზედა ტუჩზე თმიანობის მოცილებისათვის საკმარისია 5-10 წუთი. პროცედურის შემდეგ არავითარი შეზღუდვა არ არსებობს, პაციენტს კოსმეტიკის გამოყენებაც შეუძლია.

2-3 თვეში საჭიროა პროცედურის გამეორება, რადგან თმების 30-დან 50 პროცენტამდე ისევ ამოდის, თანაც გაცილებით ნაზი სტრუქტურისა. სამუდამო განკურნებისათვის საჭიროა რამდენიმე პროცედურის ჩატარება.

ალექსანდრიტის ლაზერული საეპილაციო დანადგარი ამიერკავკასიაში ერთადერთია და ფუნქციონირებს მხოლოდ ფირმაში „მედი“, სადაც შეგიძლიათ მიიღოთ უმაღლესი კლასის უმტკივნეულო, ეფექტური და უვნებელი მომსახურება.

გააკეთეთ სწორი არჩევანი, ენდეთ პროფესიონალებს და გახდით ყველაზე მომხიბლავი და ელეგანტური!

**25-02-02 22-50-43** MEDI **ი. ჭავჭავაძის გამზ. №70**


# რას გვეტყვი, მამაო?

*ვაგრძელებთ რუბრიკას, რომელიც მკითხველის გამოხმაურებით თუ ვიმსჯელებთ, მოწონებულია.*

**— ზოგიერთი მღვდელი დასაშვებად მიიჩნევს თევზის ხმევას ყოველდღე (ოთხშაბათისა და პარასკევის გარდა) შობისა და პეტრე-პავლობის მარხვაში, სხვები კი ოდენ შაბათობით და კვირაობით იძლევიან ამის უფლებას. ვის დავუჯეროთ?**

— ამისათვის არსებობს სჯულის კანონი, სადაც ნათლად არის აღნიშნული, რომ შობისა და პეტრე-პავლობის მარხვაში თევზის მიღება შეიძლება შაბათობით, კვირაობით და დღესასწაულებზე.

**— შეიძლება თუ არა შინაურ ლოცვებში მოვიხსენიოთ მოუნათლავი ან განდგომილი ჩვენი ცოცხალი ნათესავები და ახლობლები?**

— შეიძლება, სანამ ისინი ცოცხლები არიან, მაგრამ თუ ამ სასიკვდილო ცოდვებში აღესრულებიან, უკვე აღარ შეიძლება. თუმცა, მათ გარკვეულწილად იქნებ წაადგეთ მოწყალება, რომელსაც მათ სახელზე გასცემთ (მათი სახელების დაუსახელებლად).

**— როგორ უნდა ვუცქიროთ ჩვენთვის გაღებულ მოწყალებას?**

— მოწყალება უნდა მივიღოთ შიშით, იმიტომ, რომ საშინელ სამსჯავროზე პასუხს ვაგებთ მიღებული წყალობისათვის, რომელიც სამაგიერო სიკეთით არ გადაგვიხდია. უნდა ვილოცოთ მწყალობელთათვის, რათა ცოდვაში არ ჩაგვეთვალოს მათგან მიღებული მოწყალება.

ღრმად მორწმუნე ბერები, ყოველგვარ დახმარებაზე თავადაც პასუხობენ დახმარებითვე ან საჩუქრით.

**— რად უნდა იყოს ჩვენი კეთილი საქმეები დაფარული?**

— ეს იმიტომ უნდა ხდებოდეს, რომ ხალხისათვის მათი გამხელა მათზე ზეციურ მისაგებელს აუქმებს. წმიდა თეოფანე დაყუდებული წერს: „რამდენადაც შეგიძლიათ, დაფარეთ თქვენი სულიერი ცხოვრებისეული საქმენი და ნურც გამომეტყველებით, ნურც საუბრებში და ნურც სხვამხრივ ნუ გაამხელთ მათ“.

**— რომელია ლოცვისათვის ყველაზე საუკეთესო დრო?**

— „ღამე ყველაზე უკეთესი დროა ლოცვისათვის — წერს წმიდა თეოფანე დაყუდებული — განსაკუთრებით შუაღამე“. წმ. იოანე ოქროპირიც ამბობს, რომ უფალი განსაკუთრებულ წყალობას გამოიმეტებს ღამეული მლოცველებისათვის.

**— რა ევალება ავადმყოფს?**

— ღირსი თეოდორე სტუდიელი ამბობს: „ნუ შექმნი ავადმყოფობას უსაქმურობის საბაბად“. ავადმყოფს ფრიად არგებს საღვთო წიგნების კითხვა (ან მოსმენა), რათა არ აჰყვეს უქმ აზრებს.

**— როგორ მოვეპყროთ ურწმუნოებს?**

— მათზე უნდა ვილოცოთ და უნდა შევიცოდოთ ისინი. მოსურნენი უნდა ვიყვნეთ, რომ მოექცნენ ისინი ჭეშმარიტებისაკენ და ვეძიებდეთ შემთხვევას, ქარაგმით მივანიშნოთ ამის შესახებ. „ხოლო ვინცავინ ღიად დაესხმება თავს ჭეშმარიტებას, საკადრისი პასუხი მივაგოთ სიყვარულით, მაგრამ შემაგონებლად — და საკმარისია“ (წმ. თეოფანე დაყუდებული).

**— არის თუ არა უფლის ნება, როდესაც თანამდებობაზე გვირჩევენ?**

— თუ ადამიანი თავად არ ილტვის და მას რაიმე თანამდებობაზე ირჩევენ, ესე იგი აქ არის უფლის ნება და ღმერთი დაეხმარება მას.

**— რად ხვდება ადამიანს ცხოვრებაში შეურაცხყოფა, განცდა, ავადმყოფობანი?**

— ყოვლადმოწყალე უფალი დაუშვებს ადამიანზე ამ ცხოვრებაში სხვადასხვა სახის შეურაცხყოფასა და შევიწროებას, ავადმყოფობებსა და მისთ; ყოველივე ეს ხდება იმისათვის, რათა სული მისი განწმინდოს ცოდვებისაგან და დაამკვიდროს მარადიულ ცხოვრებაში.

**— ზოგჯერ სხვები გვთხოვენ ვილოცოთ მათთვის, ჩვენ კი ჩვენი თავისთვის ვერ გვილოცნია.**

— წმ. ფილარეტ მოსკოველი შეგვაგონებს: „ნუ განდგებით სხვათათვის ლოცვისაგან იმის შიშით, რომ თქვენ საკუთარი თავისთვისაც ვერა გამოგითხოვიათ, უფრთხოდეთ იმას, რომ საკუთარი თავისთვის ვერ გამოსთხოვთ, თუ სხვებისთვის არ ილოცებთ“.

**— როგორ აფასებს ეკლესია უკანონოდ შობილთ?**

— წმ. იოანე ოქროპირი ამბობს, რომ კანონიერად თუ უკანონოდ შობილის სახელს მართლმადიდებელ ეკლესიაში არა აქვს არავითარი მნიშვნელობა, რადგან ყოველი პიროვნება ფასდება მხოლოდ და მხოლოდ მისი ზნეობრივი ღირსებით.

*თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ* *იხ. გვ. 28*

***თქვენს შეკითხვებს პასუხობენ მართლმადიდებელი მამები***

# ფრაგმენტებიანი კროსვორდი



## თარაზულად:

**1**



საეკლესიო წესით დაქორწინება

**4**



ნაწარმი, რომელშიც ქალაქმა კიოლნმა უკვდავყო თავისი სახელი

**9**



ხელოსანი

**10**



მარცვლეულის პროდუქტი

**11**




**15**



სხვადასხვა სიმაღლის ყველა ბგერის ერთობლიობა, რომელიც მისაწვდომია ამა თუ იმ საკრავისთვის

**17**



ინდური წარმოშობის მოხეტიალე ხალხი

**18**

გადასახადი სახელმწიფოში შემოტანილ და გატანილ საქონელზე

**19**

სიბრძნის შემცველი სხარტი გამონათქვამი

**20**



ქუდიანი სოკოების გვარი

**24**



ინსტრუმენტი, რომელზეც უკრავს ბაშმეტი

**25**

ბერძნული ანბანის ასო, რომელიც ამავე დროს რაიმეს დასაწყისს, მთავარს, ძირითადს აღნიშნავს

**26**

გარკვეული წესით მზარდ რიცხვთა მწკრივი

**29**



საწერად სახმარი სითხე

**30**



ადმინისტრაციული და სასამართლო ფუნქციების შემსრულებელი პირი აშშ-ში

**33**



მოთეთრო-მონაცრისფროდ მბზინავი ძვირფასი ლითონი

**34**



წიწილების გამოჩეკა ინკუბატორში

**35**



მიწის ქვეშ გაყვანილი ან ბუნებრივად გაჩენილი ვრცელი გალერეა, კორიდორი

## შვეულად:

**1**



მისნობა, მაგია

**2**

ცხოვრებისა და მოღვაწეობის საზეიმოდ აღსანიშნავი წლისთავი

**3**



ძვირფასი სანადირო-სარეწაო ფრინველი

**5**



ბატკნის მოგება

**6**

მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში

**7**



ზედა სასუნთქი გზების მკურნალობა აირად ქცეული სამკურნალო ნივთიერებათა შესუნთქვით

**8**



სამხედრო წოდება

**12**



უზარმაზარი გადაშენებული ქვეწარმავალი

**13**



ფილტვების ანთება

**14**



ამაღლებული ფიცარნაგი, რომელზეც სისრულეში მოჰყავთ სასიკვდილო განაჩენი

**16**



ფეხის ნაწილი, რომელიც მუდამ გვაგონებს პრეზიდენტ ბუშის ნობათს

**21**

ტანსაცმლის კარადა

**22**



ძველი სლავური ენის ერთ-ერთი ანბანი

**23**



სახლი ძველად, სადაც ფულს საფასურით ახურდავებდნენ და სესხებს სარგებლით გასცემდნენ

**27**



ენის ბორძიკით მოლაპარაკე

**28**



კულტურული მსხვილნაყოფა მარწყვი

**31**



ბრტყელი სამკუთხა ძვალი

**32**



ციხესიმაგრის ბლოკადა

კროსვორდი შეადგინა
რამაზ ალანიამ

**„კვირის პალიტრა“ №7 კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. საკეისრო; 7. ვესტერნი; 9. ბუზღუნა; 10. ჩოგანი; 11. ბზუილი; 15. სამაჩაბლო; 17. ქიმია; 18. ჰავაი; 19. ბასტურმა; 20. მირჩილვა; 21. სმენა; 24. ეთიკა; 26. პროპელერი; 29. ფსკერი; 32. სადაფი; 33. ბრინჯაო; 34. იტალიელი; 35. განთიადი.

**შვეულად:** 1. დეკანი; 2. ლოლუა; 3. ზვინი; 4. მედუზა; 5. სინოლოგი; 6. მალარიჩი; 8. იზოლაცია; 12. ბარომეტრი; 13. კლასიკური; 14. გიბსონი; 16. თალლითი; 22. მილოსელი; 23. სერჟანტი; 25. კანიფოლი; 27. ორძელი; 28. ნათლია; 30. არმია; 31. თარგი.

## იყიდება ბინები

სასწრაფოდ! 5-ოთახიანი, არასტანდარტული, მაღალჭერიანი ბინის კარკასი 10(9), ს/ფ – 200 კვმ, ბუნებრივი აირით, მუდმივი დენითა და წყლით, მეტრო „წერეთელთან" (50 მეტრში). ფასი 38.000$. მის: ბათუმის ქ. №8. ტ: 76-29-24; 899 50-77-12. ზაური

თავისუფლების მოედანზე №4-ში, მე-2 სართულზე იზოლირებული საოფისე ფართი – 150 კვმ. ტელ: 95-61-10

მთაწმინდის რაიონში, ოქროყანაში 2.000 კვმ მიწა. ტელ: 98-36-43. სოსო

ქ. ბორჯომის ცენტრში მიწის ნაკვეთი კოტეჯით და ასაშენებელი სახლის პროექტით. ტელ: 8 267 2-15-72. კირილე ნერგაძე

## მილოცვა

**ნიკუშა ფიფიას** ვულოცავთ დაბადების დღეს, ვუსურვებთ ყოველივე საუკეთესოსა და სანიმუშოს პირად ცხოვრებაში. (რომელ საათზე მოვიდეთ?)

*გოგა, გიორგი და რიკა*

**ბესო,** გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, ყველა შენს საყვარელ ადამიანთან ერთად, მალე გაბედნიერებას!

*შენი მეგობრები!*

## გთავაზობთ სამუშაოს

ორგანიზაცია სთავაზობს 17-25 წლამდე გოგონებს გამგზავრებას გერმანიაში, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა – საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ჯიბის ფული 1700 ფრანკი (400 მარკა თვეში). ტელ: 96-07-81; 95-64-18

## მომსახურება

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12. ლიკა გიორგობიანი

„ფესვები", ყურადღება! კარგად გაკეთებული ეპილაცია ნამდვილად მოარჩენს ნაპარს და გაუხეშებულ თმას. მის უკვალოდ მორჩენას კი სჭირდება კარგი სპეციალისტი. 1 სთ – 12 ლარი. განსაზღვრულია ინდივიდუალური ნემსი. ეპილაციის შესწავლა – 200$. მის: იოსებიძის 53, I სად, I სართ, ბინა 3. ტელ: 37-71-66; 899 58-75-89. ნინო ჭელიძე

Computer company „pulsar" – კომპიუტერები და ორგტექნიკა, ახალი და ნახმარი; კომპიუტერების ყიდვა-გაყიდვა; სათადარიგო ნაწილები; კომპიუტერების, ორგტექნიკის შეკეთება, მომსახურება; კარტრიჯებში ტონერის ჩაყრა; უფასო კონსულტაციები ტელეფონით. მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. №16. ტელ: 33-08-71

სპეციალისტი მუშები გადაგიტანენ ავეჯს, როიალს, პიანინოს, ნებისმიერ ტვირთს. მანქანით მომსახურება – 1 სთ – 8 ლარი (ქალაქში). მუშების ფასი შეთანხმებით. გამოძახება – 4 ლარი. ტელ: 68-90-16. ვაჟა; 39-56-09 ვოვა

სწრაფად და ხარისხიანად მოგემსახურებით წიგნების, ბუკლეტების, გაზეთების აკრეფა-დაკაბადონებაში. ტ: 61-51-17; 95-46-79. ქეთი

ს/ს „მშვილდოსანი" აწარმოებს სახლების მშენებლობას, მიწისა და მიწისქვეშა სამუშაოებს, კეთილმოწყობას. ამზადებს საკედლე ქვებს, ზეძირკვლისა და სხვა კონსტრუქციებს მაღალი ხარისხით, შეღავათიან ფასად. მის: წერეთლის გამზ. №57. ტ: 34-82-30; 34-14-81. „მშვილდოსანი"

სწრაფად აგიკრეფთ ნებისმიერი მოცულობის ტექსტს (წერილებს, წიგნებს, დისერტაციებს) ქართულად, ინგლისურად. 1 გვერდის ფასი: 80 თეთრი – 1 ლარი. ტელ: 34-32-79

ფსიქოლოგიური ტესტებით და პითაგორას ციფრობრივი კვადრატით გამოგითვლით თქვენს შესაძლებლობებსა და მომავალს. ვისაუბრებთ პრობლემებზე. სასურველია ბინაზე გამოძახება. ფასი 5 ლარი. ტელ: 77-06-34

დაგიმონტაჟებთ ლიფტებს, უცხოური მასალისგან დაგიმზადებთ კაბინას, შახტის კარებს. გაფორმება – თქვენი გემოვნებით. შედეგად ლიფტი დაემსგავსება თანამედროვე-ევროპულს, რუსეთის ლიფტის მხოლოდ მექანიზმი დარჩება, რაც ხარისხიანი და საიმედოა. ტ: 899 58-37-98

შპს „ხვეული კიბე" სამომხმარებლო ბაზარზე მრავალწლიანი გამოცდილებით გთავაზობთ ორიგინალური დიზაინით შესრულებულ ნებისმიერი სახის შიდა კიბეებს, მუხის კარფანჯრებსა და სხვადასხვა სახის ხის ნაკეთობებს. ენდეთ გამოცდილ პროფესიონალებს. ტელ: 899 55-76-53; 69-19-52

ექიმი-კოსმეტოლოგი ქეთევან ბიჭიაშვილი გთავაზობთ: ეპილაციას საუკეთესო შედეგით. სწრაფი და ხარისხიანი ნამუშევარი დაზოგავს თქვენს ბიუჯეტს. შევასწავლი კოსმეტიკას. მის: მეტრო „ახმეტელის თეატრის" თავზე, მაღაზია „მარიამის" სილამაზის სალონი. სამუშაო დღეები – ლუწი რიცხვები. ტელ: 67-48-44; 68-35-55

ფირმა **DAWIT**-ი გთავაზობთ მომსახურებას: ელექტრომონტაჟი; მხატვრული განათების დამონტაჟება, გაფორმება; ავტომატური გადამრთველი სისტემების დამონტაჟება; ბენზინ-გასამართი სადგურების მონტაჟი. ტელ: 98-78-26

ფირმა „მოდინახე"! ასრულებს ბრტყელი სახურავების სამუშაოებს ტოლით – 4 ლარი, მინა-ქსოვილით – 5 ლარი გადარიცხვით და სხვადასხვა იმპორტული მასალით, გარანტიით. მის: ფოცხვერაშვილის ქ. №3. ტელ: 96-80-99; 22-08-58

„ქვეყანაში, სადაც „ლუიზოლი" საქმიანობს, ულამაზო ქალი არ უნდა დადიოდეს" – ითქვა რუსეთის კოსმეტიკური კორექციის ცენტრში. განიკურნეთ ჭარბთმიანობისაგან დასხივებისა და ჩხვლეტების გარეშე, სწრაფად, უმტკივნეულოდ! მის: რუსთაველის 28, მოზრდილთა პოლიკლინიკა №13, კაბ. №26; იოსებიძის ქ. №53, კაბინეტი „ლუიზოლი". ტ: 37-38-13

ეპილაცია (1 საათი - 10 ლარი) ინდივიდუალური ვოლფრამის ნემსით, ანესთეზიით, კანის გაღიზიანების გარეშე, გარანტიით; თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაყენით, სახის გაწმენდა, მალამოები. ვასწავლი კოსმეტიკასა და ეპილაციას. გაიცემა სერტიფიკატი. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნანა. მის: რუსთაველის გამზ. №14/ბესიკის ქ. №2. სილამაზის სალონი „სტილი 1". ტ: 98-78-11

ეპილაცია ვოლფრამის ნემსით, ანესთეზიით (ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე), 1 სთ – 6 ლარი; თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაყენით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასაჟის თანხლებით). ვასწავლი კოსმეტიკასა და ეპილაციას. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნატო ყიფშიძე. მის: მ. „300 არაგველი", არამიანცის საავადმყოფოს ზედა კართან, ახმეტის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტ: 77-86-27

კოსმეტოლოგიური მომსახურება სილამაზის სალონში „სტილი 1"! ყველა სახის ეპილაცია ლაზერის გარდა; მსუბუქი პილინგი, მექანიკური გაწმენდა, ღრმა სამკურნალო გაწმენდა, მალამოები; ნაოჭების გასწორება. ფუნქციონირებს კოსმეტიკის შემსწავლელი კურსები. მის: ბესიკის ქ. №2/რუსთაველის გამზ. №14. ტ: 98-78-11; 61-28-18. მარინა

ორგანიზაციებსა და ოჯახებს გთავაზობთ მაღალკვალიფიციური კადრებისა და საოჯახო პერსონალის სწრაფ შერჩევას – მდივანს, მენეჯერს, ბუღალტერს, გამყიდველს, უცხო ენებისა და კომპიუტერის ან სხვა სპეციალისტებს; ძიძას, ავადმყოფის მომვლელს, შინამოსამსახურეს, დამლაგებელს. შერჩევა სწრაფად და თქვენი მოთხოვნების შესაბამისად! ტელ: 96-07-81; 95-64-18

## მკურნალობა

ალერგიის კომპიუტერული დიაგნოსტიკა და მკურნალობა, ჰიპერტონიის (წნევა), ლოგონევროზის (ენაბლუობა) მკურნალობა უახლესი აპარატურით. მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. №18ა, რეაბილიტაციის ცენტრი. VI სართ. ბიორეზონანსული თერაპიის კაბინეტი. ექიმი ზურაბ ხაჩიაშვილი. ტელ: 39-01-12 სამს. (10-15 სთ); 39-58-77 (ბინა)

ხალხური მედიცინა – მაქსიმალურად გარანტირებული შედეგებით!!! ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკის ამოვარდნა, სახსრების დაავადებები. მკურნალობა ეფექტურია პირველივე დღეებიდან! მის: რკინიგზის პოლიკლინიკა (მ. „ნაძალადევთან"). ც. დადიანის ქ. №87, კაბ. №11. ტელ: 61-02-97; 69-91-92. ექიმი ალექსიშვილი

ბრონქული ასთმის, ალერგიის, სასუნთქი გზების ქრონიკულ დაავადებათა მკურნალობა ტრადიციული და ჰომეოპათიური მეთოდებით, მაღალი შედეგით. მის: რკინიგზის საავადმყოფო, V სართ. ალერგოლოგიური განყოფილება. ექიმი ზურაბ გიორგაძე. ტელ: 97-66-78 (სამს); 99-44-42 (ბინა)

ვარჩენ ძვლისა და კანის ჩირქოვან, ინფექციურ დაავადებებს: ოსტეომიელიტს (ძვლის ინფექცია), ბეწვის ჩაზრდილებს, დაჩირქებულ ფრჩხილს, ნანეშარს, ნაოპერაციევს, ძირმაგარას, დაჩირქებულ გემატომას, მასტიტს, მენისკს, შხამიანი მწერებისა და ქიმიური ნივთიერებისაგან კანში შეჭრილ ინფექციას და სხვ. ტელ: 68-43-10

ყურადღება, მშობლებო! ფრანგული პრეპარატებით სიმაღლეში ზრდის ვიტამინები 4-18 წლამდე (5-10 სმ); ჯანმრთელობის აღდგენა: კუნთების, მარილების დაშლა, ოსტეოქონდროზი, ფიბრომა, მასტოპათია და სხვა. შედეგი გარანტირებულია. ტ: 52-65-18. თამარი

წინაპართა მეთოდებით, მცენარეებისა და თეთრი მუმიოსაგან მედიცინის მუშაკი მ. ცინცაძე ამზადებს მალამოებს. მკურნალობს: ჰაიმორიტს 5-7 დღეში, რევმატიზმს, სახსრების ანთებას, თავის ტკივილს, ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, სამწვერა ნერვს, რადიკულიტს. მის: გორის ქ. №3, I სად, 1 სართ. მიღება 13-16 სთ (შაბათის გარდა). ტელ: 34-05-69

ვმკურნალობ! 1) ფუტკრის პროდუქტებით: სქესობრივი სისუსტე, ნაადრევი ამოფრქვევა, ასოს ანთება, ენურეზი, ჰაიმორიტი, ეპილეფსია, კრუნჩხვები, წითელი ქარი, კუჭ-ნაწლავი, ბუასილი, თირკმლები, საერთო სისუსტე; 2) ფოტოსურათით: უძილობა, შიში, აგრესია, თვითმკვლელობის სურვილი, აკვიატება. მის: რუსთაველის გამზ. №40, ფირმა „იადიგარ დაუდი". ტ: 98-61-91. ნანა

პროსტატიტის, ქლამიდიოზის, ტრიქომონიაზის, უშვილობის, სქესობრივი პოტენციის დაქვეითების მკურნალობა უახლესი მეთოდებისა და აპარატურის გამოყენებით. მკურნალობას ატარებს პროფესორი რევაზ სალაყაია. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 35-20-06

ექიმი-მასაჟისტი გთავაზობთ ჩვილ ბავშვთა და მოზრდილთა საერთო და სამკურნალო მასაჟს ვარჯიშებითურთ, შეღავათიან ფასად, ბინაზე მომსახურებითაც. ვმკურნალობ: რადიკულიტს, ოსტეოქონდროზს, პარეზს, პლექსიტს, სქოლიოზს, კისერმრუდობას, მენჯ-ბარძაყის დისპლაზიას, ბრტყელტერფიანობას და სხვ. მის: დ. აღმაშენებლის გამზ. №115, კაბ. №19. თინიკო. ტელ: 96-03-11; 95-83-54 (სამს)

**სამკურნალო განცხადებები ლიცენზიის გარეშე არ გამოქვეყნდება**

## ვასწავლი

სწრაფი, დაჩქარებული კურსით შეგასწავლით პერსონალურ კომპიუტერზე მუშაობას ინდივიდუალურად, ხარისხიანად. MSDOC,NC,WINDOWS-98,WORD,EXCEL,PAGE MAKER. მაქვს საკუთარი დენის წყარო. ტელ: 34-32-79

ფირმა **DAWIT**-ი გთავაზობთ კომპიუტერის სწრაფად და ხარისხიანად შესწავლას. მოგემსახურებიან გამოცდილი პედაგოგები ყოველდღიური, ინდივიდუალური მეცადინეობით. **DAWIT** – მეგზური XXI საუკუნეში. ტელ: 98-78-26

ფირმა **DAWIT**-ი საფუძვლიანად და ხარისხიანად შეგასწავლით ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ ენებს. ყოველდღიური მეცადინეობით ინდივიდუალურად მოგემსახურებიან გამოცდილი პედაგოგები. ტელ: 98-78-26

ყურადღება!!! ვიწვევთ კრუპიეს უფასო მოსამზადებელ კურსებზე გოგონებს, 17-დან 30 წლამდე. ტელ: 93-46-12 (10-18 სთ)

შევასწავლი ტორტების ცხობა-გაფორმებას ჩემი მასალით, ერთ თვეში. ტელ: 77-86-68. მაია

## იყიდება

1) არასტანდარტული გორკა; 2) ძველებური, ცხრაფოთლიანი გორკა კარგ მდგომარეობაში. ტელ: 38-27-42

გერმანული ფირმის დიზელ-გენერატორი, კარგ მდგომარეობაში. ტელ: 95-35-69; 29-26-44. ია

ჩვენი დღევანდელი ცხოვრება ნერვიულობით სავსე და დაძაბულია, „ნევროსტიმით" მკურნალობა ყოველდღიურ სტრესს სწრაფად უმკლავდება. ნევროზის სამკურნალო, დამამშვიდებელი მცენარეული წვეთები „ნევროსტიმი" ხსნის მაღალ წნევას, გაღიზიანებადობას, შიშის სიმპტომებს, აწესრიგებს ძილს. მოზრდილთა პოლიკლინიკა №13 (ოპერის პირდაპირ), კაბ. №26. ტ: 37-38-13

უნიკალური ტერფსაფენი „ბიომაგი" სპილენძის ფირფიტებით, მაგნიტებით. „ბიომაგი" აცილებს ფეხს ოფლს, სუნს, აძლიერებს სისხლის მიმოქცევას, არეგულირებს წნევას, ნივთიერებათა ცვლას, ამაღლებს პოტენციას, აუმჯობესებს მეხსიერებას, იძლევა გასაოცარ ეფექტს. ფასი ხელმისაწვდომია. მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. №27. სადღეღამისო აფთიაქი „ნინო-დ" (რესპუბლიკური საავადმყოფოს ასახვევთან). ტელ: 38-80-75; ვაჟა-ფშაველას გამზ. №3. ტელ: 38-50-19

რეგისტრირებული, 100%-იანი ნატურალური, მცენარეული ლოსიონი „ანსალიტი" ბოლომდე და სწრაფად ასუფთავებს თმას ტილებისა და წილებისაგან. წილები ეფექტურად სცილდება, განსხვავებით სხვა სინთეტიკური პრეპარატებისაგან. კაბ. „ლუიზოლი". ტ: 37-38-13; „ანსალიტი" თქვენი ბავშვისთვის საუკეთესო, ბუნებრივი არჩევანია!

„ლუიზოლი" – 100%-იანი ნატურალური სახის კრემი – ასწორებს ნაოჭებს, აქრობს ჩირქოვან, ალერგიულ გამონაყარს, ჭორფლს, ლაქებს. აქვს ჭარბთმიანობის საწინააღმდეგო ეფექტი... და ეს ყველაფერი ერთად, ერთ კრემში! მის: იოსებიძის ქ. №53, კაბინეტი „ლუიზოლი"; რუსთაველის 28, მოზრდილთა პოლიკლინიკა №13, კაბინეტი 26. ტ: 37-38-13

1) „სტარაია როგის" ბუფეტი – 1.500$; 2) ხელით ნაქსოვი, კაპრონის ძაფის, ამობურცულყვავილებიანი საწოლის გადასაფარებლები – 2 ცალი – 80 ლარი. 3) მე-19 საუკუნის ბოლოს შესრულებული ფერწერული ტილო – 150$. ტელ: 23-07-65 (11 სთ-მდე, 23 სთ-იდან); 877 43-32-33

## შეიძენ

ა/მ „მერსედეს 124"-ს (დიზელზე) ან „ბმვ-524"-ს (დიზელზე), 4.500$-ის ფარგლებში. ტელ: 899 50-05-85

უხმარ ფოტოაპარატს „კიევ-88"-ს. ტელ: 37-58-91. იგორი (18 სთ-ის შემდეგ)

შევისყიდით გრძელ თმას. ქალთა პარიკმახერებს ვთავაზობთ თანამშრომლობას და მასალებს იაფად. მის: ცენტრალური რკინიგზის სადგური, II სართ. მაღაზია „ესთეტი". 12-17 სთ, შაბათ-კვირის გარდა. ტელ: 68-19-80

## მადლობა

ულრმეს მადლობას მოვახსენებ მცხეთის, საგარეჯოს, ახმეტის რაიონების ხელმძღვანელობას, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს თამაზ წივწივაძეს, მიწის რაესურსებისა და კადასტრის დეპარტამენტს, მოსწავლე ახალგაზრდობას, მათ მშობლებს იმ დიდი თანადგომისა და დახმარებისათვის, რომელიც გაგვიწიეს ამ გაჭირვების ჟამს.

*ომისა და შრომის ვეტერანი, პერსონალური პენსიონერი, ქ. ოდესის საპატიო მოქალაქე, 9 აპრილს დაღუპული ნოდარ ჯანგირაშვილის სახ. სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრის პრეზიდენტი, აფხაზეთის ა რ ვეტერანთა ფონდის საპატიო პრეზიდენტი* ***გიორგი ცომაია***

## სხვადასხვა

სალომბარდო კრედიტები – ყველაზე დაბალი 3,5% თვიური განაკვეთით, მაღალი ტარიფები (ოქროსა და ბრილიანტის გარანტიით). სს „ეა ბანკი". მის: წერეთლის გამზ. №73ა. ტელ: 35-45-37

## ხსოვნა

**არჩილ ქანკოტაძის ხსოვნას**



ჩვენო დიდო იმედო, ჩვენო დიდო სიამაყევ, რა გაანელებს შენი უდროოდ წასვლის ტკივილს. დრო ვერ განკურნავს ჩვენს ჭრილობას.

57 წელი ცოტაა შენნაირი ვაჟკაცისათვის, მაგრამ ბევრი კეთილი საქმის გაკეთება მოასწარი. მეუფე კონსტანტინეს (მელიქიძე) ლოცვა-კურთხევით მამაპაპისეულ სოფელში აღადგინე ულვთოდ მიტოვებული, სახურავჩაქცეული და გაპარტახებული ჯვართამაღლების სახელობის ეკლესია, რომელმაც ბევრი შენი ახლობელი, მეზობელი თუ თანასოფლელი მოაბრუნა სულიერებისაკენ.

შენ ის კაცი ხარ, რომელიც ნამდვილად დააკლდება სოფელ თვრინს, მთელ ზესტაფონის რაიონს.

უფალმა ნათელში დაამკვიდროს შენი ლამაზი სული.

***ლია, კარლო, მზია, ცეზარი***

**დათო კოკაურის გახსენება**



თებერვალია, ცივი და სუსხიანი, ისევე როგორც უშენობა. გვენატრები, ყველას ძალიან დაგვაკლდი – ოჯახსაც და მეგობრებსაც. დაუჯერებელია, მაგრამ მარადისობად იქეცი.

უბრალო თბილისელი ბიჭი, სიცოცხლითა და ენერგიით სავსე, რომელსაც უზრუნველად ცხოვრება შეეძლო, მოვალეობის გრძნობამ გმირად გაქცია. სხვაგვარად არც შეგეძლო. შენს ვაჟკაცურ ბუნებას უკან დახევა არ ეკადრებოდა. შენ თავი მარტო პრეზიდენტს კი არა, შენს სათაყვანო სამშობლოს შესწირე, რომელიც თავდავიწყებით გიყვარდა. ჩვენ და ჩვენი სკოლა ვამაყობთ შენით, შენი სოფლის მიწა კი გმირის საუფლოდ იქცა.

უჭირთ შენს მშობლებს, იზას და ვაჟას, თავს იმით იმშვიდებენ, რომ შენს სახელზე შენი დისშვილი, პატარა დათო კოკაური დაიბიჯებს. იმედია, შენსავით ვაჟკაცი და პირნათელი მამულიშვილი გაიზრდება.

დათო, ჩვენო ბომბორა ბიჭო, ჩვენო „კოკოშა", სულ გვახსოვხარ და გვენატრები. შენი „ყვავილების ქვეყანა" გვენატრება, შენებურად ამღერებული.

***117-ე სკოლის პედაგოგები***



# ნავთობი, ფული, ძალაუფლება...



გამომცემლობა „დე ნოვომ“ რუსულ ენაზე გამოსცა ნავთობის მრეწველობისა და საერთაშორისო ურთიერთობათა დარგის აღიარებული მსოფლიო ექსპერტის დენიელ ერგანის წიგნი „ნადავლი“. ეს არის ნავთობის, ფულისა და ხელისუფლებისათვის ბრძოლის ენციკლოპედია. 1853 წლიდან 1990 წლით დამთავრებულ მოვლენათა ქრონიკა იძლევა იმის სრულ სურათს, თუ როგორ იწყებოდა ნავთობის მოპოვება ამერიკასა და სხვა ქვეყნებში, რა მნიშვნელობას იძენდა ნავთობი თანდათანობით კაცობრიობის ცხოვრებაში. მეორე მსოფლიო ომმა ცხადი გახადა, რომ გერმანიისა და იაპონიის დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი ტანკების, თვითმფრინავების, ავტომობილების, გემების საწვავის ნაკლებობა იყო. ომის შემდგომ წლებშიც ნავთობი ბევრი პოლიტიკური კონფლიქტის მიზეზი გახდა.

„ნავთობის ისტორიების“ მოქმედი პირები არიან პოლიტიკოსები: ჩერჩილი, ჰიტლერი, ეიზენჰაუერი, იბნ საუდი, ნასერი და სადამ ჰუსეინი. მრეწველები: როკფელერი, გ. დეტერდინგი, ა. ჰამერი და სხვ.

წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირს, რადგან კრემლის პოლიტიკამ დიდი როლი ითამაშა ნავთობის მსოფლიო ბაზრის სიტუაციის განსაზღვრაში.

1992 წელს დ. ერგანის „ნადავლს“ პულიტცერის პრემია მიენიჭა. გაზეთი „ნიუ-იორკ თამსი“ წერდა: „დენიელ ერგანის ამოცანა იყო, შეეგროვებინა უთვალავი ინფორმაცია და ექცია იგი ესოდენ აუცილებელ ისტორიულ რუკად, რაც დიდებულად გააკეთა.

**ზა რუბეჟომ №4**

# რას ნიშნავს ევროსაბჭოს „დახმარება“

ევროკავშირი ჩეჩნეთთან ომის გამო რუსეთის წინააღმდეგ, ალბათ სანქციებს არ გამოიყენებს, რადგან ის, რასაც სტრასბურგსა და ბრიუსელში „დახმარებას“ უწოდებენ, სინამდვილეში ევროპული ხორცისა და ვადაგასული რძის ნაწარმის თავიდან მოშორებაა. მარტო 1999 წელს ევროსაბჭომ დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთსა და გერმანიაში 470 ათასი ტონა ხორცი შეისყიდა და მისი ნახევარი, დაბალი ფასებით „მესამე ქვეყნებში“, ძირითადად, რუსეთის ფედერაციაში შეიტანა. „გულუბრყვილობა იქნებოდა, გვეფიქრა, რომ ევროსაბჭოს მილიონობით ღარიბი ადამიანის დახმარება სურს რუსეთში. სინამდვილეში, ეს სხვა არაფერია, თუ არა ჩვენი საკუთარი აგრარული ბაზრების გადარჩენა — შენიშნავს ევროსაბჭოს აპარატში მომუშავე ერთი ბავარიელი პოლიტიკოსი, მაგრამ ამის შესახებ აშკარად ლაპარაკი არ შეგვიძლია“. სხვათა შორის, დადგენილია, რომ ხორცი, რომელზეც ევროსაბჭო ყოველწლიურად რამდენიმე ასეულ მილიონ ევროს ხარჯავს, რუს რიგით მომხმარებლამდე ვერ აღწევს. „საუკეთესო ნაჭრები“ მაღალ ინსტანციებში ნაწილდება, იმას კი, რაც ჩვეულებრივ მაღაზიებში ხვდება, არც ერთი ფრანგი და გერმანელი არ იყიდის“ — დასძენს ბავარიელი პოლიტიკოსი. ევროსაბჭო რუსეთის მომარაგებას რომ არ აფინანსებდეს, ბავარიის, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის სოფლის მეურნეობის ბაზარი გაკოტრდება, ხორცზე ფასის მკვეთრი დაცემის გამო. საქონლის ცოფისაგან გამოწვეული კრიზისი უკვე ემუქრებოდა ევროპის სოფლის მეურნეთ გაკოტრებით, მაგრამ მათ ბრიუსელი მოევლინა მხსნელად. დიდმა ბრიტანეთმა და ირლანდიამ ხელი დაიცალეს საქონლის ხორცის იმპორტის აკრძალვისას ჩაწოლილი ხორცისაგან. ხორცი, რომელსაც არავინ ყიდულობდა დასნებოვნების შიშით, სხვა ქვეყნებში წავიდა, ძირითადად, რუსეთში. მაგრამ არიან ექსპორტის სუბსიდირების პროგრამის მსხვერპლნიც — პირველ რიგში, პოლონელი გლეხები. ევროსაბჭოს ქვეყნებიდან იაფი ხორცის შემოტანამ პოლონური ექსპორტი დააზარალა. რაც შეეხება რუსეთის ხორცის ბაზარს, როგორც ევროსაბჭოში ბავარიის წარმომადგენელს მარკუს ფერბერს მიაჩნია, დასავლურ ხორცზე დემპინგური ფასების შენარჩუნების შემთხვევაში, იგი უბრალოდ ვერ ჩამოყალიბდება.

**ზა რუბეჟომ №2**

# რა ღირს კუნძული ოკეანეში?

ამერიკულმა კომპანია „ნეშლი ოქშნ გრუპმა“ ამას წინათ გაყიდა კუნძული გელუ. მისი ფართობი 800 ჰექტარია. ეს ამერიკაში სიდიდით მეორე კერძო კუნძულია. ნიუ-იორკელმა ადვოკატმა მონადირეების და მეთევზეების ამ სამოთხეში 2,8 მლნ დოლარი გადაიხადა.



გელუსთან შედარებით, ჰოლივუდის ერთმა ვარსკვლავმა თავისი საკუთრება ემერალდ-აილენდი (ზურმუხტის კუნძული), შეიძლება ითქვას, გროშებად გაყიდა.

პატარა კუნძულებს რომ დიდი შემოსავლის მოტანა შეუძლიათ, გერმანიაში პირველები ჰამბურგელი მაკლერები — ფარჰად ვლადი და რენე ბიომი დარწმუნდნენ. მათ საქმიანობა დაიწყეს სეიშელის ერთ-ერთი კუნძულის გაყიდვით. თავიდან ეგონათ, კუნძულებს თავგადასავლების მოყვარულები ყიდულობენო, მაგრამ როცა 28 წლის განმავლობაში 600 კუნძული გაყიდეს, მიხვდნენ, ხმელეთის პატარა ნაწილს ბუნების მოყვარული და იმპროვიზაციის ნიჭით გამორჩეული ადამიანები იძენენ.

კუნძულის ყიდვა ექიმსაც სურს, ინჟინერსაც და ბანკირსაც. მსოფლიოში დაახლოებით 10 ათასი დასახლებული კუნძულია, აქედან 2 ათასამდე კერძო საკუთრებაა. მაკლერების თქმით, ის კაცი, რომელიც კუნძულს ყიდულობს, თავს მეფედ გრძნობს.

დღეს ძნელი არ არის, გახდე ხმელეთის პატარა ნაწილის მფლობელი. კუნძულებამდე ავიაბილეთები სულ უფრო იაფდება. ტელეკომუნიკაციის ეპოქაში რობინზონები კუნძულებზე თავს მარტოსულად არ მიიჩნევენ. ენერგიის მიღება მზის ბატარეებითაც შეიძლება. ეს ზრდის კუნძულებზე მოთხოვნას. აუქციონზე გაყიდულმა კუნძულმა გელუმ მაკლერ ვლადის ხელში 3-ჯერ გაიარა. 1984 წელს 900 ათას დოლარად გაყიდა. სამი წლის შემდეგ 1,4 მილიონად, 1991 წელს — 2,4 მილიონ დოლარად.

იაფი კუნძულების ნამდვილი საკრებულოა კანადა. მაგალითად, ლონგ-აილენდ-ვესტი, რომლის ფართობი 3,5 ჰექტარია (იგი წიწვოვანი ტყითაა დაფარული), სულ რაღაც 38 ათასი კანადური დოლარი ღირს (დაახლოებით 49 ათასი მარკა). კანადის სანაპიროს კუნძულები უფრო საზაფხულო დასვენებისთვისაა განკუთვნილი. გერმანელმა ინჟინერმა კარლო კოლიბეკერმა პატარა კუნძული ლიტლ-უოტერ-კეი 350 ათას დოლარად იყიდა და მერე სხვა ხარჯებიც გასწია, რომ იგი მშვენიერ კურორტად ექცია; თუ ოდესმე მობეზრდა ეს სამოთხე, მას თავისუფლად გაყიდის 1,5 მილიონ დოლარად.

**ვირტშაფტს ვოხე**

# ყალბ ფულს მილიონერებიც კი ბეჭდავენ

ბრიტანეთის პოლიციამ დააპატიმრა ყალბი ფულის მჭრელთა ჯგუფი ჰემფშირისა და ესექსის საგრაფოებში. 5 წლის „მუშაობის“ შემდეგ დამნაშავეებმა 50 მლნ გირვანქა სტერლინგი გამოუშვეს (87,5 მლნ დოლარი). 30 მლნ ყალბი ფული ბრიტანეთის ტერიტორიაზე, მიმოქცევაში. 20 მლნ კი პოლიციამ უკვე ხელთ იგდო.

ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ დამნაშავეთა ჯგუფს ხელმძღვანელობს ქვეყანაში ცნობილი და პატივსაცემი პიროვნება — წიგნებისა და ჟურნალების მაგნატი — 60 წლის მილიონერი კენეტ მეინსთოუნი. მას ამ არალეგალური ბიზნესის გარეშეც საკმარისი ფული ჰქონდა, რომ შეეძინა თანამედროვე მსუბუქი მანქანების პარკი, საკუთარი თვითმფრინავები და ესექსის საგრაფო.

ინგლისის ბანკები უარს ამბობენ რაიმე კომენტარის გაკეთებაზე. მაგრამ, ეტყობა, მომხდარმა ისინი სერიოზულად დააფიქრა. მმართველები აპირებენ რამდენჯერმე გაზარდონ კუპიურების შემოწმების საშუალებები.

**პოსლედნიე ნოვოსტი №5**

# მილიარდერებს რა გამოლევს...

ჟურნალ „იუსოპ ბიზნესმა“ უმდიდრეს ევროპელთა სია გამოაქვეყნა. 400 მდიდარ ევროპელთა შორის 358 მამაკაცია, მაგრამ ამ ნუსხას თავში ფრანგი ქალი ლილიან ბეტენკური უდგას. იგი კოსმეტიკური ფირმის „ლ'ორეალის“ მფლობელია, რომლის საქონელბრუნვა 60 მლრდ დოლარს შეადგენს. მისი პირადი ქონება 14 მლრდ დოლარად არის შეფასებული. მეორე ადგილზეა ლეო ალბრეხტი, რომელსაც ეკუთვნის გერმანიაში მაღაზიათა ქსელი. იგი 11 მლრდ დოლარის მფლობელია. ჟურნალის აზრით, ფულით ბედნიერებას ვერ შეიძენთ. უკვე 21 წელიწადია რაც ალბრეხტი საზოგადოებაში არ გამოჩენილა — ეშინია არ გაიტაცონ.

ყველაზე პატარა მილიარდერი — 13 წლის ალეგრა ვერსაჩეა, ჯანი ვერსაჩეს ძმისწული. მისი ქონება 2 მლრდ დოლარს შეადგენს. უმდიდრეს ევროპელთა შორის არიან მოხსენიებული ცნობილი პიროვნებებიც. ხულიო იგლესიასი, მიხაილ შუმახერი. თითოეულს 480 მილიონი აქვს.

ყველაზე ბევრი, 47 მილიარდერი ცხოვრობს გერმანიაში. მილიარდერთა ნუსხაშია 25 ფრანგი, 22 ინგლისელი, 18 შვეიცარიელი და 16 იტალიელი. ავსტრიაში კი მხოლოდ ერთი მილიარდერი ცხოვრობს. თუ რამდენი მილიარდერი ცხოვრობს რუსეთში, ჟურნალი დუმს, ან რუსეთს არ მიიჩნევს ევროპად, ან რუსი ოლიგარქები არ მიაჩნია საკმაოდ მდიდარ ხალხად.

**ფავორიტი №1**

# კითხვა-პასუხი



***როდის ელირსება ვაჟა-ფშაველას პროსპექტს ასე გაჭიანურებული ახალი მეტროსადგურის „ბახტრიონისა“ და „უნივერსიტეტის“ ექსპლუატაციაში შესვლა?***

***ვაჟა-ფშაველას პროსპექტის მცხოვრებლები***

ვაჟა-ფშაველას გამზირზე მეტროსადგურ „ბახტრიონის“ ამოქმედება ნაცვლად განსაზღვრული 9 აპრილისა, გათვალისწინებულია მიმდინარე წლის 26 მარტს. ამასთან, მოსახლეობას ვამცნობთ, რომ მეტროსადგურ „უნივერსიტეტის“ გახსნა, რომელიც თანხის უქონლობის გამო (12 მილიონი ლარია საჭირო) გაჭიანურდა, დაგეგმილია 2001 წელს.

***ქალაქის მეტროპოლიტენის ადმინისტრაცია***

***სტუდენტს, რომელიც ჩვენი ქვეყნის მოქალაქეა და სწავლობს გერმანიაში, მალე დაუმთავრდება პასპორტის ვადა. შეიძლება თუ არა პასპორტის გამოცვლა გერმანიაში და როგორი წესით?***

***თ. ოძელაშვილი, თბილისი***

თუ სტუდენტი სწავლის გაგრძელებას აპირებს გერმანიაში, არაა სავალდებულო მისი პასპორტის საქართველოში გამოცვლა. ამ მიზნით მას შეუძლია მიმართოს გერმანიაში საქართველოს საკონსულოს. ხოლო, თუ პასპორტი თავიდანვე გერმანიაში აქვს აღებული, იქვე შეუძლია გამოცვლა. იმ შემთხვევაში კი, თუ სტუდენტი არ აპირებს გერმანიაში სასწავლებლად დარჩენას და საქართველოში უნდა დაბრუნდეს, მაშინ პასპორტს გამოცვლის ჩვენს ქვეყანაში.

***მურთაზ კირთაძე, მოსახლეობის რეგისტრაციისა და საპასპორტო-სავიზო ეროვნული ბიუროს მოსახლეობის რეგისტრაციის განყოფილების უფროსი***

***რამდენი წელი უნდა იცხოვრო საქართველოში, რომ მიიღო ამ ქვეყნის მოქალაქეობა? 1991 წლის ივლისიდან ჩაწერილი ვარ რუსთავში, მაგრამ იუსტიციის სამინისტრომ საქართველოში ჩემი ცხოვრების ცხრა წელი არ ჩამითვალა საკმარისად. არის თუ არა ეს სამართლიანი?***

***მკითხველი***

საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების საკითხს წყვეტს იუსტიციის სამინისტრო. მოქმედი კანონმდებლობით, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეობის მისაღებად საქართველოში ცხოვრების ხანგრძლივობა განისაზღვრება 10 წლით.

***იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეობის სამოქალაქო საკითხთა და იმიგრაციის დეპარტამენტი***

***ვარ 26 წლის. 1998 წელს სასამართლოს გადაწყვეტილებით მიშვილა ჩემმა შორეულმა ნათესავმა, რომელიც არის მარტოხელა პენსიონერი ქალბატონი. ვექვემდებარები თუ არა სამხედრო სამსახურში გაწვევას?***

***პ.კ. ზესტაფონი***

რადგან თქვენმა ნათესავმა გიშვილათ და, შესაბამისად, ამის სასამართლო გადაწყვეტილებაც მოგეპოვებათ, სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევას არ ექვემდებარებით, რადგან მას, როგორც მარტოხელას, კანონით სხვა მემკვიდრე არ გააჩნია.

***მთავარი საორგანიზაციო-სამობილიზაციო სამმართველო***

***დროგამოშვებით ყურებში მაქვს ხმაურის შეგრძნება, არადა, თითქოს ავადმყოფობა არ უნდა მაწუხებდეს. იქნებ ამიხსნათ, რა იწვევს ამას?***

***მ. ხვედელიძე, თბილისი***

აბსოლუტური სიჩუმის დროს ყურებში შუილი შეიძლება სრულიად ჯანმრთელ ადამიანსაც გაუჩნდეს, რაც გამოწვეულია შიგნითა ყურის წვრილ კაპილარებში მიმოქცეული სისხლის მომეტებული აღქმით. ხოლო ავადმყოფური ანუ პათოლოგიური შუილი ვითარდება ყურებში სასმენ ნერვთან ან შიგნითა ყურთან სისხლის არათანაბარი დინებით, რაც შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა ნივთიერებათა (ტყვია, დარიშხანი, ალკოჰოლი, ნიკოტინი) მიღების შედეგად მოწამვლამ ან ჰიპერტონიულმა დაავადებებმა. გარდა ამისა, ყურებში დროებით შუილი ორსულობის ან კლიმაქსის დროსაც შეინიშნება.

***ნაძალადევის რაიონის პოლიკლინიკის თერაპევტი***

***რამდენად კანონიერია ადვოკატთა მოქმედება, რომელთაც არ დაგვრთეს ნება, აგვეყვანა ნათესავი დამცველად, არადა, როგორც გვსმენია, ნათესავს აქვს უფლება დაიცვას განსასჯელი.***

***ი. დვალი***

დამცველად ახლო ნათესავის (ან საერთოდ, ნათესავის) აყვანა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმე შეეხება არასრულწლოვანის ან შეზღუდულქმედუნარიანი ეჭვმიტანილის (ბრალდებულის) დაცვას.

***ადვოკატთა კოლეგია***

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 19 თებერვლიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | | |
|---|---|---|
| **აშშ დოლარი** | | 1,959 |
| **გერმანული მარკა** | | 0,991 |
| **ინგლ. გირვანქა სტერლინგი** | | 3,149 |
| **ევრო** | | 1,938 |
| **რუსული რუბლი** | | 0,068 |
| **თურქული ლირა** | (10.000) | 0,034 |

ხის საამქრო
კარ-ფანჯარა, ავეჯი, ანტიკვარული გრეხილი კიბე, ლავგანდარი (კარნიზი)
ლითონის საამქრო
ფარდა-ჟალუზი; ლითონის კარი; „გარმოშკა“; ჟალუზი; ფანჯრის უძრავი გისოსი; ავტოფარეხი. აგრეთვე, ნებისმიერ სართულზე დაგიმონტაჟებთ აივანს.
მის: ფალიაშვილის 100; ჭავჭავაძის 25
ტ: 25-12-72; 22-60-03; 877-41-87-75

და შტამპების
ფირმების რეგისტრაცია აუდიტი
რუსთაველის 22
☎99-86-09; 38-37-89

NGA
ხის საამქრო
კარ-ფანჯარა, ავეჯი, ანტიკვარული გრეხილი კიბე, ლავგანდარი (კარნიზი)
ლითონის საამქრო
ფარდა-ჟალუზი; ლითონის კარი; „გარმოშკა“; ჟალუზი; ფანჯრის უძრავი გისოსი; ავტოფარეხი; ნებისმიერ სართულზე დაგიმონტაჟებთ აივანს.
მის: ბარნოვის 84
ტ: 29-39-81, 877-41-87-75

ცნობილი მკურნალი ირინა ლომთათიძე თაობათა მანძილზე გამოცდილი მცენარეული წამლებით მკურნალობს:
ბოტკინით დაავადებულებს;
ორგანიზმში დაგროვილ სითხეს;
პირის ღრუში უსიამოვნო სუნს;
ფრჩხილების სოკოს;
ქავილი სხვადასხვა ადგილებში;
ფრჩხილების ჩაზრუნება;
თმის ცვენა, სებორეა;
ტროფიკული წყლული, წითელი ქარი.
ეფექტი გარანტირებულია I დღიდან. მკურნალობის კურსი 5-10 დღიანია.
ადგილზევე ხდება კომპიუტერული დიაგნოსტიკური გამოკვლევები მაღალ დონეზე
მის: აღმაშენებლის გამზ. №115, „ფანასკერტელი“
იკითხეთ ლომთათიძის აფთიაქი. ტელ: 77-68-50 (საღ.)

# თქვენ წინაშეა პუტინის პორტრეტული შტრიხები

იგი სწრაფი ნაბიჯით დადის, წელგამართული, მკაფიო ხმა აქვს და სიტყვაძუნწია. ეს პატარა ტანის, გაფითრებული, 47 წლის კაცი მიუკარებელი და სასტიკიც ჩანს ხოლმე.

ის არასოდეს იცეკვებს სახალხო დღესასწაულებზე. შოუ არ არის მისი სფერო. მისთვის დამახასიათებელია სიმკაცრე, აკურატულობა და გულმოდგინება. ვინც დიდი ხნიდან იცნობს, ამბობს: „არასოდეს თვრება, საერთოდ არ უყვარს არაყი“.



არ ახდენს თავისი პირადი ცხოვრების აფიშირებას, მაგრამ ცნობილია, რომ მისი ორი გოგონა მოსკოვის გერმანულ სკოლაში სწავლობს, ცოლი — ლუდმილა გერმანული ფილოლოგიის სპეციალისტია.

კაცი თავისუფალ დროს ჭიდაობითაა დაკავებული. იგი ძიუდოში შავი ქამრის მფლობელია.

დასავლეთს გაუჭირდება ურთიერთობა ადამიანთან, რომელიც მუდამ იმაზე ლაპარაკობს, რომ ამაყობს თავისი ქვეყნით.

განათლებით იურისტი, თხუთმეტ წელზე მეტ ხანს ეწეოდა საერთაშორისო ჯაშუშობას გდრ-ში — ერფურტსა და დრეზდენში, სადაც ოფიციალურად საბჭოთა სავაჭრო ორგანიზაციას წარმოადგენდა.

„იგი რეგიონალური პოლიტიკოსების მიმართ შანტაჟის მეთოდსაც იყენებდა. როცა პოლიტიკოსები კრემლის სურვილის შესაბამისად არ იქცეოდნენ, მათზე კომპრომატებს აგროვებდა და გამოქვეყნებით ემუქრებოდა. ერთხელ იხუმრა: „არსებობს ადამიანზე ზემოქმედების სამი გზა: შანტაჟი, არაყი და მკვლელობის მუქარა“.

სხვათა შორის, ერთ-ერთ გაზეთში გაიჟღერა ცნობამ, რომ 50-იან წლებში ვალოდია პუტინმა რამდენიმე წელიწადი დასავლეთ საქართველოში — სენაკში გაატარა, სადაც მაშინ მისი მშობლები ცხოვრობდნენ.

იგი „ძალზე კონსერვატულად მოქმედებს, რუსულ მანერაზე, თითქმის კომუნისტურად“. იგი სიამოვნებით თევზაობს, მაგრამ თუ თევზი ანკესზე არ ეგება, ბადეს მოისვრის ხოლმე წყალში...

***სოვერშენნო სეკრეტნო №2***

**პუტინმა ჭიდაობა საქართველოში ისწავლა?..**
**ორი წლის პუტინი საქართველოში ჩამოუყვანიათ?..**

...რა ვართ ისე, ეს ქართველები, სენსაციებს გამოკიდებულებმა ხან მარგარეტ ტეტჩერის ბებია იყო ქართველიო, ხან ტოტო კუტუნიო ქართველი პარტიზანის შვილიაო (ზედა ორი ნათქვამი ბაქიბუქი გამოგვივიდა)... მერე ვწერეთ და ვიკითხეთ, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ივანოვმა ბავშვობა საქართველოში გაატარა (ისე ივანოვის ამბავი ,,კვირის პალიტრამ“ ფოტოებითაც დაადასტურა) და ქართველებს ზურგში ხანჯალს არ ჩაგვცემსო... ახლა, როცა დიდ ასპარეზზე ,,პატარა“ პუტინი გამოჩნდა – ვიფიქრეთ, მაგასაც ექნება რაღაც ,,ქართულიო“ და მივაკვლიეთ (ჩვენც ვმუშაობთ, ბატონო)... სოფელ მეტეხში (კასპის რაიონი) დედას ორი წლის ვალოდია ჩამოუყვანია, მერე აქ მეორედ გათხოვილა აქაურ სომეხზე. იზრდებოდა ვალოდია თანასოფლელებთან, ჭიდაობდა, ქართულ ილეთებს სწავლობდა (იმიტომაც არის ახლა ძიუდოში შავი ქამრის მფლობელი), ცხოვრობდა, როგორც ერთი ქართლელი ბიჭი... ოღონდ მამინაცვალი არ სწყალობდა და დედას ურჩიეს, გაუშვი ბიჭი ბიძებთან რუსეთში, მისთვის ასე აჯობებსო... დასვეს მატარებელზე და... ბიძებმა ბავშვთა სახლს მიაბარეს... ის, რაც გიამბეთ, სასტიკად გასაიდუმლოებულია და ФСБ-ს ლუქი ადევს... პუტინის ბიოგრაფიის ეს ფურცლები აკრძალული ლიტერატურაა...

ახლა, ყველაფერ ზემონათქვამს რომ დამაჯერებლობა შევძინოთ, დავძენთ – ეს ყველაფერი იქაურმა მკვიდრმა შეგვატყობინა (ისიც დასძინა – დედამისმა ტელევიზორში რომ ნახა – კი, კი, ეს ჩემი ვალოდიააო, უთქვამს) და გაგვაფრთხილა, – ნუ იჩქარებთ, სოფელს და მით უფრო იმ კარმიდამოს გულმოდგინედ იცავენ და ახლოსაც არ გაგაკარებენ – უშიშროების სამსახურიდან უნდა იყვნენ მგონიო... თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ, ,,სენაკში გატარებული ბავშვობის“ ,,მეტეხში ნასწავლი ჭიდაობით“ შეცვლა მოგვიწევს (რედ).

# პუტინის მკვლელი 2,5 მილიონი დოლარით დაჯილდოვდება?

16 თებერვალს ინტერნეტით გავრცელდა (მისამართი www.jikhad.org) შამილ ბასაევის განცხადება: „ბოროტმოქმედ პუტინს სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს, ვინც მას სისრულეში მოიყვანს, ალაჰი შეიწყალებს. პუტინის სიკვდილით ჩეჩენი ხალხის სისხლს გამოისყიდით.

იცოდეს ყველა მუსულმანმა, რომ ჩვენი ისლამური ორგანიზაცია 2.500 000 დოლარით დაასაჩუქრებს იმას, ვინც თავისი ხელით აღასრულებს ამ მისიას. ვისაც სურს ამ საკითხთან დაკავშირებით დაწვრილებითი ცნობების მიღება, მოგვმართეთ ფაქსით: 44870137 — 3118 ან ელექტრონული ფოსტით fatwah@jikhad.org (არაბულ, ინგლისურ და რუსულ ენაზე)

ალაჰ აკბარ!
იმამი შამილ ბასაევი
8 შამალ 1420 წ.“

როგორც ელექტრონულმა გაზეთმა gazeta.ru-მ გამოარკვია, განცხადებაში მითითებული საიტი რეგისტრირებულია 11 თებერვალს, ამერიკულ ჰოსტინ-პროვაიდერ Cognigen Corporation-ის მიერ და მისი შტაბბინა სიეტლში მდებარეობს. შემკვეთი და მფლობელი კომპანია Exodus Communications inc მდებარეობს კალიფორნიაში. ფაქსის ნომრის საწყისი რიცხვი — 44 მიუთითებს, რომ აპარატი დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს. „კომსომოლსკაია პრავდის“ ჟურნალისტმა ამ პროვოკაციული „გათამაშების“ შემოწმება მოისურვა და მითითებულ მისამართზე გააგზავნა ბარათი: „ვარ ჟურნალისტი. კრემლში ხშირად ვხვდები პუტინს. მაქვს რეალური შანსი, შევასრულო პირობა. მაინტერესებს წარმატების შემთხვევაში როგორ და ვინ ამინაზღაურებს.“

ოთხ წუთში ჟურნალისტმა მიიღო პასუხი ინგლისურ და რუსულ ენებზე: „ანაზღაურების შესახებ ინსტრუქციას გამოგიგზავნიან ფაქსით ან ელექტრონული ფოსტით უახლოეს დღეებში.

ალაჰ აკბარ, იმამი შამილ ბასაევი“.

ბოროტი ხუმრობა თუ პოლიტიკური აქცია გრძელდება

***კომსომოლსკაია პრავდა №31***

# როგორ ვაწარმოოთ პარტიზანული ომი?

ამქვეყნად ახალი არაფერი არ არის. ჩეჩნების პარტიზანული ომები რუსეთს XX საუკუნეშიც მოუგია. „კავკასია — წერდა გენერალი ერმოლოვი, — დიდი ციხესიმაგრეა, რომელსაც ნახევარმილიონიანი გარნიზონი იცავს. მასზე ან იერიშით გადასვლა, ან ტრანშეების ხელში ჩაგდებაა საჭირო. იერიში ძვირი დაჯდება. მაშ, ალყა შემოვარტყათ!“ მაშინ ერმოლოვმა, პასკევიჩმა და გრაფმა ვორონცოვმა არ იჩქარეს და ჩეჩნეთი რუსული დროშის ქვეშევრდომი გახადეს.

რატომღაც რუსეთი პატარ-პატარა ომებში ვერ იმარჯვებს. გროზნოს აღების შემდეგ „სამხედრო შიმშილის“ პერიოდი დადგება. პარტიზანული ომი დიდხანს გაგრძელდება... მომავალშიც ბევრ თუთიის სარკოფაგში ჩაძინებულ ბიჭებს მივიღებთ ჩეჩნეთიდან... ეს იმაზე არ მეტყველებს, რომ პარტიზანული ომი უპერსპექტივოა. პოლკოვნიკ სერგეი პივოვაროვის აზრით, სამხედრო მოქმედებები პარტიზანების წინააღმდეგ მხოლოდ პარტიზანული მეთოდებით უნდა ჩატარდეს. სპეცსამსახურების თანამშრომელი მიხაილ მ. ფიქრობს: „ჯერ არავის შეუცვლია ძველი იმპერიული პრინციპი — „დაყავი და იბატონე“. ნებისმიერი რეგულარული არმია პარტიზანების წინააღმდეგ ბრძოლაში დამარცხდება. ნაპოლეონის „ძველი გვარდია“ უძლური აღმოჩნდა ფიწლებით შეიარაღებული რუსი და ესპანელი ჯარისკაცების წინაშე. ჰიტლერმა ვერ გასრისა ტანკებით ბელორუსები. ზუსტად ასევე — ჩვენი „Су-24“-ები და „Су-25“-ები ვერ გასტეხენ ჩეჩნებს. ჩეჩნებს თვით ჩეჩნები თუ „დაამშვიდებენ“. აზიას ფული და ძალა უყვარს. დაუყოვნებლივ უნდა გამოვიყენოთ ორივე ბერკეტი. უმჯობესია მოვისყიდოთ და ჩვენს მხარეზე გადმოვიყვანოთ რომელიმე ბარაევი თავისი ბანდიტებითურთ, ვაპატიოთ ძველი ცოდვები და იცხოვროს თავისთვის კალუგაში, როგორც ადრე იქ იმამი შამილი ცხოვრობდა. ასე რომ, პრინციპის ოდნავ შეცვლა მოგვიხდება — „დაყავი და იყიდე“...

პოლკოვნიკ არკადი ეგოროვის სტრატეგიაა: „ყოველ მგელს თავისი მონადირე ჰყავს“. გერმანელები პარტიზანების წინააღმდეგ საბრძოლველად სპეციალურ „მონადირეთა“ ჯგუფს ქმნიდნენ. ეტყობა, ჩვენც ეს გვჭირდება ჩეჩნეთში. მთის ომების ძირითადი ტაქტიკაა: ვინც უფრო მაღლაა, იგი ყოველთვის მართალია. ჩეჩნეთის ყველა მთა საჩქაროდ უნდა დავიპყროთ. — მოდით, ისე დავბომბოთ, ქვის ხანას დავამსგავსოთო, — გაიძახიან სამხედროები. ეს ნიშნავს ისეთ აფეთქებებს, რომლის შემდეგაც მხოლოდ ფერფლი რჩება.

დღეს განსაკუთრებით ვართ დამოკიდებული მსოფლიო საზოგადოებრიობაზე. ამიტომ ჩეჩნებს ცივილიზებულად უნდა ვეომოთ. ნებისმიერ ბარბაროსობას არავინ გვაპატიებს — ფინანსურად დაგვსჯიან.

გენერალ მიხაილ სკობლევს უთქვამს, აზიას ისე მაგრად უნდა სწვდე ქეჩოში და ისე შეანჯღრიო, რომ ოცნების თავიც აღარ ექნესო.

ანტონ დენიკინის ჯარმა კი, 80 წლის წინათ, ჩეჩნეთი ორ კვირაში დაამხო. „16-23 მარტს ყუბანისა და თერგის კაზაკების ძლიერმა რაზმმა გენერალ დრაცენკოს მეთაურობით უძლიერესი დარტყმა მიაყენა ჩეჩნებს, მათ 1000 ადამიანი დაკარგეს. წარუმატებლობით სასოწარკვეთილმა ჩეჩნებმა რუსებს დეპუტაციები გაუგზავნეს მორჩილების ნიშნად“. ამის შემდეგ დენიკინის ჯარებს ჩეჩნები არ ემუქრებოდნენ — არც პარტიზანობა დაუწყიათ.

1999 წელს გენერალმა ვლადიმირ შამანოვმა პირისაგან მიწისა აღგავა ალხან-იურტი, უკვე გროზნოც დაამხეს, მაგრამ „მორჩილების ნიშნად“ არავინ გამოჩენილა. ნეტავ, კიდევ რა უნდა მოიმოქმედონ ჩვენმა გენერლებმა, რომ ჩეჩნები „შეაძრწუნონ“?

***ოგონიოკი №5***

# ჰილარი შეტევაზე გადავიდა

ჰილარი კლინტონი ამერიკის ისტორიაში პირველი „პირველი ლედია“, რომელმაც ოფიციალურად განაცხადა, რომ სენატის არჩევნებში სურს მონაწილეობა, როგორც კანდიდატს.

მისის კლინტონი მეუღლე პრეზიდენტისა და ქალიშვილის თანხლებით ეწვია ნიუ-იორკის უნივერსიტეტის ორიათასიან აუდიტორიას. რაც შეეხება ბილ კლინტონს, ჯერჯერობით არაფერს ამბობს იმის თაობაზე, თუ რას აპირებს 2001 წლის იანვრის შემდეგ, როცა ამოიწურება მისი პრეზიდენტობის ვადა. დამკვირვებლების თქმით, ცოლის გამოსვლის დროს იგი ჩრდილში ყოფნას ამჯობინებდა, თუმცა აშკარად ემჩნეოდა, რომ კმაყოფილი იყო შთაბეჭდილებით, რომელიც ჰილარიმ აუდიტორიაზე მოახდინა.

მისის კლინტონის კონკურენტია ქალაქ ნიუ-იორკის მერი რესპუბლიკელი რუდოლფ ჯულიანი. რეიტინგის თანახმად, მათ სადღეისოდ პრაქტიკულად თითქმის ერთნაირი შედეგები აქვთ: ჰილარი სულ რაღაც ნახევარი ნაბიჯით ჩამორჩება მას.

თუ ჰილარი გაიმარჯვებს (ბევრი ანალიტიკოსის აზრით, ეს სავსებით რეალურია), მაშინ მისი ქორწინება, ასე ვთქვათ, „დისტანციური“ იქნება — ეს დღეს ამერიკაში ძალზე მოდური სიტყვაა და დაახლოებით ნიშნავს იმას, რომ ქმარი ცხოვრობს და მუშაობს ვაშინგტონში, ცოლი — ნიუ-იორკში, თანაც ყველა კმაყოფილია.

ფსიქოლოგები, რომლებიც ჰილარი კლინტონის წინასაარჩევნო კამპანიას ადევნებენ თვალს, ამტკიცებენ, ჰილარის მთავარი მეტოქე ჯულიანი კი არა, მისი საკუთარი ქმარია. ამერიკულ პრესაში ისიც კი დაიწერა, რომ „პირველ ლედის“ ამ გზით სურს რევანშის აღება თავის ქმარზე, რომლის პოლიტიკური კარიერა დასასრულს უახლოვდება, მისი კი ახლა იწყება.

***ზა რუბეჟომ №5***

# ჩვეულებრივი ფაშიზმი

„ჩვენი თანამედროვე ისტორიის პარადოქსია ის, რომ მსოფლიო სამეცნიერო-ტექნიკურ ნახტომს აკეთებს ახალ საუკუნეში. პოლიტიკური მეტამორფოზები კი მას ტრაგიკული წარსულისაკენ აბრუნებს. ხელისუფლების სათავეში მოვიდა ავსტრიის ულტრამემარჯვენეთა პარტია იორგ ჰაიდერის ხელმძღვანელობით, რომელიც არ მალავს სიმპათიას ფაშისტების მიმართ. ევროკავშირში შემავალმა 14-მა ქვეყანამ ვენასთან თავისი კავშირები გაყინა, მრავალმა ქვეყანამ, მათ შორის ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ავსტრიიდან თავიანთი ელჩები გაიწვიეს. ბერლინმა მოიწონა ევროკავშირის სანქციები, რადგან მიაჩნია, რომ გერმანია მოვალეა, სიფხიზლე გამოიჩინოს ულტრამემარჯვენეთა მუქარის მიმართ არა მარტო საკუთარ ქვეყანაში, არამედ სამეზობლოშიც. მსოფლიოს გაზეთები აჭრელდა სათაურებით: „ახალი ფიურერი“, „ბოროტების სიმბოლო ევროპაში“, „ღარიბთა ჰიტლერი“ და ა.შ. ადოლფ შიკლგრუბერიც ავსტრიის მკვიდრი იყო და მსოფლიომ მის შესახებ მხოლოდ მაშინ შეიტყო, როცა ჰიტლერი გახდა. ამ ორი ავსტრიელი პოლიტიკოსის შეხედულებათა ერთობა ჯერ კიდევ 14 წლის წინათ შეამჩნიეს, როცა ჰაიდერი თავისუფლების პარტიის ლიდერი გახდა. ერთ თავის გამოსვლაში ჰაიდერმა SS-ის ვეტერანებს „უკანასკნელი გმირები“ უწოდა, ნაცისტთა საკონცენტრაციო ბანაკებს კი, „გამოსასწორებელი დაწესებულება“. „300 ათასი ზედმეტი ემიგრანტი — ეს 300 ათასი უმუშევარი ავსტრიელია“, „ავსტრია — ავსტრიელებისათვის“ — ამ ტიპის სხვა მოწოდებები იქცა ჰაიდერის „სავიზიტო ბარათად“.

ავსტრია ზღვარზე დგას, — განაცხადა ქვეყნის პრეზიდენტმა თომას კლესტილმა. ევროკავშირის რეაქცია კიდევ უფრო ამძაფრებს ამ შეგრძნებას. გამოკითხვა ადასტურებს, რომ პრაქტიკულად ყველა ავსტრიელი (დამოუკიდებლად იმისა, მოსწონს თუ არა ჰაიდერი) გაღიზიანებულია იმით, რომ „საზღვაგარეთი ცდილობს მართოს ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესი. სხვათა შორის, გერმანელთა 80%-ს მიაჩნია, რომ



ევროკავშირი არ უნდა ჩარეულიყო ავსტრიის შინაურ საქმეში. მით უმეტეს, ასე ნაადრევად, რადგან თუ ავსტრიის პრეზიდენტი დაეთანხმება თავის კოლეგებს ევროკავშირიდან და მხარს არ დაუჭერს ახლანდელ კოალიციას, ამას მოჰყვება ახალი არჩევნები, გამარჯვებული ჰაიდერი გამოვა, ე.ი. კანცლერი გახდება. თუ ანგარიში არ გაეწევა ევროკავშირის აზრს, ამ შემთხვევაშიც გამარჯვება ჰაიდერს დარჩება.

***იტოგი №6***

1945 წლის შემდეგ პირველად, ბერლინის ცენტრში, ცნობილ ბრანდენბურგის ჭიშკართან მარშით გაიარეს გერმანელმა ნაცისტებმა და მემარჯვენე რადიკალებმა. ისინი პროტესტს უცხადებენ ხოლოკოსტში დაღუპულთათვის მემორიალის აგებას.

***იზვესტია №12***

# არაბული სამყარო ტერორიზმის წინააღმდეგ

20 არაბული ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრებმა გამოხატეს თავიანთი ნება, ებრძოლონ ტერორიზმის „ნებისმიერ ფორმას“ და მხარი დაუჭირეს ალჟირის ძალისხმევას, ბოლო მოუღოს ისლამისტების სისხლიან გამოხდომებს. ალჟირის დედაქალაქში გამართულ კონფერენციაზე მათ განიხილეს ტერორიზმთან, ორგანიზებულ დანაშაულთან და ნარკოტიკებით ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები. მინისტრებმა მიიღეს „ალჟირის დეკლარაცია“, რომელიც მხარს უჭერს გაეროს ინიციატივას ტერორიზმთან ბრძოლის საერთაშორისო კონფერენციის ჩატარების თაობაზე. დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ მსოფლიომ უნდა დაინახოს განსხვავება სისხლიანი ძალადობის აქტებსა და დამოუკიდებლობისათვის კანონიერ ბრძოლას შორის. კონფერენციის მონაწილეებმა ასევე დაუჭირეს მხარი ალჟირის პრეზიდენტ აბდელ აზიზ ბუტეფლიკს მის მცდელობაში, ბოლო მოუღოს ისლამისტების 8 წლიან შეიარაღებულ ბრძოლას. ამ პერიოდის მანძილზე ქვეყანაში 100 ათას კაცზე მეტი დაიღუპა.

***ეხო პლანეტი №6***

# ფინეთის პრეზიდენტი ქალია



ფინეთის ისტორიაში ქალი პრეზიდენტად პირველად აირჩიეს. ეს გახლავთ სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი ტარია ჰალონენი: იგი მანამდე ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო. ჰალონენი 57 წლისაა, განათლებით — იურისტი. თავისუფალ დროს ფერწერით ერთობა, გატაცებულია მებაღეობით, უყვარს თეატრი. ქ-მა ტარიამ პოპულარობა მოიპოვა იმ დროს, როდესაც ფინეთი ევროკავშირს თავმჯდომარეობდა. თავისი საარჩევნო კამპანია მან ადამიანის უფლებების დაცვაზე, საკანონმდებლო ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების დაახლოების პერსპექტივაზე ააგო.

პრეზიდენტის ინაუგურაციის ცერემონიალი ჩატარდება 1 მარტს. ჰალონენის ჯვარდაუწერელმა მეუღლემ თქვა, — მეორე ტურის წინ ჩავიფიქრე, ტარია თუ გაიმარჯვებს, ოფიციალურად უნდა შევთავაზო გული და ხელი-მეთქი, რაზედაც მანამდე ცივ უარს ამბობდა.

ახლა ქ-ნმა ტარიამ უნდა გადაწყვიტოს, გადავიდეს თუ არა იარვი (ქმარი) პრეზიდენტის რეზიდენციაში.

***ნეზავისიმაია გაზეტა №22***

# ანდრეი ბაბიცკი ჩიტიგოვის ხელშია

როგორც „კომსომოლსკაია პრავდის“ კორესპონდენტი ალექსანდრ ევტუშენკო იუწყება, (იგი ჩეჩნეთში ეძებს თავის მეგობარს, რადიოსადგურ „სვობოდას“ ჟურნალისტს ანდრეი ბაბიცკის), ბაბიცკი იმყოფება შალის რაიონის სოფელ დუბა-იურტში, სადაც ბოლო დროს მწვავე ბრძოლები მიმდინარეობს. ავიაცია და არტილერია ერთდროულად უტევს ბოევიკებს. ანდრეი ბაბიცკი საველე მეთაურის რიზვან ჩიტიგოვის რაზმში იმყოფება — ამერიკის მოქალაქე ჩიტიგოვი ცნობილი ბანდიტია. იგი დიდ ფულს აკეთებს მძევლებისა და ტყვეების ვაჭრობით. არ გამორიცხავენ, რომ ჩიტიგოვი ბაბიცკისთან დაკავშირებით თავის დამუშავებულ სქემას გამოიყენებს. იგი იმედოვნებს, რომ ამერიკის რადიო „სვობოდა“ თავისი კორესპონდენტისათვის მეტს გაიღებს, ვიდრე თავდაცვის სამინისტრო თავისი ოფიცრებისათვის.

***კომსომოლსკაია პრავდა №31***

## მოკლედ

**იტალიის** სანაპიროსთან მოხდა კატასტროფა. ერთმანეთს შეეჯახა პორტუგალიის სატვირთო გემი „ზაფირი“ და იტალიის ბორანი „ესპრესო კატანია“. დაიღუპა სამი მეზღვაური და 10 დაიკარგა.

**ირანის** ხელისუფლებამ გამოაცხადა, რომ კვლავაც ძალაში რჩება „სატანური ლექსების“ ავტორის სალმან რუშდისათვის (იგი ინგლისში იმალება) ჯერ კიდევ აიათოლა ჰომეინის მიერ თერთმეტი წლის წინ გამოტანილი განაჩენი — სიკვდილით დასჯა.

**ოლსტერში** ლონდონის უშუალო მმართველობის აღდგენასთან დაკავშირებით ირლანდიის რესპუბლიკური არმიის (ირა) ხელმძღვანელობამ თავის საბრძოლო ფორმირებებს უბრძანა, მზად იყვნენ დიდი ბრიტანეთის მთელ ტერიტორიაზე აქტიურ მოქმედებათა გასაახლებლად.

სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს **ლას-ვეგასის** 53 წლის მცხოვრებს ფრენკ დარვინ ალექსანდერს, რომელმაც თვითნაკეთი ბომბი ფოსტით გაუგზავნა პრეზიდენტ კლინტონს.

# ასე იწყებოდა ფეხბურთი



ფეხბურთი მექსიკისა და ცენტრალური ამერიკის ხალხებში უხსოვარი დროიდან გავრცელდა. მობურთალთა ტერაკოტის ფიგურები ჩვენს ერამდე 1500 წლით თარიღდება.

კონკრისტადორებმა ეს თამაში პირველად აცტეკებთან ნახეს. აქ შესანიშნავი სტადიონებიც ჰქონიათ. ყველაზე ცნობილი მათ შორის „ხუეგო-დე-პელოტას" სტადიონია, იუკატანის ნახევარკუნძულზე, მაიას უძველეს დედაქალაქ ჩიჩენ-იცაში. სტადიონს ირგვლივ შიდა მხრიდან დაკიდებული, ხოლო გარედან — შეზნექილი კედლები ერტყმის. მაყურებელი ამ კედლებზე განლაგდებოდა, საგანგებო ლოჟაში კი დიდგვაროვნები ისხდნენ. მსაჯები უზარმაზარი მინდვრის ურთიერთსაპირისპირო ბოლოებში იდგნენ. სტადიონის ჩრდილო, სამხრეთ და აღმოსავლეთ მხარეს ტაძრები იდგა. მოპირდაპირე კედლებზე, დაახლოებით 3 მ სიმაღლეზე, ქვის მასიური რგოლები იყო გაკეთებული. თითო რგოლის ქვეშ მოწინააღმდეგე გუნდის მოთამაშე იდგა. სხვები ცდილობდნენ მისთვის ბურთი მიეწოდებინათ, რათა მას რგოლში ჩაეგდო. მაგრამ ეს არც ისე იოლი გახლდათ, რგოლის დიამეტრი თითქმის ბურთის ზომისა იყო. თამაშის წესების შესაბამისად, მოთამაშეებს მუხლებით, იდაყვებით, მხრებით და ბარძაყებით თამაშის უფლება ჰქონდათ. დამარცხებული გუნდის კაპიტანს ღმერთებს მსხვერპლად სწირავდნენ და ეს უდიდეს პატივად მიიჩნეოდა.

„ხუეგო-დე-პელოტას" სტადიონის არქიტექტურა დღევანდელი ხუროთმოძღვრების შურის საგანია. აქ ისეთი აკუსტიკაა, რომ მინდვრის თავში ჩურჩულით ნათქვამი სიტყვა ბოლოში ისმის. სტადიონის სიგრძე კი 153 მ-ია. თავსა და ბოლოში მდგარ მსაჯებს მოთათბირება ხმის აუწევლად შეეძლოთ.

1931 წელს ლეოპოლდ სტოკოვსკიმ ამ სტადიონზე 4 დღე დაჰყო — მას ხმის გავრცელების საიდუმლოს ამოხსნა სურდა, რათა შემდგომ იგი ღია ცის ქვეშ კონცერტების დროს გამოეყენებინა. მაესტროს იმედი გაუცრუვდა. მაიას ტომის საიდუმლოება დღემდე ამოუხსნელია...

გადიოდა ხანი... ფეხბურთმა თანდათან მოიკიდა ფეხი. ზოგიერთ ქვეყანაში კი, კერძოდ, ინგლისში, იგი ეროვნულ გატაცებადაც იქცა. ფეხბურთმა დიდ ბრიტანეთში უფრო ორგანიზებული სახე მიიღო, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 1855 და 1857 წლებში შეიქმნა ფეხბურთის ისტორიაში პირველი კლუბი „შეფილდს იუნაიტედი". იმ წლების ინგლისური ფეხბურთი მკვეთრად ინდივიდუალური იყო. მისგან განსხვავებით, შოტლანდიელები კოლექტიურ ფეხბურთს თამაშობდნენ, სადაც პასი ბატონობდა. ამიტომაც ხშირად უგებდნენ ინგლისელებს. ფეხბურთი თავდაპირველად რაგბის მოგაგონებდათ. პრესტიჟული კოლეჯების კურსდამთავრებულებმა წესების მთელი წყება შეიმუშავეს, რაც დღემდე თითქმის უცვლელია.

სამრეწველო რევოლუციამ დიდ ბრიტანეთში ბიზნესმენთა ახალი კლასი წარმოშვა. ამ უკანასკნელთ საწარმოში ჯანსაღი მუშები სჭირდებოდათ და ამისთვის ფეხბურთი საუკეთესო მოკავშირე აღმოჩნდა. სამუშაოს შემდეგ ათასობით მუშა სიხარულით მიისწრაფოდა სტადიონებისკენ. ფეხბურთი სპორტის პროფესიული სახე ხდებოდა.

1902 წელს ლუდის მწარმოებელმა ჯონ დევისმა მანჩესტერის საფეხბურთო კლუბი გაკოტრებისგან იხსნა. მან კლუბს ახალი, თეთრ-წითელი ემბლემა და სახელი შესთავაზა — „მანჩესტერ იუნაიტედი". ახლა ეს კლუბი ერთ-ერთი უმდიდრესია მსოფლიოში. მის მუზეუმში 1878 წლის პირველი, მანჩესტერის თასიც დევს და ბოლოც — ევროპის ჩემპიონთა ლიგისა.

**თაიმსი №2**

# ხელთათმანი



ოდესღაც ხელთათმანს სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა და იგი, ასე ვთქვათ, რჩეულთა ხელებს ამშვენებდა. პირველად ხელთათმანი ტუტანხამონის აკლდამაში იპოვეს (იგი ტომსიკას ჰგავდა). ძველი ეგვიპტელები ხელთათმანებს არ ხმარობდნენ. დამარცხებულნი თავისი ვასალური დამოკიდებულების ნიშნად მიართმევდნენ ხოლმე პატრონს. ათენელი პატრიოტები ტრაპეზის წინ, ხელები რომ არ დაესვარათ, მოკლე (მხოლოდ თითებისთვის) ხელთათმანს იკეთებდნენ — მაშინ ჩანგალი არ იყო.

შუა საუკუნეებში ხელთათმანს მრავალმნიშვნელოვანი სიმბოლოები მიენიჭა. მაგალითად, შეურაცხყოფილი რაინდი მოწინააღმდეგეს ხელთათმანს გადაუგდებდა, რაც ორთაბრძოლაში გამოწვევას ნიშნავდა. მაღალი წრის ქალბატონები სიყვარულის ნიშნად კავალრებს ხელთათმანს ჩუქნიდნენ. ბედნიერი „რჩეული" საოცნებო საგანს ქამარზე მიიმაგრებდა და ტურნირზე მიემგზავრებოდა. ხელთათმანი იყო როგორც ტყავის, ისე აბრეშუმის, რომლებიც მოქარგული იყო ძვირფასი ქვებითა და ფერადი ძაფებით. არისტოკრატი ბანოვანები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სურნელოვანი ხელთათმანებით. საფრანგეთის ვერაგი დედოფალი ეკატერინე მედიჩი ამ აქსესუარს საწამლავიანი თასის მაგიერ იყენებდა. მისი ბრძანებით, კარის პარფიუმერმა მომწამლავი სუნამო შექმნა, რომლითაც ჟღენთდა ხელთათმანს და დედოფალი მიზანში ამოღებულ მოწინააღმდეგეს ჩუქნიდა.

გამოთქმა, — ქალებს ხელთათმანებივით იცვლისო, XVIII საუკუნის ბოლოს, დენდის სტილის შექმნის დროიდან მოდის. დახვეწილ ჯენტლმენს გარდერობში უამრავი თეთრი ლაიკის ხელთათმანი უნდა ჰქონოდა, რადგან ეტიკეტის თანახმად, ქათქათა ხელთათმანი ერთი ხმარების შემდეგ უნდა გადაეგდო. იმ დროიდან მოყოლებული, ჩვენი საუკუნის დასაწყისამდე ამ აქსესუარს კარგი ტონის მაუწყებლის როლი დაეკისრა. საზოგადოებაში უხელთათმანოდ გასვლა შეურაცხმყოფელი გახლდათ. რაც მთავარია, იგი შინვე უნდა ჩამოეცვათ, ქუჩაში შიშველი ხელებით გამოჩენა დაუშვებელი იყო. ...სალონებსა თუ თეატრებში ქალბატონები უხელთათმანოდ ვერ მივიდოდნენ. მისი ფერი მისადაგებული უნდა ყოფილიყო ტანსაცმლის ტონს. არისტოკრატიული (ლაიკისა თუ მაქმანებიანი) ხელთათმანი სულაც არ ათბობდა. იგი მხოლოდ მოსართავი დეტალი იყო. გასათბობად ქალებიც და მამაკაცებიც ბეწვის მუფტებს ხმარობდნენ.

დღეს ხელთათმანი დემოკრატიულია და ჩამოშორებული აქვს ყოველგვარი პირობითობა. თუმცა სასურველია, დავიცვათ ტრადიციული წესი: მისალმებისას ხელი ხელთათმანის გარეშე გავუწოდოთ (მაგრამ ეტიკეტით აუცილებელი არ არის, ასევე მოიქცეს მანდილოსანი). თუნდაც აბრეშუმის თხელ ხელთათმანზე ბეჭდები და სამაჯურები არ უნდა გავიკეთოთ; ეკლესიაში შესვლისას აუცილებლად წავიძროთ იგი.

უთითო ხელთათმანები — „მიტენკები" XVIII საუკუნეშია მოგონილი. სამწუხაროდ, დახვეწილი და ერთ დროს მოდური აქსესუარი დროთა განმავლობაში ქუჩაში მოვაჭრეთა სპეცტანსაცმლის ნაწილად იქცა.

დღეს ისინი ნევროპათოლოგებმა გაიხსენეს: თავიანთ პაციენტებს, რომელთაც მთელი დღე დისფლეისთან ჯდომა უხდებათ, ეს ხელთათმანი გამოუწერეს. კომპიუტერის ფანატიკოსებს ტრავმა — თითების მოყინვა უვითარდებათ. ამიტომ „მიტენკები" კვლავ პოპულარული გახდა. სისუფთავით გამორჩეული იაპონელები ხელთათმანს ყველგან ატარებენ, ზოგჯერ ისეთ სიტუაციებშიც კი, სადაც ევროპელებს აზრად არ მოუვათ ხელების დაცვა,. მაგალითად, ბიბლიოთეკაში. ტოკიოს სამკითხველო დარბაზებში ასეთ წარწერას შეხვდებით: „აუცილებლად დაიბანეთ ხელი წიგნის წაკითხვამდე და შემდეგაც. გვერდების გადაშლისას თითები ნერწყვით არ დაისველოთ". გადაჭარბებული სიფრთხილეა? მაგრამ „სიფრთხილეს თავი არ სტკივაო"...

რჩევა დიასახლისებისთვის: ნებისმიერი საოჯახო საქმიანობისათვის გამოიყენეთ ხელთათმანი. ჭურჭლისა და სხვა სარეცხი ფხვნილი ხელებიდან ბუნებრივი ცხიმის ფენას აცილებს; ფრჩხილები მსხვრევადი ხდება, კანი წითლდება, შეიძლება ალერგიაც გამოიწვიოს (სასურველია ბამბის სარჩულიანი რეზინის ხელთათმანი). არსებობს მაგარი ნაჭრის ხელთათმანი, რომელიც დაგიცავთ სხვადასხვა ჭრილობისგან.

**ზდოროვიე №6**

# ყველაზე პოპულარული ათი პერსონაჟი

***ესენი უბრალო პერსონაჟები არ გეგონოთ. როგორც სახურავის ბინადარი კარლსონი იტყოდა, მსოფლიოში საუკეთესო გამონაგონნი არიან, ყველაზე საინტერესო, ყველაზე პოპულარული პერსონაჟები, რომელიც XX საუკუნეში შვა ადამიანის ფანტაზიამ.***

## ბონდი

ჯეიმს ბონდი, აგენტი 007. ჯენტლმენი, რომელიც თავგამოდებით ებრძვის დასავლეთის ცივილიზაციის მტრებს, ბოროტების იმპერიას (სსრკ-ს), საერთაშორისო ტერორისტებს და ბირთვული იარაღის მფლობელ სხვა მანიაკებს. იგი დასავლური ღირებულებების ჭეშმარიტი დამცველია. აქვს ძვირფასი სპორტული ავტომობილები, შვეიცარიული საათები, პისტოლეტი „ბერეტა", ჰყავს ულამაზესი ქალები და სხვ.



ჯეიმს ბონდი არის მთავარი გმირი იან ფლემინგის 16 ნაწარმოებისა, ჯონ გარდნერის 16 წიგნისა და რაიმონდ ბენსონის რომანისა. მის თავგადასავლებზე გადაღებულია 19 ფილმი. უკანასკნელი მათგანის პრემიერა გაიმართა შარშან, 19 ნოემბერს. მასში მთავარ როლს პირს ბროსნანი თამაშობს. ერთ კვირაში ფილმის შემოსავალმა 30 მილიონ დოლარს გადააჭარბა.

## ბარბი



ქალის იდეალი, კომპანია MATTEL-ის აზრით, გამხდარი, გრძელფეხება, უმეტესად ქერათმიანია. იგი ჰგავს მერილინ მონროს, ბრიჯიტ ბარდოს, ჟაკლინ კენედის, პრინცესა დაიანასა და ჟურნალ „ფლეიბოის" ნებისმიერ „თვის გოგონას".

ბარბის აუცილებელი ატრიბუტებია: უამრავი ტანსაცმელი, ავეჯი, ავტომანქანა, სახლი.

შარშან ბარბიმ 40 წლისთავი აღნიშნა. მსოფლიოს 150 ქვეყანაში გაიყიდა 1,7 მილიარდი დოლარის ღირებულების ბარბი.

## ტარზანი და ჯეინი

ტარზანი ჯუნგლებში გაზრდილი ადამიანია, ჰუმანისტი. ჰყავს ერთგული მეგობარი ჯეინი, რომელსაც არ შეეშინდა, შეჰყვარებოდა ადამიანი-მაიმუნი. ტარზანი ედგარ რაის ბეროუზის ფანტაზიის ნაყოფია. მწერალმა მას 24 წიგნი მიუძღვნა, ერთი ყველაზე პატარებისთვის დაწერა. გარდა ამისა, ტარზანი კიდევ 5 მწერლის 9 წიგნის გმირია, მათგან ხუთის ტირაჟი მთლიანად განადგურდა ბეროუზის საავტორო უფლების დარღვევის გამო.

ტარზანი — ეკოლოგიის, „მწვანეთა" მოძრაობის და კულტურიზმის მამაა. იგია 50 ფილმისა და მულტფილმის მთავარი პერსონაჟი. პირველი მათგანის პრემიერა 1918 წელს შედგა, უკანასკნელისა — ახლახან, იანვარში. საუკეთესო კინოტარზანად მიჩნეულია ბერლინის ოლიმპიადის ჩემპიონი ცურვაში ჯონი ვაისმიულერი.



## მიკი მაუსი

დაიბადა 1928 წლის 18 ნოემბერს, მულტიპლიკატორ უოლტ დისნეის ოჯახში. თავიდან მორტიმერი უწოდეს, მაგრამ დისნეის მეუღლემ თაგუნას მიკი დაარქვა.

მიკი მაუსი — ამერიკული ოცნების თვალსაჩინო განსახიერებაა. ამერიკის მკვიდრს — მიკის ტიპური ამერიკული ღიმილი აქვს. მისი მხიარული გამოსახულება ამშვენებს საღეჭ რეზინებს და მაისურებს და ამით ამერიკული ცხოვრების წესი ინერგება „ჩამორჩენილი ცივილიზაციის" მქონე ქვეყნებში.

ერთი ოცნებაღა დარჩა მიკის — გახდეს აშშ-ის პრეზიდენტი. მისი კანდიდატურა არაერთგზის იქნა წამოყენებული, მაგრამ სამწუხაროდ, მას აჯობეს რუზველტმა, კენედიმ, ფორდმა, კარტერმა, ბუშმა, კლინტონმა...

მიუხედავად ამისა, ყოველ საპრეზიდენტო არჩევნებზე ამერიკელ ამომრჩეველთა 1 შესაშური სიჯიუტით აძლევს ხმას მიკი მაუსს.

## ტომი და ჯერი

დიდი და საშიში — დასდევს პატარას და დაუცველს. პატარა გარბის და საოცარ საზრიანობას ამჟღავნებს. დიდი მარცხდება. ცხოვრებაში ხშირად არ ხდება ასე და მაყურებლის სიმპათია პატარა მარჯვე წრუწუნას მხარესაა.

კატათაგვობანას თამაში 1940 წლიდან 1958 წლამდე გრძელდებოდა. ამ ხნის მანძილზე უილიამ ჰანმ და ჯოზეფ ბარბერმა 115 მულტფილმი შექმნეს ტომისა და ჯერის თავგადასავლებზე. საბჭოური მგლისა და კურდღლის მცდელობა, დაწეოდნენ და გაესწროთ ამერიკისთვის, არ განხორციელდა: რუსული მულტფილმის გმირებმა 20 სერიაზე ნაკლები ირბინეს.

## მეცნიერებისათვის უცნობი მხეცი



კინგ-კონგი, გოძილა და ლოხ-ნესის ტბის მკვიდრი ნესი — საშიში და უჩვეულო გარეგნობის მქონე არსებები არიან. მათი არ სჯერათ ბიოლოგებს, მაგრამ სჯერათ კინომაყურებლებს და ტურისტებს. ყველა ეს საოცარი მხეცი პირველყოფილი ადამიანის შთამომავალია. ყველაზე დიდი წარმატება დაიმსახურა კინგ-კონგმა, რომელიც კინოსცენარისტ ედგარ უოლისის ფანტაზიის ნაყოფია. 1932 წლიდან 1998 წლამდე კინგ-კონგის შესახებ 13 ფილმი გადაიღეს. არკანზასის შტატში გიგანტურ მაიმუნს ძეგლიც დაუდგეს.

## სუპერმენი და მისი გუნდი

კომიქსების გმირი განასახიერებს ბავშვის ოცნებას — მალე დიდი და ღონიერი გაიზარდოს. კომიქსის ნამდვილი გმირი არ უნდა ჰგავდეს ჩვეულებრივ ადამიანებს: სუპერმენი და ბეტმენი დაფრინავენ, ადამიანი-ობობა კედლებზე დახოხავს, კუ-ნინძა საკანალიზაციო მილებში ცხოვრობს.

სუპერმენი 1938 წელს დაიბადა. მას მიეძღვნა 6 სრულმეტრაჟიანი ფილმი, ორი 15-15 სერიიანი ტელესერიალი, 2 მულტფილმი, 7 სერიიანი კომიქსი, მილიონობით სათამაშო ფიგურა.

ბეტმენი ტოლს არ უდებს სუპერმენს. დღეს ორივე გმირი კინოსტუდია Warner bros-ში მუშაობს.

## უცხოპლანეტელები

უცხოპლანეტელები პატარა, მწვანე ფერის ადამიანები არიან, რომლებიც მფრინავი თეფშებით დაფრინავენ ხოლმე. ისინი შესწავლილნი არ ჰყავთ დედამიწის ბინადართ.



ადამიანებს ძალიან აინტერესებთ ყველაფერი, რაც მიღმა სამყაროს მკვიდრთ შეეხება, ამიტომ სიამოვნებით უყურებენ „საიდუმლო მასალებს".

1993 წლიდან გადაღებულია ტელეფილმის 146 სერია. უახლოეს მომავალში გამოვა კიდევ 5. არსებობს სერიალის თაყვანისმცემელთა 17 კლუბი, რომელიც მსოფლიოს 70 ქვეყნის მცხოვრებთ აერთიანებს.

## შეშლილი პროფესორი

ფრანკენშტეინის შორეული მემკვიდრე, თეთრხალათიანი არამზადა, რომელიც მსოფლიო ბატონობაზე ოცნებობს და ათასგვარ რამეს იგონებს ოცნების განსახორციელებლად, რუსეთში ინჟინერ გარინის სახელითაა ცნობილი, ამერიკაში კი პოპულარული კომიქსის „პროფესორ გრეის" გმირია. პროფესორმა გრეიმ თავისი მანქანა, რომელიც ფერს იცვლის ხოლმე, დედამიწაზე გამოგზავნა. რითი დამთავრდება მისი სატანური სიცილი? შეძლებს თუ არა მეთიუ მის შეჩერებას?

## რობოტი

რობოტმა, რომელიც ადამიანის ნაცვლად ფიქრობს და მუშაობს, გაჩენის შემდეგ დიდი ცვლილებები განიცადა. წარსულის ფანტასტები მკითხველს აშინებდნენ ბოროტი რობოტებით. ჩვენს დროში კი რობოტი ბავშვურ სათამაშოდ იქცა.

**ვლასტი №50**

# „თმაჭაღარა ბავშვი ჰამლეტ გონაშვილი...“

***ჰამლეტ გონაშვილი: „ადამიანის ცხოვრებაზე, მის მომავალზე დიდ გავლენას ახდენს ოჯახი. მეც სწორედ ოჯახიდან და ალბათ მამა-პაპათა გენიდან მაქვს სისხლში გამჯდარი ჩემი მშობლიური ქვეყნის, მისი თითოეული გოჯი მიწის მადლი და დიდი სიყვარული. ქართველი კაცი ოდითგანვე ცნობილია, როგორც განსაკუთრებული პატრიოტი თავისი კუთხე-კუნჭულისა და მეც თამამად შემიძლია განვაცხადო – პატრიოტი ვარ მშობელი ქვეყნისა. სწორედ ამან შთამაგონა ჩემი ერის გლეხკაცის გულიდან ამონაკვნესი სიმღერებისადმი ძლიერი სიყვარული...“***

## „კაცი, რომელიც არავის ჰგავდა“...

...გერმანია... მწვანეთა მოძრაობასთან დაკავშირებული სიმპოზიუმი... უჩვენებენ ფილმს — სამყარო ნელ-ნელა ილუპება, ირგვლივ სიშავე სჭარბობს, თითქმის სულ ჩაიძირა მუქ ტონებში ყველაფერი... უცებ ეკრანზე ჩნდება ერთადერთი ნათელი წერტილი და... ისმის ჰამლეტ გონაშვილის ხმა, როგორც სამყაროს გადარჩენის, სიცოცხლის განახლების ნიშანი!



სიმპოზიუმზე მყოფმა ქართველებმა იფიქრეს — ჩვენს პატივსაცემად დაადესო ფილმს ჰამლეტის ხმა. გერმანელებს კი შეუცხადებიათ — არც კი ვიცოდით, რომ ეს მომღერალი ქართველიაო, უბრალოდ, ხმის ტემბრმა განგვაცვიფრა და კინოშიც ყველაზე დიდ ეფექტს სწორედ ეს მელოდია ახდენსო.

დიახ! ეგვიპტელები 2000 წელს შეხვდნენ შოუკონცერტით, რომელიც მისი „ურმულის“ ფონზე მიმდინარეობდა, მისი სიმღერით გააფორმეს ტაივანის ბალეტი, მის ჩანაწერებზე მსოფლიოს უდიდეს ფირმებს ბრძოლა აქვთ გაჩაღებული. რატომ?

„...იგი არავის ჰგავდა!“ — **იოსებ კეჭაყმაძე**.

„...მისი ხმა გულში იყო აღმოცენებული, მას ხან მიწის სუნი დაჰკრავდა, ხანაც აშრიალებულ ხის ფოთლებს მოგვაგონებდა. ვერავინ ჩავწვდით მისი ბგერის საიდუმლო ჟღერადობას“, — **ზურაბ ანჯაფარიძე**.

იგი გახლდათ ალალი, ვაჟკაცი და თავისი ქვეყნის თავდადებული ადამიანი.

ხშირად დროის უკუღმართობას ვაბრალებთ გადაგვარებას და შეცდომებს; ალბათ სწორედ ამიტომ მოავლინა განგებამ იგი ჩვენს დროში — პატიოსნების, სიწმინდის განსახიერებად, რომელსაც ყველაფერი და ყველა უყვარდა.

„...ალბათ არსად ისე ძნელი არ არის სიმღერით გააოცო ვინმე, როგორც საქართველოში. ჰამლეტმა ეს შეძლო!“ — **გიგა ლორთქიფანიძე**.

ოთარ თაქთაქიშვილის ოპერას „მთვარის მოტაცება“ ჰამლეტ გონაშვილის ხმა იწყებდა, ასევე იწყებოდა გია ყანჩელის მესამე სიმფონიის შესავალიც. მისი ხმის უნიკალურობით განცვიფრებულმა გერმანელებმა ერთ-ერთ გასტროლზე ყელი გაუსინჯეს — ასეთი ზებუნებრივი ხმა ადამიანს არ შეუძლია რომ გამოსცეს, ნამდვილად რაღაც გექნებაო ჩადგმული. გასცინებია ჰამლეტს — მისთვის მომღერლისთვის ჩვეული დიეტა ან ყელის გაფრთხილებაც კი უცხო იყო. მღეროდა, როგორც ემღერებოდა...



ცოლ-შვილთან ერთად

„...ჰამლეტ გონაშვილი ისეთი უნიკალური მოვლენაა მუსიკაში, როგორც ნიკო ფიროსმანი ფერწერაში. მისი ხმის უშუალობა, ფერადოვნება, სიღრმე აბსოლუტურია“, — **ელგუჯა ამაშუკელი**.

**თემურ ქევხიშვილი:** — ჰამლეტ გონაშვილი უდავოდ მოვლენაა ქართულ სიმღერაში. ძალიან ვაფასებდი მის დამოკიდებულებას სიმღერისა და სცენისადმი. გამოსვლის წინ დიდხანს ემზადებოდა, დირიჟორი ვერ დააწყებინებდა სიმღერას, როცა ჩათვლიდა მზად თავს, მხოლოდ მაშინ დაიწყებდა. მიუხედავად იმისა, რომ მას პროფესიული განათლება არ ჰქონდა, ოსტატი და მცოდნე იყო. ნებისმიერი სიმღერის რამდენიმე ვარიანტი იცოდა, აქედან გამომდინარე, იყო ინტერპრეტატორ-იმპროვიზატორი.

თავიდან ძალიან უჭირდა. მისი ოთახი იმდენად იყო დახრილი, საწოლი ჯაჭვით ჰქონდა დაბმული, რომ არ დაცურებულიყო. მიუხედავად ყველაფრისა, უპრეტენზიო კაცი გახლდათ...

ჩვენ უნდა ვისწავლოთ ადამიანის მოფერება. ვერ მოვეფერეთ ჰამლეტს ისე, როგორც ის ამას იმსახურებდა...

## ქართული ოჯახი

უკვე თხუთმეტი წელი შესრულდა, რაც ჰამლეტ გონაშვილი აღარ არის. ქართველ ხალხს დარჩა მისი უნიკალური ხმა, სახელი ნამდვილი ვაჟკაცისა. მისმა მეუღლემ ქ-ნმა ლამარა ცინცაბაძემ აღზარდა ორი ვაჟი, ახლა კი შვილიშვილს — პატარა ჰამლეტს ესათუთება.

...გონაშვილების ოჯახი სადად და უპრეტენზიოდ ცხოვრობს. მათი ბინა ჰამლეტის ფოტოებითაა სავსე. ასე გგონია, თითქოს ახლაც მღერის ბატონი ჰამლეტიო, თითქოს ყოველი ნივთი მისი სიმღერითაა გაჟღენთილი.

**— ქალბატონო ლამარა, როგორ შეხვდით ერთმანეთს პირველად?**

— ჰამლეტი 1970 წელს გავიცანი, ჩემი თანამშრომლის ნათესავის დაბადების დღეზე. იმ საღამოსვე მოგვეწონა ერთმანეთი.

ერთხელ ქობულეთში ვისვენებდი; რადიოში ნაცნობ სახელსა და გვარს მოვკარი ყური, ავუწიე მიმღებს და... არ ვიცი, რა დამემართა. გადმოსცემდნენ „დაიგვიანეს“... სიმღერამ მთელი ოთახი აავსო. მანამდე ჰამლეტისთვის არ მომისმენია. შემდეგი შეხვედრა უკვე სხვანაირი იყო. 1972-ში ვიქორწინეთ.

**— თქვენს მამისეულ ოჯახს როგორი დამოკიდებულება ჰქონდა ბატონ ჰამლეტისადმი?**

— ძალიან გაკვირვებული დარჩნენ, მომღერალს რომ გავყევი. ერთხელ მამაჩემისთვის მეზობელს უკითხავს, — შენი სიძე მარტო მღერისო? — მამას ირონია არ შეუმჩნევია და უპასუხია, — არა, გუნდთან ერთადაცო!

**— როგორ გადაწყდა ქორწილი?**

— ჰამლეტი მარტო ცხოვრობდა სხვენის ტიპის ბინაში (ვეძინის ქ.№4), სადაც ღამღამობით წყალი იყინებოდა. ერთხელ ძალიან მოინდომა ჩემი მიპატიჟება. შემდეგ გამომიტყდა, — სულ სახეზე გაკვირდებოდი, ემოციის მიხედვით გადავწყვეტ ხელის თხოვნასო. ნებივრად გაზრდილს სიმდიდრეზე თვალი არასოდეს მჭერია. ჰამლეტთან ერთადერთი — წიგნების სიმრავლემ გამაკვირვა.

საკმაოდ წუნია ვიყავი, ადამიანს ყოველთვის გამოვუძებნიდი რაღაც ნაკლს — ან ამბიციურობას „დავწამებდი“, ან უმნიშვნელო წვრილმანს — მაგალითად, ტანსაცმელი კოხტად არ ადგასმეთქი.

ჰამლეტისთვის კი არც სწავლა-განათლება მიკითხავს, არც ოჯახი, ყველაფერი ნათელი იყო.

**— მის ოჯახს როგორ შეეთვისეთ?**

— ბრწყინვალე მამამთილი მყავდა — დიმიტრი გონაშვილი — პედაგოგი. წერდა, ორი კრებულის ავტორია. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის აღდგენაზეც მუშაობდა. დედამთილიც პედაგოგი იყო. ჰამლეტს ალბათ ოჯახიდან გამოყვა ქართული ენის სიყვარული. განსაკუთრებით ილია და ვაჟა უყვარდა. ილია თავიდან ბოლომდე ზეპირად იცოდა.

**— როგორი მამა იყო ჰამლეტ გონაშვილი?**

— არაფრის გულისთვის ხმას არ აუწევდა. ალბათ არ არსებობს ოჯახი, სადაც რაიმე საკამათო არ იყოს, მაგრამ ჰამლეტი ნებისმიერ საკამათო საკითხსაც მშვიდად და ლამაზად მოაგვარებდა. სამზარეულოში ახლაც გვაქვს მსოფლიო რუკა გაკრული, თუკი სადმე ქალაქს ან სახელმწიფოს გამოაცხადებდნენ, იგი აუცილებლად უნდა მოძებნილიყო რუკაზე. ბავშვებს არაფერს აძალებდა, უბრალოდ, ისე აკეთებდა, რომ დაეინტერესებინა.

**— თქვენი ვაჟები „მართვეში“ მღეროდნენ, საბოლოოდ მაინც არ გააგრძელეს მამის გზა?**

— გიორგისაც და დიმიტრისაც მუსიკალური ათწლედი აქვთ დამთავრებული. გიორგი სტუდენტობის დროსაც მღეროდა, მაგრამ საბოლოოდ ხატვა ირჩია, დიზაინერია.

დიმიტრიმ კი საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი დაამთავრა. ამჟამად პარლამენტში მუშაობს. გვყავს პატარა ჰამლეტ გონაშვილიც, რომელიც საოცრად რეაგირებს ხალხურ სიმღერებზე, რომლებსაც „ბაბუკას“ უწოდებს, სხვა ჟანრის მუსიკაზე წარბი არ შეუტოკდება. „წინწყაროს“ ტექსტს უკვე ამბობს, ცდილობს წაიღიღინოს კიდეც, ვნახოთ...

**— როგორი იყო ბატონი ჰამლეტის დამოკიდებულება უცხოეთისადმი?**

— სანამ რომელიმე ქვეყანაში წავიდოდა, ბიბლიოთეკებს მოივლიდა, შეაგროვებდა დეტალურ მასალას ღირსშესანიშნაობებზე. რასაც ნახავდა კარგს, ფოტოს წამოიღებდა, რომ მეც მენახა. ბევრჯერ იყო საფრანგეთში, უყვარდა პარიზი. ძალიან მოეწონა ის, რომ ესპანეთში ვირის ძეგლი იდგა — იქაც სცოდნიათ მისი ფასი, ტყუილა დაგვცინიან კახელებსო. თუ საბჭოთა კავშირის მასშტაბით სადმე იყო, დღეში ორჯერ რეკავდა.

საერთოდ, სადაც რამე კარგი მოეწონებოდა, საქართველოსთვის უნდოდა. ერთხელ ჰოლანდიურ ოჯახში მოზრდილ ქათმებს მოკრა თვალი. იფიქრა, წავიღებ კვერცხს და საქართველოში გავამრავლებო. თარჯიმანი არ ჰყავდა და რამდენიც დიასახლისს ქათმის კვერცხზე ანიშნა, სხვადასხვა რეცეპტით გამზადებული — სუფრაზე მიართვეს. ბოლოს, ხელი ჩაიქნია, — არაფერი გამოვა ამ საქმიდანო.

სირიიდან ლეღვის ტოტი ჩამოიტანა — განსხვავებული ჯიში იყო. ის ლეღვი თბილისში დარგო და ახლაც ხარობს.

**— ცნობილია ბატონი ჰამლეტის შეხედულება ტრადიციებისადმი...**

— ამაში ორივე ულაპარაკოდ ვეთანხმებოდით ერთმანეთს. ძალიან უყვარდა სტუმარი, განსაკუთრებით კი შემოსწრებული. როდესაც ზარს დარეკავდა და შემდეგ გასაღებით გააღებდა კარს, ეს ნიშნავდა, რომ სტუმარი ახლდა. ჩვევად ჰქონდა — ყოველი კონცერტიდან ერთ ყვავილს გულის ჯიბით მომიტანდა ხოლმე.

**— რაიმე კურიოზს ხომ არ გაიხსენებდით?**

— ერთხელ ბათუმში გავისეირნეთ. შემომთავაზა, — ტირში ისროლეო. შევიცხადე, — რად მინდა ტირში სროლა, ისედაც ათიანში ვისვრი ყოველთვის, ამის მაგალითი ხარ შენ-მეთქი. ისე ესიამოვნა, რამდენჯერმე გამამეორებინა.

**— ადამიანის რა თვისება არ მოსწონდა და თვითონ თუ ჰქონდა სუსტი მხარე?**

— ორგულობას ვერ იტანდა, ასეთებზე ამბობდა, — შადიმანიაო! თვითონ ერთი სისუსტე სჭირდა — დროს ვერ საზღვრავდა. ყოველთვის ყველგან აგვიანდებოდა და ეს ისევ თავისი ზრდილობის და სიდარბაისლის გამო... ნაბიჯს არ ააჩქარებდა, თუ ვინმე ნაცნობი შეხვდებოდა, მოიკითხავდა, ერთ-ორ სახუმარო სიტყვას ეტყოდა, შემდეგ გააგრძელებდა გზას და ეს ხშირად ანზორ ერქომაიშვილის ნერვებს იწირავდა.



ჰამლეტ გონაშვილი-უმცროსი

**— როგორი იყო იგი სუფრასთან, საყვარელი სადღეგრძელო თუ ჰქონდა?**

— ძალიან არ უყვარდა თამადობა... ამ ქვეყნიდან წასულთ ასე მოიგონებდა ხოლმე, — მომგონებელი უცოცხლოსო. მიცვალებული დარჩენილებში ცოცხლობს, თუ მომგონებელი არ ეყოლა, ცოდოაო. საშინლად არ მოსწონდა სიტყვა — მოკვდა. მის გარდაცვალებამდე ორი წლით ადრე ძმა გარდამეცვალა. ჰამლეტი თითქოს წინასწარ მამშვიდებდა, — ასე ნუ განიცდი, წასული ყველა ჩვენგანში ნაწილდება და ცოცხლობს იმიტომ, რომ ჩვენ ვფიქრობთ მასზეო.

**— ბატონი ჰამლეტის დაკრძალვაზე პრობლემები გქონდათ...**

— დიახ. სანამ მე თვითონ, მგლოვიარე, არ წავედი და არ ვიკითხე — სად მასაფლავებინებთ ქმარს-მეთქი, ადგილი არ გამოგვიყვეს. ბოლოს, საბურთალოს სასაფლაოზე დავკრძალეთ. რამდენიმე წლის წინ დიდუბის პანთეონში გადასვენებაზე იყო ლაპარაკი, მაგრამ ჩვენ აღარ მოვისურვეთ. მეც და ჩემ შვილებსაც მიგვაჩნია, რომ ადგილმა კი არ უნდა დაამშვენოს ჰამლეტი, არამედ ჰამლეტმა — ადგილი.



დედა

რაოდენ სამწუხაროა, რომ ამ ზამთარს მისი საფლავიდან მოიპარეს სვეტიცხოვლის ვაზის ჩუქურთმის ასლი, რომელიც სპილენძისგან იყო დამზადებული.

## ბედისწერა

დაღუპვის წინა დღეს, მშობლიურ სოფელში, ანაგაში, ლხინში ღვინო დაუძალებიათ.

— ღვინოს ნუ დამაძალებთ, ორი წვრილი შვილის პატრონი ვარ და უფლება არ მაქვსო.

მეორე დღეს მანქანაში იჯდა უკვე, მეუღლისთვის წინა დღის კონცერტის ვარდიც მიჰქონდა... საბედისწეროდ, ყორეზე ავიდა მეზობლის ეზოში გადასული თხილის ბუჩქის ტოტების მოსაჭრელად. ამასობაში დედას მწნილი უნდა გამოეტანა მარნიდან. გამობრუნებულ დედას ძალაყინზე ჩამოგებული დაუხვდა შვილი...

ჰამლეტს თავისი ხელით ამოუძვრია ძალაყინი და სულიც დაულევია...

დედას სულ ეშინოდა თურმე, — იმდენად კარგია, ავი თვალი წამართმევსო...

ბედისწერა იყო და სხვა არაფერი, სულ ორმეტრიანი ყორიდან ჩამოვარდა, არც ფეხი დასხლტომია...

მოგვიანებით ექიმებს უთქვამთ — ალბათ გული წაუვიდაო.

## ხსოვნის საღამო

19 თებერვალს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა ჰამლეტ გონაშვილის ხსოვნის საღამო.

დამდგმელი რეჟისორი გახლდათ ჯემალ ბაღაშვილი, წამყვანი კი ბატონი ანზორ ერქომაიშვილი.

**ჯემალ ბაღაშვილი:** — ჩვენთვის ადვილი იყო მოგვეწვია მისი თაყვანისმცემლები და კოლეგები, გაგვემართა გალა-კონცერტი, მაგრამ ეს არ გავაკეთეთ. ხალხს უყვარს ჰამლეტი, მისი ხმა და ამიტომ ჩვენი საღამოს მასპინძელიც ჰამლეტ გონაშვილი და „რუსთავი“ იყო.

განსაკუთრებით შთამბეჭდავი გახლდათ რეჟისორული ჩანაფიქრი. ეკრანიდან ჰამლეტ გონაშვილი მღეროდა, ხოლო სცენიდან — „რუსთავი“. მარჯანიშვილის თეატრის მსახიობმა გია ბურჯანაძემ და ქალბატონმა ელდინო საღარაძემ წაიკითხეს მომღერლისადმი მიძღვნილი ლექსები.

აღმოვაჩინე ახალი სასიამოვნო დეტალიც — ჯემალ ბაღაშვილი ჰამლეტის ნათესავი ყოფილა.

**ჯემალ ბაღაშვილი:** — მე და ჰამლეტი მეზობლები, მეგობრები ვიყავით. გარდა ამისა, ჩემი შვილი გია, მისი გიორგის ნათლიაა. აგრეთვე ორივეს გურული ცოლები გვყავს, ლანჩხუთელები და საოცარი დამთხვევაა, რომ ორივეს სიდედრი ნინო სარჯველაძეა (ისინი მოსახელე ქალბატონები არიან). მინდა აღვნიშნო ის დიდი სიხარული, რაც ამ საღამომ მოგვანიჭა. ეს არის ჩვენი სიმდიდრე, თორემ ამერიკელი ამერიკულს მიხედავს, არ უნდა ზანგურს ჩვენი პატრონობა, ჩვენს საგანძურს ჩვენვე უნდა მივხედოთ. ამ კონცერტის გამართვაში ძალიან დაგვეხმარა ინვალიდთა საზოგადოებასთან არსებული ფირმა „ლიგა გოისი“. მისი ტექნიკური აღჭურვილობის საშუალებით შევძელით ჰამლეტის ჩანაწერების ნაწილის გადარჩენა. ამ მხრივ საშიშროება გვემუქრება, შეიძლება მისი ხმა საერთოდ დავკარგოთ — დედანი მაქვს მხედველობაში. ალბათ ნიშანდობლივია, რომ ჩვენი საღამო „მართვეს“ 200 ბავშვიანი გუნდის „მრავალჟამიერით“ დასრულდა, ვინაიდან ჰამლეტ გონაშვილის ტრადიცია მომავალმა თაობებმა უნდა გააგრძელონ.

## „რუსთავი“ და ჰამლეტ გონაშვილი

**ანზორ ერქომაიშვილი:** პატარა ვიყავი, როცა ჰამლეტი მღეროდა სახელმწიფო ანსამბლში. მერე მოხდა ისე, რომ „რუსთავი“ შეიქმნა და მან ისურვა ჩვენთან ემღერა. სხვა რეპერტუარი შევურჩიეთ, უფრო კამერული, ჩვენი ანსამბლისთვის მისაღები. ძალიან შეგვეჩვია და შევეჩვიეთ. ღვთის მადლით მირონცხებული იყო. ჰქონდა დიდებული ხმა, ტემბრი და სუნთქვა და მოგეხსენებათ, ეს სამი კომპონენტი ერთად საფუძველია იმისა, რომ იყო არაჩვეულებრივი მომღერალი.

მასზე ბელგიის პრესა წერდა, — ჰამლეტის ხმა ტალღასავით მოგორავს მსმენელზე, მას აქვს ნიჭი, რომ ეს ტალღა უკანვე დააბრუნოს. დახუჭეთ თვალები და თქვენ მის ხმაში ფერებს დაინახავთო.

სულ უკმაყოფილო იყო თავისი თავისა, არ მოწონდა, — ამბობდა, ხმაზე არა ვარო, მაგრამ ძალიან კარგად მღეროდა. როცა ახალ სიმღერას მივცემდით, ერთი კვირა თავით, გულით, ხმით ატარებდა, გაითავისებდა და შემდეგ გვიმღერებდა.

გასტროლებზე თავისუფალ დროს სულ თან დავყვებოდით, ათვალიერებდა ქალაქებს და ისე ერთობოდა, სულ იგვიანებდა გადამწყვეტ მომენტში.

ძალიან დაგვაკლდა. მწამს, რომ ჰამლეტი საუკუნეებს დარჩება და მის სიმღერებზე თაობები გაიზრდებიან.

## მოვალეობა

ქალბატონებმა — მაყვალა გონაშვილმა და ლამარა ცინცაბაძემ შეძლეს მასალის შეგროვება, ლექსების, მოთხრობის, სიტყვების კრებულად აკინძვა და ახლა ჰამლეტ გონაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი წიგნი გამოსაცემად მზადაა.

სამწუხაროდ, მომღერლის სახელზე გაერთიანებულ ქართულ ბანკში გახსნილ ანგარიშზე (220101666) არავითარი თანხა არ გადარიცხულა. არადა სოფ. ანაგაში 1989 წელს დაწყებული სახლ-მუზეუმი სანახევროდაა აშენებული, გადასარჩენია უამრავი უნიკალური ჩანაწერი.

ჰამლეტ გონაშვილი არა მხოლოდ ოჯახის და ვიწრო წრის საზრუნავია, არამედ საქართველოსი და მსოფლიოსიც.

***ალექსანდრე ბერიძე***

# ჯანმრთელობის რჩევები

**მაღალი წნევა** — კვირაში ერთდღიანი შიმშილი აქვეითებს წნევას. თუ კვირაში ერთხელ შიმშილი არ გამოგდით, იშიმშილეთ მთვარის მე-11 დღეს, ხოლო სავსე და ახალ მთვარეზე იმარხულეთ.

**ღრძილები** — ღრძილების გასამაგრებლად ყოველდღე ერთი უმი კარტოფილი მიირთვით. ასევე კარგია დღის განმავლობაში ცვილის ღეჭვა. ცვილი A ვიტამინს შეიცავს.

**თვალები** — ანდალუზიელი ქალები თითო წვეთ ფორთოხლის წვენს იწვეთებენ თვალებში. ასევე კარგია, თუ თვალებში ფორთოხლის გაფცქვნისას კანის წვეთი შეგესხმებათ.

**სოკო** — სოკოვანი დაავადებით დაზიანებულ კანში მანდარინის წვენი შეიზილეთ. შესანიშნავ შედეგს იძლევა ლიმონის წვენის კომპრესი ან შეზელვა.

**ჰიპერტონია** — დაბალი წნევისას კლიმაქტერულ პერიოდში ჭამიდან 2 საათის შემდეგ მიიღეთ 1 ჩაის კოვზი ამგვარი ნარევი: 40 გ მოხალული და დაფქული ყავა, 0,5 კ თაფლი და 1 ლიმონის წვენი. შეინახეთ მაცივარში.

**ანთებები** — უჩნდებათ ადამიანებს, რომლებიც ბევრ ლორწოწარმომქმნელ საკვებს (უმეტესად რძის პროდუქტები) იღებენ. ლორწოს გამხსნელი საშუალებანი: გახეხეთ 50 გ პირშუშხა, დაუმატეთ 2-3 ლიმონის წვენი. ყოველდღე დილით და ნაშუადღევს მიიღეთ თითო ჩაის კოვზი, ოღონდ ნურაფერს დააყოლებთ. დაგეწყებათ ძლიერი ცრემლდენა — ყურადღებას ნუ მიაქცევთ. რამდენიმე კვირის (თვის) შემდეგ პაციენტს ცრემლდენა აღარ ექნება. რაც ნაკლები ლორწო დარჩება ორგანიზმში, მით ნაკლები ცრემლი გამოიყოფა. ეს საშუალება გამოიყენება, აგრეთვე ასთმის, ქრონიკული სურდოსა და ხშირი გაცივების სამკურნალოდ.

რასაკვირველია, ამ დროს უნდა შეწყდეს ყოველგვარი რძის პროდუქტის მიღება.

**ჰემოგლობინი** — ერთ კვირაში ჰემოგლობინის დონე სისხლში აიწევა, თუ ამ ორ რეცეპტს გამოიყენებთ.

— ყოველდღე, ჭამამდე სვით 0,5 ჭიქა სტაფილოს და ჭარხლის წვენის ნარევი. 100-100გ ბროწეულის, სტაფილოს, ლიმონის, ჭარხლის, ვაშლის წვენისა და თაფლის ნარევი. 2ს/კ 3-ჯერ დღეში ჭამამდე.



# კარიესი გადამდებია

გერმანიის ჰიგიენის საზოგადოების გამოკვლევით დადგინდა, რომ კარიესი გადამდები ყოფილა. წლინახევრიდან სამ წლამდე ბავშვებს იგი მშობლებისაგან გადაედება ხოლმე ჩაის კოვზით და საწოვარიანი ბოთლით, როცა დედა სინჯავს ცხელია თუ არა ბოთლში ჩასხმული საკვები. კოვზებისა და ბოთლების გამოხარშვა გარკვეულწილად ამცირებს გადადების შანსს, მაგრამ მაინც სჯობს მშობლებმა მიმართონ ექიმ სტომატოლოგს.

*ფავორიტი №24*

# მალე მზად იქნება

მეცნიერთა საერთაშორისო ჯგუფმა სრულიად გაშიფრა 22-ე ქრომოსომის გენეტიკური კოდი ქრომოსომზე განლაგებული 545 გენის მოლეკულური სტრუქტურის დადგენის შემდეგ. 22-ე ქრომოსომის დარღვევებს მედიკოსები უკავშირებენ დაახლოებით 35 დაავადებას და სინდრომებს, მათ შორის კიბოს, შიზოფრენიას, მემკვიდრეობით სიყრუეს.

ბრიტანელ-ამერიკელ-იაპონელ მეცნიერთა ჯგუფის, მათ შორის რამდენიმე ნობელის ლაურეატიცაა, სამუშაოები 11 წელიწადს გრძელდებოდა და მას კოორდინირებას უწევდა ინგლისური ცენტრი „სენდრიჯი“. მკვლევარები დარწმუნებულნი არიან, რომ კვლევის დროს შემუშავებული მეთოდოლოგია 2003 წლისთვის მათ საშუალებას მისცემს შეადგინონ ადამიანის გენეტიკური პორტრეტი.

*ეხო პლანეტი №50*


ხერხემლის დაავადებათა (ოსტეოქონდროზი, დისკოზი, ართროზი, სპონდილოზი) და მათი ნერვული, კუნთოვანი, მყესოვანი, სახსროვანი და სისხლძარღვოვანი გართულებების კომპლექსური მკურნალობა

ექიმი ვერტებრონევროლოგი, მანუალური თერაპევტი დავით ქურთუბაძე

თბილისი, ივ ჯავახიშვილის 51, I სართ, ოთახი 9

ტელ: 96-95-69; 877-43-31-26



ყურადღება!

100%-იანი გარანტიით

ქალებს, რომელთაც გაწუხებთ ჭარბთმიანობა, ნებისმიერი სახით გამოხატული (ნაპარსი, პინცეტით ამონაღები, ეპილაციით გაღიზიანებული და ა.შ.) გეძლევათ შესაძლებლობა, განიკურნოთ, მხოლოდ ერთი პროცედურით თითოეულ თმაზე. მკურნალობა გრძელდება მანამ, სანამ არ შევეხებით თითოეულ თმას (რა თქმა უნდა, მხოლოდ ერთხელ). მკურნალობის ხანგრძლივობა დამოკიდებულია თმის სიხშირეზე. პროცედურის ჩატარების შემდეგ ყველანაირი პასუხისმგებლობით გრჩებათ უვნებელი კანი და მთელი ცხოვრება დაზღვეული ხართ ჭარბთმიანობისაგან. ანაზღაურება - 1 სთ. - 20$.

მის: რჩეულიშვილის ქ. (ზემო ვერა), კორპ. 6 სად. II სართ. 9

☎ 29-42-58; 877-44-01-22



SGS – მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი
SGS – თანამედროვე ტექნიკური ბაზა
SGS – მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები
SGS – განკურნების მაქსიმალური გარანტია
SGS – აბსოლუტური ანონიმურობა

ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!

ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.

1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის: „პირველი საქორწინო ღამის“ პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ანნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.

ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS

თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლეჩკომბინატი“), მე-3 სართ. კაბ. 40-41-42-43. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე


# ბროწეული დიდხანს ღეჭეთ

ისრაელის ქალაქ ხაიფის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ბიოქიმიკოსებმა დაადგინეს, რომ ბროწეულის რბილობსა და მარცვლებში დიდი რაოდენობითაა ძლიერი ანტიოქსიდანტები. მათი წყალობით ბროწეული შესანიშნავი საშუალებაა გულ-სისხლძარღვთა და ონკოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკისთვის და სამკურნალოდ, აგრეთვე ორგანიზმის დაბერების პროცესის შესანელებლად. აღმოსავლეთის ქვეყნებში ბროწეული ოდითგანვე გამოიყენებოდა სამკურნალო საშუალებად.

უნდა აღინიშნოს, რომ მისი სამკურნალო თვისებები ვლინდება ხშირი მოხმარების შედეგად, მხოლოდ ხანგრძლივი დროის შემდეგ. და რაც მთავარია, მაქსიმალურად უნდა გაგრძელდეს ღეჭვის პროცესი.

*ლიზა №2*

# ნიორი და უკვდავება



ეგვიპტელებს ძალზე აინტერესებდათ უკვდავების პრობლემა. არსებობდა სიცოცხლის გასახანგრძლივებელი რიტუალი, რომელშიც მხოლოდ ფარაონები და დიდი ქურუმები მონაწილეობდნენ. ახალდაკლული პირუტყვის ტყავში გაახვევდნენ შიშველ ადამიანს, სადაც იგი ემბრიონის პოზას იღებდა. ამ დროს ქურუმები საგანგებო ლოცვებს კითხულობდნენ. რიტუალის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ ტყავს, რომელიც დედის მუცლის სიმბოლოდ მიიჩნეოდა, ადამიანისთვის კიდევ ერთი სიცოცხლე უნდა მიეცა, უფრო სწორად, ადამიანი თითქოს მეორედ იბადებოდა, უნარჩუნდებოდა ჭკუა და მეხსიერება, მხოლოდ წლები აკლდებოდა. უკვდავების მოპოვების ამ ხერხს ძნელად თუ ვინმე გამოიყენებს. ისეთი საშუალებები კი, რომლებიც გაგაახალგაზრდავებთ და ჯანს შეგმატებთ, ყველასთვის იოლი მისაწვდომია. ეს გახლავთ ნიორი. შეიტანეთ თქვენს რაციონში იგი, რაც შეიძლება უხვად და შედეგი არ დააყოვნებს.

*ორაკული №2*

# გულის პრობლემებს აგვარებს „გული“



მსოფლიოში გულ-სისხლძარღვთა სისტემით დაავადებულ ადამიანთა რიცხვი განუხრელად მატულობს, ამასთანავე შეინიშნება დაავადებათა გაახალგაზრდავების ტენდენცია. ამიტომ საკითხი თავისი აქტუალობით ერთ-ერთ პირველ ადგილზეა.

ცხოვრების არაჯანსაღი სტილი, ჭარბი წონა, ჰიპოდინამია და თამბაქო 40 წელს გადაცილებულ ადამიანებს გულ-სისხლძარღვთა დაავადების რისკის ჯგუფში აყენებს. შაქრიანი დიაბეტი და ჰიპერტონია კი, კიდევ უფრო ზრდის რისკფაქტორს.

გულ-სისხლძარღვთა პათოლოგიები იმ დაავადებათა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა ზუსტი და დროული დიაგნოზირება, სწორად შერჩეული მკურნალობა, ექიმის მაღალი კვალიფიკაცია უმნიშვნელოვანესია და ფაქტობრივად პაციენტის შემდგომ ბედს განსაზღვრავს.

კარდიოლოგიურ კლინიკაში, დროულად მიმართვის შემთხვევაში, თანამედროვე ტექნიკური და მედიკამენტოზური საშუალებების გამოყენებით შესაძლებელი გახდა გულ-სისხლძარღვთა დაავადების გართულების 80%-ის აღკვეთა. ამიტომ მსოფლიოს წამყვანმა კარდიოლოგიურმა ცენტრმა პრიორიტეტულ მიმართულებად აირჩიეს ამ დაავადებათა წინასწარი დიაგნოზირება და პროფილაქტიკა.

გულის დაავადების ადრეული დიაგნოზირება საკმაოდ რთულია, ვინაიდან მისი გამოვლენა შესაძლებელია მხოლოდ გამწვავების დროს, როცა პაციენტი შეიძლება არ იმყოფებოდეს კლინიკაში.

სწორედ ამ მიზნით შეიქმნა ტელემედიცინის იდეა. პაციენტს ეძლევა პეიჯერის ზომის აპარატი, რომლის საშუალებით მას ნებისმიერ დროს და ადგილას მისი უბრალოდ ხელში დაჭერით შეუძლია, ჩაიწეროს საკუთარი ელექტროკარდიოგრამა. შემდეგ ჩვეულებრივი ტელეფონის ყურმილზე მიდებით გადასცეს კარდიოლოგიური ცენტრის კომპიუტერს, სადაც სპეციალისტები გააანალიზებენ და საჭირო რეკომენდაციებს მისცემენ პაციენტს.

ეს სიახლე საქართველოში მხოლოდ კარდიოლოგიურ კლინიკა **„გულში“** გამოიყენება, რომელიც 4 წელია არსებობს და მასში წარმატებული მკურნალობა გაიარა 10 ათასამდე პაციენტმა. აქ მოღვაწეობენ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც საზღვარგარეთ პერიოდულად გადიან სტაჟირებას.

კარდიოლოგიურ კლინიკა **„გულს“** ხელმძღვანელობს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ანზორ მელია.

კლინიკა აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით (ელექტროკარდიოგრამის, დიპლეროექოსკოპიის და ველოერგომეტრიის აპარატებით) და უახლესი მედიკამენტოზური საშუალებებით. ამასთან აქ, საქართველოში, პირველად დაინერგა და წარმატებით ფუნქციონირებს ელექტროკარდიოგრამის და არტერიული წნევის 24 საათიანი მონიტორინგის სისტემა (**CARDIO TENCE**). ეს მცირე ზომის მოწყობილობა, რომელიც პაციენტის სხეულზე ფიქსირდება, ზუსტად აღრიცხავს მის მდგომარეობას დღე-ღამის განმავლობაში.

ყოველივე ეს **„გულის“** ექიმებს ეხმარება დასვან სწორი დიაგნოზი და დანიშნონ ეფექტური მკურნალობა. აგრეთვე მოახდინონ წინასწარი პროფილაქტიკა, რაც გამორიცხავს გულ-სისხლძარღვთა დაავადებათა შემდგომ გართულებებს.

კლინიკაში, გარდა სტაციონარის და პოლიკლინიკისა, ფუნქციონირებს ოჯახის ექიმის სამსახურიც, რომელიც სავსებით ხელმისაწვდომია და მისი საშუალებით მთელი ოჯახი ექიმის რეგულარული დაკვირვების ქვეშ იმყოფება.

დაბოლოს, კლინიკა **„გულში“** ფუნქციონირება დაიწყო თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილმა კარდიოლოგიურმა სასწრაფო დახმარებამ, რომელიც სტაციონარის კვალიფიციური ექიმებით არის დაკომპლექტებული.

***კარდიოლოგიური კლინიკა „გულის“ მისამართია: წინანდლის ქუჩა №9 (I კლინიკური საავადმყოფოს ტერიტორია, მ. „300 არაგველთან“), ტელ: 94-00-11; 77-07-40***

R

# საოცრებათა სამყაროში

თანამედროვე მეცნიერების პროგრესმა და წარმატებებმა მანამდე თითქმის დაუჯერებელი ამბები რეალობად და ახლობელ მოვლენებად აქცია. ცხოვრებასა და ეპოქასთან ერთად ადამიანებიც მკვეთრად შეიცვალნენ, საზოგადოებამ ახალი ღირებულებები და ფასეულობები შეიძინა. მეცნიერებამ ადამიანების ენერგეტიკულ დონეზე შესწავლასა და განხილვას მიჰყო ხელი. ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ენერგეტიკულად ძლიერი, გამორჩეული ადამიანების ჩვენ გარშემო ყოფნა. ასეთი ადამიანები სამყაროს სულ სხვა ფერებსა და ჭრილში აღიქვამენ, საოცრად საინტერესო პიროვნებები და გულთბილი მოსაუბრენი არიან.

ამ გამორჩეულ ადამიანთა შორის თავისი განსაკუთრებული წარმომავლობითა და ნიჭით ნანა მამაგულაშვილმაც შეიძლება „დაიკვეხნოს“. ქალბატონი ნანა ძირძველ ქართულ ოჯახშია დაბადებული. მისი წინაპარი ხევისბერი ყოფილა. ბებია კი თიანეთში ცნობილი მლოცველი-მკურნალი. ის უდიდესი ნიჭითა და ძალით ყოფილა დაჯილდოებული. თურმე უამრავ უნიკალურ სამკურნალო რეცეპტურას ფლობდა, რომელიც საუკუნეების მანძილზე თაობიდან თაობაში განსაკუთრებულ ადამიანებს გადაეცემოდა. შვილიშვილებიდან უდიდესი ნიჭი, რასაც თიანეთში ხატის პასუხს უწოდებენ, მხოლოდ ქალბატონ ნანას გამოჰყოლია. ჯერ კიდევ პატარას შეუგნებლად დაუწყია ადამიანების სატკივრის ხატვა, უბედურებისა თუ ბედნიერების წინასწარმეტყველება. ეს თავდაპირველად ბავშვურ ანცობად აღქმული ძალა, შემდგომ „გაიზარდა“, სრულყოფილება განიცადა და საბოლოოდ უდიდეს ნიჭად და ენერგიად ჩამოყალიბდა. დღეს ქალბატონ ნანას ბადალი არა ჰყავს. არ არსებობს არც ერთი პათოლოგია, დაავადება, ადამიანის ორგანიზმში „ჩაბუდებული“ სენი, რომლის დანახვა და დიაგნოსტირება მისთვის შეუძლებელი იყოს. ის თავისუფლად, დაბრკოლების გარეშე „იჭრება“ ადამიანების ენერგეტიკულ გარსში (აურაში) და ორგანიზმში მიმდინარე ცვლილებებსაც ზედმიწევნით ზუსტად აღიქვამს. თანამედროვე შეხედულებით ადამიანის ორგანიზმში რაიმე პათოლოგიის განვითარებამდე ჯერ ენერგეტიკული შრე ირღვევა, ამის შემდეგ განიცდის ცვლილებას თავად ქსოვილი, ორგანო. ქალბატონ ნანას ამის დანახვაც ძალუძს.

ყოველ ადამიანს თავისი ფერის აურა აქვს, რომელიც ცვალებადობას განიცდის. თუკი ცვლილება პათოლოგიურია და საწყის ეტაპზეა მკურნალი საქმეს თავის თავზე იღებს და სატკივარს უმკლავდება. მაგრამ თუკი ცვლილება უკვე შორს წასულია, სერიოზული რღვევა აღინიშნება. ქალბატონი ნანა ადამიანებს ოპერაციულ თუ სხვა სახის ჩარევისაკენ მოუწოდებს. „ჩემი დიაგნოზი უეჭველია“ — აცხადებს მკურნალი. და მისი სიტყვების დასტური საავადმყოფოებიდან ექიმების მიერ „გამოგზავნილი“ უამრავი მიწვევა და რჩევა-დარიგების თხოვნაა. ზუსტი დიაგნოზის დასმის შემდეგ ქალბატონი ნანა მკურნალობას კიდევ კიდებს ხელს. ამაში წინაპართაგან გადმოცემული სამკურნალო რეცეპტურა ეხმარება. სამკურნალო საშუალებანი მცენარეულ ნიადაგზე (რომელსაც მკურნალი სასოებით აგროვებს) და ცხოველური ნაერთების საფუძველზე მზადდება. ეს საკმაოდ რთული პროცესია. მათ სითხეებისა და მალამოების „სახე“ აქვთ. სამკურნალო საშუალებანი უამრავ დაავადებას არჩენს: ბრონქიალური ასთმა, ტუბერკულოზი, წყლულოვანი დაავადება, ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის პათოლოგიები, ალკოჰოლიზმი, უშვილობა, თირკმლის დაავადებები და ა.შ.

ჩამონათვალი დიდია. ეს იმით აიხსნება, რომ ქალბატონ ნანას წამლები ორგანიზმზე ზოგად, გამაჯანსაღებელ და გამწმენდ ეფექტს ახდენს. ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის დაბალანსირებისა და მოწესრიგების საფუძველზე, თითოეულ ორგანოს თავის ადგილს უჩენს. ამასთან გამორიცხულია სამკურნალო საშუალებების გვერდითი, უარყოფითი ზეგავლენა (რაც ასე ხშირია ქარხნული წესით დამზადებულ წამლებში). მკურნალისათვის „ხელმისაწვდომია“ ე.წ. ქალური პრობლემების მოგვარება — მენსტრუალური ციკლის მოწესრიგება, საკვერცხეების, მილების გამტარიანობის აღდგენა. მასაჟებითა და პრეპარატებით „ერევა“ საშვილოსნოს ფიბრომასა (1-1,5კგ) და მკერდში არსებულ პათოლოგიურ წარმონაქმნებს.

ქ-ნ ნანას იცნობენ და პატივს სცემენ საზღვარგარეთ. მისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა ირანში, თურქეთსა თუ ისრაელში სამუშაო ვიზიტები. „იქ ისეთ პირობებს მთავაზობენ სიამოვნებით დავრჩებოდი, რომ არა ოჯახისა და საქართველოს სიყვარულიო“ — აცხადებს მკურნალი.

თითოეული ადამიანი ვინც ამ განსაკუთრებულ პიროვნებას დახმარებისათვის მიმართავს ქ-ნ ნანასთვის განსხვავებული და თავისებურია. მისთვის ყველას გასაჭირი ახლო და მისაწვდომია. ამიტომაც, პაციენტსა და მკურნალს შორის მეგობრული, ძალზე გულთბილი ურთიერთობა გარდაუვალი რამ არის.

ქ-ნი ნანა სწორედ ის ადამიანი და მკურნალია ვისი ნდობაც შეგიძლიათ, ვისთვისაც პრობლემებისა და სატკივრის გაზიარება თქვენთვის სასიკეთო ცვლილებების გარანტია.

**მის: ქ. თბილისი, ნაძალადევის რ-ნი, ბეჟანიშვილის №42, ტელ: 66-53-85; 877-44-74-59**

R

## რას გვერჩის იოჰან ბოსკამპი?



წინა ნომერში გატყობინებდით, რომ თბილისის „დინამოსა" და ჩვენი ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა, ჰოლანდიელმა იოჰან ბოსკამპმა ბელგიურ „გენკთან" გააფორმა კონტრაქტი. თითქოს ჰოლანდიელისა და ქართველების ურთიერთობაც ამით უნდა დასრულებულიყო, მით უმეტეს, არც ბოსკამპის მოღვაწეობის პერიოდი აღუძრავს გულშემატკივარს სასიამოვნო მოგონებებს და მისი სახელიც დავიწყებას უნდა მისცემოდა, როცა „მყვირალა ჰოლანდიელმა" ისევ შეგვახსენა თავი და პოპულარულ გერმანულ ჟურნალ „კიკერს" განუცხადა, — თუ მოვინდომე, მთელ წიგნს დავწერ ქართულ ფეხბურთში მიმდინარე მაფიოზურ ქმედებებზეო. ვერ გეტყვით, ვის მიიჩნევს ბოსკამპი მაფიოზად, ან რას გულისხმობს ამ ნათქვამში, მაგრამ ერთი რამ ნათელია: „კიკერში" დაბეჭდილი სიტყვები ქართულ ფეხბურთს სასიკეთოდ არ წაადგება და ჩვენებმა როგორც არ უნდა ამტკიცონ თავიანთი სიმართლე, ჰოლანდიელმა უკვე მოასწრო და ჩირქი მოსცხო ისედაც დასნეულებულ ჩვენს ფეხბურთს. ისიც გასარკვევია, რაღა ახლა ეწვია ჰოლანდიელს მწერლობის მუზა და მაშინ რატომ იყო ჩუმად, მისი ხელმძღვანელობით ნაკრები თამაშს თამაშზე რომ აგებდა და მწვრთნელი ხან რას ასახელებდა მიზეზად, ხან — რას. ხშირად კი ახსენებდა „გასაოცარ" ქართულ მენტალიტეტს, მაგრამ „მაფიოზებზე" სიტყვა არ დასცდენია. საეჭვოა, ბოსკამპის ეს ფრაზა რეაგირების გარეშე დარჩეს, თანაც დუმილზე ამბობენ, „თანხმობის ნიშანიაო." წესით, ჰოლანდიელმა ბოდიში მაინც უნდა მოიხადოს, მაგრამ, ღმერთმა ნუ ქნას და თუ საბოდიშოდ არა აქვს საქმე და მისი განცხადებაც სიმართლეს შეესაბამება, მაშინ ჩვენი საქმე ყოფილა ცუდად.

## უეფამ სტადიონები შეგვიმოწმა

16 თებერვალს საქართველოს უეფას ემისრები ეწვივნენ — აღმოსავლეთ ევროპის ტექნიკური დახმარების ბიუროს მენეჯერი რობერტ ბოსარდი და სტადიონების უსაფრთხოების კომიტეტის წევრი კის დე ბრუინი, რომელთა მიზანი საქართველოს სტადიონების შემოწმება და დათვალიერება გახლდათ. მოგეხსენებათ, სტადიონი, სადაც საერთაშორისო შეხვედრები უნდა გაიმართოს, აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს უეფას მოთხოვნებს. ბუნებრივია, სტუმრებმა პირველად ეროვნული სტადიონი დაათვალიერეს, მოინახულეს მინდვრის საფარი, გასახდელები, მსაჯთა ოთახი, საპრესკონფერენციო დარბაზი და ა.შ. ითქვა, რომ 21.000 ინდივიდუალური სკამი, რომელიც სტადიონზეა დამონტაჟებული, საკმარისი არ გახლავთ, სასწრაფოდ მოსაგვარებელია განათების პრობლემაც. „თუ ყველაფერს მალე მოიყვანთ წესრიგში, თქვენთვისაც უკეთესი იქნება და ჩვენთვისაც" — დაგვამშვიდეს სტუმრებმა და ეროვნული სტადიონის შემდეგ ვაკის მშენებარე სტადიონისაკენ აიღეს გეზი, მეორე დღეს კი დასავლეთ საქართველოში გაემართნენ, — ჯერ ქუთაისს, შემდეგ კი ფოთსა და ბათუმს ეწვივნენ. უეფას ემისრებმა საკუთარი მისია შეასრულეს, ჯერი ჩვენი სტადიონების მესვეურებზეა. თუ შემოდგომამდე ყველა პრობლემა არ მოგვარდა, მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების ჩასატარებლად ჩვენს ნაკრებს სხვა არენის მოძებნა მოუწევს.

## ფიფას ახალი რეიტინგი

ფიფამ ახალი, თებერვლის რეიტინგი გამოაქვეყნა. იანვრის რეიტინგთან შედარებით, რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება არ მომხდარა; პირველ ათეულში კი, საერთოდ არაფერი შეცვლილა. პირველ ადგილზე კვლავ ბრაზილიის ნაკრებია, შემდეგ მოდიან ჩეხეთი და საფრანგეთი. საქართველოს 502 სარეიტინგო ქულა აქვს და 59-ე ადგილზეა. ჩვენი ნაკრები ერთი თვის წინ 66-ე იყო, 7 საფეხურით დაწინაურება კი კვიპროსის ტურნირის შედეგებს გამოუწვევია. შეგახსენებთ, საქართველოს ნაკრებმა ფრედ ითამაშა რუმინეთთან და მოუგო სომხეთის გუნდს. სლოვაკეთის ახალგაზრდულ ნაკრებთან მოგება კი ფიფამ არად ჩააგდო.

1. **ბრაზილია — 836 ქულა**
2. **ჩეხეთი — 772**
3. **საფრანგეთი — 762**
4. **ესპანეთი — 751**
5. **გერმანია — 742**
6. **არგენტინა — 718**
7. **ნორვეგია — 717**
8. **რუმინეთი — 713**
9. **ხორვატია — 710**
10. **მექსიკა — 704**

## მათეუსი რეკორდსმენი გახდება



23 თებერვალს გერმანიის ეროვნული ნაკრები ამხანაგურ შეხვედრას გამართავს ჰოლანდიის ნაკრებთან. გარდა იმისა, რომ ძველ მეტოქეთა შეხვედრა ტრადიციულად უშეღავათო ბრძოლაში მიმდინარეობს, ეს მატჩი კიდევ ერთი გარემოების გამოა საინტერესო — ერიხ რიბეკმა ჰოლანდიასთან მატჩში მიიწვია მიუნხენის „ბაიერნის" ვეტერანი ლოთარ მათეუსი, რომელსაც სულ მალე 39 წელი შეუსრულდება. ეს შეხვედრა 144-ე იქნება მათეუსის სანაკრებო კარიერაში, ამდენი მატჩი კი ეროვნულ ნაკრებებში ჯერ არავის ჩაუტარებია. მათეუსი მსოფლიო რეკორდსმენი გახდება და ერთი მატჩით გაუსწრებს შვედ მეკარეს — ტომას რაველის, რომელმაც კარგა ხანია, თამაშს თავი დაანება. შეგახსენებთ, რომ მათეუსი უახლოეს მომავალში დატოვებს „ბაიერნს" და კარიერას აშშ-ში გააგრძელებს. თუმცა, როგორც ნაკრების მწვრთნელი ერიხ რიბეკი აღნიშნავს, ნაკრებში გამოსვლას ლიბერო კვლავ განაგრძობს და ევროპის ჩემპიონატზე მისი დიდი იმედიც აქვს.

## ბაქოს ნაცვლად ზაგრებში

მოგეხსენებათ, საქართველოს მინი-ფეხბურთელთა ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში მონაწილეობს. იმ ჯგუფის შესარჩევი ეტაპის მატჩები, სადაც ჩვენები გამოდიან, წესით აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ მეზობელი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციაში არსებულმა უთანხმოებამ ტურნირის ბაქოში ჩატარება შეუძლებელი გახადა, ამიტომ შესარჩევი ეტაპი აზერბაიჯანის დედაქალაქის ნაცვლად, ხორვატიის დედაქალაქ ზაგრებში გაიმართება. გადაიწია მატჩების გამართვის ვადებმაც. 15 თებერვლის ნაცვლად, ტურნირი 26 თებერვალს დაიწყება. 28 თებერვალს ჩვენები აზერბაიჯანის ნაკრებთან ითამაშებენ, მეორე დღეს — მასპინძლებთან; 3 და 5 მარტს კი ჩეხეთისა და საბერძნეთის ნაკრებებს შეხვდებიან. შეგახსენებთ, რომ ტურნირის გამარჯვებული გუნდი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ სტადიაზე ითამაშებს, რომელიც გვატემალაში გაიმართება.

## წარადგინეს მსოფლიო ჩემპიონატის ემბლემა

14 თებერვალს ტოკიოში ოფიციალურად წარადგინეს მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის ემბლემა. მხატვართა და დიზაინერთა გადაწყვეტილებით, მსოფლიოს უპირველესი სპორტული დღესასწაულის სიმბოლიზირებისათვის შამპანურის ბოთლს არაფერი სჯობს. ბოთლიდან ამოვარდნილ ქაფს კი 32 საფეხბურთო ბურთი მოჰყვება, სწორედ ამდენი ნაკრები მიიღებს მონაწილეობას მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში, რომელიც 2002 წლის ზაფხულში კორეასა და იაპონიაში გაიმართება.




## შულცი ტაისონმა შეაშინა



აქსელ შულცი

გერმანიის საუკეთესო მოკრივემ, მძიმეწონოსანმა აქსელ შულცმა, რომელმაც ოთხიოდე თვის წინ მიატოვა პროფესიონალური რინგი, უარი განაცხადა მაიკ ტაისონთან ბრძოლაზე. გერმანელის პრომოუტერმა ვილფრიდ ზოერლენდმა დაადასტურა, რომ ტაისონმა თავად გამოიწვია შულცი და აპრილში ბრძოლაც შესთავაზა, მაგრამ გერმანელმა გამოწვევა არ მიიღო: „ორი თვე საკმარისი არ გახლავთ ასეთი ბრძოლისათვის მოსამზადებლად. მოგების შანსი რომ მქონდეს, რასაკვირველია, უარს არ ვიტყოდი, ასე რომ, არანაირი თანხის გულისთვის არ დავთანხმდები ამ ბრძოლის გამართვაზე" — განაცხადა შულცმა, რომელსაც შემოდგომაზე სურს „რკინის მაიკთან" დაპირისპირება. შეგახსენებთ, რომ შულცმა მას შემდეგ მიატოვა რინგი, რაც ოქტომბერში უკრაინელმა კლიჩკომ დაანოკაუტა. გერმანელს ექვსჯერ აქვს მიღებული მონაწილეობა მსოფლიო ჩემპიონის გამოსავლენ ბრძოლებში, თუმცა მისი გაჩემპიონების ყველა ცდა უშედეგოდ დასრულდა. რაც შეეხება მაიკ ტაისონს, იგი მაინც გამართავს მორიგ ბრძოლას აპრილში — „რკინის მაიკი" იტალიაში შეერკინება ამერიკელ ლუ სევარეზეს.

## გუნდები საბოლოოდ დაკომპლექტდა

ფორმულა-1-ის 51-ე ჩემპიონატის დაწყებამდე სამი კვირით ადრე, საბოლოოდ დადგინდა ჩემპიონატში მონაწილე ყველა პილოტის ვინაობა. უკანასკნელი ვაკანტური ადგილი არგენტინელმა გასტონ მაცაკანემ შეავსო, რომელიც „მინარდის" მეორე პილოტად მიიწვიეს. გაგაცნობთ გუნდების შემადგენლობას, რომელთა ცვლილებები მხოლოდ განსაკუთრებულ სიტუაციებშია შესაძლებელი.



**ფერარი**: მიხაელ შუმახერი (გერმანია); რუბენს ბარიკელო (ბრაზილია);

**მაკლარენი**: მიკა ჰაკინენი (ფინეთი); დევიდ კულტხარდი (ინგლისი);

**ჯორდანი**: ჰაინც ჰარალდ ფრენტცენი (გერმანია); იარნო ტრული (იტალია);

**იაგუარი**: ედი ირვაინი (შოტლანდია); ჯონ ჰერბერტი (ინგლისი);

**უილიამსი**: რალფ შუმახერი (გერმანია); ჯენსონ ბატონი (ინგლისი);

**ბენეტონი**: ალექსანდრ ვურცი (ავსტრია); ჯანკარლო ფიზიკელა (იტალია);

**პროსტი**: ჟან ალეზი (საფრანგეთი); ნიკ ჰაიდფელდი (გერმანია);

**ზაუბერი**: პაულუ დინიცი (ბრაზილია); მიკა სალო (ფინეთი);

**ეროუზი**: პედრო დე ლა როსა (ესპანეთი); იოს ფერსტაპენი (ჰოლანდია);

**მინარდი**: მარკ ჟენე (ესპანეთი); გასტონ მაცაკანე (არგენტინა);

**ბარი**: ჟაკ ვილნევი (კანადა); რიკარდო ზონტა (ბრაზილია).

როგორც ხედავთ, 51-ე ჩემპიონატში ყველაზე მეტი წარმომადგენელი ბრიტანეთსა და გერმანიას ჰყავს (ოთხ-ოთხი მრბოლელი); სამი პილოტი ჰყავს ბრაზილიას, ორორი კი — იტალიას, ესპანეთსა და ფინეთს; შეგახსენებთ, რომ ჩემპიონატი 12 მარტს აიღებს სტარტს, როცა მელბურნის ტრასაზე „ავსტრალიის დიდი პრიზი" გათამაშდება, ბოლო ეტაპი კი 22 ოქტომბერს გაიმართება მალაიზიაში.

## რეიტინგს აგასი და ჰინგისი ლიდერობენ



მარტინა ჰინგისი

ავსტრალიის ღია პირველობის გამარჯვებულმა ამერიკელმა ანდრე აგასიმ და ლეგენდარულმა გერმანელმა ჩოგბურთელმა შტეფი გრაფმა ჯვრისწერის ვადა დათქვეს. ვარსკვლავთწყვილი შტეფის დაბადების დღეს, 14 ივნისს იქორწინებს ლას-ვეგასში, ანდრე აგასის საკუთარ ვილაში.

დაოჯახებას აპირებს მსოფლიოს უძლიერესი ჩოგბურთელი ქალი მარტინა ჰინგისიც. მისი რჩეული NHL-ის კლუბ „ტამპა ბეი ლოიტინგის" ჩეხი ლეგიონერი პაველ კუბინა ყოფილა. შეგახსენებთ, რომ ჰინგისიც ჩეხეთში დაიბადა და გაიზარდა. ჰინგისი და კუბინა ფლორიდაში აპირებენ ცხოვრებას.

ამასობაში კი ჩოგბურთელ ქალთა და მამაკაცთა ახალი რეიტინგი გამოქვეყნდა. გაგაცნობთ პირველ ხუთეულთა შემადგენლობას.

**მამაკაცები**

1. **ანდრე აგასი** (ა.შ.შ.) — 200 ქულა
2. **ევგენი კაფელნიკოვი** (რუსეთი) — 144
3. **მაგნუს ნორმანი** (შვედეთი) — 141
4. **ნიკოლას კიფერი** (გერმანია) — 122
5. **ლეიტონ ხიუტი** (ავსტრალია) — 100

**ქალები**

1. **მარტინა ჰინგისი** (შვეიცარია) — 5734
2. **ლინდსი დევენპორტი** (ა.შ.შ.) — 5190
3. **ვინუს უილიამსი** (ა.შ.შ.) — 4109
4. **სერენა უილიამსი** (ა.შ.შ.) — 3231
5. **ნატალი ტოზია** (საფრანგეთი) — 2550

დღევანდელი რეიტინგით მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი პიტ სამპრასი მხოლოდ მეექვსე პოზიციაზეა. შეგახსენებთ, რომ მამაკაცების რეიტინგში მხოლოდ წელს გამართული ტურნირების შედეგებია გათვალისწინებული.

## ესკობარის მკვლელს 43 წელი მიუსაჯეს

კოლუმბიის უმაღლესმა სასამართლომ 43-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა უმბერტო მუნიოს კასტროს — კაცს, რომელმაც 1994 წლის 2 ივლისს სიცოცხლეს გამოასალმა კოლუმბიის ეროვნული ნაკრების მცველი ანდრე ესკობარი. გამოძიება 5 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა და დადგინდა, რომ სწორედ უმბერტო კასტრო გახლდათ ის პიროვნება, რომელმაც ესკობარს სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა, როდესაც ფეხბურთელი ქალაქ მედელინში მდებარე ერთ-ერთი ღამის კლუბიდან გამოდიოდა. მკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე კოლუმბიის ეროვნული ნაკრები ამერიკაში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე აშშ-ს ნაკრებთან დამარცხდა, იმ შეხვედრაში კი ესკობარმა გოლი საკუთარ კარში გაიტანა, რაც მკვლელობის მიზეზი გახდა.

* * * * * * * * * * * * * * * * * * * *

ფრიად უსიამოვნო სიტუაციაში აღმოჩნდა რუსეთის ნაკრებისა და მოსკოვის „სპარტაკის" თავდამსხმელი ანდრეი ტიხონოვი — მას თვალწინ ააცალეს კუთვნილი ჯიპი. ტიხონოვმა მანქანა გააჩერა და ავტოფარეხის კარს აღებდა, როდესაც ქურდებმა დრო იხელთეს და ფეხბურთელი უმანქანოდ დატოვეს. ყველაზე საინტერესო ის გახლდათ, რომ იმ დროს მანქანაში ანდრეის წლინახევრის ბავშვიც იჯდა. კიდევ კარგი, ქურდებმა ისიც არ გაიყოლეს და პატარა მანქანიდან გადმოსვეს. ამ ფაქტით აღშფოთებულმა ფეხბურთელმა განაცხადა, — რუსეთს დავტოვებ, კარიერას უცხოეთში გავაგრძელებ და ოჯახის უსაფრთხოებაზე ამდენი ფიქრი აღარ მომიწევსო.

*მოამზადა მათე კბილაძემ*

## საჭადრაკო კლუბი

**„კვირის პალიტრა" აქვეყნებს საჭადრაკო ამოცანებს, მათი ამოხსნისათვის საჭადრაკო დაფა არ არის აუცილებელი.**

შავების დაშამათება არ უნდა გაგიჭირდეთ (თუ, რა თქმა უნდა, მოინდომებთ).

წინა ამოცანის ამოხსნა: 1. ლa3.

თეთრები იწყებენ და აკეთებენ შამათს სვლაში.

რ. ლინკოლნი



# „კავკასიელი ტყვე ქალი“

რუსმა მეცნიერებმა მოიპოვეს უტყუარი საბუთები ჩვეულებრივი ადამიანის „თოვლის კაცთან“ სქესობრივი კავშირის შესახებ, აღმოაჩინეს ამ სიყვარულის ნაყოფიც.

ამ სენსაციურ მონაპოვარზე მოგვითხრობს ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ცნობილი ჰომინოლოგი (მეცნიერება „თოვლის ადამიანის“ შესახებ) **იგორ ბურცევი**:

— „თოვლის ადამიანის“ საკვირველ ამბებს იკვლევდა სამამულო ჰომინოლოგიის კლასიკოსი ბორის პორშნევი. იგი 1962 წელს კავკასიაში შეხვდა აღსაკალებს, რომლებსაც არა მარტო ახსოვდათ ძველი გადმოცემები, არამედ თავადაც შეხვედროდნენ „თოვლის ადამიანს“.

რევოლუციამდე აფხაზი თავადი აჩბა ზანას მთებში ნადირობისას გადაეყარა „თოვლის ადამიანს“, რომელსაც აქ „აბნაუიუს“ (ველური კაცი) ეძახდნენ. რაც მთავარია, ეს არ იყო ახალი ამბავი. აბნაუიუ ადრეც ენახათ აქაურებს. თავადმა ბრძანა, — უსათუოდ უნდა დავიჭიროთო. ერთმა მონადირემ შარვალი გაიხადა, თვალსაჩინო ადგილას დადო და მიიმალა. „თოვლის ადამიანი“ სუნმა მიიზიდა, დაინტერესდა შარვლით, დაიწყო ვითომდა ჩაცმა. ამასობაში მონადირეები თავს დაესხნენ და გაკოჭეს.


ხუტი


ხუტის ქალიშვილი რაისა

აბნაუიუ ძუ აღმოჩნდა, ორი მეტრი სიმაღლისა, უშველებელი ძუძუები წელამდე სწვდებოდა. სხეული ყავისფერი ბალნით ჰქონდა დაფარული. შიშველი ადგილებიდან რუხი კანი მოუჩანდა. სახეზე უფრო თხელი და ნაზი თმა მოსდებოდა.

„თოვლის დედაკაცს“ ზანა დაარქვეს.

აჩბამ იგი აჩუქა თავის სტუმარს, თავად ეჯი გენაბას. მან აბნაუიუ წაიყვანა მთაში, თავის სოფელ თხინში. ეს სოფელი დღესაც არის ოჩამჩირის რაიონში, მდინარე მოქვის ნაპირას, სოხუმიდან 78 კმ-ის დაშორებით.

...იგორ ბურცევს ნება დართეს, თხინში გათხრები ჩაეტარებინა ზანას ნეშტის მოსაძებნად. „თოვლის ადამიანის“ ჩონჩხი ხომ მსოფლიო ჰომინოლოგიისთვის ძვირფასი მონაპოვარი იქნებოდა.

— ზანას სამარხი ვერ ვიპოვე, მაგრამ მაჩვენეს საფლავი... მისი ვაჟისა, რომელსაც ხუტი რქმევია. გამაცნეს ხუტის ქალიშვილი რაისა, — განაგრძობს თხრობას მეცნიერი, — აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ვნებიან აფხაზ ჯიგიტებს ინტიმური კავშირი ჰქონდათ ორმეტრიან ველურთან. როგორც გაირკვა, მაიმუნის მსგავს ქალთან ურთიერთობა პირველად თავად გენაბას ჰქონია. ამ კაცს თურმე თავისებურად პატივს სცემდა „თოვლის ქალი“ და ეშინოდა კიდეც მისი. თავადის შემდეგ მასთან ყოფილა მწყემსი საბეკია — სიკვდილის წინ მას ეს ცოდვა ულიარებია.

აქაურები ირწმუნებიან, — ზანამ ხუთჯერ იმშობიარაო.

...თავიდან თავადს ზანა ჯაჭვით ჰყოლია დაბმული. ძუ ნელ-ნელა მისჩვევია ადამიანურ საჭმელს და ალერსს. რამდენიმე წლის შემდეგ თურმე თავისუფლად დადიოდა სოფელში, დარბოდა ტყეში. ზამთარ-ზაფხულ ეძინა თავის მიერ ამოთხრილ ორმოში. ლაპარაკი კი ვერ უსწავლია, ღრიალებდა და როცა უხაროდა, წვრილი, წკრიალა ხმით იცინოდა. ტანსაცმელს ვერ შეგუებია.

ზანასთვის უსწავლებიათ მდინარიდან წყლის მოტანა, წისქვილში საფქვავის წაღება. ძალიან ღონიერი ყოფილა — 80 კგ-იან ტომარას ცალი ხელით ათამაშებდაო. ჰყვარებია მთის მდინარეში ცურვა და ღვინის სმა...

როგორც ჩანს, ალკოჰოლის სიყვარულმა და მთაში ქალების ნაკლებობამ განაპირობა „თოვლის ქალისა“ და ადგილობრივი მამაკაცების ურთიერთობა, თორემ დაუჯერებელია, ვინმეს მოეხერხებინა გოლიათი გოგონას გაუპატიურება. თანაც, ეტყობა, მთვრალი ზანა თვითონვე ნებდებოდა მათ...

სამწუხაროდ, ვერავინ გაიგებს, როგორი იყო ლოგინში, რადგან ცხადია, არც ერთი მისი საყვარელი ცოცხალი აღარ არის. საბეკია 20-იან წლებში გარდაიცვალა, მოსახლეობის პირველი აღწერის პერიოდში. სწორედ მან მისცა გვარი ხუტს, ზანას უმცროს ვაჟს.

...თავადისგან შეძენილი შვილი „თოვლის ქალს“ დაბადებისთანავე დაღუპვია. დედას ყინულივით წყალში ჩაუსვამს ახალშობილი, რომელიც აღარ იყო მთლად „თოვლისა“ და ვერ აუტანია მკაცრი რიტუალი.

შემდეგ აბნაუიუს მაშინვე აშორებდნენ ახალშობილს.

ზანას დარჩა ორი ვაჟი — ჯანდი და ხუტი და ორი ქალიშვილი — გომაზა და კოჯანირი. სოფელში ცხოვრობდა მხოლოდ ხუტი. დანარჩენთა გზა-კვალი არავინ იცის.

ხუტი გარდაიცვალა 1954 წელს, 67 წლის ასაკში. მას ორი ცოლი ჰყოლია. მხოლოდ მეორე ცოლთან, რუს მარიასთან შესძენია ქალიშვილი რაისა.

ადგილობრივ მცხოვრებს ზენობ ჩოკუას — ის ახლა 100 წლისაა — ახსოვს ზანა, რომელიც პატარაობაში ხშირად უნახავს. ხუტიც ორმეტრიანი კაცი ყოფილა. დედისგან განსხვავებით, ნაკლებთმიანი. ლაპარაკიც, ცხადია, შეძლებია. მისი ქალიშვილი რაისა კი ჩვეულებრივი ადამიანია. უჩვეულო წარმომავლობა მჟღავნდება მისი ავსტრალოიდური სახის ნაკვთებით, რომელიც აფხაზთათვის არ არის დამახასიათებელი.

თუ სახსრები ექნა, იგორ ბურცევი აპირებს, ახალი ექსპედიციის მოწყობას აფხაზეთში ზანას ნეშტის საპოვნელად.

## კომენტარის მაგიერ

ბორის პორშნევი „თოვლის ადამიანს“ ნეანდერტალელად მიიჩნევს. მეცნიერის აზრით, იგი არ არის ჩვენი უშუალო წინაპარი, არამედ დამოუკიდებელი მონათესავე სახეობაა. ნეანდერტალელებმა სასწაულებრივად მოაღწიეს ჩვენს დრომდე. ამას მოწმობს ზანას თავგადასავალიც.

„თოვლის ადამიანი“ მართლაც ჰგავს ჩვენს ნათესავს, სხვანაირად — მისი და ადამიანის შეჯვარება ნაყოფს არ გამოიღებდა. მეცნიერთა დიდი და გულმოდგინე მცდელობის მიუხედავად, ვერ მოხერხდა ადამიანისა და მაიმუნის ვერც ბუნებრივი და ვერც ხელოვნური გზით შეჯვარება.

არ არის გამორიცხული, რომ დედამიწაზე ცხოვრობს ჩვეულებრივი ადამიანისა და „თოვლის ადამიანის“ შთამომავალი.

***ვლადიმირ ლაგოვსკი***
***ექსპრეს გაზეტა №6***

# ცრუმორწმუნე იმპერატორი

ნაპოლეონს ყველა იცნობს, როგორც უძლეველ მხედართმთავარსა და დამპყრობელს, მაგრამ ბევრმა არ იცის, რომ საფრანგეთის იმპერატორი ძალზე ცრუმორწმუნე ადამიანი იყო.. ჭეშმარიტ კორსიკელს სჯეროდა სხვადასხვა ნიშნებისა და მოვლენების, სიზმრებს თავისებურად ხსნიდა და თითქოს უმნიშვნელო შემთხვევას რაღაცის მომასწავებლად აღიქვამდა.

ამბობენ, 1812 წლის ზაფხულში, რუსეთში შეჭრის წინ ნემანის მიდამოებს ათვალიერებდა და ამ დროს მის ცხენს ნაცარა კურდღელმა გადაურბინა. ცხენი შებარბაცდა და იმპერატორი ამალის წინაშე მიწას დაენარცხა. ფერდაკარგული იმპერატორი წამოდგა... დიდხანს დუმდა. ყველა მიხვდა, ნაპოლეონს ეს ცუდად ენიშნა. რამდენიმე საათის შემდეგ იგი თავის მარშლებსა და გენერლებს ეხვეწებოდა, — თქვით, თქვენც ხომ იგივე გაიფიქრეთ, რაც მეო.



ვატერლოოს გადამწყვეტი ბრძოლის წინა ღამეს ნაპოლეონს ესიზმრა, თითქოს მის არმიასა და მოწინააღმდეგეს შორის შავი კატა დარბოდა. ამ სიზმარმა თურმე თავზარი დასცა იმპერატორს, მიხვდა, რომ ღალატობდნენ...

ვატერლოოს მარცხის შემდეგ ნაპოლეონი უახლოეს ქვეშევრდომებთან ბჭობდა, რა გაეკეთებინა — ამერიკისკენ წასულიყო თუ ინგლისს დამორჩილებოდა. ამ დროს ღია ფანჯარაში ჩიტი შემოფრინდა. ნაპოლეონის გასამხნევებლად ერთ-ერთმა თქვა, — ბედნიერება მოეტანოსო. ნაპოლეონმა კი წამოიძახა, — გაუშვით, ვნახოთ, საით გაფრინდებაო!

...ჩიტი რეიდზე მდგარი ინგლისური ხომალდის „ბელეროფონისკენ“ გაფრინდა. ცრუმორწმუნეობა უწოდეთ და, სწორედ ამ გემით გაგზავნეს იმპერატორი წმინდა ელენეს კუნძულზე.

***მირ ნოვოსტეი №5***

# ოჩოკოჩი, მაიმუნი თუ ეშმაკი?

## (უცნაური შემთხვევა)

ეს ამბავი ორიოდე წლის წინ მოხდა. სამეგრელოს მთებში, ხობისწყლის ხეობაში ქუთარ გაბედავას ჯოგი ჰყავდა გარეკილი. ივლისის ბოლო იყო. ერთ სისხამ დილით ქუთარმა სანადიროდ გასწია. შუადღემდე „ფართო ღალის“ ყველა ხევი და ტაფობი დაიარა. დაზვერა არჩვის სადგურები, მჟავე წყლის მიდამოები, მაგრამ ნადირის ჭაჭანება არსად იყო.

ნაშუადღევს კარგა გადასცდა... ამდენი ხნით ჯოგის მიტოვება არ შეიძლებოდა. უკან გამობრუნდა. საშიში ბილიკები უნდა გამოევლო. მონადირემ კიდევ ერთხელ შეათვალიერა საარჩვე. ერთ ადგილზე შენიშნა მზეზე გაწოლილი არჩვი, რომელიც მშვიდად იცოხნიდა. დაახლოებით 40 მეტრიდან ნასროლი ტყვიით ფეხში დაჭრა ნადირი. არჩვი კოჭლობით შევარდა ტყეში. ქუთარმა ტყეს ზემოდან მოუარა. გზის მოსაჭრელად ისეთ ადგილას ჩასაფრდა, სადაც ვერაფრით აუვლიდა გვერდს დაჭრილი ცხოველი.

გავიდა სულ მცირე ხანი. დაბალი ნაძვები და შქერნალი შეირხა... მონადირემ ჩახმახი შემართა, სასროლად მოემზადა, მაგრამ... ჰოი, საოცრებავ! ტყიდან ორ ფეხზე მდგარი უცნაური არსება გამოვიდა, რომელიც მისკენ უშიშრად მოემართებოდა. პირველად შეცბა მონადირე — თითქოს დათვს მიამსგავსა, მაგრამ დათვი არ იყო, არც სხვა რომელიმე ცხოველი.

უეცარი ელდისგან ქუთარმა სროლაც ვერ შეძლო, რაღაც ძალამ ხელები გაუშეშა... ორიოდე სამი წუთი ადამიანი და უცნაური არსება თვალის დაუხამხამებლად შეჰყურებდნენ ერთმანეთს. ბოლოს, მონადირემ თოფი დაუშვა. კაცის ამ მოძრაობაზე უცხო არსებამ თითქოს ტუჩის კუთხეში ჩაიცინა, უცბად მიბრუნდა და სწრაფი სკუპით გაუჩინარდა ტყეში...

ქუთარ გაბედავას აღწერით, ის იყო საშუალო სიმაღლის, ცოტათი ბეჭებგანიერი, ჰქონდა ვიწრო წელი, შედარებით მოკლე მკლავები. ტანფეხი წაბლისფერი, დაბალი ბალნით ჰქონდა შემოსილი. სახე უწვერულ ჭაბუკს მიუგავდა. ფაფარივით გრძელი, ალისფერი თხელი თმა ჰქონდა.

— შემეშინდა! არა, ეს შიშზე მეტი და თავზარდამცემი განცდა იყო, ენით ვერ გადმოგცემთ, — იხსენებს ქუთარ გაბედავა, — არც ვიცი, როგორ წამოვდექი, როდის მოვძებნე ის ხურჯინი, რომელშიც მცირე ნანადირევი მედო. ჟინჟღლავდა. ერთი კილომეტრის გამოვლის შემდეგ სველ თავზე ხელი მოვისვი — სადღა იყო ჩემი ინგლისური ცილინდრი! ვგრძნობდი, თანდათან როგორ მისწორდებოდა დაჭიმული კანი, დაძაგრული სხეულიც მომეშვა!.. ჩემთვის ამ მთების ყოველი ნაპრალი და ნაოჭი ნაცნობია. სამზერად და სანადიროდ მარტოსაც უთვალავჯერ მივლია და სხვებთან ერთადაც. უამრავ ხიფათსა და ბუნების უცნაურობას გადავყრივარ, მაგრამ მსგავსი რამ არ შემხვედრია. მხოლოდ ბავშვობაში გამიგონია მოხუცებისგან ოჩოკოჩისა და ტყაშიმაფას ამბავი.

ეს ამბავი ახლომახლო მთებში გავრცელდა. მოდიოდნენ ამბის გასაგებად. ისე დარია ხალხს ხელი შიშმა, რომ ზოგიერთმა სასწრაფოდ ჩამოდენა საქონელი უფრო ქვევით, ნაწილი კი სოფელში ნაადრევად დაბრუნდა.

დავიფიცე მაშინ, „ფართო ღალის“ სანახებს არასოდეს გავეკარებოდი, მაგრამ ცდუნებას ვერ გავუძელი და...

თუმცა, დღესაც ვერ გამირკვევია, ვინ ან რა შემხვდა: ოჩოკოჩი, მაიმუნი თუ ეშმაკი...

***დალი გაბედავა***

# გემუქრებათ თუ არა ნერვული აშლილობა?

***ბოლო დროს ადამიანები სულ უფრო ხშირად დგანან ამ საშიშროების წინაშე. თუ გსურთ, გაერკვეთ თქვენს სულიერ მდგომარეობაში, უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:***

***1. გიჭირთ თუ არა, დახმარებისთვის მიმართოთ სხვას?***
ყოველთვის — 3
ძალიან ხშირად — 2
ხანდახან — 0
ძალიან იშვიათად — 0
არასოდეს — 0

***2. თავისუფალ დროს თუ ანდომებთ პრობლემებზე ფიქრს?***
ძალიან ხშირად — 5
ხშირად — 4
ხანდახან — 2
ძალიან იშვიათად — 0
არასოდეს — 0

***3. როცა ხედავთ, რომ ადამიანს რაღაც არ გამოსდის, გიჩნდებათ თუ არა მოთხოვნილება, მის მაგიერად იმოქმედოთ?***
ყოველთვის — 5
ძალიან ხშირად — 4
ხანდახან — 2
ძალიან იშვიათად — 0
არასოდეს — 0

***4. დიდი ხნის განმავლობაში თუ განიცდით გადატანილ უსიამოვნებას?***
ყოველთვის — 5
ხშირად — 4
ხანდახან — 2
ძალიან იშვიათად — 0
არასოდეს — 0

***5. აწყვეტინებთ თუ არა ადამიანს თხრობას, რომელიც დაწვრილებით გიამბობთ რაღაც ამბავს?***
ყოველთვის — 4
ხშირად — 3
გარემოების მიხედვით — 2
იშვიათად — 1
არა — 0

***6. გიჭირთ თუ არა გემრიელ კერძზე უარის თქმა?***
ყოველთვის — 3
ხშირად — 2
ხანდახან — 0
იშვიათად — 0
არასოდეს — 0

***7. ყოფილა თუ არა, რომ ვინმესთან საუბრისას თქვენ სულ სხვა თემაზე ფიქრობდით?***
ძალიან ხშირად — 5
ხშირად — 4
ხდება ხოლმე — 3
ძალიან იშვიათად — 0
არასოდეს — 0

***8. ხომ არ გეჩვენებათ, რომ ადამიანები ზოგჯერ მოსაწყენ და უაზრო საკითხებზე საუბრობენ?***
ძალიან ხშირად — 5
ხშირად — 4
ხანდახან — 1
იშვიათად — 0
არასოდეს — 0

***9. ნერვიულობთ თუ არა, როდესაც რიგში დგახართ?***
ძალიან ხშირად — 4
ხშირად — 3
ხანდახან — 2
ძალიან იშვიათად — 1
არასოდეს — 0

***10. გიყვართ თუ არა რჩევების მიცემა?***
ყოველთვის — 4
ძალიან ხშირად — 3
ხანდახან — 1
ძალიან იშვიათად — 0
არასოდეს — 0

***11. როგორ საუბრობთ?***
აჩქარებით, სხაპასხუპით — 3
სწრაფად — 2
მშვიდად — 0
ნელა — 0
დინჯად — 0

**დაითვალეთ ქულები:**

***28-დან 46 ქულამდე:*** ნერვული აშლილობა თქვენთვის რეალურ საფრთხეს წარმოადგენს. გაიზომეთ წნევა და შეამოწმეთ სისხლში ქოლესტერინის შემცველობა. დროა, ცხოვრების სტილი შეცვალოთ!

***13-დან 26 ქულამდე:*** შეეცადეთ, ცხოვრებას უფრო მშვიდად შეხედოთ, შინაგანად მოდუნდეთ და მოიხსნათ დაძაბულობა.

***10 ქულამდე:*** თქვენ შეგწევთ უნარი, შეინარჩუნოთ სიმშვიდე და წონასწორობა. ეცადეთ, მომავალშიც თავიდან აირიდოთ ნერვიულობა. ყურადღებას ნუ მიაქცევთ წვრილმან უსიამოვნებებს.

***0 ქულა:*** თუკი თქვენ ყველა შეკითხვას გულწრფელად უპასუხეთ, მაშინ ერთადერთი საშიშროება, რომელიც გემუქრებათ, ეს არის სრული სიმშვიდე და, აქედან გამომდინარე, უსაზღვრო მოწყენილობა.


**ფირმა «გარანტი»**
აწარმოებს ბრტყელი სახურავების, ღია აივნების, საცურაო აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებს იმპორტული მასალით, საუკეთესო ხარისხით. გარანტია — 10 წელი.



ანგარიშსწორება ნებისმიერი ფორმით.
სამუშაოები სრულდება რესპუბლიკის ფარგლებში.
მის: წერეთლის გამზ. №142, „სამთო ქიმიის“ შენობა, მე-3 სართ, ოთახი 78
სარეალიზაციოდ გვაქვს იმპორტული ჰიდროსაიზოლაციო მასალები
☎ 34-05-52; 63-05-26; 77-43-85-69

**ვმკურნალობთ**
**ქრონიკულ პროსტატიტს**
— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;
— ექოსკოპია, თანამედროვე იაპონური აპარატურით;
— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით და აპარატურით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის მეთოდით, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.
**მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №20 (სპორტის სასახლის უკან) 10-14 სთ.**

**ლითონის საამქრო**
ფარდა-ჟალუზი; ლითონის კარი; „გარმოშკა“; ჟალუზი; ფანჯრის უძრავი გისოსი; ავტოფარეხი; დაგიმონტაჟებთ აივანს.
**ხის საამქრო**
კარ-ფანჯარა, ავეჯი, ანტიკვარული გრეხილი კიბე, ლავგანდარი (კარნიზი)
მის: მუხიანი, მე-4ა მ/რ მე-4 კორპ.
☎ 63-67-52; 63-53-05; 877-41-87-75

## სიყვარულის ქურუმები ჩივიან...



ლიონელმა (საფრანგეთი) მეძავებმა, რომლებიც ალაშფოთა „აღმოსავლელი გომბიოების საზიზღარმა მანერებმა“, გადაწყვიტეს, დაიცვან თავიანთი უფლებები და სამართლის საპოვნელად ქალაქის პრეფექტს მიადგნენ. მის სახელზე შედგენილ პეტიციაში მეძავები წერენ: „ბოლო დროს ჩიხში მოვექეცით. ნორმალური ცხოვრებისა და მუშაობისთვის არანაირი პირობები აღარ გვაქვს და საერთოდ, ჩვენ ძალზე დაშინებულებიც ვართ. ასეთ სიტუაციაში თქვენი მოვალეობაა, იმოქმედოთ საზოგადოებრივი წესრიგის აღსადგენად“.

ფრანგი ფარვანები ახალგაზრდა თაობის მხრიდან „ულირს კონკურენციას“ უჩივიან. „ბევრი მათგანი არასრულწლოვანია, თანაც ჰიგიენისა და უსაფრთხოების ტექნიკას ყოველთვის არ იცავს“, — ჩივიან მეძავები, რომელთა საშუალო ასაკი, როგორც წესი, 40 წელია.

ლიონის გაზეთები წერენ, რომ ახლა ქალაქის ქუჩებში ასეულობით ალბანელი, კოსოვოელი და რუსი ნორჩი ლამაზმანი დასეირნობს და სუტენიორების ხელმძღვანელობით უფრო იაფ მომსახურებას სთავაზობს კლიენტებს, ვიდრე ადგილობრივნი. ლიონელ მეძავებს ეს უკანასკნელი გარემოება უფრო აშფოთებთ, რასაც პეტიციაში არ მალავენ.

***მეგაპოლის-ექსპრესი №5***

## უხუცესები მუხლუხოებს მიირთმევდნენ

ჩინელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს ძალზე უბრალო რეცეპტი, რომლითაც ყველას შეუძლია სიცოცხლე 20-30 წლით გაიხანგრძლივოს.

პეკინელი ფიზიოლოგების გამოკვლევები ცხადყოფს, რომ თუ დღეში 12 მსუქან, ბეწვიან მუხლუხოს შეჭამთ, ორგანიზმის დაბერება გაცილებით შენელდება. თუმცა, განურჩევლად ყველა მუხლუხოს ჭამა როდი შეიძლება. უნდა მიირთვათ მხოლოდ ჩინელი მეცნიერების მიერ გამოყვანილი სახეობა, სახელად „ფუ-ვენი“. სწორედ მათშია იმ ქიმიურ ნივთიერებათა შედგენილობა, რომელიც უჯრედებს დაბერებისა და კვდომისგან იცავს. „ფუ-ვენის გასინჯვის მსურველი არც ისე ბევრი იყო, — ამბობს ექიმი ვინც შიტაო, — ცდისთვის ძლივს შევარჩიეთ ენთუზიასტები, ისიც დიდძალი თანხის საფასურად. შედეგი შესანიშნავი იყო!“

დასავლელი მეცნიერები კი შენიშნავენ, რომ ცოცხალ მუხლუხოში ორგანიზმისთვის მავნე უამრავი ბაქტერიაა. ამასთან მისი ჭამისას აღძრულმა უარყოფითმა ემოციამ შესაძლებელია ცუდად იმოქმედოს პაციენტის ნერვულ სისტემაზე.

***მირ ნოვოსტეი №5***

## სოდომი ნაპოვნია



უძველესი ბიბლიური ქალაქი სოდომი, რომელიც 40 საუკუნის წინ ცეცხლმა შთანთქა ცოდვის გამო, პირველი სტუმრების მისაღებად ემზადება: ბრიტანელი არქეოლოგის მაიკლ სანდერსის ექსპედიციამ მაქსიმალური სიზუსტით განსაზღვრა სოდომის ნანგრევების ზუსტი კოორდინატები მინი-სუმბარინუს მიმართულებით, მკვდარი ზღვის ფსკერზე. ძებნას შეუდგებიან ჩრდილო-აღმოსავლეთ აკვატორიაში და ეს სრულიად გამორიცხავს ბიბლიაზე დაყრდნობით გავრცელებულ თეორიას, რომ სოდომი მდებარეობდა მკვდარი ზღვის სამხრეთ ნაწილში.

ბრიტანელი მეცნიერების აღმოჩენას საფუძვლად დაედო ამერიკული კოსმოსური ხომალდ „შატლიდან“ გადაღებული ფოტომასალები, რომელმაც დააფიქსირა იორდანიის ნაპირებთან, მკვდარი ზღვის ფსკერის ანომალიები.

ფოტოების გულდასმით დათვალიერების შემდეგ, მაიკლ სანდერსი და მასთან მომუშავე თელ-ავიველი მეცნიერები ერთ, საერთო დასკვნამდე მივიდნენ — სად უნდა ეძიონ ბიბლიური სოდომი, რომელიც ერთ-ერთ უძველეს არქეოლოგიურ საიდუმლოს წარმოადგენს.

***ნოვოსტი რაზვედკი***
***ი კონტრრაზვედკი № 1–2***

## დიეგო მარადონა: ტანგო კოკაინის თანხლებით





ბუენოს-აირესის ულარიბეს კვარტალში დაბადებულმა დიეგო მარადონამ არა მარტო მილიონობით დოლარი იშოვა, არამედ მილიონობით თაყვანისმცემელიც შეიძინა. ერთი თვის წინ დიეგო სიკვდილის კლანჭებს გამოსტაცეს ურუგვაელმა ექიმებმა. ისინი გულმოდგინედ უმალავდნენ პაპარაცებს, რომ XX საუკუნის არგენტინის საუკეთესო სპორტსმენი კინაღამ ნარკოტიკებს შეეწირა. ჩვენ წინაშე ორი ფოტოა: 1985 წლის ფოტოზე აღბეჭდილია დიეგო მარადონა და მისი ცოლი კლაუდია. მაშინ სპორტსმენი დიდების ზენიტში იმყოფებოდა. მეორე სურათზე ისევ ცოლ-ქმარია აღბეჭდილი, — დარდით დაბერებული კლაუდია და ნარკოტიკებით უკიდურეს მდგომარეობამდე მისული დიეგო.

ახლა დიეგო იმ მატჩს თამაშობს, რომელსაც სიცოცხლისათვის ბრძოლა ჰქვია. მისი მკურნალი ექიმები ამბობენ, — თუ კოკაინს თავს არ დაანებებს, 50 წლის ასაკს ვერ მიაღწევსო...

ოდესღაც პელესა და პლატინის კომპანიაში მყოფმა მარადონამ ფოტო გადაიღო, მის მაისურს ეწერა — არა, ნარკოტიკებს. მაგრამ როგორც ირკვევა, თურმე მაშინაც მისდევდა ამ საქმეს. ნეაპოლში ყოფნის პერიოდში ადგილობრივი მაფია „წამალს“ არ იშურებდა საყვარელი ფეხბურთელისთვის. დიეგოს სხვა რამეშიც იყენებდნენ ადგილობრივი ნარკობარონები. სპორტსმენს დიპლომატიური პასპორტი ჰქონდა, რომელიც თავად არგენტინის პრეზიდენტმა კარლოს მენმა გადასცა და ქვეყნიდან ქვეყანაში ყველაფრის გატან-შემოტანა შეეძლო...

...დროდადრო დიეგო ცდილობდა ემკურნალა. თავი დაეღწია ნარკოტიკული კოშმარისთვის, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. 1997 წელს ოდესღაც ბრწყინვალე ფეხბურთელი მიხვდა, რომ მისი ადგილი ფეხბურთის მოედანზე აღარ იყო, მაგრამ მთლიანად ვერ დაანება თავი ფეხბურთს და მწვრთნელობას მიჰყო ხელი. თუმცა არც აქ გამოუვიდა რამე, გაუთავებელი კონფლიქტები ჰქონდა მსაჯებთან, ყველას შეთქმულებაში ადანაშაულებდა.

და მაინც, არგენტინელებს მარადონა ძველებურად უყვართ. 1999 წლის დამლევს საუკუნის სპორტსმენად აღიარეს. ფიქრობდნენ, ესოდენ დიდი პატივი შეაჩერებდა უფსკრულის პირას მდგარ ფეხბურთელს, მაგრამ 2000 წლის დასაწყისში კოკაინის დიდმა დოზამ უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო. მომაკვდავი კერპი ურუგვაის ქალაქ პუნტა-დელ-ესტას საავადმყოფოში მიიყვანეს. ექიმები დიდხანს მალავდნენ დიაგნოზს, მაგრამ მალე იძულებულნი გახდნენ, განეცხადებინათ — ფეხბურთის ლეგენდა წყალწაღებული ნარკომანიაო...

***მოსკოვსკი კომსომოლეცი №24***

## ერთგული დედა

ფილადელფიელმა ქვრივმა ლესლი ლერიკროიზმა სქესის შესაცვლელი ოპერაცია გაიკეთა, რათა 12 წლის ვაჟის, ჯოისთვის მამა „ეჩუქებინა“. ქალმა თავისი საქციელი იმით ახსნა, რომ მისთვის აუტანელი იყო, ეცქირა — როგორ განიცდიდა უმამობას მისი შვილი. 37 წლის სიმპათიური ლესლი დაკუნთულ, ახოვან ლესტერად იქცა, რომელთან ერთადაც შვილი ჯოი ახლა სათევზაოდ დადის, კალათბურთს თამაშობს და საერთოდ, მათ უკვე მამაკაცური მეგობრობა აკავშირებთ.

ლერიკროიზს თურმე მოთმინების ფიალა მაშინ აევსო, როცა ბავშვის სკოლაში მოაწყვეს პიკნიკი, სახელწოდებით „მწვადები მამებთან ერთად“. ჯოი იძულებული შეიქნა, შინ დარჩენილიყო.

რა თქმა უნდა, ლესლის მეორედ გათხოვებაც შეეძლო, მაგრამ ვერც ერთმა მამაკაცმა საერთო ენა ვერ გამონახა ჯოისთან. ამასთან, სკოლაში „დედიკოს ბიჭიც“ შეარქვეს და ქალმაც გადაწყვიტა გარდაქმნა. ახლა ყოფილ დედა-შვილს ნამდვილი მამაკაცური ოჯახი აქვთ.

***ჟენსკიე დელა №5***

## ანგელოზის ხმა



კლასიკური მუსიკის ამომავალი ვარსკვლავი, უელსელი შარლოტა ჩერჩი თავისი შემოსავლებით იმგვარ შემსრულებლებს გაუტოლდა, როგორებიც არიან ელტონ ჯონი და ჯგუფი „როლინგ სთოუნზი“. ახალგაზრდა ტალანტი ვარსკვლავად მას შემდეგ იქცა, რაც პირველად გამოჩნდა ინგლისურ ტელეშოუში. 11 წლის მომღერლის გამოსვლა იმდენად უჩვეულო იყო, რომ ფირმა „სონის“ მფლობელმა მაშინვე გააფორმა გოგონასთან ხელშეკრულება სოლო ალბომის გამოცემის თაობაზე. შარლოტას სოპრანომ მოხიბლა კლასიკური მუსიკის მოყვარულნი. მისი პირველი ორი ალბომი კი — „ანგელოზის ხმა“ და „შარლოტა ჩერჩი“ — ორმილიონიანი ტირაჟით გავრცელდა მთელ მსოფლიოში. დღეს მხოლოდ ამერიკაში ყოველკვირეულად იყიდება შემსრულებლის 100 ათასი დისკი.

შარლოტამ უკვე იმღერა პრინც ჩარლზის 50 წლის აღნიშვნისას, საშობაო კონცერტზე ვატიკანში, რომის პაპის იოანე-პავლე -ის წინაშე, უელსის ასამბლეის გახსნაზე დედოფალ ელისაბედის თანდასწრებით და ვაშინგტონში, ფორდის თეატრში კლინტონების ოჯახის წინაშე. ნიუ-იორკში „ემ-ტი-ვი“-ს ამერიკული ჯილდოების გადაცემისას შარლოტამ მიიღო პრიზი — „საუკეთესო ახალგაზრდა შემსრულებელს“. ნიჭიერ გოგონას სკოლაში მეცადინეობაც არ ავიწყდება: „ჩემს მეგობრებს ჰგონიათ, როცა გასტროლებზე ვარ, არ ვმეცადინეობ. ეს ასე არ არის. ყოველდღიურად 3 საათი მამეცადინებს მასწავლებელი, რომელიც ცდილობს, არ ჩამოვრჩე თანაკლასელებს არც ერთ საგანში“.

***ეხო პლანეტი №6***

## ვის უნდა ნიშნავდეს გამაოჯვების ქანდაკება?



გასული საუკუნის ბოლოს მკვეთრად გაიზარდა იმიგრანტთა ნაკადი აშშ-ში. სწორედ ამ დროს დაიდგა თავისუფლების კუნძულზე ნიუ-იორკის ნავსაყუდელში თავისუფლების ბრინჯაოს ქანდაკება. იგი იქცა სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსახლებულთა თავისებურ სიმბოლოდ. 1886 წელს საფრანგეთის მიერ მეგობრობის ნიშნად ნაჩუქარი ქანდაკება აშშ-ის დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილესაც ეძღვნებოდა. თუმცა ახლა, ისტორიკოსებს მიაჩნიათ, რომ „ლედი თავისუფლება“ არის არა იმიგრანტთა ახლებური ცხოვრების განსახიერება, არამედ აშშ-ის შავკანიანი მოსახლეობის განთავისუფლების სიმბოლო. ქანდაკების ჭეშმარიტი მნიშვნელობის შესახებ პირველად ეჭვი რამდენიმე წლის წინ გაჩნდა, მაგრამ მხოლოდ ახლა შეიქმნა საგანგებო კომისია, რომელიც ამ საკითხს სწავლობს. აშშ-ისთვის ქანდაკების ჩუქების იდეა ეკუთვნოდა ფრანგ ისტორიკოსს ედუარდ ლაბულაის. მონათმფლობელობის გაუქმების ცნობილმა მხარდამჭერმა ლაბულაიმ შესთავაზა თავის მეგობარ ფრედერიკ ოგიუსტ ბარტოლდის, შეექმნა ქანდაკება. მოქანდაკისა და ისტორიკოსის მეგობრობა იძლევა საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ამერიკის სიმბოლო უფრო მის შავკანიან მოსახლეობას მიეკუთვნება — მიაჩნიათ კომისიის წევრებს. ნიუ-იორკის მუზეუმში დაცული ქანდაკების შესწავლისას ექსპერტებმა ყურადღება მიაქციეს, რომ ქალს ხელში გაწყვეტილი ჯაჭვი უჭირავს (ნიუ-იორკის ნავსაყუდელში ეს დეტალი ამოღებულია). ისინი აგრეთვე დარწმუნდნენ, რომ ქანდაკების პროტოტიპი ზანგი ქალი იყო, რაც აშკარად არის არა ევროპიდან ჩასახლებულთა, არამედ აფრიკიდან შემოყვანილ მონათა სიმბოლო. ეს კომისიის მხოლოდ წინასწარი დასკვნებია. კომისიის წევრთა აზრით, ეს საკმარისია, რათა დაწვრილებით იქნას შესწავლილი თავისუფლების ქანდაკების ისტორია.

***ნოვიე იზვესტია №23***

## ასოციაცია



**თარაზულად:** 4. კარალიოკი, ვირი; 6. ამური, საათი; 9. შლაპა, თეფში; 10. სახრჩობელა, ურემი; 14. ნოველა, რომანი; 15. კილო, არშინი; 17. არაყი, სვანეთი; 19. აფრიკა, ევროპა; 21. ავსტრია, ვალსი; 23. ჭრილობა, ბინტი; 24. ავსტრალია, ჩანთა; 28. მოსკოვი, კენია; 30. ბენდერი, პეტროვი; 33. თხა, ღვინო; 34. შაში, ზარი; 35. ჰიგიენა, შხაპი; 36. კაბა, პროექტი; 39. ლანჩხუთი, სამეგრელო; 40. ქალბატონი, ინგლისი; 41. ყვინჩილა, დედალი.

**შვეულად:** 1. შეთანხმება, ბრესტი; 2. ზღაპარი, ლეგენდა; 3. ქვირითი, დედალი; 5. წერილი, ბარათი; 7. ხმალი, ფარიკაობა; 8. აზნაური, საფრანგეთი; 11. თავისუფლება, მონა; 12. მოთხრობა, რითმა; 13. ხელშეკრულება, გეორგიევსკი; 16. ზღაპარი, ფარშევანგი; 18. მხატვარი, საღებავი; 20. ქაშვეთი, სამება; 22. ენოტი, კოალა; 25. ჟალუზი, ნაჭერი; 26. ტარანტული, ქსელი; 27. მაღაზია, წამალი; 29. სათვალე, თეატრი; 31. ერევანი, საფრანგეთი; 32. ხაფანგი, თევზი; 37. ჯ. რობერთსი, ჯულიეტა; 38. ჩაი, ლამბადა.

**წინა ასოციაციის პასუხები:**

**თარაზულად:** 7. შექსპირი; 8. ფორვარდი; 9. სცენა; 11. კასიო; 12. აკვარიუმი; 15. ალიონი; 18. მარილი; 19. კოკაინი; 20. ორგანი; 21. სთოუნი; 23. ადენომა; 26. ვერონა; 27. ანგორა; 31. დიპლომატი; 33. ეფესო; 34. ფლოტი; 35. ალიმენტი; 36. აფროდიტე.

**შვეულად:** 1. მერცხალი; 2. ქსანი; 3. არტეკი; 4. სოხუმი; 5. მარაო; 6. ადმირალი; 10. პრაღა; 13. ანდერსენი; 14. კარანტინი; 16. ტორნადო; 17. ანათემა; 22. დედოფალი; 24. ნემო; 25. ფრონტიტი; 28. ფიესტა; 29. სტროფი; 30. ასთმა; 32. ელადა.

# შურისძიება ნიურნბერგში

*წყალნი წავლენ და წამოვლენ... ამ პროცესისადმი ინტერესი კი არ განელდება...*

**იგი 20 წლისა იყო, როცა ნიურნბერგში მიავლინეს ჰიტლერელ დამნაშავეთა პროცესზე დასასწრებად. ამჟამად ელიზავეტა შმელიოვა-სტენინა, მოსკოვის უნივერსიტეტის ლინგვისტიკის კათედრის დოცენტია. გთავაზობთ მის ნაამბობს:**

— დღეს საზღვარგარეთ და ჩვენშიც არსებობს მიზეზები ნიურნბერგის პროცესის გასახსენებლად: ფაშიზმი დასავლეთის ბევრ ქვეყანაში და ჩვენშიც იკიდებს ფეხს. ბევრს ენატრება „ძლიერი ხელი“ და მიაჩნია, რომ ჰიტლერის დროს ამდენს ვერავინ გაბედავდა... ამის შესახებ დაუფარავად ლაპარაკობდა და წერდა შპეერი, გამოჩენილი არქიტექტორი, შეიარაღების მინისტრი ჰიტლერის მთავრობაში, მისი უახლოესი გარემოცვის ერთ-ერთი წევრი. იგი მშვენივრად იცნობდა მმართველი ელიტის ცხოვრების წესს. ომის დაწყებისას თითქოს გონს უნდა მოსულიყვნენ, მით უმეტეს, რომ ჰიტლერმა განაცხადა — დღეიდან ქვეყანაში ყველაფერი ფრონტის, გამარჯვების ინტერესს დაემორჩილებაო... მაგრამ

## რა ხდებოდა სინამდვილეში?

რაიხსლაიტერმა ბორმანმა, ჰიტლერის მდივანმა, პირველმა მოიპოვა თავისი შეფისგან უფლება, სახელმწიფო ხარჯით აეშენებინა ყველაფერი, რასაც პირადად მოისურვებდა. ესესის რაიხსფიურერი ჰიმლერი დროს უქმად არ კარგავდა — თავისი საყვარლისთვის ქალაქგარეთ, სახელმწიფო ხარჯით, უზარმაზარი სახლი ააგო. რაიხსლაიტერ ლეის და გენერალ-ფელდმარშალ კეიტელს გახურებული ომის დროს მოუნდათ ახალი, უფრო კომფორტული საკუთარი მატარებლები და დაუმზადეს კიდეც. თავად ჰიტლერიც იმავეს აკეთებდა — ბრძანება გასცა, სტუმრების მისაღებად მდიდრულ სასახლედ ექციათ ზალცბურგის ახლოს მდებარე ციხესიმაგრე. უკიდურესი კორუმპირებულობის მიუხედავად, ერის მამები აცხადებდნენ, რომ მხოლოდ ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნავდნენ. ამგვარი „ზრუნვის“ რეკორდი დაამყარა რაიხსლაიტერმა ლეიმ. ბერლინში უკვე ისმოდა მოახლოებული ზარბაზნების გრიალი, ლეი კი ძალ-ღონეს არ იშურებდა, რათა მთავრობას მისთვის სალორის ასაშენებელი თანხები გამოეყო. ჩანს, პრინციპი ასეთი იყო — ყველაფერი, რაც მე მჭირდება, სჭირდება გერმანიას.

ფაშისტური ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში კორუფციამ თავიდანვე მოიკიდა ფეხი — ის იყო, ძალაუფლება აიღეს და მაშინვე დაიწყეს მისი ბოროტად გამოყენება... ძალიან ჩქარობდნენ, თუმცა მესამე რაიხს თითქოს რომის იმპერიის მსგავსად, ათასი წელი მაინც უნდა ეარსება... ძალაუფლების ნარკომანებს არ გააჩნიათ ზომიერების გრძნობა. მიუხედავად ამისა, ნიურნბერგი ანუ შურისგების შიში ბევრ მათგანს აფიქრებდა. რაიხსტაგის პრეზიდენტმა, ჰიტლერიზმის ეკონომიკურმა საყრდენმა, უპორტფელო მინისტრმა 1943 წლამდე, შახტმა, რომელიც გაამართლა საერთაშორისო ტრიბუნალმა, დაკითხვისას საგანგებოდ აღნიშნა პარტიულ ხელმძღვანელთა შორის გავრცელებული მოვლენა — ლოთობა. მან ეს მოვლენა ნაცისტური იდეოლოგიის ორგანულ ნაწილად მიიჩნია. „დროთა განმავლობაში შევნიშნე, — განაცხადა შახტმა, — რომ პარტიის წევრთა უმრავლესობა, რომელთაც მეტ-ნაკლებად საპასუხისმგებლო თანამდებობები ეჭირათ, შეიპყრო შიშმა შესაძლო პასუხისგების გამო; ამიტომ სხვადასხვა საშუალებით, მათ შორის ლოთობითაც, ცდილობდნენ ჩაეხშოთ საკუთარი სინდისის ხმა“.

## ჰიტლერის მაგნეტიზმი

გასაოცარი იყო უსაზღვრო ერთგულება და ლოიალობა იმ ლიდერის მიმართ, რომელსაც ქვეყანა დაღუპვისკენ მიჰყავდა. ამ მოვლენის ახსნა ისევ ჰიტლერელთა ნაამბობით შეიძლება. შირახმა, რომელიც მრავალი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა ახალგაზრდულ ორგანიზაციებს, 1940 წლიდან კი ვენის იმპერიული ნაცვალი გახლდათ, სასამართლოზე თქვა, რომ მთელი მესამე რაიხი ემყარებოდა არა იმდენად იდეას, რამდენადაც ჰიტლერის მაგნეტიზმს. უნდა ითქვას, რომ ბრალდებულთა უმრავლესობა აღტაცებით ლაპარაკობდა თავის ფიურერზე. ეს, არსებითად, მათ ინტერესებში შედიოდა. თუკი ჰიტლერი არაჩვეულებრივი პიროვნება იყო და უნიკალური ანდამატი ჰქონდა, მაშინ როგორღა უნდა მოეთხოვოთ მათ, წინ აღდგომოდნენ ბელადის ნებას?

გამორიცხული არ არის, რომ ჰიტლერელებს უყვარდათ თავიანთი ბელადი, მიაჩნდათ იგი ზეციდან ჩამოსულ ღვთაებად. პროცესზე თქვა კიდეც ჰიტლერის მოადგილემ ნაცისტურ პარტიაში ჰესმა, თუ როგორი ბედნიერია იმის გამო, რომ იღბალმა დააკავშირა ერის უდიდეს შვილთან, „ადამიანთან, როგორებიც ათასწლეულებში ერთხელ იბადებიან“. ამის გარდა, ყველა ბრალდებულს თავდაცვის თავისი მეთოდი ჰქონდა. ბევრი მათგანი ლაპარაკობდა ფიურერზე, რათა ზედმეტი არაფერი ეთქვა საკუთარ თავზე. ჰესმა, როგორც თავად მიაჩნდა, საიმედო მეთოდი აირჩია — ის საერთოდ არაფერს ამბობდა, მან მეხსიერების დაკარგვის სიმულაციას მიმართა. მოიწვიეს საუკეთესო ფსიქიატრები ინგლისიდან, საფრანგეთიდან, აშშ-დან და სსრ კავშირიდან. ჰესი არც ერთ შეკითხვას არ პასუხობდა. თავი ისე ეჭირა, თითქოს ვერავის ცნობდა. პროფესორმა კრასნუშკინმა უთხრა მას: „ბატონო ჰეს, თქვენ არ ლაპარაკობთ, მაგრამ ავად არა ხართ. ჯანმრთელ ადამიანს არ შეუძლია ხანგრძლივად დუმილი. დადგება დრო და აუცილებლად ალაპარაკდებით“. მეორე დღეს სასამართლო სენსაციის მოწმე გახდა. აქამდე მდუმარე ჰესმა მიკროფონი მოითხოვა და განაცხადა, — მეხსიერება დამიბრუნდა და დღეიდან სასამართლოს განკარგულებაში გახლავართო.

## მონანიების იმიტაცია

ბრალდებულები ხვდებოდნენ, რომ სასამართლოს განაჩენი მკაცრი იქნებოდა. ამიტომ ცდილობდნენ სასჯელის უმაღლესი ზომის თავიდან აცილებას მონანიების იმიტაციით, იმით, რომ თავი ჰიტლერის ფარულ ოპოზიციონერად წარმოეჩინათ. ცდილობდნენ თავის მართლებას. შპეერი, რომელიც ჰიტლერთან განსაკუთრებით დაახლოებული გახლდათ, პროცესზე უარყოფდა ამ სიახლოვეს. მან განაცხადა, — მზად ვარ, პასუხისმგებლობის წილი ვიკისრო მსოფლიო ტრაგედიისთვისო.

სანამ მოწმეთა პულტთან ადგილს დაიკავებდა, გერინგი დაჰპირდა ფუნკს, ზაუკელს და სხვებს, რომ თავის თავზე აიღებდა დანაშაულს და ამით შეუმსუბუქებდა მათ მდგომარეობას. მაგრამ, ფაქტობრივად, იგი შეეცადა ყველა პუნქტში შეემცირებინა პასუხისმგებლობა. რიბენტროპი და კეიტელი კიდევ უფრო მეტად ეცადნენ პასუხისმგებლობის თავიდან არიდე-



ბას. თავიანთ ხელმოწერილ ყველა დოკუმენტზე პასუხობდნენ, რომ ეს ჰიტლერის ბრძანება იყო.

ნაციზმის ბელადებს ზოგი დღესაც ფანატიკოსებად მიიჩნევს, ისინი თითქოს შეპყრობილნი არიან ეროვნული იდეით. ამბობენ, ამგვარ ფანატიკოსებს სიკვდილისაც არ ეშინიათო, მაგრამ ბრალდებულები განაჩენს სხვადასხვაგვარად შეხვდნენ. განაჩენის გამოცხადების შემდეგ ყველა მსჯავრდებულს შეხვდა სასამართლოს ფსიქიატრი, ამერიკელი დოქტორი ჯილბერტი და გაესაუბრა მათ. სასამართლოს დარბაზიდან თავის საკანში დაბრუნებული რაიხსმარშალი გერინგი (53 წლის) საწოლზე დაენარცხა, ხელები უცახცახებდა. ექიმს სთხოვა, მარტო დამტოვეო. როცა გონს მოეგო, რიგით მეორე ნაცისტმა თქვა, — ცხადია, ველოდი ამგვარ განაჩენს და მოხარული ვარ, რომ სამუდამო პატიმრობა არ მომისაჯეს, რადგან სამუდამო პატიმრობამისჯილები ვერასოდეს გახდებიან მოწამეებიო... მაგრამ მისი ხმა მეტყველებდა, რომ მოწამეობა სულაც არ იყო მისი ოცნების მწვერვალი.

ფსიქიატრთან შეხვედრისას ჰესმა (53 წლის) ნერვიულად გაიცინა და თქვა, რომ არ მოუსმენია „განაჩენის ტექსტი“. ამიტომ არ იცის, რა მიუსაჯეს. საგარეო საქმეთა მინისტრს, რიბენტროპს (53 წლის) საშინელება აღბეჭდვოდა სახეზე, იგი ნერვიულად სცემდა ბოლთას საკანში და ჩურჩულებდა: „სიკვდილი! სიკვდილი! უკვე ველარასოდეს დავწერ ჩემს შესანიშნავ მემუარებს“. შეძრწუნებული იყო კეიტელიც (64 წლის). მან ჩახლეჩილი ხმით წარმოთქვა: „სიკვდილი ჩამოხრჩობით! ვფიქრობდი, ეს ამცდებოდა... ნეტავ შეგეძლოთ, მნახოთ ხოლმე ამ ბოლო დღეებში!“. როზენბერგმა (53 წლის), გაავებით რომ იცვლიდა ტანსაცმელს, ველური ბოღმით თქვა: „ჩამოხრჩობა! ჩამოხრჩობა!.. თქვენ ხომ ეს გინდოდათ, ასე არ არის?“

ულტრაანტისემიტური გაზეთის „შტურმერის“ რედაქტორმა შტრაიხერმა სარკასტულად გაიცინა და თქვა: „რა თქმა უნდა, სიკვდილით დასჯა... სწორედ ამას ველოდი... ალბათ ყველამ იცოდა ეს პროცესის მსვლელობისას“. ესესის გენერალ-ლეიტენანტი ზაის-ინკვარტი (64 წლის), რომელსაც აგრეთვე სიკვდილი მიესაჯა, მხოლოდ ერთი საკითხით დაინტერესდა — მისცემენ თუ არა მსჯავრდებულებს თამბაქოს, თან ბოდიში მოიხადა, რომ ამგვარ მომენტში ტრივიალურ შეკითხვას იძლევა. შპეერმა (41 წლის), რომელსაც 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, ნერვიულად გაიცინა: „ოცი წელი... საკმაოდ სამართლიანია. ვამბობდი, რომ განაჩენი მკაცრი უნდა ყოფილიყო. სასაცილო იქნებოდა, უკმაყოფილო



რომ ვიყო. მიხარია, რომ ფრიჩე გაამართლეს...“ ფრიჩე (64 წლის) ერთ-ერთი გამართლებული იყო სამთაგან, მის გარდა იყვნენ შახტი (59 წლის) და ფონ პაპენი (67 წლის). გებელსის მოადგილე, პროპაგანდის მინისტრი ფრიჩე საკანში რომ შევიდა, თავს ვერ ერეოდა. იგი ჩურჩულით ეუბნებოდა დოქტორ ჯილბერტს: „ეს წარმოუდგენელია! უცებ თავისუფალი აღმოვჩნდი!“. ფონ პაპენმა, ჰიტლერის ომამდელ მთავრობაში ვიცე-კანცლერმა ასე გამოხატა სიხარული: „მქონდა ამის იმედი, მაგრამ არ ველოდი“. სიხარულისგან ატაცებულმა ითხოვა, რომ სადილზე მორჩენილი მისი წილი ფორთოხალი ფონ ნაირატისთვის (73 წლის) გადაეცათ. ფრიჩემ თავისი ფორთოხალი ფონ შირახს (39 წლის) გადაულოცა, გამართლებულმა შახტმა კი თავად მიირთვა კუთვნილი ფორთოხალი.

## „უმადური“ კაცობრიობა

როგორც ჩანს, ფაშისტები სხვაგვარ რეაქციას ელოდნენ „მადლიერი კაცობრიობისგან“. ხანდახან ვფიქრობ, ნუთუ ვერც ერთმა მათგანმა მაშინაც კი ვერ იგრძნო, რა ჩაიდინა, როცა ფაშისტურ საშინელებათა მთელი პანორამა გადაუშალეს ნიურნბერგის პროცესზე-მეთქი.

გროს-ადმირალმა რედერმა (70 წლის), მას შემდეგ, რაც სამუდამო პატიმრობის განაჩენი გამოუტანეს, შუამდგომლობა აღძრა — იგი სიკვდილით დასჯას ითხოვდა, მაგრამ უარი ეთქვა.

ნაცისტური პარტიის რაიხსლაიტერმა სამართლებრივ საკითხებში და გერმანიის სამართლის აკადემიის პრეზიდენტმა, რომელიც პოლონელებისა და ებრაელების განადგურების პოლიტიკას ატარებდა, დოქტორ ჯილბერტთან შეხვედრისას მოკრძალებულად გაიღიმა. მან თვალი ვერ გაუსწორა ექიმს და წყნარი ხმით უთხრა: „ჩამოხრჩობა! მე ეს დავიმსახურე და ამას ველოდი. მოხარული ვარ, რომ შევძელი უკანასკნელ თვეებში თავი დამეცვა და ყველაფერზე მეფიქრა“.

მე ვთარგმნიდი იუსტიციის სასახლეში მსჯავრდებულთა უკანასკნელ სიტყვებს, მაგრამ მართლაც ჭეშმარიტად უკანასკნელი იყო მათ მიერ ეშაფოტზე წარმოთქმული სიტყვა. განაჩენის სისრულეში მოყვანას 1946 წლის 16 ოქტომბერს, ღამით, ესწრებოდა კორესპონდენტი აფანასიევი. ჩვენ, საბჭოთა დელეგაციამ მისგან შევიტყვეთ, თუ რა თქვა თერთმეტმა თორმეტთაგან (მეთორმეტემ, გერინგმა, სასჯელის აღსრულების წინ მოიკლა თავი) სახრჩობელაზე. ბევრი სიკვდილმისჯილი პროსტრაციაში ჩავარდა, მათ ვერ შეძლეს დამოუკიდებლად ეშაფოტზე ასვლა და ამერიკულმა დაცვამ აიყვანა სახრჩობელაზე. ნათქვამია, კუზიანს სამარე გაასწორებსო. სახრჩობელაზე მდგარმა შტრაიხერმა წამოიძახა: „ჟიდებო! იზეიმეთ! მაგრამ ეს თქვენი უკანასკნელი ზეიმია! ჰაილ ჰიტლერ!.. ადელ, ჩემო ცოლო“... ბრალდებული ზაუკელი, ესესელი გენერალი, ზარდაცემული იმეორებდა: „არაფერში არა ვარ დამნაშავე, არა ვარ დამნაშავე...“ მხნეობა მხოლოდ სამხედრო პირებმა შეინარჩუნეს.

ნიურნბერგის პროცესზე ისხდნენ ბრალდებულები, რომლებსაც ზეადამიანებად აღარ მიაჩნდათ თავი. ისინი ჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ... ზოგი მათგანი კარგ შთაბეჭდილებასაც ახდენდა, ჩემზეც კი, ვისაც ომში დაეღუპა ძმა, ბიძა... ომის დროს სამარაში ვცხოვრობდი და ერთხელ სტალინგრადის ფრონტიდან დაბრუნებული დაჭრილები ვნახე, სისხლიანი სახვევებით, ქანცგაწყვეტილები. ეს სურათი ხშირად მედგა ხოლმე თვალწინ ნიურნბერგში... მაგრამ ალბათ ასეა მოწყობილი ადამიანი — ძნელია გეზიზღებოდეს ის, ვისაც გარდაუვალი სასჯელი ელოდება... ან იქნებ ყოველივემ, რაც ნიურნბერგში გამჟღავნდა, ჩამოაშორა მათ არიული ქედმაღლობა და ისინი ჩვეულებრივ დამნაშავეებს დაემსგავსნენ... უეჭველია, რომ იქ, პროცესზე, ისინი უკვე სულ სხვა არიელები იყვნენ. ვინ წარმოიდგენდა, რომ ეს რაიხსმარშლები, ფელდმარშლები, გროს-ადმირალები, მინისტრები და რაიხსლაიტერები უსიტყვოდ დაემორჩილებოდნენ ამერიკელ სამხედრო ფსიქიატრს და გაივლიდნენ ტესტირებას გონებრივი შესაძლებლობების შესამოწმებლად? ყოველმა მათგანმა ხომ მორჩილად გააკეთა ეს, ყველა მათგანი ცდილობდა, კარგად წარმოეჩინა თავი. ერთობ მოულოდნელი იყო, რომ მეხსიერების, რეაქციის სისწრაფის, ფანტაზიის შესამოწმებელ ტესტირებაში შახტმა გაიმარჯვა. ცხადია, ასაკის კოეფიციენტის გათვალისწინებით. გერინგიც ლიდერთა შორის აღმოჩნდა.

ვფიქრობ ხოლმე, რატომ არ იქცა ჰიტლერიზმის გაკვეთილები მსოფლიოსთვის საიმედო აცრად ნაციზმის თეორიისა და პრაქტიკის წინააღმდეგ, ნუთუ სხვის შეცდომებზე ვერაფერს სწავლობს კაცობრიობა-მეთქი. მაგრამ პასუხიც უმალვე ჩნდება — ფაშიზმი ხელმოცარულთა იდეოლოგიაა, თუმცა ამ მოძრაობის ლიდერობა შეუძლიათ თითქოს საკმაოდ იღბლიან ადამიანებს, მაგრამ თუ დაუკვირდებით, ისინიც ბევრ რამეში არიან ხელმოცარულნი. ამგვარი ადამიანები ისტორიაში ყოველთვის არსებობდნენ. როცა საზოგადოებაში ბევრია გარიყული, ზედმეტი ადამიანი, რომელიც ადგილს ვერ პოულობს, მაშინ ფაშიზმი პოულობს მათ და ისინიც პოულობენ ფაშიზმს... ისტორიის გაკვეთილები კი, საუბედუროდ, დიდხანს არ ამახსოვრდება ადამიანს...




სხვადასხვაგვარი
მაგიდის კალენდრები
ყოველი საწერი მაგიდისთვის
ფასი 70 თეთრიდან
მინიმალური რაოდენობა — 10 ცალი

## პირქუში ედის ხელოვნება

ფლორიდაში ყველა იცნობს შტატის ღირსშესანიშნაობას — მარჯნის გიგანტურ კოშკს, რომლის საერთო წონა 1.100 ტონაა. კოშკი შიშველი ხელებით ააშენა ერთმა ემიგრანტმა, რომელსაც დღემდე ჯადოქარს ეძახიან. ძნელი წარმოსადგენია, რომ ეს უზარმაზარი კოშკი, რომლის თავს 30 ტონიანი ნახევარმთვარე ამშვენებს, დამხმარე მექანიზმების გარეშეა აგებული.

ედვარდ ლიდსკალნინში ლატვიაში დაიბადა 1886 წელს. დაამთავრა 4 კლასიანი გიმნაზია. ქორწილის წინა დღეებში საცოლემ უარი შეუთვალა — დაბალი და ღარიბი ხარო (ედვარდი მართლაც 150 სმ სიმაღლისა იყო). შეურაცხყოფილი ყმაწვილი ამერიკაში გაემგზავრა. იქ 12 დოლარად შეისყიდა მიწის პატარა ნაკვეთი და მასზე ძალიან უცნაური მშენებლობა წამოიწყო ტრანსპორტისა და მუშახელის გარეშე. მექსიკის ყურიდან ამოჰქონდა მარჯნის რიფის ნამსხვრევები, როგორღაც ახერხებდა მათ ხელით დამუშავებას და საოცარ რამეებს ქმნიდა. აქაურ მოხუცებს (რომლებიც მაშინ პატარა ბავშვები იყვნენ) კარგად ახსოვთ — ვეება ლოდებს კენჭებივით როგორ ატრიალებდა ხელში ედი. მეზობლებს ძალიან აინტერესებდათ გაეგოთ ლატვიელის საიდუმლო, მაგრამ მათ შეკითხვებზე ედი ყოველთვის ერთსა და იმავეს პასუხობდა — ეგვიპტის პირამიდების საიდუმლოება ვიცი და პრაქტიკულად ვიყენებო.



უცხვირპირობისა და კარჩაკეტილობის გამო „პირქუში ედი" შეარქვეს და თავი დაანებეს.

პირქუში ედის მიერ შექმნილი უცნაური კონსტრუქციები, უზარმაზარი ტახტები, სარწეველა-სავარძლები, უზარმაზარი კოშკი გოლიათთა სამკვიდროს გვაგონებს. აქვეა ამერიკაში ერთ-ერთი ყველაზე ზუსტი ტელესკოპი და მზის საათი. თავად ოსტატი 10 მეტრიან ოთახში ცხოვრობდა, სადაც ახლა მუზეუმია მოწყობილი. დარჩენილია მისი ჩანაწერები, გაანგარიშებები, რომლებიც მოსწავლის ნავარჯიშებს უფრო ჰგავს, ვიდრე მეცნიერულ ნაშრომს. საეჭვოა, რომ შესაძლებელი იყოს მათი გამოყენებით რაიმეს აგება.

ედვარდ ლიდსკალნინში 1953 წელს გარდაიცვალა ტუბერკულოზით.

ბევრმა სცადა „ედის ფენომენის" შესწავლა. მათმა მცდელობამ პასუხებზე მეტი შეკითხვა წამოჭრა. მაგალითად, როცა მრავალტონიანი მბრუნავი კარის ჩამოღებას შეეცადნენ, მიხვდნენ, რომ ამას უმძლავრესი ამწე და რამდენიმე ათეული მუშა დასჭირდებოდა.

წიგნის, „მარჯნის კოშკი", ავტორი რეი სტონერი ვარაუდობს, რომ ედვარდმა ამოიცნო გრავიტაციის საიდუმლო.

ჩვენს პლანეტას გიგანტური ენერგეტიკული ბადე აკრავს და „ძალისმიერი ხაზების" გადაკვეთის ადგილებში თავს იყრის დედამიწის შინაგანი ენერგია. თითქოსდა სწორედ მისი დახმარებითაა შესაძლებელი იმის შექმნა, რასაც ჩვენ აღვიქვამთ, როგორც ჯადოქრობას ან სასწაულს.

სტონერს მიაჩნია, რომ იქ, სადაც ედიმ ააშენა კოშკი, არის სამყაროს გადაკვეთის წერტილი.

ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ ედიმ კოშკი ამო-ს დაჯდომის ადგილზე ააგო. ამიტომაც არის მასში ჩაშენებული მის მიერვე შექმნილი ამდენი ასტრონომიული საგანი.

ზოგიერთი იმასაც ფიქრობს, რომ აქედან ხორციელდებოდა კავშირი სხვა სამყაროსთან.

***იზვესტია №10***

## შესაძლოა, ჩვენ მარსელები ვართ!

მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ თეორიულად შესაძლებელია სიცოცხლე დედამიწაზე მარსიდან მოსულიყო, — ნათქვამია ამერიკის ასტრონომიული საზოგადოების მოხსენებაში.

მარსი დედამიწაზე სწრაფად ვითარდებოდა. მილიარდი წლის წინ ამ პლანეტაზე იყო ოკეანეები, რბილი კლიმატი და სავსებით შესაძლებელია, რომ იქ ცოცხალი ორგანიზმებიც ბინადრობდნენ.

დედამიწამდე მოაღწია დაახლოებით 5-მა ტრილიონმა მარსულმა ქვამ, რომელიც მოსწყდა წითელ პლანეტას ასტეროიდებთან შეჯახების შედეგად.

სპეციალისტები საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ უმარტივეს მიკრობებს შეეძლოთ გაეძლოთ რადიაციისთვის, კოსმოსური ყინვებისა და სიცხისთვის დედამიწის ატმოსფეროსთან შეხვედრისას და დასაბამი მიეცათ მიწიერი სიცოცხლისთვის.

სხვათა შორის, დედამიწის ქვებიც ასევე რეგულარულად ცვიოდა მარსზე. არ არის გამორიცხული, რომ ოდესღაც ამ ორი პლანეტის ფლორა და ფაუნა ძალიან ჰგავდა ერთმანეთს.

***ნიუზუიქ №17***

## ქალებმა შვილები აჩინონ თუ...



ჩვენს პლანეტას საშინელი მომავალი ელის: მისი მოსახლეობა სულ უფრო იზრდება (ზოგ ქვეყანაში საოცარი სისწრაფით), ხოლო ნაყოფიერი მიწები კატასტროფული ტემპით მცირდება.

ექსპერტების აზრით, კაცობრიობის მომავლის გადარჩენა მხოლოდ მისი რაოდენობის შემცირებით იქნება შესაძლებელი. მოსახლეობის სწრაფ ზრდას სხვა პრობლემებიც ერთვის — დაბინძურებული კლიმატი, ბუნებრივი რესურსების მარაგის შემცირება, ჯანმრთელობა.

სავარაუდოდ, 2050 წლისთვის ჩვენი პლანეტის დაახლოებით 1/4-ს წყლის დეფიციტი დაემუქრება, გახმება ტროპიკული ტყეების ნახევარი. იმავდროულად გაქრება მცენარეთა და ცხოველთა რამდენიმე სახეობა ზუსტად ისევე, როგორც თავის დროზე დინოზავრები გადაშენდნენ. ეროზია შთანთქავს ნიადაგს. პაკისტანმა, ირანმა, ნიგერიამ და ეთიოპიამ 1960 წლიდან 1998 წლამდე თავისი ნაყოფიერი მიწების ნახევარზე მეტი დაკარგეს. თუ ამ ქვეყნების მოსახლეობა კიდევ გაიზრდება, დანაკლისი 60%-ს მიაღწევს.

XX ასწლეულში კაცობრიობა 4-ჯერ გაიზარდა. 1927 წელს დედამიწის მოსახლეობა შეადგენდა 2 მლრდ ადამიანს. 1947 წელს 4 მლრდ-ს. 1999 წლის ოქტომბრის თვეში კი ჩვენი პლანეტის მე-6 მემილიარდე მცხოვრები გაჩნდა.

ყოველ წელს კაცობრიობა 78 მლნ ადამიანით იზრდება. განვითარებად ქვეყნებში მოსახლეობის ზრდამ 95%-ს მიაღწია. დღეს აზიაში მსოფლიო მოსახლეობის 60% ცხოვრობს.

ამავე დროს არის სანუგეშო პროგნოზიც — თუ 1970 წელს ტაილანდელი ქალი საშუალოდ 5-6 შვილს შობდა, 1997 წლიდან მხოლოდ 1-2-ს აჩენს. შობადობის დონემ განვითარებად ქვეყნებში საშუალოდ 6-დან 3 შვილამდე დაიწია (ერთ ქალზე), ხოლო რიცხობრივად შემცირდა 2-დან 1,3%-მდე.

გაეროს ექსპერტებმა გამოიანგარიშეს, რომ 2050 წლისთვის ჩვენი პლანეტის მოსახლეობა 7,3-დან 10,7 მლრდ-მდე გაიზრდება.

გაეროს კონფერენციას, რომელიც დედამიწის მოსახლეობის ზრდის პრობლემებს მიეძღვნა, 179 ქვეყნის წარმომადგენელი დაესწრო. ისინი მივიდნენ დასკვნამდე, რომ გამოსავალი ერთადერთია — უნდა გაიზარდოს ქალის როლი საზოგადოებაში. მანდილოსანი, რომელიც საკუთარ თავსა და კარიერაზე ფიქრობს, ბევრ შვილს ვერ იყოლიებს. მშვენიერი სქესის განათლებული წარმომადგენლები საზოგადოდ გვიან თხოვდებიან და ვეღარ ასწრებენ ბევრი შვილის გაჩენას.

კონფერენციაზე გადაწყდა, წაახალისონ საქმიანი მანდილოსნები და ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მათ წარმატებულ კარიერას.

***ნლო №4***

## რამდენი წლის არის სამყარო?

შორეული გალაქტიკების შესწავლამ შესაძლებელი გახადა, უპრეცედენტო სიზუსტით განგვესაზღვრა სამყაროს ასაკი. 8 წლის მანძილზე პასადენის ობსერვატორიის მკვლევარი ფრიდმანი და მისი კოლეგები პაბლას ტელესკოპის საშუალებით ზომავდნენ პლანეტათა სიჩქარეს, — ეს არის ძირითადი ფაქტორი, რომლითაც ხდება მათი ასაკისა და ზომის განსაზღვრა.

მეცნიერები ასკვნიან, რომ ჩვენი სამყარო 13,5 მლრდ წლისაა.

***ვოკრუგ სვეტა***

## სფინქსს ცყუპისცალი ჰყავდა?



იტალიელმა ეგვიპტოლოგებმა წამოაყენეს თეორია გიზის პლატოს დასავლეთ სექტორში მეორე სფინქსის არსებობის შესახებ. ცნობილია, რომ გიზის სამ ვეებერთელა პირამიდას „დარაჯობს" დიდი სფინქსი (არაბულად — აბუ-ჰაული — შიშის მამა).

არქეოლოგ დიეგო ბარატოლის აზრით, პლატოს კომპოზიციის დეტალური შესწავლა იმაზე მიგვითითებს, რომ ადგილი, სადაც ფარაონები თავიანთ სამუდამო სამყოფელს აგებდნენ, თავისებურ „მოზაიკურ ტილოს" წარმოადგენს. მის სრულქმნას აკლია „დასავლეთის სფინქსი". მეცნიერი ეყრდნობა იმ თვალსაზრისს, რომ ძველი ეგვიპტელები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ პროპორციულობას. ბარატოლიმ აღნიშნა, რომ გიზის არქიტექტურა ხუთკუთხოვან (პენტაგრამის) პრინციპს ეყრდნობა, ეს კი მეორე სფინქსის აუცილებლობას ადასტურებს. მეცნიერს განზრახული აქვს, ჩავიდეს ეგვიპტეში „დაკარგული აბუ-ჰაულის" საპოვნელად.

***ფავორიტი №1***

## შეხვედება კი რუსეთს შავი ზღვის ოქრო?

მკვლევარ-მყვინთავთა საერთაშორისო ჯგუფები მალე შავი ზღვის ფსკერზეც დაიწყებენ უძველესი განძის ძიებას. არქეოლოგთა გამოთვლით, იქ მათ დახვდებათ ხელუხლებელი განძი — ოქროს მონეტების ხვავი და ანტიკური ხელოვნების ნიმუშები. იქ, სადაც განძია დაკონსერვებული, ჟანგბადი არ აღწევს. შავი ზღვა ოდესღაც მთავარი სავაჭრო მარშრუტი იყო, რომელიც ერთმანეთს უკავშირებდა მსოფლიო ცივილიზაციის ცენტრებს. აქ დაცურავდნენ ძველ ბერძენთა და რომაელთა საქონლით დატვირთული გემები.



განძის საძებრად მიემგზავრება ადამიანი, რომელმაც თავის დროზე აღმოაჩინა „ტიტანიკის" კატასტროფის ადგილი. რობერტ ბალარდს სურს, გამოიყენოს სრულყოფილი წყალქვეშა აპარატურა და რობოტები. თავდაპირველად, საქმეში ჩაერთვება წყალქვეშა ნავი „ჯეისონი", 3 კაციანი ეკიპაჟით.

არქეოლოგებმა გაიანგარიშეს, რომ 7600 წლის წინ ყინულის დნობამ გამოიწვია მსოფლიო ოკეანის დონის სწრაფი აწევა. ბოსფორის სრუტიდან შავ ზღვაში, რომელიც მანამდე მხოლოდ გაუმდინარე ტბა იყო, ჩაიღვარა მარილიანი წყლები. 2 წლის მანძილზე, ყოველდღე ბოსფორის სრუტეში გადიოდა 10 კუბ. მილი წყალი, რაც 200-ჯერ აღემატებოდა ნიაგარის ჩანჩქერის რაოდენობას. წყალი საშინელი სისწრაფით შთანთქავდა ქალაქებს, რის შედეგადაც შავი ზღვის ფსკერზე გაჩნდა უნიკალური ეკოსისტემა. დაახლოებით 150 მ სიღრმიდან ფსკერამდე არის უსიცოცხლო, უჟანგბადო სივრცე, რაც განძის შესანახად იდეალურია. იქ არ გვხვდება ბაქტერიები და მიკროორგანიზმები, რომლებიც ჭამენ ხეს და შლიან ყველანაირ ნივთიერებას. იქ ლითონი არ იჟანგება და ადამიანის სხეულიც კი უვნებლად ინახება. ასეთ პირობებს მსოფლიო მასშტაბით ვერსად შეხვდებით. ბალარდს თავის საიდუმლო რუკაზე აღნიშნული აქვს გემების ჩაძირვისა და ნაქალაქარების ადგილები. მაგრამ მისი გეგმის განხორციელებას უდავოდ ხელს შეუშლიან თურქი, უკრაინელი და რუსი კონკურენტები. შავ ზღვაზე უახლოეს მომავალში შესაძლოა, ნამდვილი ფიცხელი ომი გაჩაღდეს. თანაც, არ არის გამორიცხული, რომ გამოიყენებენ სამხედრო-საზღვაო ძალებს. არავინ იცის, როგორ გაიყოფენ შავი ზღვის აუზის ქვეყნები უძველეს წყალქვეშა ქალაქებს.

***პოსლედნიე ნოვოსტი №41***

## ზღვის ბინადართა ნათება



ახალ წლამდე რამდენიმე საათიღა რჩებოდა...

სამეცნიერო-კვლევითი გემი „ვიტიაზი" ატლანტიკის ეკვატორულ ზონაში დრეიფობდა.

მეზღვაურებმა ზღვაში დიდი ბადე ისროლეს, მერე კაიუტაში მაცივრიდან გამოღებული ნაძვის ხე დადგეს, რა თქმა უნდა, მოურთავ-მოუკაზმავი...

ზღვიდან ამოზიდული ბადე სავსე იყო ხამანწკით, თევზითა და ზღვის სხვა ბინადრებით. ნეპტუნის ეს ნობათი კაპიტნის ბრძანებით ნაძვის ხის ტოტებზე ჩამოკიდეს...

რადიოდან გაისმა კრემლის კურანტების ხმა. კაპიტანმა ბრძანა, სინათლე ჩაექროთ. იქ მყოფებს გასაოცარი სურათი წარმოუდგათ თვალწინ — ნაძვის ხე წითლად, მწვანედ, ცისფრად და ათასგვარი უცნაური ფერით ციმციმებდა.

დღეს, უახლესი ტექნიკის საფუძველზე მეცნიერთა მიერ დადგენილია, რომ ეს უბრალო ნათება არ არის. ყოველ მათგანს თავისი ფუნქცია აქვს — ზოგი ზღვის მკვიდრი იმიტომ ანათებს, რომ მოძმეები არ დაკარგოს — წვრილი თევზები ხომ გუნდ-გუნდად ცხოვრობენ, ზოგიც ნათებას ჯუფთის მოსაზიდად იყენებს, სხვანი ამით ცდილობენ მსხვერპლის მახეში გაბმას, ბევრი კი თავს იცავს მტაცებლისგან. ზოგი ზღვის ბინადრისა მუცელი ანათებს, ზოგისა კი ზურგი, ეს მას მის ქვემოთ ან ზემოთ მყოფი მტაცებლისგან იცავს. სიცოცხლის გადასარჩენად და საკვების მოსაპოვებლად ზღვის ყოველ მკვიდრს თავ-თავისი ხრიკი აქვს, რომელსაც ხშირად წამოეგებიან ხოლმე ცნობისმოყვარე არსებანი.

***ტაინაია ვლასტ №1***

## ევროპას საჰარის ბედი ელის



უჩვეულო იყო შარშანდელი ზაფხული პორტუგალიის სამხრეთისთვის. პოლიციამ სამხრეთ სანაპიროდან ადგილობრივი მოსახლეობის და ტურისტების ევაკუირება მოახდინა. ყველა და ყველაფერი პანიკამ მოიცვა. თითქოს ატომური ბომბის ჩამოვარდნას ელოდნენ.

პანიკა მას შემდეგ გავრცელდა, რაც საკონტროლო რადარებმა პორტუგალიის სანაპიროსთან მიახლოებული უზარმაზარი ტალღა დააფიქსირა, მაგრამ გავიდა რამდენიმე საათი და არაფერი მომხდარა...

უეცრად ყველამ იგრძნო, რომ ჰაერი ძალიან გათბა. ხალხს სუნთქვა უჭირდა, ამინდის უეცარმა ცვლამ თავბრუსხვევა და ღებინება გამოიწვია. ტურისტებს გულის უკმარისობა დაეწყოთ.

გაირკვა, რომ რადარებმა არა წყლის, არამედ ჩრდილო აფრიკიდან შემოჭრილი ჰაერის ტალღა დააფიქსირა. მსგავსი რამ პორტუგალიას არ ახსოვს. რამდენიმე წუთში ტემპერატურა $45^0$-მდე ავარდა.

ამავე პერიოდში, ჰაერის უეცარ დათბობასთან დაკავშირებით, უნიკალური მოვლენები შეინიშნებოდა ხმელთაშუა ზღვის რაიონში. მოულოდნელად, ესპანეთის ქალაქ სევილიას ჭიანჭველებმა შეუტიეს. ისინი ფეშენებელურ სასტუმროებშიც კი შეიჭრნენ. რესტორნებში კერძები ჭიანჭველებით იყო სავსე.

დიდ ბრიტანეთში უეცარი დათბობის შედეგად ზღვის ბინადრებმა ხმელეთს მიაშურეს, ხოლო კორნუოლის ხალხით სავსე სანაპიროზე წყლიდან თეთრი ზვიგენი ამოვიდა.

ესპანეთისა და საბერძნეთის სანაპიროებზე ახლო მომავალში მოსალოდნელია საჰარის ტემპერატურა. ალპებში გაძლიერდა თოვლის დნობა...

მეცნიერები არ გამორიცხავენ, რომ რამდენიმე წელიწადში სამხრეთ ევროპა ჩრდილოეთ აფრიკას დაემსგავსება.

***კალეიდოსკოპ №37***

## №7 (176) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 797 მკითხველი გამოეხმაურა. 8 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 296-მა ქალმა და 493-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რომელია ყველაზე საუკეთესო საავტორო გადაცემა?“**

მკითხველთა 59-მა ასეთად „60 წუთი“ დაასახელა. **7,88** საშუალო ქულით აკაკი გოგიჩაიშვილის გადაცემა პირველ ადგილზეა. მინიმალური — 1 ქულა მას რესპონდენტთა 3-მა დაუწერა. შემდეგ ადგილზე ასევე „რუსთავი-2“-ის გადაცემა „კურიერი P.S“-ია. მაქსიმალური ქულით იგი მკითხველთა 22-მა შეაფასა, მინიმალურით კი — მხოლოდ სამმა მკითხველმა (0,38). კოკა ყანდიაშვილის „რა ხდება?“ მესამე ადგილზეა, საშუალო ქულაა 5,57.

როგორც ჩანს, მკითხველი უპირატესობას საინფორმაციო, თანაც საზოგადოებისათვის მიჩქმალული ქმედებების სამზეოზე გამომტან და ხალხის პრობლემებით დაკავებულ გადაცემებს ანიჭებს.

ირაკლი მოსეშვილის „გრიფით საიდუმლო“ 5,38 საშუალო ქულით მეოთხე ადგილზეა.

ჩვენი მკითხველების აზრით, „ღია კარის ღამე“, „მჯერა“ და „პრესზონა“, აქ ჩამოთვლილ საავტორო გადაცემათა შორის ნაკლებად იმსახურებენ მაყურებლის მოწონებას.

რაც შეეხება ლევან ბერძენიშვილს, რომელსაც „სჯერა“, ამჯერად არ გაუმართლდა, რადგან ყველაზე მეტი მინიმალური ქულა (26,49) სწორედ „მჯერამ“ დაიმსახურა.




საპრიზოს ზუსტად არც ერთი ბარათი-რეიტინგი არ დაემთხვა. ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი კი 21 წლის **ია ვარდოსანიძეა.** მან, საპრიზო ვარიანტისაგან განსხვავებით, „მჯერას“ ორის ნაცვლად ხუთი ქულა (მეხუთე ადგილი) მიაკუთვნა, ხოლო „რეტროპერსპექტივას“ ხუთის ნაცვლად — ორი (მერვე ადგილი).

გამარჯვებულს ვულოცავთ და პრიზის — 200 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში სამშაბათს, 22 თებერვალს, 17 საათზე.

## №8 (177) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

**„კვირის პალიტრა“** თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

### 100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება **„კვირის პალიტრის“** მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, უპასუხოთ დამატებით კითხვას.

**№8 (177) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათის, 23 თებერვლის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 24 თებერვლის 13 საათამდე.**

© თბილისი, 1997

### თემა №8 (177) — ტელეარხები

**რომელ ქართულ ტელეარხს უყურებთ ყველაზე ხშირად** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს 7 — და ა.შ. 1-მდე.

**№8(177) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | ტელეარხი | ქულა |
|---|---|---|
| 1 | მეცხრე არხი | |
| 2 | საქართველოს ტელევიზიის II არხი | |
| 3 | რუსთავი-2 | |
| 4 | ტვ-4 | |
| 5 | ევრიკა | |
| 6 | პირველი სტერეო | |
| 7 | საქართველოს ტელევიზიის I არხი | |
| 8 | იბერია | |

**დამატებითი კითხვა**

**ვის მისცემდით ხმას, მხოლოდ აბაშიძესა და პატიაშვილს შორის რომ გიხდებოდეთ არჩევანის გაკეთება?**

| ჯუმბერ პატიაშვილს | ასლან აბაშიძეს | არც ერთს | არ ვიცი |
|---|---|---|---|
| | | | |

(შესაბამისი უჯრა გადახაზეთ)

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი

ტელეფონი

**„კვირის პალიტრის“ ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს.**

## დამატებითი კითხვის შედეგები

დამატებით კითხვას — **„არის თუ არა ედუარდ შევარდნაძე უალტერნატივო?“** — 771-მა რესპონდენტმა უპასუხა. კითხვაზე კონკრეტული პასუხის გაცემა მკითხველთა 13-ს გაუჭირდა. რესპონდენტთა 36-ის აზრით, პრეზიდენტი შევარდნაძე უალტერნატივოა; მკითხველთა 51-მა კი განაცხადა, რომ შევარდნაძეს ალტერნატივა ჰყავს.

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე მკითხველის აზრით, შევარდნაძეს რეგისტრირებულ კანდიდატთა შორის არ ჰყავს ალტერნატივა, თორემ უალტერნატივო არავინ არის.




## © · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა ·

***გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.***

**რას დაარქმევდით?**

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)



ჯანსუღ ჩარკვიანი, ვახტანგ რაზმაძე და რომან გვენცაძე

**თ.შ.** — ბატონო მუხრან, ჩემი ლექსების ხელნაწერი რომ გადმოგეცით რამდენიმე დღის წინ, წაიკითხეთ?
**მ.მ.** — კი, წავიკითხე! ისე, იმერლებმა თუ იციან ლექსებს რომ წერს მათი გუბერნატორი?
**თ.შ.** — არა, ჯერ არ მითქვამს!
**მ.მ.** — ჰოდა, არ უთხრა აბა, თავიანთი გაჭირვებაც ეყოფათ მაგათ.

***ლ. ქაჩიბაია, თბილისი***

**თ.შ.** — საქართველოში არ არის ერთიანი სამართლებრივი სივრცე, იმერეთი სამჯერ ნაკლებ ფინანსდება ბიუჯეტიდან, ვიდრე აჭარა.
**მ.მ.** — სამაგიეროდ, სამჯერ მეტს ლაპარაკობთ.

***გელა ტყეშელაშვილი, ქუთაისი***

**თ.შ.** — გენიოსობამდე ერთი ნაბიჯი გაკლია, მუხრან! „აღორძინებიდან“ უნდა გამოხვიდე.

***თორნიკე ქარჩხაძე, თბილისი***

**თ.შ.** — ტა, ტა, ტა, ტა!
რანაირად ბრდღვინავს ედუარდ!
**მ.მ.** — ხო, ხო, ხო, ხო! ხმელეთს როგორ ეხეთქება ასლანი!

***ჯიჯი, თბილისი***



თემურ შაშიაშვილი და მუხრან მაჭავარიანი

***წინა ნომერში გამოქვეყნებულ „ფოტოპალიტრას“ 137 მკითხველი გამოეხმაურა, მადლობას ვუხდით მათ. ვაქვეყნებთ რამდენიმე ორიგინალურ პასუხს.***

**მ.მ.** — მე ასლანის სეკუნდანტი ვარ. ბიჭები დაბლა გელოდებიან, ჩამოვიდესო.

***ბაკურ ალუდაური, დუშეთი***

**თ.შ.** — გახსოვს, ასლან აბაშიძეს მიხეილ მაჭავარიანი მუხრან მაჭავარიანში რომ შეეშალა და ასაჩუქრებდა?! მეც არ მინდა მასე მომივიდეს და ძალიან გთხოვ, პასპორტი მანახე, სანამ დაგაჯილდოებდე.

***ნ. გვალია, თბილისი***

**თ.შ.** — ახლა რომ რომელიმე ბაბუმ გამოიაროს და ასეთი მთვრალები დაგვინახოს...
**მ.მ.** — დაგვინახოს? შენ მხედავ?
**თ.შ.** — ვერა.
**მ.მ.** — ვერც მე, ე.ი. დავმალულვართ.

***ლეო, თბილისი***

**თ.შ.** — რავა ხარ, მუხრან?
**მ.მ.** — „ყველამ დამტოვა, მეგობრისა ვინც იყო მსგავსი,
ტყე გაიჩეხა, ტყის ადგილას ერთი ხე დავრჩი!“
**თ.შ.** — კაი ერთი, თუ ძმა ხარ, შენ „აღორძინებაში“ ხარ თუ მწვანეთა პარტიაში?

***კ.ს. საგარეჯო***

**თ.შ.** — ძმაო, მუხრან, შენ ოღონდ ასლანთან შემარიგე და ერთი ქუთაისური თვითმფრინავი ჩემზე იყოს.
**მ.მ.** — ნეტავ თქვენ შეგარიგებდეთ და რად მინდა თვითმფრინავი, ჩემი მუზაც მშვენივრად დამაფრენს.

***მამუკა ჩხიროძე, სამტრედია***

**თ.შ.** — „შენს ლექსებზე გავიზარდე, ჩემო მუხრან“...
**მ.მ.** — აბა, ერთი მაინც მითხარი.
**თ.შ.** — „შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს, მერი...“

***უავტორო***

**მ.მ.** — ჭადრის ფოთლებო, გაზაფხულზე რომ გაჩნდით უცბად! დღეს რომ ხუნტრუცობთ უნდა გითხრათ (თქვენც იცით, თუმცა!): თვეს ორს გასტანოს დიდი-დიდი თქვენმა კუნტრუშმა.

***ქეთინო ხვისტანი, ცაგერი***

## ჩელენტანოს აპატიეს



ადრიანო ჩელენტანომ თავისი 62 წლის ალსანიშნავად მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ყველაზე კარგი საჩუქარი მას ცოლმა — მსახიობმა კლაუდია მორიმ მიუძღვნა. „მან დიდი შეცდომა მაპატია“, — განაცხადა მომღერალმა.

...ჩელენტანომ „ძალიან მხიარული“ ახალი წელი გაუთენა მეუღლეს. არაფრის გამო შინ ისეთი ჩხუბი ატეხა, რომ თითქმის მთელი ჭურჭელი დალეწა. კლაუდია თავის საძინებელში ჩაიკეტა და ტირილით შეხვდა 2000 წელს.

## თურმე...

მაიმუნი მაშინ კი არ გადაიქცა ადამიანად, ხელში ჯოხი რომ აიღო, არამედ მაშინ, სარკეში თავისი თავი რომ დაინახა და — გაიცინა...

**იცინეთ... ბევრი იცინეთ...**

**სამუშაოდ ვიწვევთ** ჟურნალისტებს ეკონომიკის, კრიმინალისა და სპორტის რუბრიკებში სამუშაოდ.
(ჟურნალისტური მოღვაწეობის სტაჟი აუცილებელია)
გასაუბრება შაბათს, 26 თებერვალს 14-დან 16 საათამდე, „კვირის პალიტრის“ რედაქციაში.

## ფოტო განწყობისთვის



გრძელი „ვალენტინის დღე“

* * *

*ქმარმა ცოლს საყვარელთან შეუსწრო. ცოლი ძალიან მალე გამოვიდა შოკიდან და მკაცრი ტონით განაცხადა:*

*— აბა, ახლა შენ შენს უსირცხვილო თვალებს დაუჯერებ თუ საყვარელ ცოლს?*

**ჯანმრთელობისთვის არახელსაყრელი გეომაგნიტური პერიოდი**

**22/II 20.00-22.00სთ-მდე;**

**25/II 17.00-19.00სთ-მდე;**

## ნამალი „სალხინო“ — მართლაც ქართული ფლორის საოცრება

თუ გსურთ განიკურნოთ პროსტატიტის, ცისტიტის, ქალური დაავადების და სხვა შარდსასქესო ორგანოების დაავადებებისაგან, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, სათესლე ჯირკვლებში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, სქესობრივი კავშირის დროს თესლის ნაადრევი გამოყოფა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი „სალხინო“ და მოგიხსნით ამ პრობლემებს. „სალხინო“ აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

„სალხინო“ გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტი, გასტრიტი, ნეფრიტი, გინგივიტი, სტომატიტი, ბრონქიტი და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. „სალხინო“ აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი „სალხინო“ კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ „სალხინოს“ სამკურნალო და პროფილაქტიკური თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანის და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ და რეგისტრირებულია, მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია. იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

**ჩვენი მისამართია: დავით აღმაშენებლის 115, პოლიციის ეზოში, ფირმა „სალხინო“**

„კვირის პალიტრის“ **უფასო განცხადების ქვითრით** შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ დამატებაში — გაზეთში **„სიტყვა და საქმე“** (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე“ არანაკლებ ეფექტიანია).

**„კვირის პალიტრაში“** კი, ქვეყნდება მხოლოდ **ფასიანი განცხადების ქვითრით** შემოსული განცხადებები, რომლებიც იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

*„უფასო განცხადების ქვითარი“ ჩააგდეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში. ყუთები იცლება:* **თბილისში** *— ხუთშაბათობით 13 საათიდან. მათი განთავსების ადგილებია მეტროების — „მარჯანიშვილი“; „კავშირის მოედანი“; „თავისუფლების მოედანი“; „რუსთაველი“; „ღრმაღელე“; „ნაძალადევი“; „ახმეტელი“; „ვარკეთილი“; „300 არაგველი“; „ვაკეთილი“; „სამედიცინო ინსტიტუტი“; „პოლიტექნიკური“; „ისანი“; „სამგორი“; „გოცირიძე“; — მიმდებარე ტერიტორიაზე; დოლიძის ქუჩის კუთხეში; გამსახურდიას და ვაჟა-ფშაველას პროსპექტების გადაკვეთაზე, საბურთალოს ბაზრის შესასვლელთან; ქავთარაძის ქუჩაძე — იზოტოპების ინსტიტუტთან და ბოლო გაჩერებაზე, ორთაჭალაში — გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან); დიღუბის ავტოსადგურთან; დიღმის მასივში პოლიკლინიკის წინ, დიდ დიღომში, იოანე პეტრიწის ქ. №3 — სურსათის მაღაზიის წინ; მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ — ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის გამზ. მუსკომედიის წინ, გაჩერებასთან; წერეთლის გამზ. გამოფენის წინ, გაჩერებასთან; დიდუბის მეტროს წინ, „სამთო ქიმიის“ გაჩერებასთან; დიღომში — მევლობრობის გამზ. მილიციასთან; უნივერსამის მიმდებარე გაჩერებასთან; ვაკეში — კავსაძის ქუჩაზე; ბაგებში — გაჩერებასთან. წყნეთის ქუჩა; კეკელიძის ქუჩა.*

***ქალაქებში და რაიონებში:*** რუსთავი, მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, თერჯოლა, სამტრედია, აბაშა, ლანჩხუთი, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, საგარეჯო, სიღნაღი, ახმეტა, წნორი, ლაგოდეხი, ყვარელი, გურჯაანი, თელავი — ***არსებული „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით, 10 საათიდან.***

**ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©**

**(8) უფასო განცხადების ქვითარი**

განცხადების ტექსტი ________________________________

________________________________

________________________________

________________________________

________________________________

________________________________

**სიტყვა და საქმე**

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)*

*გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№8 ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 24 თებერვლის (ხუთშაბათი), 13.00 სთ-მდე.



## წინა სკანვორდის პასუხები



რაასაც გაიგებ შენია, რაც არა, ისიც შენია.

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

[R] ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი.

მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი.

სარედაქციო კოლეგია.

მის: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ რედაქცია: 33-39-54
რეკლამა: 98-74-44

palitra@access.sanet.ge

სარეგისტრაციო ნომერი 1518

„კვირის პალიტრა“ გამოდის ორშაბათობით

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.